

აკაკი ხორავას საზოგადოება

აკაკი ხორავა

100



ხელოვნება • თბილისი • 1997

**შემდგენელი, შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი
ეთერ გუგუშვილი**

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ბ ი ა : ზაზა ბაწულაშვილი
გიორგი გეგეჭკორი,
ნოდარ გურაბანიძე,
დილარ ივარდავა,
ვასილ კიკნაძე,
ედიშერ მალალაშვილი,
ნუგზარ ნადარაია,
გურამ სალარაძე

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი დ ო დ ო კ ა ნ დ ე ლ ა კ ი

ბავოცემის სონსორი ქ. ფოთის შერის კაბინეტი,
ქალაქის სათათბირო

მ ს ის კაცია!..

კიდევ ათიოდე წუთი და მშობლიური თეატრის კედლებს დატოვებს სცენის მშვენება, სცენის რაინდი, სცენის ლომი. დატოვებს მშობლიური თეატრის კედლებს და შეუდგება აღმართს მთაწმინდისაკენ, რომლის წმინდა სავანეში განისვენებენ ერის დიდებული შვილნი და რომელთა შორის ყოფნა მან თავისი დიდი საქმით დამსახურა.

ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველ დარგს თავისი გმირი ჰყავს, თავისი პირველი კაცი.

ეს ის კაცია, რომელიც ჩვენს საუკუნეში ყველა დანარჩენზე მეტად ეზიარა ტრაგედიის თვალუწვდენ მწვერვალებს და ამ უმაღლეს ხელოვნებას აზიარა თავისი ერი, თავისი ქვეყანა.

ეს ის კაცია, რომელმაც ჩვენს საუკუნეში პირველმა, რესპუბლიკის გარეთ, შორს გასტყორცნა ერის თეატრალური ნიჭი, ერის თვითმყოფადობა და ეს დიდება მთელი ქვეყნის უკიდევანო სივრცეებს მოჰფინა.

ეს ის კაცია, რომელმაც, აგერ უკვე რამდენი წელია, ფეხი ჩამოდგა თავისი სათაყვანებელი თეატრის სცენიდან, მაგრამ მისი შეცვლა ვერავინ შეძლო, ვერავინ გაბედა. დგას სავარძელი დაობლებული, ცარიელი და, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება ღირსეული მემკვიდრის გარეშე.

ეს ის კაცია, რომელიც მარტო არ მიდის საუკუნოდ განსასვენებლად. მას ამ შორეულ გზაზე გვერდს უმშვენებენ მშობლიურ სცენაზე ბრწყინვალედ გაცოცხლებულ გმირთა უკვდავი სახეები, ამიტომ თამამად, ძვირფასო ამაგდარო! შენი საუვი მთაწმინდისაკენ შენი საქმენია, შენი ცეცხლოვანი გულია, შენი ნათელი გონებაა.

მშვიდობით ანზორ, მშვიდობით გიორგი, მშვიდობით ოძელაშვილო, მშვიდობით კარლ შორო, მშვიდობით დიდო ხელმწიფევე, მშვიდობით ოიდიპოს, მშვიდობით გმირო ოტელო, მშვიდობით პირველო არტისტო!

ეროსი მანჯგალაძე

აპაკი ხორავა

აპაკი ხორავას სცენური მოღვაწეობა ბედნიერად წარიმართა. თუმცა ეს არ იყო მხოლოდ ბედის წყალობა. თავის შემოქმედებით გზაზე მსახიობს ბევრჯერ უგრძენია წარუმატებლობის სიმწარე, ეს გზა არ იყო მოკლებული სიძნელეებსა და მწარე დანაკარგებს. მან კარგად იცოდა მწუხარების ფასი, ბევრი რამ განიცადა ცხოვრებაში — დაწყებული სამი წლის შვილის გარდაცვალებითა და დამთავრებული ახლობელთა ღალატით, რწმენის დაკარგვით, გულგატეხილობით, იმედების გაცრუებით. და მაინც ბედნიერი იყო!

მისმა სცენურმა შედეგებმა, გაქანებამ, რომლითაც ის ცხოვრობდა და ქმნიდა, უზრუნველყვეს მისი არნახული შემოქმედებითი წარმატება, უდიდესი აღიარება სამშობლოში და მის ფარგლებს მიღმა.

აპაკი ხორავა სახალხო არტისტი იყო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მისი ზელოვნება ქართველი ხალხის სულის გამომხატველია — მსახიობი ცხოვრობდა და სულდგმულობდა დროით, რომელშიც ბოძოქრობდა ვნებები და უკიდურესად იძაბებოდა ნერვები. ეპოქის ნაბიჯების სიმძლავრე შემოქმედლის გულში ბადებდა საპასუხო იმპულსებს, ელოდა მისგან იგივე ძალასა და ნებისყოფას, ამაღლებულ, ზეაწეულ ვნებებს.

ქართული თეატრი საჭიროებდა თანადგომას. კოტე მარჯანიშვილის მიერ ანთებული ჩირაღდანი მის პირველ სპექტაკლში, „ცხვრის წყარო“, ზელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებმა აიტაცეს. აპაკი ხორავა მათ რიცხვს ეკუთვნოდა.

აპაკი ალექსის-ძე ხორავა დაიბადა 1895 წლის 29 აპრილს სოფელ ოჩხაშურში (ამჟამად ჩხოროწყუს რაიონი). ბავშვობის წლები სენაკში გაატარა. აქვე დაიწყო შრომითი საქმიანობა. აპაკის მამა, წარმოშობით გლეხი, იძულებული იყო ქალაქში წასულიყო, რათა ცოტა რამე ეშოვა ოჯახის შესანახად. ის მოეწყო სახარაზო სახელოსნოში, თავდაუზოგავად მუშაობდა, დღე და ღამეს ასწორებდა, რომ როგორმე მისი შვილი განათლებული კაცი გამოსულიყო.

მეცადინეობას უქმად არ ჩაუვლია, პატარა აკაკი იმთავითვე მიხვდა, რომ უფლება არ ჰქონდა მამის იმედები გაეცრუებინა და, მართლაც, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში იგი საოცარი მუყაითობით შეუდგა სწავლას. თავის ასაკთან შედარებით ზედმეტად სერიოზული ბავშვი დიდი საზრიანობით გამოირჩეოდა ტოლ-ამხანაგებში.

ცამეტი წლისაც კი არ იყო აკაკი, როდესაც პირველად შეიგრძნო თეატრის სურნელება. იგი ქუთაისის დრამატული თეატრის განუყრელი სტუმარი გახდა. აქ, ქუთაისში, სახელოვანი თეატრალური ტრადიციების ქალაქში, პირველად იგემა შემოქმედებითი სიხარული, აქ გაცნო და დაუშვებობდა ცნობილ თეატრალურ მოღვაწეებს და საბოლოოდ დაუტკავშირა თავისი ცხოვრება ხელოვნებას.

ქუთაისში ამ დროს ძალიან ძლიერი დრამატული დასი იყო. მისი რეპერტუარი საუკეთესო ქართული, რუსული და უცხოური კლასიკური ნაწარმოებებისაგან შედგებოდა. თეატრს სათავეში ედგა დიდი ქართველი ტრაგიკოსი მსახიობი ლადო ალექსი-მესხიშვილი, რომელიც თავისი შთაგონებული შემოქმედებითა და ჰუმანისტური იდეებით უდიდეს გავლენას ახდენდა მაყურებელთა ფართო წრეებზე, განსაზღვრავდა ქუთაისის თეატრის ჰეროიკულ-პატრიოტულ რეპერტუარს.

ქუთაისში მიღებულ წრთობას უკვალოდ არ ჩაუვლია აკაკი ხორავას ცხოვრებაში. იგი მიხვდა, რომ მსახიობის პროფესია დიდ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას აყისრებს ადამიანს, რომ მსახიობად გახდომის უფლება მხოლოდ იმას აქვს, ვინც ფართოდ განათლებული და სულიერად მდიდარია.

სამი წელი სწავლობდა ხორავა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, მაგრამ მსახიობის მაღალ პროფესიაზე ოცნებას თავი მაინც ვერ დაანება. ამიტომ სულ მალე მთელის არსებით მიეცა თეატრს, მუშაობდა თბილისის მუშათა ცენტრალურ კლუბში, სახალხო სახლში, რომელსაც იმჟამად ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი დრამატურგი, მსახიობი და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი. სწორედ შალვა დადიანი გახდა მომავალი მსახიობის პირველი უშუალო მასწავლებელი სასცენო ხელოვნებაში.

აკაკი ხორავამ საბოლოოდ გადაწყვიტა გამხდარიყო პროფესიონალი მსახიობი, და 1922 წელს თეატრალურ სტუდიაში შევიდა, მალე კი რუსთაველის სახელობის თეატრში აღმოჩნდა და აღარასოდეს დაშორებია ამ თეატრს.

იმ პერიოდში, როდესაც ხორავა რუსთაველის თეატრში მივიდა, თეატრს ხელმძღვანელობდა კოტე მარჯანიშვილი — მგზნებარე, დაუღალავი, მარადეამს ახლის მძიებელი შემოქმედი. ხანგრძლივმა მოღვაწეობამ სცენაზე, პი-

რადმა მეგობრობამ ქართული, უცხოეთისა და რუსული კულტურის დიდ მოღვაწეებთან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მარჯანიშვილის პიროვნებაზე; მთელ მის მოღვაწეობაზე. მარჯანიშვილი საკუთარ შემოქმედებით პრინციპებს ფაქიზად უხამებდა ძველი ქართული თეატრის გმირულ-რომანტიკულ ტრადიციებს. ის იყო შემოქმედებითი ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი. ხორავა მადლიერების გრძნობით იგონებს კოტე მარჯანიშვილის ამ თვისებას, იმ განსაკუთრებულ ყურადღებას, რასაც იგი იჩენდა მის, დამწყები მსახიობის მიმართ პროფესიული თეატრის სცენაზე.

პირველი როლი, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ითამაშა აკაკი ხორავამ იყო ხეტიაის როლი შალვა დადიანის პიესაში „გემე-ქკორი“. სპექტაკლი (პიესის ერთი აქტი დაიდგა მხოლოდ) მიეძღვნა მწერლის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ოცდამეათე წლისთავს. სპექტაკლი კ. მარჯანიშვილმა დადგა. მან უყოყმანოდ მიანდო გამოუცდელ, მისთვის უცნობ მსახიობს ეს როლი, რომელიც არცთუ ისე შეეფერებოდა ახალგაზრდა შემსრულებლის ხასიათს.

აკაკი ხორავამ შეძლო როლის სიძნელეების დაძლევა. მან შექმნა დარბაისელი მოხუცის თავისებური სახე და წარმოდგენის შემდეგ თეატრალურ წრეებში ხშირად ვაიგონებდით სახელს ახალგაზრდა მსახიობისას, რომელიც ბუნებას შესანიშნავი ხმითა და მდიდარი სცენური მონაცემებით დაეჭილდოებინა. აქედან დაიწყო აკაკი ხორავას ტრიუმფალური გზა პროფესიული თეატრის სცენაზე, გზა, რომელმაც იგი მხატვრული სრულყოფის მწვერვალამდე მიიყვანა. ამიტომ, როდესაც ხეტიაის შემდეგ მან ოსკარ უაილდის „სალომეაში“ იოქანაანი ითამაშა, არავისთვის აღარ იყო მოულოდნელი ის დიდი წარმატება, რაც აკაკი ხორავამ ამ როლში მოიპოვა.

ა. ხორავას იოქანაანი ყველაზე საინტერესო სახე იყო სპექტაკლში (დადგმა ს. ახმეტელისა). მსახიობის თამაშში ნათლად იგრძნობოდა იოქანაანის ძალა, გახელებული ვნება და ფანატიზმი. შესაძლოა, ბევრი რამ, რაც ამ როლის შესრულებით მოიტანა აკ. ხორავამ სცენაზე, რამაც ასეთი ძლიერი ზეგავლენა მოახდინა მასურებელზე, მაინც მსახიობის წმინდა გარეგნული მონაცემებიდან მომდინარეობდა და ამიტომ შედარებით მკრთალი შთაბეჭდილება დატოვა გმირის სულიერი სამყაროს ჩვენებამ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასურებელმა ირწმუნა, რომ მას საქმე ჰქონდა დიდი შემოქმედებითი პოტენციის ახალგაზრდა ხელოვანთან.

გასაკვირი როდია, რომ სწორედ ეს იგრძნო კოტე მარჯანიშვილმა და, ალბათ, ამიტომ მრავალი დიდი და მცირე როლი მიანდო ახალგაზრდა მსახიობს: სერჟანტი ე. ოდრანის „მასკოტაში“ (კ. მარჯანიშვილის დადგმა), ანდრეჟაფარ

დიდებულოძე გ. ერისთავის „გაყრაში“ (კ. მარჯანიშვილის დადგმა), მილიონ-
რის ვაჟი გ. კაიხურის „გაზში“ (დადგმა კ. ანდრონიკაშვილისა), დავრიში
ი. ჟედევანიშვილის პიესაში „სინათლე“ (დადგმა კ. მარჯანიშვილისა). მაგრამ
ა. ხორავას ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან ნამუშევრად ამ წლებში
უნდა ჩაითვალოს მისი ორი სცენური ნამუშევარი: უსახელო — ერნსტ ტო-
ლერის პიესაში „კაცი-მასა“ (კ. მარჯანიშვილის და მის. ქორელის დადგმა) და
ლაერტი შექსპირის „ჰამლეტი“ (დადგმა კ. მარჯანიშვილისა).

ორივე ეს როლი დიდად დაეხმარა ა. ხორავას სწორად განესაზღვრა თე-
ატრში მისთვის კუთვნილი ადგილი. ამ სცენურმა სახეებმა ადრე შექმნილ
სხვა როლებზე უკეთ და უფრო ღრმად გამოავლინეს ა. ხორავას, როგორც
მსახიობის სპეციფიკური, ინდივიდუალური ხასიათი და თვისებები.

სწორედ ამიტომ ჰქონდა ხორავასათვის პრინციპული მნიშვნელობა უსა-
ხელოს როლის შესრულებას ი. ტოლერის პიესაში. მსახიობი სცენაზე გამო-
დიოდა ჩვეულებრივ „სპექტანსაცემელში“ გამოწყობილი. ამით იგი თითქოს
გვეუბნებოდა, რომ მისი გმირი არაფრით გამოირჩეოდა ხალხის მასისაგან.
მაგრამ ამ ვარეგულ უბრალოებასა და საყვარელი ქალისადმი უღარესად ფა-
ქიზ, ლირიკულ დამოკიდებულებაში არაფერი იყო ისეთი, რაც დაუბირისპირ-
დებოდა ამ ვაჟკაციური, ძლიერი მამაკაცის ხასიათს. სწორედ ამგვარ მამაც,
მტკიცე ნებისყოფისა და რწმენით აღსავსე ადამიანს შეეძლო გამხდარიყო აზ-
ვირთებული მასების ბელადი.

1925 წელს ა. ხორავამ ლაერტი ითამაშა. ეს როლი ახალგაზრდა მსახი-
ობის შემოქმედებითი შესაძლებლობების სერიოზული გამოცდა იყო. კოტე
მარჯანიშვილის ჩანაფიქრით, ლაერტი რაინდული ტრადიციების განსხეულე-
ბას წარმოადგენდა. რეჟისორს სურდა ეჩვენებინა მგზნებარე ჰაბუკუბური სუ-
ლის ადამიანი, რომელსაც სწამს ძველი რაინდული ადათ-წესები და მთელი
გატაცებით იბრძვის კიდევ მათს დასაცავად. გმირის ეს თვისებები ახლობელი
აღმოჩნდა ახალგაზრდა ხორავასათვის. ლაერტისა და ჰამლეტის დაპირისპირე-
ბამ სწორი და ორიგინალური სცენური გადაწყვეტა ჰპოვა სპექტაკლში. თუ
ჰამლეტსა და კლავდიუსს შორის ატეხილი ბრძოლა მკვეთრად კონტრასტულ
ხასიათს ატარებდა, თუ კლავდიუსი-ვასაძის ენით უთქმელი ბოროტმოქმედება
სრული ანტიპოდი იყო ჰამლეტ-ჩხვიძისა, სამაგიეროდ, ლაერტი-ხორავას კე-
თილშობილებამ და რწმენის სიმტკიცემ, მისმა ტემპერამენტმა და საკუთარი
ნორმების დაცვისადმი მისწრაფებამ, ეს გმირი ჰამლეტის ღირსეულ მოწინა-
აღმდეგედ აქცია.

ლაერტის როლმა საბოლოოდ გაარკვია ხორავას ადგილი რუსთაველის
თეატრში, გაარკვია მისი, ბუნების გმირულ-რომანტიკული სული და სწორედ

მარჯანიშვილის დამსახურებაა ხორავას, როგორც ამ მიმართულების მსახიობის „აღმოჩენა“. პირველად მის სპექტაკლებში გაიხსნა ფართოდ მსახიობის უნიკალური ტალანტი, მან გამოიყვანა ხორავა სასცენო მოღვაწეობის შარავზაზე, დაეხმარა მტკიცედ დამდგარიყო ფეხზე.

კოტე მარჯანიშვილიც და სანდრო ახმეტელიც — აკაკი ხორავას ქეშმარიტი მასწავლებლები იყვნენ სასცენო ხელოვნებაში. 27 წლისა იყო აკაკი ხორავა, როდესაც რუსთაველის თეატრში მოვიდა. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტია თეატრისათვის. გონებრივად უკვე ჩამოყალიბებულ ახალგაზრდას შეეძლო არა ინტუიციით, არა ბრმად, არამედ, სავსებით გააზრებულად აეთვისებინა თავისი მასწავლებლებისაგან ყველაფერი, რასაც ისინი უხვად იძლეოდნენ საკუთარი გამოცდილებით. თუ კოტე მარჯანიშვილისაგან აკ. ხორავა სწავლობდა ადამიანის ფსიქოლოგიის ურთულესი ხვეულებისა და ნიუანსების ღრმა დაკვირვებით ფაქიზად გადმოცემას, თუ ამ დიდი რეჟისორისაგან მან შეითვისა მაღალი საშემსრულებლო კულტურა და მტკიცედ ჩამოყალიბდა როგორც რეალისტური და გმირულ-რომანტიკული ხასიათის მსახიობი, სანდრო ახმეტელისაგან მან მეგვიდრეობით მიიღო ნაწარმოების შინაგანი რიტმის შეგრძნებისა და აღქმის, მისი პლასტიკური გამოსახვის, გმირთა მახვილი, და არაჩვეულებრივად ღრმად ეროვნულ ნიუანსებში წვდომის ბრწყინვალე ცოდნა. აკაკი ხორავას ორგანულად შეეზავებინა საკუთარ შემოქმედებითს მიდრეკილებებთან ამ ორი დიდი ოსტატის, რაღაცით ერთმანეთის მსგავსი, სინამდვილეში კი სცენის საგრძნობლად განსხვავებული მოღვაწეების მხატვრული თავისებურებანი.

აკ. ხორავას ფართოდ ესმოდა მსახიობის პროფესიის ცნება. მისთვის მსახიობი, პირველ ყოვლისა, ტრიბუნი, ცხოვრების აქტიური მშენებელია. აქედან იღებდა სათავეს ხორავას დაეინებული ძიება გმირული, ვაჟკაცური საწყისისა თეატრში, მისი მისწრაფება მონუმენტური თემებისა და ფორმებისადმი სასცენო ხელოვნებაში.

დღეს, როდესაც ჩვენ მოწმენი გავხდით იმ ახალი ძიებისა, აქამდე არნახული და სრულიად მოულოდნელი ცვლილებებისა ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, დღეს, როდესაც ყოველ წუთს წინ ხდება ღირებულებათა გადაფასება, როცა იცვლება არა მარტო ჩვენი ცხოვრება, არამედ ის, რაც ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია — ადამიანთა აზროვნება, შეგნება, ფსიქიკა, ცხოვრებისადმი მათი დამოკიდებულება, — სწორედ დღეს ბევრი რამ, რითაც ცხოვრობდა, სუნთქავდა, რაზედაც ფიქრობდა აკაკი ხორავა, რისთვისაც არ ზოგავდა თავის ძალ-ღონეს და სიცოცხლეს — ყველაფერი ეს გაგებული და მისაღები შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულ პლანში

და არ ექვემდებარება კონონქტურას. ხორავას მიერ გამოთქმული აზრები, ყველაფერი, რასაც მან მიაგნო იმ წლებში და რაც განასახიერა თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში, უეჭველად გულწრფელი იყო — მას სჯეროდა იმისა, რასაც ემსახურებოდა, ამ რწმენით მუშაობდა იგი თავის მშობლიურ თეატრში და მთელი თავისი ცხოვრება ამ თეატრს შეაღია. ჩვენ არა გვაქვს უფლება მისი აზრების კორექტირებისა. ჩვენ წინ ისტორიაა — ულმობელი და სასტიკი და მისგან ვერსად ვერ დაიმალეხის..

1926 წელს კ. მარჯანიშვილი წავიდა რუსთაველის თეატრიდან. ამ დროისათვის უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ამ თეატრის როგორც გმირულ-რომანტიკული, ღრმად რეალისტური და უაღრესად თანამედროვე მხატვრული სახე. შემდგომ წლებში მარჯანიშვილის ტრადიციები სანდრო ახმეტელმა განაგრძო და განავითარა. მთავარი, რაც გაკეთდა ამ ორი რეჟისორის მიერ, ეს იყო — ქეშმარიტად ეროვნული თეატრის შექმნა, თეატრისა, რომელშიც ქმნიდა თავის ხელოვნებას დიდი ქართველი მსახიობი აკაკი ხორავა.

ამ წლებში აკაკი ხორავა თავის შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში შედიოდა. მსახიობის ეს პერიოდი დაემთხვა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ახალ ეპოქას. თეატრმა მთელი თავისი ყურადღება გადაიტანა ახალი რეპერტუარის შექმნაზე, რეპერტუარისა, რომელიც, უპირველესად, გმირულ, ღრმად ეროვნულ მხატვრულ ასახვას გულისხმობდა.

ეს გარემოება განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთი მსახიობის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში, როგორც აკაკი ხორავა იყო. რუსთაველის თეატრს, კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობის პერიოდში, ჯერ კიდევ არ გააჩნდა ისეთი მონუმენტური, ეპიკური ტილოები თანამედროვე დრამატურგიისა, როგორც შეესატყვისებოდა აკაკი ხორავას აქტიორულ შესაძლებლობებს. ამგვარი ტილოები ოციანი წლების დასასრულს შეიქმნა მხოლოდ და მათ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსთაველის თეატრის შემოქმედებაში (იგულისხმება ისეთი სექტაკლები, როგორცაა ბ. ლავრენიოვის „რღვევა“ და ს. შანშიაშვილის „ანზორი“). ამ პიესებმა, ჩომელთა დადგმა სანდრო ახმეტელს ეკუთვნოდა, იმ დროს დიდი წარმატება მოუტანა რუსთაველის თეატრს და ბერსენევის როლის შემსრულებელს — აკაკი ხორავას.

„რღვევა“ რუსთაველის თეატრში 1928 წელს დაიდგა. ბ. ლავრენიოვის პიესაში დაყენებულია მნიშვნელოვანი ისტორიული პრობლემა, რომელიც გადაწყვეტილია არა აბსტრაქტულად, არამედ ადამიანების კონკრეტული ცხოვრების ჩვენებით, ადამიანებისა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი პიესაში აღწერილ მოვლენებთან, ხალხის ბედ-იღბალთან. დღეს სავსებით

ნათელი გახდა ამ ბედ-იღბლის დასასრული, ოქტომბრის რევოლუციის ტრაგიკული შედეგი. დღეს ამის შესახებ გამოვლინებულ საზოგადოებაში ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ იმ წლებში, როდესაც პიესა გამოჩნდა და სპექტაკლი დაიბადა, იმდროინდელმა თეატრმა ეს ფაქტი აღიქვა, როგორც რეალური ისტორიის პოზიტიური ანარეკლი, როგორც ხალხისა და ქვეყნის ბედის საწყისი. სხვანაირად ამ ფაქტის გაშუქება თეატრის სცენაზე იმ წლებში შეუძლებელი იყო.

სანდრო ახმეტელისთვის „რღვევაში“ მთავარი იყო არა რევოლუციისადმი ინტელიგენციის დამოკიდებულების პრობლემა, არამედ თვით არსი და მნიშვნელობა საკუთრივ რევოლუციური გადატრიალებისა, რომელიც ნაჩვენებები იყო როგორც რღვევა ფართო პლანით, როგორც განზოგადებული, ეპიკური მონუმენტურობის ძალით აღჭურვილი ცნება. და მოუხედავად იმისა, რომ მოქმედება ხან ბერსენეევის ბინის ინტერიერში მიმდინარეობს, ხან კი გემის ბაქანზე, ამით პიესა სრულიადაც არ კარგავდა მთლიანობას და გმირული ჟღერადობის ერთიანობას. ამიტომ, როცა „რღვევასთან“ დაკავშირებით ს. ახმეტელის დამსახურებაზეა ლაპარაკი, პირველ რიგში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი აქტიური მისწრაფება ჰუმანიტარულ გმირული თეატრის ტრადიციების განვითარებისაკენ. ს. ახმეტელმა შეძლო ამ ტრადიციების განვითარება. მას შესწევდა ძალა და უნარი შემოქმედებითად გაეაზრებინა ტრადიციები და იგი თანადროულობის ამსახველ მასალაზე განეხორციელებინა.

რეჟისორის ჩანაფიქრით სპექტაკლის მთავარი მოქმედი გმირი მეზღვაურთა მასა იყო. მას ეკავა უპირველესი ადგილი დამდგმელის იდეურ-მხატვრულ გააზრებაში, და მართლაც, სწორედ მასობრივმა სცენებმა გამოხატეს ყველაზე სრულად სპექტაკლის თავისებური რიტმი, მისი პულსი.

ბერსენევის როლს აკაკი ხორავა ასრულებდა. ღრმად ჩაფიქრებული, მკაცრი, მაგრამ თავდაპირველი, მღუპარულ დაბაიჯებდა იგი სცენაზე. მისი ქესტი აუჩქარებელი და მოზომილი იყო, ხმაში მღელვარება იგრძნობოდა, არსად მიეჩქარებოდა, არავის ემალებოდა, არ თვალთმაქცობდა და არც არავის ეშინოდა. თავშეკავებული და საკუთარ ფიქრებში ჩაძირული, იგი საოცარ ადამიანურ მომხიბვლელობას ასხივებდა და მოჩვენებითი კარჩაკეტილობის მიღმა დიდი ბუნების ადამიანი შეიცნობოდა. სახეზე და თვალებში უმძაფრესი სულიერი ბრძოლა ეხატებოდა. ამიტომ იყო, რომ, როცა ფინალში ბერსენევი — ხორავა საბოლოოდ გადაწყვეტდა დამდგარიყო მეზღვაურთა მასების მხარდამხარ, იგრძნობოდა, რომ ეს აზრი მასში შინაგანად მომწიფდა და ამის გამო იგი ფოლადივით მტკიცე იყო. რღვევა ფსიქოლოგიაში ხდებოდა არა უეცრად, არამედ ეს იყო მთელი მისი ცხოვრების კანონზომიერი შედეგი და იგი მომ-

დინარობდა თვით ხასიათის მთლიანობიდან. მის გმირს თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო და სწორედ სამშობლოს ბედი იყო მისთვის ყველაზე მთავარი.

ბერსენევის შემდეგ ხორავამ სულ მალე ითამაშა ანზორის ს. შანშიაშვილის ამავე სახელწოდების პიესაში. რა დიდი განსხვავებაა ამ ორ დრამატურგიულ სახეს შორის — თავდაჭერილ ზღვის ოფიცერს ბერსენევსა და მგზნებარე, ცეცხლოვან მთის შვილს — ანზორს შორის. მაგრამ ამ აშკარა სხვადასხვაობის მიუხედავად, მათში იყო ისეთი რამ, რაც ყურთიანებდა ამ ორ სახეს. ბერსენევიცა და ანზორ ჩერბიეცი სწორედ იმ „რღვევას“ განიცდიან, რაც ადამიანის ცხოვრებაში გარდაქმნას ნიშნავს და რასაც იგი ახალ გზაზე გამოჰყავს. მთის შვილმა ანზორმა, ისევე, როგორც რუსული ფლოტის ოფიცერმა ბერსენევმა, ერთბაშად როდი მიიღო რევოლუცია. მასში თანდათან, ნელ-ნელა მოხდა რღვევა. ორივეს ჯერ არ ესმოდა რევოლუციისა, ორივემ არ იცოდა მისი პრინციპები, ვერ ხვდებოდა მის მიზნებს, მაგრამ, თუ ხორავა-ბერსენევის რევოლუციასთან თანდათანობით მისვლაში უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო ინტელექტუალური საწყისის ხაზგასმა, ჩვენება იმისა, თუ როგორ ამოძრავებს მას სიყვარული თავისი სამშობლოსადმი, მშობლიური მიწისადმი, როგორ და რას ფიქრობს მისი გმირი საერთოდ კაცობრიობის მომავალზე, სამაგიეროდ, ანზორი თავდაპირველად ინტუიციით ჩასწვდა ახალი დინების არსს. მის სულში თანდათანობით ხან აღფრთოვანებამ დაისადგურა და ხან სასოწარკვეთილებამ. ანზორს გაუნადგურეს ოჯახი, მშობლიური ქერა; მარტოღმარტო დარჩა შავბნელი ფიქრების ამარა, მაგრამ საოცრად შეიცვალა. ანზორი, როცა რუსმა ივანოვმა (ამ როლს გ. დავითაშვილი ასრულებდა) იარალი მისცა მას. გადაწყვეტილება უცებ გაჩნდა თავისთავად.

ხორავას ანზორს ბევრი არაფერი აქვს საერთო თავის პროტოტიპთან — ვს. ივანოვის ვერშინთან სამხატვრო თეატრის სპექტაკლში „ჯავშნოსანი 14—69“. ანზორი არ ჰგავს ვერშინს — არც ჩვევებით, არც ხასიათით, არც ტემპერამენტით, არც სულიერი წყობით, თუმც, იდეურ-თემატური თვალსაზრისით, ანზორი და ვერშინი ერთნაირი მხატვრული სახეები.

სამხატვრო თეატრის მსახიობი ვ. კაჩალოვიც (ვერშინის როლის შემსრულებელი) და ა. ხორავაც თავიანთ თამაშში ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მათი გმირი „მიწის შვილია“. მაგრამ, თუ კაჩალოვის ვერშინის „მიწიერება“ რუსულ ხალხურ სიბრძნეში იღებდა სათავეს და თავის გმირში მსახიობი ბრწყინვალედ გამოხატავდა ციმბირული კოლორიტის მკაცრ სიდიადეს, ხორავა-ანზორის „შუუკაეებელი“ ენერგია და ცეცხლოვანი ტემპერამენტი ხან ხარბიერეს მოგვაგონებდა და ხან მთის არწივს. მსახიობი ღრმად ჩასწვდა გმი-

რის პლასტიკურ სამყაროს და უდიდესი ემოციური შთამბეჭდაობით დაგვიხატა მთის ლალი შვილის ბრწყინვალე სცენური სახე.

ანზორის როლმა ს. ახმეტელის შესანიშნავ სპექტაკლში საბოლოოდ ჩამოაყალიბა შეხედულება აკაკი ხორავაზე, როგორც გმირული პლანის მსახიობზე, ვისთვისაც დიდი ადამიანური განცდის გამოხატვისა და უღრმესი ფსიქოლოგიური ანალიზის უნარი მიუძღვებოდა ბუნებას.

ოცდაათიანმა წლებმა ქართული თეატრის მოღვაწეთა წინაშე ახალი მოთხოვნილებები წამოჭრა.

სწორედ ამ პერიოდში ითამაშა ხორავამ ახმეტელის დადგმებში — არგიზდი (შ. დადიანის „თეთნულდი“, 1931 წ.), ჩუში, თავის თავში ჩაქეტილი, მაგრამ ამაყი ალი (ლ. სლავინის „ინტერვენცია“, 1931 წ.), ოპორტუნისტი აფრასიონი (ა. მამაშვილის „განგაში“, 1931 წ.), სწორედ ამ წლებში შექმნა აკ. ხორავამ რომანტიულად ზეაწეული, მგზნებარე სახე კარლ მოორისა (ფ. შილერის „ყაჩაღები“, 1933 წ.).

ჩანაფიქრი სპექტაკლისა (ჩინებულად გამოხატული სახელწოდებაშივე — „ინ ტირანოს!“) საცხებით მკაფიოდ განსაზღვრავდა მთავარი გმირის ადგილს პიესის მოვლენათა განვითარებაში. კარლისა და ფრანც მოორის (ამ როლს აკაკი ვასაძე ასრულებდა) მკვეთრად ხაზგასმული დაპირისპირება კი საშუალებას აძლევდა ორივე მსახიობს მაქსიმალური პოტენციით, ამომწურავად ეჩვენებინათ გმირის უკიდურესი გატაცება გარკვეული იდეური მისწრაფებით. „თუ ფრანც მოორი, — წერს რუსთაველის თეატრზე დაწერილ წიგნში ა. ფევერალსკი, — ფანატიკურად შეპყრობილია ძალაუფლების დაუოკებელი წყურვილით, სამაგიეროდ, კარლი ასევე ძლიერ არის გატაცებული თავისუფლებისაკენ სწრაფვით, ტირანიასთან ბრძოლის სურვილით, მისთვის საძულველი ფეოდალური წყობილების დამხობის ყინით“¹. ამიტომ, რაც უფრო ხაზგასმით გვიჩვენებდა ვასაძე თავისი გმირის დემონურ, ბოროტ საწყისს, მით უფრო კეთილშობილური, ამბულბული და შთაგონებული ისახებოდა ჩვენს წინაშე ხორავას კარლი. ხორავას კარლ მოორში შეიცნობოდა რომანტიკული აღმაფრენაც და ვაჟკაციური შემართებაც, სწრაფვა დასახული მიზნისაკენ და სულიერად ნათელი, წმინდა ადამიანის სისპეტაკეც. ხორავასათვის კარლ მოორის არსი დასახული მიზნისაკენ სწრაფვაში იყო გამოხატული. მაგრამ მსახიობმა პოეტური ელფერი მიანიჭა თავისი გმირის სწრაფვას. ხორავა ხორცს ასხამდა შილერისეულ ტენდენციას, რომელიც გამოხატავდა საყოველთაოდ

¹ ა. ფევერალსკი. „რუსთაველის სახელობის თეატრი“ (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1959 წ. გვ. 164.

ცნობილი მიმართულების — „ქარიშხლისა და შეტევის“ („შტურმ უნდ ღრანგ“). იდევებს, მაგრამ აქაც, ისევე როგორც მის სხვა ნამუშევრებში, მსახიობი ცდილობდა, უპირველესად, გმირის შინაგანი სამყაროდან ამოსულიყო. მსახიობმა შეიცნო კარლის ნაზი, მგრძნობიარე ბუნება, მისთვის ახლობელი ვახდა გმირის დიდი სულიერი ტრაგედია და შეძლო არიდებოდა მონოლოგების რიტორულობას, ხოლო შილერისეული აშკარა ტენდენციურობა ცოცხალი ადამიანური განცდით აღევსო.

რეალიზმის ტრადიციებთან თეატრის ორგანული კავშირის საუკეთესო დადასტურება იყო 1935 წელს დადგმული „პლატონ კრიჟიტი“ (რეჟისორი შ. აღსაბაძე), რომელშიაც მთავარი როლის შესრულება აკაკი ხორავას მიენდო.

ა. კორნეიჩუკის ამ პიესაზე მუშაობას უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა თეატრისათვის. პიესა, რომელიც რეალურ სინამდვილეს ასახავდა, წარმოადგენდა ტიპიურ ფსიქოლოგიურ დრამას — საკმაოდ უჩვეულო უანრს იმ წლების რუსთაველის თეატრისათვის. მიუხედავად ამისა, პიესაში მაინც იგრძნობოდა ის შინაგანი მღელვარება და რომანტიკული მიზანსწრაფვა, რაც თეატრს საშუალებას აძლევდა შეექმნა სიცოცხლის დამამკვიდრებელი იდევით, გმირული სულისკვეთებითა და ადამიანის მებრძოლი პათოსით გამსჭვალული სპექტაკლი.

მღელვარედ და სულიერი თრთოლვით თამაშობდა აკაკი ხორავა პლატონის როლს. მან თავისი გმირი მდიდარი სულიერი ნიუანსებითა და ადამიანური თვისებების მთელი მრავალფეროვნებით დაგვიხატა. თავისი ვაჟკაცობით და ნათელი მისწრაფებებით, ხასიათის მთლიანობითა და ბუნების უკომპრომისობით, საქმითა და პროფესიით გატაცებით, ღრმა ადამიანურობითა და კეთილშობილური სულიერი აღმაფრენით პლატონი სწორედ ისეთი გმირი აღმოჩნდა, რომელიც ხორავასათვის ახლობელი და ძვირფასი იყო. მსახიობიც სწორედ პლატონის ამ თვისებებს უსვამდა ხაზს. პლატონი — ხორავა დიდებული, ადამიანურად ლამაზი და კეთილშობილი ახალგაზრდა იყო. იგი გამოხატავდა იმდროინდელი ინტელიგენტის ტიპიურ თვისებებს.

აკაკი ხორავას გმირებს ყოველთვის განცდის სიმართლე ასულდგმულუბდათ. მსახიობის ამ თვისებამ ახალი ძალითა და მომხიბვლელობით გამოანათა არსენა ოძელაშვილის როლში (ს. შანშიაშვილის „არსენა“, რეჟისორი ა. ვასაძე, 1936). სახალხო გმირის როლი უაღრესად ახლობელი და ორგანული აღმოჩნდა ხორავასათვის. ამ სახეზე მუშაობისას მოხდა ის ბედნიერი „დამთხვევა“ აქტიორისა როლთან, რასაც, ჩვეულებრივ, დიდი შემოქმედებითი წარმატება მოჰყვება ხოლმე თან.

სპექტაკლში არსენა — ხორავა წარმოგვიდგებოდა გრძნობათა მეტისმეტად

როული; ზოგჯერ კი ერთმანეთის სავსებით საწინააღმდეგო განცდების მთელი კომპლექსით. პიესის მოქმედება ისე იყო აგებული, რომ არსენა ხშირად ვარდებოდა სრულიად მოულოდნელ სიტუაციაში, ურთიერთობა უხდებოდა სულ სხვადასხვა ხასიათისა და ბუნების ადამიანებთან.

სიტუაციების ეს ცვალებადობა, დრამატურგიული მასალის დაძაბულობა მსახიობისაგან მოითხოვდა განწყობილებათა ხშირ ცვალებადობას, სწრაფ რაიინტირებას სცენურ დროსა და სცენურ სივრცეში.

ხორავა არ შეუშინდა ამ სიძნელეებს, მას არ უტყდია როგორმე „შემესუბუქებინა“ თავისი ამოცანა, იგი გაჰყვა დრამატურგის კვალს, ცდილობდა თავისი თამაში შეერწყა პიესაში მოცემულ დაძაბულობასთან.

ხორავას არსენას ახასიათებდა გლუხური უბრალოება. სცენაზე დადიოდა ლამაზი, ტანადი ვაჟკაცი, უანგარო რაინდი სახალხო მოძრაობისა. მსახიობმა შექმნა შთაგონებელი, პოეტური სცენური სახე. ეს იყო მისი კიდევ ერთი შემოქმედებითი გამარჯვება.

აკაკი ხორავას ხელოვნება ღრმად ეროვნულია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მის შემოქმედებაში არასოდეს იგრძნობოდა ეროვნული კარჩაკეტილობა ანდა შეზღუდულობის უმცირესი ნიშანწყალიც კი. მსახიობს ძალიან ფართოდ ესმოდა ეროვნული მხატვრული სახის არსი. ეროვნულს იგი ეძებდა გმირის შინაგან მრავალფეროვნებაში, მის ფსიქიკურ წყობაში, ტემპერამენტსა და რიტმში. მხატვრული სახის ეროვნული სპეციფიკის ჩვენებისას იგი მიდიოდა დრამატურგიული მასალის ღრმა და ყოველმხრივი გააზრების გზით, აზროვნებდა ფართო, მასშტაბური ცნებებით და ცდილობდა თავისი სცენური ქმნილებების ელერადობა აეყვანა დიდ განზოგადებულ აზრამდე. აი, რატომ იყო, რომ ხორავას შესრულებით შკაფიო ეროვნული ფორმა ჰქონდათ არა მარტო მის ქართველ გმირებს, ქართველ დრამატურგთა პიესების პერსონაჟებს, არამედ მის გმირებსაც შექსპირისა და შილერის, სოფოკლესა და პუშკინის, კორნეიჩუკისა და ლავრენიოვის პიესებში.

ხორავა არასოდეს შეზღუდულა ვიწრო, „კუთხური“ ჩარჩოებით. იგი დიდი გაქანების მსახიობი იყო. ცხოვრობდა და სცენაზეც მოქმედებდა ხელგაშლილად, გულუხვად, საქმეს გულს უფებდა, იცოდა საკუთარი გმირის სულში ჩაძვრომა, იყო გულდია, გულკეთილი და გამუდმებით ეძებდა სულ ახალსა და ახალ მხატვრულ საშუალებებს შრობლიური კულტურის გასამდიდრებლად. ამ აზრის ბრწყინვალე დადასტურებაა მისი ოტელო, რომელიც მსახიობმა არსენას შემდეგ შეასრულა, 1937 წ.

1947 წელი. რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ ეწვია მოსკოვს. სხვა

სპექტაკლებთან ერთად თეატრს რეპერტუარში ჰქონდა შექსპირის „ოტელო“.

ამ დროისათვის ხორავას უკვე იცნობდნენ მოსკოველები. ბევრს ახსოვდა მისი დიდი წარმატება რუსთაველის სახელობის თეატრის მოსკოვში ოცდაათიან წლებში ჩატარებული გასტროლების დროს. მრავალს ჰქონდა გაგონილი მსახიობის იმ ახალი გამარჯვების ამბავი, რომელიც მან შექსპირის ტრაგედიაში მოიპოვა. ამიტომ არავის გაჰკვირვებია ის საზეიმო მღელვარება, რაც იმ დღეებში სუფევდა მოსკოვის თეატრალურ წრეებში.

მაყურებელთა მოლოდინი საცხებიტ გამართლდა. ა. ხორავას წარმატება თავბრუდამხვევი იყო. სპექტაკლის დასასრულს მაყურებელმა მქუხარე ოვაციით დააჩილდოვა მსახიობი. ბოლო აღარ უჩანდა მილოცვებსა და მისალმებებს. წარმოდგენის შემდეგ ხალხი ძალიან დიდხანს იდგა ქუჩაში და მოთმინებით ელოდებოდა თეატრიდან მსახიობის გამოსვლას, იმ მსახიობისას, ვინც საბოლოოდ მოაჯადოვა დედაქალაქის მაყურებელთა გული. შეკრებილთა ამ მოკრძალებულ, ღრმა პატივისცემის გამომხატველ მოლოდინში რაღაც ზეაწეული, სადღესასწაულო სილამაჯე იგრძნობოდა. იდგნენ, ელოდებოდნენ და არც ფიქრობდნენ წასვლას. და როცა, ბოლოს და ბოლოს, თეატრის ღია კარში ხორავას მძლავრი და მოულოდნელობისაგან შემკრთალი ფიგურა დალანდეს, მთელი ქუჩა მქუხარე ტაშმა შეაზანზარა.

ხალხმა სასტუმრომდე მიაცილა მსახიობი. ეს იყო არნახული საზეიმო სვლა. ამ სტრიქონების ავტორმა, იმ წლებში მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა, ხალხის გროვა გაარღვია და ხორავას გვერდით აღმოჩნდა. „გულის ფანცქალით, თრთოლვით, აღტაცებით ვისმენდი მის ჩუმ, დინჯ, აუჩქარებელ ლაპარაკს. ჩემზე ბედნიერი იმ დღეს არავინ იყო! ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ გავიდოდა წლები და ჩემთვის მიუწვდომელი, საყვარელი მსახიობი უახლოეს ადამიანად გადაიქცეოდა, რომ ჩვენ ერთად ვიმუშავებდით და მისგან მე იმდენ სითბოს, ყურადღებას და მხარდაჭერას მივიღებდი, როგორც არავისგან ამქვეყნად“...

აკაკი ხორავას ცხოვრებაში მრავალი შემთხვევა იყო, როცა მადლიერი მაყურებელი ჟანგარო სიყვარულითა და პატივისცემით აჯილდოებდა მსახიობს. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ვერ იქნა და ვერ შეეჩვია ყოველივე ამას. მის ირგვლივ ატეხილი ხმაური ყოველთვის დამთრგუნველად მოქმედებდა მასზე. საკუთარი წარმატების შეგნებით მოგვირღილ სიხარულს უეჭველად ენაცვლებოდა სადღესასწაულო ატმოსფეროთი გამოწვეული უხერხულობის განცდა.

ზემოთ აღწერილ საღამოს ხორავა განსაკუთრებით ღელავდა. იგი სტუ-

მარი იყო იმ წუთს, იმყოფებოდა იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც არ ესმოდათ მისი მშობლიური ენა, მაგრამ, რომლებიც დაბეჭითებით არწმუნებდნენ, რომ მისი ხელოვნება ახლობელი და გასაგებია მათთვის.

ღიან, ეს იყო ხალხის აღიარება, აღიარება სხვა ეროვნების ადამიანებისა, რომელთათვისაც თურმე გასაგები იყო მსახიობის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, მოძრაობა, ქესტი, ინტონაცია, განცდა.

ეს იყო განსახიერება იმ დიდი ხელოვნებისა, რომლის დაუფლება საშუალებას გვაძლევს მსახიობის შემოქმედებას ჭეშმარიტად ხალხური, ზოგადსაკაცობრიო ხელოვნება ვუწოდოთ. ოტელოს როლი უკეთესთა შორის უკეთესია აკაკი ხორავას შემოქმედებაში. ამ როლით (პირველად ოტელო 1937 წელს ითამაშა, სპექტაკლის რეჟისორი იყო შ. აღსაბაძე) მსახიობმა მსოფლიო სახელი მოიპოვა.

ოტელოს სახის შექმნის დროს ხორავა არ უარყოფდა მსოფლიო თეატრალური ხელოვნების ტრადიციებს, მეტიც, მან შეძლო ამ ტრადიციების გამდიდრება. ა. პუშკინის ცნობილი მოსაზრება, რომლის მიხედვით უარყოფილია შეხედულება „ოტელოზე“, როგორც ექვიანობის ტრაგედიაზე, მსახიობისათვის სავსებით მისაღები იყო. ხორავა ხაზს უსვამდა ოტელოს მიმდებლობაზე, მის თითქოს ბავშვურ მიამიტობაზე. მაგრამ, ამავე დროს, ხორავას არსად და არასოდეს თავისი გმირი არ გადაუქცევია ცვილივით რბილ, უნებისყოფო ადამიანად. პირიქით! მისი ოტელო, უპირველეს ყოვლისა, ქართული ჯიშის გმირია. ის თავიდან ბოლომდე ინარჩუნებდა ქართველი ადამიანისათვის დამახასიათებელ ღირსებას და რაინდობას. აქ ეძებდა გზებს ოტელოს ამაღლებისათვის. მისი ოტელო იყო დიდებული ვაჟკაცი, მხედართმთავარი — ტანადი, ელეგანტური, დახვეწილი, იმპოზანტური ვნებები ბოხოქრობდნენ მასში.

ღიან, ეს მავრი ღირსი იყო დეზდემონას სიყვარულისა, ღირსი არა მარტო იმიტომ, რომ მას თავდავიწყებით უყვარდა თავისი სატრფო და სულის სიღრმემდე ერთგული იყო მისი, არამედ პირადი მომხიბველობითაც. ოტელოს მიზიდველობა მომდინარეობდა მისი შინაგანი, ბუნებრივი სილამაზიდან, უფრო სწორად — მისი შინაგანი ჰარმონიულობიდან.

რამდენი სიღინჯე და ბრძნული სიმშვიდე იყო ხორავას ოტელოში, როდესაც ის სენატის წინაშე უბრალოდ და ძალდაუტანებლად იწყებდა თავის თხრობას! სიღარბისლე და სიდიადე მისი პირველივე ნაბიჯებიდან იგრძნობოდა. ოტელო-ხორავა სენატში მსუბუქად, თავდაჭერებულად შემოდიოდა. ლაღად აირბენდა კიბის საფეხურებს და სენატის წინაშე წარსდგებოდა, როგორც ბრძოლისათვის გახელებული მეომარი. ღიან, მისთვის სენატი — ბრძო-

ლის ველია. აქ, სენატში, ოტელო იცავდა თავის ყველაზე დიდ მონაპოვარს, ცხოვრების ყველაზე დიდ გამარჯვებას — თავის სიყვარულს, თავის სულიერ სიმშვიდეს, სულიერ ჰარმონიას. და აქ, სენატში, აღსარების დროს იგი ყველაზე ნაკლებად ცდილობდა ვინმე. რამეში დაერწმუნებინა. მისი მონაპოვარი ასეთ „ხერხებს“ არ საჭიროებდა, რადგანაც მავრი დარწმუნებული იყო თავისი პოზიციის სისწორეში და შეუვალლობაში. ბრძოლის დროს კი ბევრ რამეს ნიშნავს სიმშვიდე, რწმენა, დაჯერებულობა... აი, როგორ ვითარდებოდა სცენა: ერთი წამით შეერთა ხორავა-ოტელო, თითქოს უეცრად ვერ მიხვდა, საიდან დაეწყო თხრობა. წუთიერი პაუზა და იწყება მისი პირველი მონოლოგი. ხორავა-მავრის სიტყვაში, მის მკერდიდან აღმომხდარ, აულელებელ ხმაში საოცარი სიმშვიდე და წარსულზე დაფიქრება იგრძნობოდა, თითქოს საკუთარ თავთან საუბრობსო. იქნებ სწორედ აქ, სენატში იგრძნო მან საჭიროება იმისა, რომ გაეკეთებინა ლოგიკური დასკვნა იმ ბრძოლისა, რომელმაც მას გამარჯვება არჯუნა წილად. აქ, ამ ეპიზოდში, ოტელო თითქოს მარტო რჩებოდა საკუთარ ფიქრებთან, თითქოს ველარ ხედავდა გარშემო მყოფ სენატორებს, ბრახანციოს, დოუს, დინჯად საუბრობდა და აფასებდა ყველაფერს, რაც თავს გადახდა, ზომავდა თავისი ბედნიერების სიდიადეს. სენატში ხორავასთვის ოტელოს მონოლოგი სრულიად არ იყო შეჯამება განვლილი გზისა, უფრო სწორად, იყო დასაწყისი ახალი ეტაპისა მის ცხოვრებაში. აქედან მომდინარეობდა მისი სიღინჯე და უშეთოთველობა, რწმენა საკუთარი მომავლისა და შინაგანი სიძლიერის შეგრძნება.

როგორც ვთქვით, სცენაზე პირველივე გამოსვლით გვაუწყებდა ხორავა თავისი გმირის დიდებულ სიღარბისლეს და სულის იდეალურ ჰარმონიას. ასეთი იყო იგი იმ მომენტამდე, ვიდრე მზაკვარი იაგო ოტელოს გარშემო თავის ბადის ქსოვას შეუღლებოდეს. მაგრამ არც შემდეგ დანებდა ბედს მავრი. დიდხანს, და ჯიუტად უძალიანდებოდა იგი მოზღვავებულ უბედურებას. მესამე აქტში კულმინაციურ წერტილს აღწევს ბრძოლა. ვინ ვის! აი, როგორ დგას საკითხი სპექტაკლში. მიმდინარეობს ბრძოლა — შეურთიგებელი და დაუნდობელი. დაჯინებით, რაინდული კეთილშობილებით ცდილობს ხორავა-ოტელო სულიერი წონასწორობის შენარჩუნებას. მას არ სურს ირწმუნოს იაგოს სიტყვა. არ სჯერა მისი, არ შეუძლია, ძალა არ ჰყოფნის, რომ დაუჯეროს. აი, ნელი ნაბიჯით დადის ოტელო სცენაზე, დააბიჯებს შავბნელ ფიქრებში ჩაძირული და თან, მისდაუნებურად, მიაგორებს ფეხქვეშ წამოდებულ კნქს. ფიქრობს დაძაბულად, დაჯინებით. ფიქრობს და... უეცრად ოდნავ შეუძინველად ჩაეცინა. მოულოდნელადვე შეწყვიტა სიცილი. ისევ ჩაფიქრდა წამიერად.

გაურკვეველი ჟესტი ხელის მტეენით. ყოყმანობს, უეცრად ხელი დაავლო იაგოს, მოეხვია, ისევ ჩამოიშორა. კვლავ ჩაეცინა. უცებ სმენას მისწვდა დეზდემონას სიმღერა. შეუძლებელია! დაუჭერებელია! იცინის, ხარხარებს, რა სისულელეა! — თითქოს ამას ამბობსო მისი სიცილი. ხელს გაიქნევს; მოშორება უნდაო თითქოს აბეზარი, სულელური ფიქრებისა, არ სჯერა დეზდემონას ბიწიერება — ეს ხომ შეუძლებელია!!

და ასე, მიმდინარეობს შეუწველებელი ბრძოლა ნდობისა, რწმენისა და იდეალის შესაძლო კრახთან. და კრახი გარდაუვალია. ის მოდის შეუბრალებლად, უმოწყალოდ. მაგრამ ოტელოს ასე ადვილად არ შეუძლია ხელი ააღებინოს იმაზე, რაც მოიპოვა, მას უჭირს განშორება სულიერ პარმონიასთან. აი, რატომ არის, რომ აკაკი ხორავა ასეთ სიძლიერეს ანიჭებს თავისი გმირის შემარწუნებას. ოტელოს თავზარი დასცა დეზდემონას ღალატმა. მაგრამ ეს მართო საყვარელი მეუღლის ღალატი როდია მისთვის. ოტელომ ნდობა დაკარგა საერთოდ აღამიანისადმი და ამ მომენტს მსახიობი უდიდეს განმარტავადებელ ძალას ანიჭებს. დეზდემონასადმი პროტესტი ხორავას შესრულებაში ამაღლდა იდეალის მსხვერვეს თვით ფაქტისადმი პროტესტამდე და ამავთა სწორედ უმნიშვნელოვანესი აზრი მსახიობის სცენური განსახიერებისა. ოტელო-ხორავას აბოროტებაში, მის სიმშაგეში ნატამალიც კი არ არის ეგრეთწოდებული „აფრიკულობისა“. შავკანიანობის პრობლემა არავითარ როლს არ თამაშობს ოტელოს სცენური სახის ხორავასეულ ინტერპრეტაციაში.

„შავი ვარ მე!“ — ეს შეძახილი, რომელიც უბედურების ჭეშმარიტი მიზეზის აღმოჩენისათვის ისმოდა ოტელოს მრავალი შემსრულებლის ბავთეაგან, ხორავასთან უღერდა, როგორც კონსტატაცია ადრე ცნობილი ფაქტისა, ფაქტისა, რომელიც არაფერს წყვეტს, არაფერს ნიშნავს. ამ მომენტისადმი მსახიობის ამგვარ მიდგომაში დიდი აზრი იყო გამოხატული. ხორავას გმირი არ მდაბლდებოდა ჩვეულებრივი ექვიანი ქმრის მდგომარეობამდე, არ ცდილობდა ეჩვენებინა ექვით გახელებული კაცის ვნებები. პირიქით, უკიდურესი მრისხანების ყამსაც იგი ისეთივე დიადი, ამაღლებული და მონუმენტურია, როგორც ყოველთვის. ასეთია იგი იმიტომ, რომ ობიექტი, ვის წინააღმდეგაც ოტელო ამხედრდა, ასევე დიადი და სრულყოფილია. ხორავას აზრით, ასეთი საქციელი უნდა ახასიათებდეს მხოლოდ იმ აღამიანს, ვისაც გულის სიღრმემდე შესძრავს უმოწყალო მსხვერვეა რწმენისა, გაქარწყლება სანუკვარი ოცნებებისა. რწმენის ამ მსხვერვეაშია ტიტანური ძალა ხორავას. ოტელოსი. ამავთა განზოგადებულ, თითქმის სიმბოლური. არსი. ოტელოს ტრაგედიისა.

შეწყდა დეზდემონას ლამაზი სიცოცხლე. ოტელო-ხორავამ თავისი ვალი

მოიხადა. მან შური იძია არა შეგინებული ღირსების, არა ღალატის გამო; მან ნათელი იდეალის შებღალავს მიაგო კუთვნილი და აი ახლა, სულიერად დაცარიელებული, განადგურებული შორდება დეზდემონას საწოლს. მკერდიდან მოიგლეჯს ოქროს სამკაულებს. ვიღაც სჭირდება ეს სულელური, იაფფასიანი მორთულობა. იმ წუთიდან მთელმა ქვეყანამ ამ სამკაულებივით დაკარგა მისთვის ფასი.

სულ მალე ნათელი გახდა, რომ დეზდემონა უბიწოა. ტირის ოტელო, ღვარად ჩამოსდის ცრემლი თვალთაგან, მაგრამ ეს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ. სიხარულის ცრემლებია, ზეცა გადაიხსნა და ბინდით მოსილ ქვეყნიერებას ნათელი დაადგა. აქაც ტრაგედიის განზოგადებულ აზრს ხედავს მაცურებელი და ისევე, როგორც დიდმა მსახიობმა მიხოელსმა მეფე ლირის განსახიერების დროს უკუვადო იდეალის ნგრევის, პიროვნების თანდათანობითი განადგურების თემა და წინ წამოსწია გონების გახსნისა და დაბინდული შეგნებიდან ნათელ აზროვნებაზე გადასვლის მოტივი, ასევე აქაი¹ ხორავას ოტელოსთვის საბოლოო ჯამში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო არა იდეალის კრახის, არამედ რწმენის აღდგენისა და იდეალის გამარჯვების ჩვენება.

ოტელოს უკანასკნელი მონოლოგი, გადაწული ი. ტუსკიას საფინალო მუსიკის ტრაგიკულ აკორდებთან, ბრწყინვალე გვირგვინია სპექტაკლისა. რომელიც ოტელოს სიდიადესა და სილამაზეს, მის სხივნათელ შონუშენტურ ძალას უმდერის.

იმ დაუეიწყარი სპექტაკლის შემდეგ გამოჩენილმა რუსმა თეატრმცოდნემ და თეატრალურმა კრიტიკოსმა პ. მარკოვმა ასე ლაკონურად გამოთქვა თავისი დამოკიდებულება ხორავას თამაშის მიმართ: „ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ხოლმე „სისტემაზე“; აი თქვენს წინაშე — „სისტემაა“, იხილეთ და ისწავლეთ მისგან“.

სპექტაკლ „ოტელოს“ შემდეგ დიდი რუსი მსახიობი ვასილ კაჩალოვი წერდა აქაი ხორავას: „მინდა გითხრათ, ძვირფასო აქაი ალექსის ძე, რომ კარგა ხანია თეატრიდან არ გამომყოლია ასეთი დიდი, სულის გამაახლებელი სიხარული, როგორც წუხელის თქვენმა ოტელომ მომანიჭა. შეიძლება ახალგაზრდა შალიაპინის დროიდან.“

მადლობა თქვენ ამ სიხარულისათვის. მაგრად გართმევთ თქვენს და თქვენი პარტნიორის ა. ა. ვასაძის ხელს — საუცხოო იაგოს. ორივეს გიხრით თავს, თქვენ კი თქვენი ოტელოსათვის თავს გიხრით მიწამდე“.²

1 იგულისხმება კ. სტანინლაესკის თეატრალური „სისტემა“.

2 ციტ. წიგნ.: „მოსკოვის სამხატვრო თეატრის წელიწადულო“. 1948. II, 1951, გვ. 639.

1941—1945 ომის წლებში, თეატრმა საომარ. ყაიდაზე გარდაქმნა თავისი მუშაობა. ყველაფრით იგრძნობოდა ეს — ფრონტული საშეფო ბრიგადების შექმნით, რომელშიაც თეატრის წამყვანი მსახიობები შედიოდნენ; სარეპერტუარო ხაზის შეცვლით; დაბოლოს, სამშობლოს დასაცავად აღმდგარ ხალხთან უფრო მჭიდრო და ღრმა კავშირითაც. საკმარისია ითქვას, რომ მტერთან გაცხარებული ბრძოლის დღეებში ფრონტზე წავიდა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობთა ორი საშეფო-საკონცერტო ბრიგადა, რომლებსაც აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე ედგნენ სათავეში.

ამ მიმე წლებში აკაკი ხორავა ბევრს და დაჟინებით ფიქრობდა თეატრის მუშაობის პერსპექტივებზე, ენერგიულად მოჰკიდა ხელი რეჟისორულ საქმიანობასაც (რამდენიმე წლის წინ მას უკვე დადგმული ჰქონდა ორი პიესა: ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“ და ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“). ამჯერად იგი დგამს პიესას ომის თემაზე.

„მოსკოვის ბჟესთან“— ასე ეწოდებოდა გ. მდივნის პიესას. ხორავამ შექმნა პატრიოტული, ემოციურად ძლიერი სპექტაკლი. „მგზნებარე ტემპერამენტი და ვაჟაკური სულისკვეთება დაუნერგავს სპექტაკლში დამდგმელს აკაკი ხორავას“¹, — წერდა თავის რეცენზიაში ბესო ჟღენტი.

ამ წლებში აკაკი ხორავა ღრმად იყო ჩაფლული თეატრის მუშაობაში, ამავე დროს, ხელმძღვანელობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტსაც, ზრდიდა თეატრის მომავალს, — არც კინოხელოვნებას ივიწყებდა. ომის წლებში ეკრანზე შეიქმნა მისი ერთ-ერთი საუკეთესო როლი, დიდი ქართველი მხედართმთავრის გიორგი სააკაძისა, ამავე სახელწოდების ფილმში (რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, სცენარი ანა ანტონოვსკაიასა და ბორის ჩორნისა).

გიორგი სააკაძის მხატვრულ სახეზე მუშაობა აკაკი ხორავამ ჯერ კიდევ ომის წინა წლებში რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დაიწყო. მან ეს როლი შეასრულა ს. შანშიაშვილის ამავე სახელწოდების პიესაში. მსახიობმა ღრმად განიცადა სააკაძის მხატვრული სახე. მას არც ერთი წუთით არ გადაუქცევია თავისი გმირი ერთგვარ „პარადულ“ მხედართუფროსად, რომელიც ზარ-ზეიმით მიიკვლევს გზას დიდებისაკენ. აკაკი ხორავასათვის გიორგი სააკაძე ტრაგიკული ფიგურა იყო. მისი გმირი ცხოვრობდა სცენაზე და კი-

¹ „კომუნისტი“, 23 ივნისი, 1942.

ნოში თავის რთულ, შფოთიან და წინააღმდეგობებით სავსე სულიერ სამყაროში. მისი მისწრაფებები, გრძნობათა ღელვა თანამედროვეთა წინაშე წარმოაჩენდა მის დრამატულ ცხოვრებას. ხორავა-გიორგი გარეგნულად დინჯად და დარბაისლურად გამოიყურებოდა, უნდოდა თავისი დროის ჩამორჩენილობის დაძლევა და იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ მისი ოცნება სწორედ დროს ეწინააღმდეგებოდა — ამ ოცნებას განხორციელება ჯერ არ ეწერა. ძლიერი, მტკიცე ნების მხედართმთავარი, თავისი ხალხისა და სამშობლოს ბედ-იღბალზე მტანჯველი ფიქრებით აფორიაქებული, შორსმჭვრეტელი, ბრძენი და ქედუღრეკელი რაინდი — ასეთია გიორგი სააკაძე აკაკი ხორავას შესრულებით.

ისევე, როგორც არსენას როლში, მსახიობი გიორგი სააკაძეშიც მოდიოდა ადამიანური თვისებების ინდივიდუალიზაციის გზით, ხაზს უსვამდა გმირის ადამიანურობას, პიროვნულ მიდრეკილებებს. მაგრამ ხორავას სააკაძეში ჩვეულებრივი ადამიანი ვერ ჩრდილაჲდა იმ დიდს, მთლიანსა და მასშტაბურს, რაც მხატვრული სახის ეპიკური საწყისისა და გმირული ჟღერადობის სათავეს წარმოადგენდა.

„ბედნიერია, ვისაც მამულისთვის უძგერს გული“, — სააკაძე-ხორავას ეს ამაყი, დიდებული სიტყვები გახდა სპექტაკლის და ფილმის ძირითადი ლიტმოტივი.

მოუღლეო, დაუცხრომელი იყო აკაკი ხორავა ჩვენი ხალხის ცხოვრების ქარიშხლიან პერიოდში. რეჟისორული მოღვაწეობა და კინოგადაღებები! და-თოს როლი სუმბათაშვილის „ღალატში“, სირანო დე ბერჟერაკი ე. როსტანის ამავე სახელწოდების პიესაში. და ბოლოს, გლუმოვი ა. ოსტროვსკის კომედიაში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“.

უცნაური ფაქტია თითქოს! აკაკი ხორავა და კომედია ისიც ასეთ დღეებში! მით უფრო, რომ არც ადრე ყოფილა მისთვის ორგანული კომედიური როლების განსახიერება. ამიტომ ნურავის გაუჟვირდება, რომ კომედიურმა როლებმა მნიშვნელოვანი ადგილი ვერ დაიკავა აკაკი ხორავას შემოქმედებითს ბიოგრაფიაში, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომედიური როლების განსახიერების დროსაც აკაკი ხორავა ყოველთვის ერთგული რჩებოდა საკუთარი შემოქმედებითი მრწამსისა. იგი კომედიაშიც ეძებდა გმირულ საწყისს, ცდილობდა თავისი კომედიური გმირებისათვის მიენიჭებინა დიდი სულიერი ძალა. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამგვარი ცდები ყოველთვის არ გვირგვინდებოდა წარმატებით. ხდებოდა, რომ მსახიობის კეთილი განზრახვა მხოლოდ განზრახვად რჩებოდა. ასე მოხდა გლუმოვის როლზე მუშაობის დროს. მსახიობი პიესის ავტორის საპირისპირო გზით წავიდა და მოისურვა გლუმოვი

დადებით გმირად ექცია, ამხედრებინა იგი მისი წარმომშობი საზოგადოებრივი ფენის წინააღმდეგ.

მსახობის ჩანაფიქრი იმთავითვე განწირული იყო მარცხისათვის, რადგან ამგვარ გააზრებას საერთო არაფერი ჰქონდა ოსტროვსკის კომედიის ჰატირულ-მამხილებელ პათოსთან.

კომედიური გმირის საკუთარი გააზრების გაცილებით მეტ შესატყვისობას მიაღწია მსახობმა სირანო დე ბერჟერაკის როლში, რომელიც გლუმოვზე ადრე ითამაშა. ე. როსტანის გმირულ კომედიაში მან იპოვა თავისი აქტიორული ინდივიდუალობისათვის ახლობელი თემა. ის სასაცილო მდგომარეობანი, რომლებშიაც სირანო მოხვდება, არ უწინააღმდეგებოდა ამ მხატვრული სახის გმირულ ვაჟკაცურ საწყისს, მის ადამიანურ კეთილშობილებასა და სულიერ სისპეტაკეს. მასში უხვად იყო იმპოზანტურობა და რომანტიკული გაქანება, ხასიათის სილაღე და რაინდული კეთილშობილება.

სამამულო ომის წლებში ქართული თეატრის მოღვაწეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ისტორიული წარსული.

1945 წელს რუსთაველის თეატრმა მუშაობა დაიწყო ვ. სოლოვიოვის „დიდ ხელმწიფეზე“ (რეჟისორი აკ. ვასაძე).

ისევე, როგორც ადრეულ წლებში, თეატრი ისტორიულ თემატიკაში ახლაც ხედავდა მის ცოცხალ, მძლავრ უღერადობას. ვ. სოლოვიოვის პიესა უთუოდ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ შექმნილიყო ნათელი, მკაფიო იდეური მიზანსწრაფვით შთაგონებული სპექტაკლი. მთავარი გმირის ივანე მრისხანეს როლი კი აკაკი ხორავას ახალ შემოქმედებით გამარჯვებულ მოგვევლინა.

ამ, საკმაოდ რთულ მხატვრულ სახეზე მუშაობისას მსახიობმა ერთგვარად შეაჯამა და განაზოგადა თავისი მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება, მხატვრის მახვილი თვალით შენიშნა თავის გმირში ის ძირითადი და მნიშვნელოვანი, რაც ივანე მრისხანეს სახეს ანიჭებს მასშტაბურობას და დღემდე უნარჩუნებს მას ისტორიულ მნიშვნელობას.

ღიან, ხორავას ივანე ზუსტად ისეთი იყო, როგორც, ამას წინათ დიდმა იტალიელმა მსახიობმა ვიტორიო გასმანმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში დაახასიათა ისტორიული ივანე მრისხანეს პიროვნება: „გამოუცნობი რუსული სულის მჭევრმეტყველი განსანიერება“...

ხორავამ კონტრასტებზე აავო როლი. რიტმისა და განწყობილების სწრაფი ცვლებადობა უაღრესად დინამიკურს ხდიდა ივანეს სცენურ სახეს. ამ დინამიკაში დიდი ხელმწიფის უღმობელ ნატურას, მის რალაც ჭაუცნობიერებულ აღზნებულობას მოგვაგონებდა. მხატვრული სახის შინაგანი ექსპრესია სათავეს იღებდა გონების დაძაბულ დინამიკაში და საზრდოობდა ბრძოლის გარ-

კვეული, შეგნებული სურვილით. ხორავას ივანე შეპყრობილი იყო ერთი იდებით, ერთი განუწყვეტელი ფიქრით — რუსეთის სახელმწიფოს ბედით. იგი ამ ფიქრით ცხოვრობდა სცენაზე, ეს ფიქრი სტანჯავდა და აწამებდა, ზოგჯერ კი იმედით აენთებოდა ხოლმე და აღტაცებას ჰკვრიდა ოცნების განხორციელების შესაძლებლობა.

მბრძანებელი და ზალხი, ხელმწიფე და სახელმწიფო, აი, პიესაში დასმული პრობლემა. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტას წარმოადგენდა ივანე-ხორავას სცენური ცხოვრებისა და მოქმედების არსი. მთელი მისი არსება მკაცრ და ამაყ სილიადეს ასხივებდა. ის დადიოდა ნელი, თავშეკავებული ნაბიჯით, სდუმდა, ფიქრობდა, და სწორედ ასეთ წუთებში იგრძნობოდა მისი სულის შინაგანი მღელვარება. ამ მღელვარების რალაც უცნაური დეტალიც კი შესამჩნევი იყო და მაყურებელსაც დიდ სულიერ მღელვარებას განაცდევინებდა.

უკიდურესად მრისხანე, ქედუდრეკელი და, ამავე დროს, თავშეკავებული მბრძანებელი იყო ხორავას ივანე. ღრმად ჩაფიქრებული, საყვარელი ქალის ხელსახოცს ნაზად შეახებდა ხოლმე ლოყას და ამ ჩუმ ალერსით თავისი ადამიანური მისწრაფებების უნაგარობასა და კეთილშობილებას გვაუწყებდა. გარეგნულად აბსოლუტურად დამშვიდებულს, მას შეეძლო უკიდურესი მღელვარება მხოლოდ კრიალოსნის მარცვლების მკვეთრი გადაადგილებით გამოეხატა და როცა გაუწყდებოდა მოთმინება და მასთან ერთად კრიალოსნის ძაფიც, სამეფო ტახტის კიბეებზე ჩამოცვნილი მარცვლები ისეთ ექოს გამოსცემდნენ, თითქოს გმირის გულისცემის გამოძახილიაო. დაბოლოს, აკაკი ხორავას ივანეს შეეძლო ჩვეულებრივი ადამიანური ცრემლებით დაეტერა ერთადერთი თავისი იმედი — უფროსი ვაჟიშვილი ივანე, რომელიც გულზვიადი და ამაყი ხელმწიფის მრისხანების მსხვერპლი გახდა...

ემოციური ზემოქმედების უკიდურეს საზღვარს აღწევდა შვილის ღაბი-რების სცენაში აკაკი ხორავა. ივანე დაიხარა მკვდარი შვილის წინ. სინანული, მწუხარება, მონანიება, უსაშველობა — ყველაფერი შეერთდა ამ გრანდიოზულ, შავ მანტაში შემოსილ კაცში. ივანე-ხორავა იტანჯებოდა, მისი გულვამკვირავი ხმა გუგუნებდა ეკლესიის თაღებ ქვეშ. სიტყვები დაძაბულად ჯღერდა — ივანე პირისპირ იდგა თავის ბედთან, თავის ტანჯვასთან და, ამასთან ერთად, თავის ოცნებებთან რუსეთის ბედზე. ეს იყო ჭეშმარიტი ტრაგიკული აღმაფრენის განუმეორებელი წუთები, რომლის მსგავსს იშვიათად შეხედები სამსახიობო ხელოვნებაში.

აკაკი ხორავამ ივანე მრისხანეს ტრაგედია ფართო მრავალპლანიან ასპექტში წარმოგვიდგინა. ეს იყო ტრაგედია ადამიანისა და ხელმწიფისა, რომ-

ლის რუსეთის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების გაბედულ გეგმას, დიდ დაბრკოლებანი გადაეღობა წინ. ხორავას მიერ განსახიერებულ ივანეში მთავარი იყო ის, რომ იგი ყოველთვის, თვით უდიდესი განსაცდელის დროსაც კი, პროგრესული აზროვნების ადამიანად ჩნებოდა. მსახიობმა შეძლო თვალთ განეკერძოთა შორეული წარსული. და, შესაძლოა, სწორედ ამ დაუფარავი ტენდენციურობის წყარო იყო ის ფაქტი, რომ მან არ მოისურვა თავის გმირს წინასწარი განზრახვით მოეკლა საკუთარი შვილი. ივანე ხორავა თითქოს შემთხვევით კლავს ვაჟს. უეცარი აფეთქების წამს ბრმად მოიქნია კვერთხი და თავი გაუპო ზურგსუკან მდგომ მეფისწულს. უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი გმირის ამ ცალმხრივი „რეაბილიტაციით“ ხორავა სრულიადაც არ აპირებდა ერთგვარ კომპრომისზე წასულიყო ისტორიული სინამდვილის წინაშე. ივანე ცდილობდა, რომ თავისებურად გაემართლებინა ისეთი შეუნდობელი ცოდვა, რომლის მსგავსი იშვიათად დაწვება ადამიანის სულს. ამით მსახიობი შეეცადა ახლებურად, ტრაგიკულად გაეაზრებინა მომხდარი ამბავი, ისე, რომ არ ეღალატა ისტორიული ფაქტისათვის. ამიტომ, როდესაც შვილის დატირების ეპიზოდში მიცვალბულ ვაჟ ქვეყნის ბედ-იღბალზე თავის ნაოცნებარს უმხელდა, ანდა, როდესაც ფინალურ სცენაში ბოიარებს მკაცრი მოთხოვნით მიმართავდა, გასაგები იყო, რომ ყველაზე მძიმე წუთებშიც კი, სულიერი ტანჯვისა და შავი ფიქრების შემოწოლის უამს, ივანეში მუდამ საქვეყნო იმარჯვებდა პირადულზე, ჩვეულებრივ ადამიანზე ყოველთვის მაღლა დგებოდა ხელმწიფე, სამშობლოს ბედ-იღბალზე ჩაფიქრებული მმართველი ქვეყნისა. ეს იყო ძირითადი. ამაში იგრძნობოდა სპექტაკლის პათოსი, მისი ემოციური უღერადობა. მაგრამ როგორი საინტერესოც არ უნდა ყოფილიყო სპექტაკლი „დიდი ხელმწიფე“, ხალხი თეატრისაგან ელოდა ახალ ტილოებს თანამედროვე გმირზე — დიდ სამამულო ომში გამარჯვებულ ადამიანზე.

1946 წელს რუსთაველის სახელობის თეატრმა დადგა ბ. ჩირსკოვის პიესა „გამარჯვებულნი“ (რეჟისორი ს. ჭილაძე). სამამულო ომის გმირი-მებრძოლები კვლავ გამოჩნდნენ თეატრის სცენაზე. სპექტაკლში მთავარი გმირის როლს გენერალ მურავიოვის აკაკი ხორავა თამაშობდა. მუშაობის პროცესში დიდი სიძნელებების გადალახვა მოუხდა მსახიობს. უტეხი ნების მეომარი, გამბედავი და შეუპოვარი, ბრძენი და წინდახედული — ასეთი იყო ხორავას გმირი, რომელიც მძლავრი ნებისყოფისა და სულიერი სიმტკიცის განსახიერება გახლდათ. უბრალო იყო იგი ადამიანებთან ურთიერთობისას, განცდების გამოხატვაში თავშეკავებული. აუჩქარებელი ტონით ლაპარაკობდა ხოლმე, მაგრამ ამ გარეგნულად უდრტივინველი ადამიანის მჩქეფარე ენერგია და ზეშთაგონება იგრძნობოდა. შმაგსა და თავზნებელადებულ მეომარსაც კი შეშურდებოდა ის

მხურვალე ტემპერამენტი, როგორითაც ხორავა-მურავიოვი მტერზე მომავალი დარტყმის შესახებ ლაპარაკობდა... „და შემდეგ ჩრდილოეთიდან აქეთ შემოვუტევთ... სამხრეთიდან კი იქით! მოვიმწყვედეთ, მოვგუდავთ და ერთსაც არ დავტოვებთ ცოცხალს, არცერთს!“ მართლაც თავზეხელაღებული კაცის უტყუარ სიტყვებზე აღერდა და გაბედული, შეუპოვარი, მაგრამ სტრატეგიულად ღრმად გააზრებული გეგმები. ანდა როგორ მოულოდნელად გარდაიქმნებოდა ცოლთან შეხვედრის დროს. ამ ეპიზოდში სულ სხვა თვისებით წარმოსდგებოდა მაყურებლის წინაშე ხორავა-მურავიოვი. ლიხას აღლევებულ შეკითხვაზე: „ყურს აღარ მიგდებ?“ ხორავა-მურავიოვი წყნარი, დაგუბებული ხმით უპასუხებდა: „მაპატიე, ძალიან მიმიძის ახლა... არავისთვის გამიმხელია, შენ გეუბნები მხოლოდ“. ამ სიტყვებს ამბობდა უკვე არა მხედართმთავარი, არა სტრატეგი და მეომარი, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც სხვებივით უჭირს მძიმე წუთების გადატანა და არც ეუხერხულება ამის აღიარება. წამიერი უძლურების ჩვენების დროს მსახიობი შესანიშნავად გვიხატავდა მამაცი გენერლის ადამიანურ უბრალოებას და უფრო საინტერესოს ხდიდა გმირის ხასიათს.

...გადიოდა წლები. მტკიცდებოდა და ვეკვაცდებოდა აკაკი ხორავას ოსტატობა. კვლავინდებურად ტემპერამენტი და გზნებით გამოირჩეოდა მისი თამაში, ისევ ისეთი ძლიერი სიყვარულით სარგებლობდა მისი შემოქმედება მაყურებელთა შორის. მალე მან ითამაშა ლირი შექსპირის ტრაგედიაში „მეფე ლირი“, მაგრამ ამ სახემ მნიშვნელოვანი ადგილი ვერ დაიკავა მის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში (რეჟისორი ა. ვასაძე). მერე კვლემალი განასახიერა ილო მოსაშვილის „ჩაძირულ ქვებში“ (რეჟისორი ა. ვასაძე). ნამუშევარს შეფასება მისცეს — სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიანიჭეს აკაკი ხორავას ამ როლის შესრულებისათვის. ზამს მოჰყვა ანრი კრისტოდი ი. დიუბუას „ჰაიტში“, შემდეგ პეპო — გაბრიელ სუნდუკიანის ამავე სახელწოდების კომედიაში (რეჟისორი დ. ალექსიძე); პეპოს შემდეგ ტარიელ გოლუას სახე შექმნა ლეო ჭიჩელის მოთხრობის მიხედვით მ. თუმანიშვილის მიერ დადგმულ სექტაკლში. ყველა ეს როლი დიდი მსახიობის მიერ ჩვეული ოსტატობით იყო განსახიერებული, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ვერც ერთი მათგანი ვერ ამალდა სრულყოფის ისეთ საფეხურამდე, როგორზედაც დგანან მისი ბერსენევი, ანზორი, კარლ მოორი და ოტელო, ივანე მრისხანე და მურავიოვი.

1956 წელს მაყურებელმა კვლავ იხილა ის აკაკი ხორავა, რომელსაც არაერთგზის აუნთია მათი გული შემოქმედებითი ცეცხლით. ხორავამ ოიდიპოსის როლი განასახიერა სოფოკლეს ტრაგედიაში „ოიდიპოს მეფე“. ტრაგიკოს მსახიობს — ხორავას ტრაგიკული ხელოვნება ესმოდა როგორც ბრძოლა, დაბრ-

კოლეების გადალახვა, როგორც საშუალება იმისა, რომ ადამიანმა თავი დააღწიოს ტრაგედიას ცხოვრებაში. მისთვის ტრაგიკული — ეს იყო იდეალისადმი რწმენის ჩანერგვის საუკეთესო საშუალება. აკაკი ხორავასთვის ტრაგიკული პიროვნება მხოლოდ ისეთია, რომლის ტრაგიკულ აღსასრულს საზოგადოებრივი ჭიდილის, სოციალური მოვლენებისა და ამ მოვლენათა კანონზომიერების ბეჭედი აწის. ხორავასთვის ტრაგიკული ერთ-ერთი გამოვლენაა გმირულისა. აქ იყო მისი ამოსავალი, როდესაც ოდიბოსი გაიზარდა როგორც მძლავრი, ნონქმენტური სცენური გმირი. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მსახიობმა სცადა ოდიბოსის მარცხში მისი გამარჯვება ეჩვენებინა.

დამდგმელი რეჟისორი დოდო ალექსიძე სრულიადაც არ აპირებდა მექანიკურად გადმოეტანათ თანამედროვე თეატრში ის სპეციფიკური თავისებურებანი, რაც უძველესი ანტიკური ხანის სპექტაკლებს ახასიათებდა. სპექტაკლზე მუშაობის პროცესში რეჟისორისათვის ძირითად ამოცანად იქცა ტრაგედიის არსში ღრმად ჩაწვდომისა და მასში ჩვენი სინამდვილისათვის თანახმიური აზრების და გრძნობების გამოვლენის საკითხი.

იგივე რეჟისორული პრინციპი დაედო საფუძვლად მსახიობებთან, პირველ რიგში კი, ოდიბოსის შემსრულებლებთან მუშაობას. ოდიბოსის როლის შესრულება დ. ალექსიძემ თეატრის ოთხ წამყვან მსახიობს — აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძეს, ეროსი მანჯგალაძეს და, ცოტა მოგვიანებით, სერგო ზაქარიაძეს დააქისრა. ოთხივე მსახიობი ძირითადად რეჟისორის ჩანაფიქრს მიჰყვებოდა, მაგრამ ყოველი მათგანი მინც თავისებურად ასრულებდა ამ როლს. ყოველ მათგანს შეჰქონდა ოდიბოსის სცენურ სახეში თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიუანსები და მხატვრული შტრიხები (სათანადოდ სპექტაკლში ოთხი იოკასტა იყო — თ. ჭავჭავაძე, ნ. ლაფაჩი, თ. თარხნიშვილი, თ. თეთრაძე).

ხასიათის წარმოსახვის აკაკი ვასაძისეულ მკვეთრ მანერას, ეროსი მანჯგალაძის ჭაბუჯურ, მეტიც. ბავშვურ კეთილშობილებასა და მგზნებარებას, ხოლოს ს. ზაქარიაძის ღრმა დრამატიზმისა და სკრუპულოზურ ანალიტიკურობას აკ. ხორავამ დაუპირისპირა მხატვრული სახის თავისი გაგება. მისი ოდიბოსი მძლავრი და დიდებული პიროვნება იყო. მეფური ძლევამოსილებაც იგრძნობოდა ხორავას ოდიბოსში, ადამიანური კეთილშობილებაც და სიბრძნეც სახელმწიფო მმართველისა.

ისევე, როგორც მეფე ივანეს სახეში, თავის ოდიბოსშიც ხორავას, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდა მეფისა და ხალხის პრობლემა. ოდიბოსი ხორავასთან იყო ადამიანი, რომლის ტრაგიკული ბედი უშუალოდ დაკავშირ-

რებულია ხალხის ბედთან და სწორედ ამ ურთიერთკავშირში ეძებდა მსახიობი თავისი გმირის მოქმედების ახსნას.

ოიდიპოსის გამოჩენა სპექტაკლში მოცემული იყო საინტერესო სცენურ რაჟურსში. ოიდიპოსი დგას თავის სასახლის ზემო პორტალთან. ქვემოთ, კიბის საფუხურზე ხალხია განლაგებული. ხალხს ხელები მისკენ აქვს გაშვებული. მიზანსცენა ხაზს უსვამს მომხდარ მოვლენათა წინაშეუდობას, ხორავა ესაუბრება ხალხს, როგორც ბრძენი და თავის ძლიერებაში დარწმუნებული მმართველი. ოიდიპოს-ხორავას დინჯს, მაგრამ მღელვარე სიტყვაში, მის მძლავრ ხმაში იგრძნობოდა კეთილი ზრუნვა ადამიანებზე, ქვეყნის ბედზე პასუხისმგებლობის შეგნება. ეს შეგნება არცერთ წუთს არ უჭრებოდა ხორავას გმირს. იგი ან ახლდა მას ტირისიასა და კრეონტთან ორთაბრძოლის სცენებშიც, იოკასტასთან საუბარშიც და ტრაგედიის იმ კულმინაციურ ეპიზოდშიც, როდესაც სიმართლის გაგებისას მას საშინელი ყვირილი აღმოხდებოდა. მაგრამ არც ამ შემაზრზენად ძლიერ სცენაში, არც საშინელ შეძახილში: „ჩაჭრი, მზე!“ , არც თვითდასჯის, არც ბავშვებთან გამოთხოვების სცენებში ოიდიპოსი-ხორავა არ კარგავდა ადამიანურ ღირსებას. დამარცხებულიც კი იგი ძლიერი და დიდებული რჩებოდა.

ხორავას ოიდიპოსი აღსაესე იყო შინაგანი კეთილშობილებით, ადამიანური მომხიბვლევლობით და ღირსებით. მსახიობის ძლიერი და შთაბეჭდილი სხეული, მისი შესანიშნავი ხმა, ტემპერამენტი და სულიერი სილამაზე, შინაგანი ძალა და უდიდესი ადამიანური მომხიბვლევლობა არაჩვეულებრივი ორგანულობით ერწყმოდა ანტიკური გმირის მონუმენტურ ბუნებას. ხორავას ოიდიპოსი თითქოს ასახიერებდა თვით სოფოკლეს მიერ გამოთქმულ ანტს: „მე ვცდილობ შევქმნა ისეთი ადამიანები, როგორიც უნდა იყვნენ ისინი“.

ხორავა თამაშობდა მეფისა და ადამიანის ტრაგედიას. თავისი გმირის უნებლიე, საბედისწერო შეცდომებს წარმოავიდგენდა განზოგადებული სახით, სცილდებოდა პირადული დრამის ფარგლებს და ნათლად გვიჩვენებდა ოიდიპოსის ქედუხრობასა და მორალურ სიმტკიცეს, მის ზნეობრივ სიდიადეს. უსაშინელესი, უღმობელი თვითდასჯის შემდეგ ოიდიპოსი-ხორავა სცენიდან გადიოდა შინაგანად გასხივოსნებული, ამაყი და გაუტეხელი, გადიოდა და თან მიჰყვებოდა რწმენა ადამიანის განწმენდის ძალისა.

ოიდიპოსის როლში მოპოვებულმა დიდმა წარმატებამ არ შეანელა ხორავას ძიებანი, მისი შემოქმედებითი გეგმები კვლავ ელოდებოდნენ თავის განხორციელებას. ამ წლებში მსახიობი ქქნის მთელ რიგ სცენურ სახეებს თანამედროვე რეპერტუარში და მათ შორის წინამძღოლის სახეს ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტურ ტრაგედიაში“ (რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი).

ეს იყო მოულოდნელი გარდასახვა. ყველაფერი უცნაურად და უჩვეულოდ გამოიყურებოდა ხორავას მიერ შექმნილ სახეში. სად გაქრა მსახიობისათვის ჩვეული სიდიადე, მომხიბვლელობა, წარმოსადგეგობა, კეთილშობილური ვაჟკაცობა? მათ მაგიერ წარმოიშვა დონდლოობა, ადამიანის მტაცებლური, ცინიკური ბუნება, მისი მხეცური არსი. ეს იყო მსახიობის კიდევ ერთი გარდასახვა. ნათელი დადასტურება მისი ბრწყინვალე ოსტატობისა, მისი აქტიორული მაქსიმალიზმისა და მასშტაბურობისა.

როგორც დიდი რეალისტი მსახიობი, აკაკი ხორავა ამ სახის გააზრებისას როდი იფარგლებოდა მხოლოდ მაშხილებელი ინტონაციით. გარეგნულად ზიზღის მომგვრელი წინამძღოლი, უბრალოდ ველური და ანარქისტი კი არ იყო. მსახიობი სოციალურ სფეროში ეძებდა თავისი გმირის ცივი, გამანადგურებელი ცინიზმის ახსნას. წარმოაჩენდა წინამძღოლის უნებისყოფობას, მის შინაგან განწირულებას, რაც განპირობებული იყო თვით ანარქიზმის იდეის გარდაუვალი დაღუპვით. მსახიობის თამაშში აშკარად იგრძნობოდა გმირისადმი მისი აქტიური დამოკიდებულება. როლის ასეთი შესრულება შეეძლო მხოლოდ მსახიობს, რომლისთვისაც სახისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გრძნობა დაკავშირებულია მის მსოფლგაგებასთან, მის ცხოვრებისეულ პოზიციასთან.

აკაკი ხორავა სწორედ ასეთი მსახიობი იყო. მას გარკვეული დამოკიდებულება ჰქონდა არა მარტო ისეთ გმირებთან, რომელთაც სულიერად ენათესავებოდა, არამედ ისეთებთანაც, რომლებიც მისთვის შინაგანად უცხო და მიუღებელნი იყვნენ. თუ წინამძღოლი ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნებოდა, ამდენად რ. ებრალიძის „თანამედროვე ტრაგედიის“ გმირი, პროფესორი მოორი, მსახიობისათვის ახლობელი და მონათესავე გახლდათ.

ამ რამდენადმე აბსტრაქტულ პიესაში, მხატვრული სიმართლით აღბეჭდილია ერთადერთი ფიგურა — მოხუცი პროფესორი მოორი. იგი პატიოსანი, ჰუმანიზმისა და მშვიდობის დამცველი ადამიანია. ხორავასათვის მოორი მარტო პროფესორი, მარტო მეცნიერი როდია. ეს არის დიდი ძალა, თუ გნებავთ, სინდისიც კი პროგრესული კაცობრიობისა, რომელიც ფხიზლად დგას მშვიდობის სადარაჯოზე. ხორავა აქაც, ამ როლშიც, ღრმა განზოგადებისა და მხატვრული ტიპიურობის ერთგული დარჩა, ცენტრალურ ფიგურად იქცა. სწორედ ამ სცენურ სახეშია მოქცეული სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსი და იდეური საყრდენი მთელი სპექტაკლისა.

ხორავას შესახებ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ხელოვნებაში „საკუთარი“ თემით მოვიდა და თუმცა სხვადასხვა სახით, მაგრამ, შინც, მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ატარა იგი.

იგი აზროვნებდა ფართოდ, მასშტაბურად. მისი აქტიორული საღებავები მსუყვე და გამომსახველი იყო. მის ყურადღებას მთლიანი, მტკიცე სულისა და ძლიერი ნებისყოფის აღამიანები იპყრობდნენ. ამიტომ სწორედ იქ იმარჯვებდა აკაკი ხორავა, სადაც ხასიათის ეს მთლიანობა განსაკუთრებული სიმკვეთრით იგრძნობოდა.

ხორავას შემოქმედებაში, ამგვარმა გმირებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს. ხორავა რომანტიკოსი იყო. მისი რომანტიზმის პათოსი მსახიობის ოპტიმიზმშია წარმოჩენილი. ამ ოპტიმისტური სულიკვეთებით იყო გამსჭვალული მთელი მისი შემოქმედება, თვით ყველაზე ტრაგიკულ როლებშიც კი.

როდესაც მარაბდელ არსენას ტყვიამ გაუპო გული, აკაკი ხორავას ერთი წამითაც არ უფიქრია ეჩვენებინა გმირის ტანჯვა სიკვდილის წინ. მსახიობი აკაკი არსენას ფიცხელ ბუნებას, ნათელისადმი მის სწრაფვას გვაგრძნობინებდა. როდესაც ივანე მრისხანეს სულიერი წამება აპოგეას აღწევდა და მსახიობი დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გვიჩვენებდა ამას, ხორავა გმირის გამჭოლი მოქმედებით გვაუწყებდა მის სურვილს, რომ ყველაფერი გაეკეთებინა თავისი ქვეყნისათვის, თავისი ხალხისათვის. როდესაც ოტელო დეზდემონას დაასრჩობდა და შემდეგ საყვარელი მეუღლის უდანაშაულობას შეიტყობდა, ხორავა თავისი გმირის ტრაგიკულ სულიერ ტანჯვასთან ერთად ოტელოს რწმენის აღორძინებასაც გვაჩვენებდა. როდესაც ოიდიპოსი თვალებს დაითხრიადა, ხორავა ცდილობდა ეჩვენებინა გმირის ნათელი, უტენი სული, მისი იმედით გასწივოსნებული სამყარო. ამით მსახიობს იმის თქმა სურდა, რომ საბოლოოდ მაინც აღამიანის პიროვნებამ, მისმა სულიერმა სისპეტაკემ, იდეალურმა ვაჟკაცობამ გაიმარჯვა. ასე ესმოდა აკაკი ხორავას ხელოვნების ოპტიმიზმი და სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსი.

მონუმენტური აღნაგობის მსახიობს, ისეთ მსახიობს, რომელსაც უნარი შესწევდა ჩვეულებრივი ყოფითი ამბავი დიდ ტრაგიკულ და სოციალურ განზოგადებამდე აყვანა, არასოდეს უღალატია სცენური სიმართლისათვის, მუდამყამს რეალისტური სასცენო სკოლის ერთგული იყო. აი, რატომაა გასაგები ის აღფრთოვანება, რასაც ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო ყოველთვის გამოხატავდა ხორავას აქტიორული ხელოვნებისადმი. რუსული თეატრის დიდი მოღვაწის ასეთი აღფრთოვანების მიზეზი არ უნდა ვეძებოთ მხოლოდ იმ შთაბეჭდილებაში, რაც მან ხორავას ოტელოს ნახვით მიიღო (თუმცა ჩვენ ხელთ გვაქვს ნემიროვიჩ-დანჩენკოს აღტაცებული გამოხმაურება მხოლოდ ხორავას ოტელოზე), არამედ იმ შეგრძნებებშიც, რომლებიც მასში საერთოდ ხორავას აქტიორულმა სახემ დაბადა და, რომლებიც უნდა ვეძებოთ მთლიანად ხორავას შემოქმედებაში, სადაც თვალნათლივ არის გადაწნული რეალისტური და რო-

მანტიკული ხელოვნების ფესვები, ამ ხელოვნებისა, ნემიროვიჩი-დანჩენკო, რომ ოცნებობდა და რომელიც მისთვის „ყველაზე დიდებული რომანტიკა იყო საოცრად მიმზიდველ, უბრალო ფორმაში“.

დღეს, როცა უკვე კარგა ხანი გავიდა აკაკი ხორავას გარდაცვალების დღიდან, სულ უფრო ხშირად იბადება აზრი, რომ მისი სცენური მომზიბვლელობა ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა, რომ არა იმ წლების პომპეზური სპექტაკლების სადადგმო სტილი, რომ არა დეკორაციულ-მონუმენტური რეპრეზენტურობა, რომელიც მეფობდა გარშემო. თუმცა, თვითონ, ალბათ, ამას ვერ გრძნობდა. შეჩვეული იყო ამ სტილს. თავისი თეატრის სტიქიაში ცხოვრობდა. უყვარდა მისი მხატვრული გამოსახულებანი, აქ ლალად გრძნობდა თავს. და მაშინაც კი, როცა ქართულ თეატრში (ეს იყო სამოციან წლებში) შეიცვალა „თამაშისა და რეჟისურის წესები“, მას არ უღალატია მისთვის ჩვეული ნორმებისათვის, არ დაუთმია, არ შელეგია თავის „ძველ“, „ხორავასეულ“ პოზიციებს. და ამიტომ, ფაქტობრივად, თეატრის გარეთ დარჩა. დარჩა მარტო. ტრაგედია, რომელსაც ის სცენაზე თამაშობდა, ახლა, მის პირად, აღიზნურ და შემოქმედებით ტრაგედიად იქცა.

აკაკი ხორავას არ უყვარდა მოყოლა იმისა, თუ როგორ მუშაობდა როლზე. მას უაღრესად ინტიმურ, ძალზე პირადულ საქმედ მიაჩნდა გმირთან დაახლოების, სცენური სახის ყოველმხრივი გაგებისა და ათვისების პროცესი. მსახიობის მიერ უხალისოდ, ძუნწად მონათხრობის მიღმა იგრძნობოდა პროცესი ზანგრძლივი, რთული, საინტერესო შემოქმედებითი ძიებისა, რომლის აზრი და არსი, მიუხედავად მხატვრული მრავალფეროვნებისა, ძირითადად ცხოვრებისეული სიმართლისადმი ერთგულებაში მდგომარეობდა. როდესაც ჩეხოვს ეკითხებოდნენ, თუ სცენაზე როგორ უნდა შეესხათ ხორცი მისი პიესის ამა თუ იმ გმირისათვის, მწერალი ასე უპასუხებდა ხოლმე: „პიესაში ხომ ყველაფერი წერია“. ჩეხოვის მსგავსად ხორავასაც შეეძლო ეთქვა: „მე ხომ უკვე ვითამაშე ეგ როლი. რანაირად და როგორ მივალწიე საწადელს, ამის მოყოლა არ შემიძლია“.

როდესაც თავის სცენურ გმირებზე ფიქრობდა, მთელი არსებით ისე იყო ჩაფლული ამ ფიქრებში, რომ სხვა რამეზე აღარ შეეძლო ყურადღების შეჩერება. როგორი ჩვეულებრივი, ყოველდღიური საქმეებითაც არ უნდა ყოფილიყო დატვირთული, მაინც არ ასვენებდა თავის გმირზე განუწყვეტელი, დაუინებელი ფიქრი.

ის აღამიანები, რომელთაც ხშირად ჰქონდათ ურთიერთობა აკაკი ხორავასთან, არაერთხელ გამხდარან მოწმენი იმისა, თუ რა ძლიერი იყო მასში სურვილი, თავისი ჩანაფიქრი გაეზიარებინა სხვისთვის. მოესმინა სხვათა აზ-

რები, გაერკვია, თუ რამდენად სწორი და მართებული იყო მისი მოსაზრებები.

აკაკი ხორავა განუწყვეტლივ მუშაობდა როლზე, მაგრამ ეს მუშაობა სრულიადაც არ ატარებდა სერუბულოზურ ხასიათს. მას აინტერესებდა არა მხატვრული სახის დეტალები, არამედ მისი მთლიანობა, მასშტაბურობა. ძიება გარეგნული დეტალებისა, ნიუანსებისა, ცალკეული შტრიხებისა, რაც ხშირად მსახიობის მხატვრულ საშუალებათა მდიდარი გამომსახველობის შთაბეჭდილებას ტოვებდა სცენაზე, აკაკი ხორავასათვის არასოდეს გადაქცეულა თვითმიზნად. უფრო მეტიც მომხდარა ხოლმე — დეტალი, რომელსაც თავისი სიზუსტითა და სიძლიერით აღტაცებაში მოუყვანია მაყურებელი, ხორავას უბოვია შემთხვევით, რომელიმე მორიგ წარმოდგენაზე, ისე, რომ ეს დეტალი არ ყოფილა ხანგრძლივი ძიების შედეგი.

ისევე, როგორც ყველა დიდი მხატვარი, აკაკი ხორავაც ხატოვანი აზროვნებით გამოირჩეოდა. ერთნელ იგი დიდხანს წვალბჯა გარსიოს როლზე მუშაობისას, კ. ლიბსკეროვის ნაკლებადცნობილ პიესაში „კარმენსიტა“ (მერიმეს მოთხრობის მოტივზე აგებული ნაწარმოები). დიდხანს არ გამოუდიოდა ხორავას ეს როლი, ვერ იქნა და ვერ მიაგნო სწორ ინტონაციას, შინაგანად ვერ განიცადა იგი. ერთ მშვენიერ დღეს, ქუჩაში მიმავალმა, თვალი მოკრა ხეს, რომელსაც ობლად ჩამოჰკიდებოდა მოტეხილი ტოტი. ამ სევდიანმა სანაბაობამ თავისი გარსიო მოაგონა მსახიობს. მან იგრძნო, რომ იპოვა გარსიოს განსახიერებისათვის საჭირო თვითშეგრძნება. ამიტომ ეს როლი მან სწორედ ამ უეცრად მოსული შეგრძნების „ტონალობით“ განახორციელა.

აკაკი ხორავას მეუღლე, საქართველოს დამსახურებული არტისტი ნ. ს. ალექსი-მესხიშვილი იგონებს, თუ როგორ გაემგზავრენ ისინი ერთხელ რიწის ტბაზე. სულ მალა და მალა მიემართებოდა ვერცხლისფერ თასმასავით დახვეული გზა. მარჯვნივ და მარცხნივ აღმართულიყვნენ თვალუწყდენი, ზვიადი კლდეები. აკაკიმ დიდხანს ვერ მოსწყვიტა თვალი ამ დიდებულ სანახაობას და უეცრად თქვა: „ძალიან მინდა ოდიპოსის თამაში, მინდა ვითამაშო ისეთი ოდიპოსი, როგორიც ეს დიადი, მონუმენტური, გრანდიოზული კლდეებია“. და მართლაც, ის ვინც აკაკი ხორავა იხილა ამ როლში, დარწმუნდა, რომ მისი ოდიპოსი დიადი, მონუმენტურ კლდესავით მტკიცე აღამიანა იყო.

თეატრალურ ხელოვნებაში მკაფიო ფორმების დაუცხრომელი მაძიებელი აკაკი ხორავა ოცნებობდა ისეთ თანამედროვე პიესებზე, რომლებშიც დიდი ადამიანური ვნებები, რთული მრავალწახანგოვანი, საინტერესო ხასიათები იქნებოდა ნაჩვენები. თავის ერთ-ერთ თეორიულ სტატიაში ხორავა ავითარებს ძალზე საინტერესო მოსაზრებას მონოლოგის თაობაზე თანამედროვე პიესაში:

„რატომ არ ისმის ჩვენი სცენიდან, — სვამს კითხვას სტატიის ავტორი, — ისეთივე მგზნებარე და ღრმააზროვანი მონოლოგები, რომლებიც ათეული წლისა და საუკუნეების მანძილზე მაყურებელთა აღზრდის მშვენიერ საშუალებას წარმოადგენდა? რატომ დაკარგა მსახიობმა უფლება და ბედნიერება იმისა, რომ მონოლოგში დიდი იდეა, დიდი ვნება გამოხატოს და თავისი ოსტატობა ან თავისი თეატრის კულტურა მონოლოგის საშუალებით აჩვენოს მაყურებელს?“

ხორავა ოცნებობდა დიდი განცდების, მხურვალე ვნებების გამოხატველ თეატრზე, მაგრამ ეს ოცნება არ ამორებდა მას თეატრის ყოველდღიურ ცხოვრების ჩვეულ სფეროში, ზოგჯერ კი რთულ საკითხებს. მისთვის წმიდათაწმიდა იყო დევიზი: „თეატრი გასახდელიდან იწყება“. იგი აბსოლუტურად შეუვალი იყო, როცა საქმე ეხებოდა უსულგულობის, ხალტურის, ყოყოჩობისა და ამორალობის გამოვლინებას თეატრის შიგნით. თვითონ ნიმუში მალალი ზნეობრივი სისპეტაკისა, იგი ავადმყოფურად განიცდიდა ადამიანის მიერ ყოფა-ცხოვრებაში ქვევის ნორმების ყოველგვარ დარღვევას. ამგვარი ფაქტები სულს უფორიაქებდნენ, ხელს უშლიდნენ სცენაზე თამაშის დროს. ასეთ წუთებში იგი მოწყენილი, სევდიანი და კუშტი ხდებოდა. აი, ამ დროს ამბობდნენ ხოლმე მასზე: „განწყობილების მსახიობიაო“. იმას კი არ უფიქრდებოდნენ, თუ რამ გამოიყვანა იგი ნორმალური შემოქმედებითი წონასწორობიდან.

ხორავა არაჩვეულებრივად მომთხოვნი იყო, როდესაც საქმე ეხებოდა დიდი ხელოვნებისადმი სამსახურს. უპირველესად საკუთარი თავის მიმართ იყო განსაკუთრებით მკაცრი და დაუნდობელი. არასოდეს კმაყოფილდებოდა მიღწეულით. ყველაზე მეტად ეს იგრძნობოდა საკუთარი როლების მაგალითზე. მეტისმეტად თვითკრიტიკული იყო მუშაობაში. მშვენივრად იცოდა ხოლმე, რა ან რატომ არ გამოუდიოდა. ასე, მაგალითად, ოტელოს როლი, რომელმაც მსოფლიო სახელი მოუხვეჭა, მას არ მიაჩნდა თავის უდავო შემოქმედებითს გამარჯვებად. ღრმა დაუქმყოფილებლობის გრძნობა მოიცავდა, როცა გლუმოვის როლი მოაგონდებოდა. ამის შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ. კრიტიკულად იყო განწყობილი თავისი მეფე ლირის მიმართაც. იგი ანალიზს უკეთებდა საკუთარი წარუმატებლობის მიზეზებს და არ ეთაყილებოდა ამის შესახებ ესაუბრა თავის მეგობრებთან და ახლობლებთან. მთელი სიცოცხლის მანძილზე ოცნებობდა ბორის გოდუნოვი განესახიერებინა სცენაზე და როდესაც უკვე ითამაშა ეს როლი, განაცხადა, რომ იგი კვლავ განაგრძობს ამ როლზე ფიქრს, რადგან, მისი აზრით, ისე ვერ ითამაშა, როგორც საჭიროა. „ახლა უკვე სულ სხვაგვარად ვითამაშებდი ბორისს. ძალიან კარგად ვხედავ და ვგრძნობ ამ გმირს“, — ამბობდა იგი ამ სტრიქონების ავტორთან საუბარში.

აკაკი ხორავას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჭდარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძობა, მოვალეობის შეგნება სამშობლოს, ხალხის წინაშე. ეს ყველაფერი იგრძნობოდა როლზე მის მუშაობაშიც და საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობაშიც. შეეძლო საათობით მჭდარიყო და, მომზადებულიყო გამოსასვლელად, თუნდაც სულ უმნიშვნელო კრებაზე, შეეძლო დაუზარებლად რამდენჯერმე გადაეწერა ტექსტი თავისი გამოსვლისა, რათა უფრო ნათელი და გასაგები ყოფილიყო ის, რისი თქმაც სურდა. შესაძლოა, აქ მოქმედებდა შიშის გრძნობაც, რაიმე არ ეთქვა „არასწორად“ — იმდროისთვის ეს გრძნობა ხომ ესოდენ დამახასიათებელი და ღრმად იყო ჩამჭდარი ადამიანების სულში...

როგორც სსრკ უმაღლესი საბჭოს ოთხი მოწვევის, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, იგი არ იშურებდა ცოდნასა და ენერჯიას, რათა ღირსეულად გაემართლებინა ხალხის ნდობა. როგორც საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის კომიტეტის წევრი, იგი აქტიურად იბრძოდა მშვიდობის განსამტკიცებლად მთელ მსოფლიოში და თავისი პირადი ავტორიტეტით ხელს უწყობდა ჩვენი ხალხის მეგობრობის გაძლიერებას მთელი ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხებთან. ხშირად მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში, მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა და შეხვედრაში, ხვდებოდა საინტერესო, გამოჩენილ ადამიანებს.

აკაკი ხორავას მრავალი მეგობარი ჰყავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: საფრანგეთში — პიკასო და ლუი არაგონი, ჟერარ ფილიპი, ივ მონტანი და სიმონა სინიორე, გერმანიაში — ვალტერ შმიდტი და ელფრიდე ფლორინი. ალბანელი მეგობრები სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით აღსავსე წერილებს უგზავნიდნენ — მან ხომ დიდი ალბანელი მხედართმთავრის სკანდერბეგის სახე შექმნა კინოეკრანზე. უამრავი მეგობარი რუსეთშიც ჰყავდა.

ერთხელ, ხორავას საფრანგეთში ყოფნის დროს, ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ჟერარ ფილიპმა ჰკითხა — „თქვენ, ბატონო ხორავა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხართ. რა არის საჭირო იმისათვის, რომ გახდეთ დეპუტატი თქვენს ქვეყანაში? ვის შეუძლია იყოს დეპუტატი?“

ხორავამ გაიღიმა და უპასუხა: „აი, მაგალითად, ისეთი მსახიობი, როგორც თქვენ ბრძანდებით, სავსებით შესაძლებელია, რომ იყოს დეპუტატი“.

მეორე დღეს პარიზის გაზეთებში, მთელ გვერდზე დიაგონალით, ტექსტის ზევით, დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი: „აკაკი ხორავამ ჟერარ ფილიპს შესთავაზა არჩეულიყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად!“

ქნელი სათქმელია, რა განიცადა მაშინ ხორავამ, შეიძლება ისევ და ისევ შიშის გრძნობა...

როდესაც აკაკი ხორავას ოჯახურ გარემოში მოხვდებოდით, კედლებზე პიკასოსა და ლუივის ნამუშევრებს ნახავდით, — ეს სურათები თვით ავტორებმა აჩუქეს აკაკი ხორავას. აქვე მრავალი ფოტოსურათია, რომლებზეც აღბეჭდილია მისი საინტერესო მოგზაურობისა და ჩვენი დროის გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრის მომენტები, წარსულისა და თანამედროვე ცნობილი ოსტატების ნამუშევართა რეპროდუქციების მთელი ალბომები, დიდი ბიბლიოთეკა, უამრავი წერილი ჟღერავს მთელი მთელი მთელი ალბომებისა და თანამემამულეებისაგან.

როდესაც დაეფიქრებდით იმაზე, თუ რა იყო, ბოლოს და ბოლოს, ამ კაცის ყველაზე დამახასიათებელი პიროვნული თვისება, თავისთავად იბადება ბასუხი — თავმდაბლობა და უბრალოება. ხორავას ისეთივე თავაზიანი და უბრალო ურთიერთობის დამყარება შეეძლო სახელოვან მოღვაწეებთან, როგორც ახალგაზრდა, გამოუცდელ ადამიანებთან. ყველას ყოფნიდა მისი სიბზო, ყველასათვის ჰქონდა შემონახული უბრალო, გულითადი სიტყვები. ძალზე გულსხმიერი და სათუთი იყო ადამიანების მიმართ. ყოველთვის მზად იყო დახმარება აღმოეჩინა მათთვის, გაემხნეებინა, დარდი შეემსუბუქებინა.

მასხოვს ასეთი, პირველი შეხვედრისას სრულიად უმნიშვნელო ფაქტი. ხორავა მაშინ თეატრის დირექტორი იყო. მე კი ვმუშაობდი კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოში. მოსკოვიდან ჩამოვიდა ერთი ჩემი თანაკურსელი. მივედი რუსთაველის თეატრში, შევედი დირექტორის კაბინეტში. როგორც ყოველთვის, მორიდებით, დიდი მოწიწებით მივმართე ბატონ აკაკის, შეიძლებოდა თუ არა სტუმრისათვის ერთი ადგილის გამოყოფა. მან მიპასუხა: „მე შეკითხები? ამ თეატრში შენ ხარ მასპინძელი!“

ღიახ, ეს იყო ნიუანსი, შტრიხი, მაგრამ ამ ნიუანსში მან ოსტატურად, ლამაზად და სათუთად გამოხატა თავისი დამოკიდებულება უბრალო ახალგაზრდა ადამიანისადმი, ოდნავ აამაღლა მისი ავტორიტეტი სტუმრის თვალში...

ასეთი იყო აკაკი ხორავა. კარგად იცოდა მეგობრის ფასი და ჩინებული უნარი ჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობისა. როგორი ლამაზი, შემოქმედებითი, შესანიშნავი მეგობრობა ჰქონდა ნიკოლოზ ხმელიოვთან! რა სასიხარულოა, რომ ჩვენი დროის ორი დიდი მსახიობი ცხოვრებამ შეახვედრა ერთმანეთს და დაამეგობრა კიდევ! ხმელიოვის გარდაცვალების შემდეგ აკაკი ხორავამ ერთხელ თქვა: „ძალიან მიძიმს მოსკოვში წასვლა, მძიმეა იმის შეგნება, რომ იქ ვეღარ შევხვდები ჩემს უსაყვარლეს მეგობარს“.

ერთი ადამიანური „სისუსტე“ ახასიათებდა აკაკი ხორავას — ეს იყო მისი განსაკუთრებული სიყვარული ახალგაზრდობისადმი.

ხორავა და ახალგაზრდობა! ეს ცალკე თემაა. ბევრი რამ შეიძლება ითქვას ამ საკითხზე და არც ერთი სიტყვა არ იქნება გამოგონილი, გულწრფელობას მოკლებული. არ იქნება იმიტომ, რომ გულწრფელი და გულმხურვალე იყო თვით აკაკი ხორავას დამოკიდებულება ახალგაზრდა თაობისადმი.

ხორავაზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო ახალგაზრდობის უანგარო მეგობარი. ეს არაერთგზის დაუმტკიცებია სიტყვითაც და საქმითაც. იგი დიდხანს იყო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორი. გულისხმიერად ზრდიდა ახალგაზრდობას, საშუალებას აძლევდა მომავალ ხელოვანთ ბოლომდე, ნათლად გამოემჟღავნებინათ საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

... შეუჩერებლად მიჰქროდნენ წლები. დროის ამ შეუწელებელ სრბოლაში ზოგჯერ გავიწყდება კაცს ცალკეული ფაქტები, მოვლენები, საქმეები, მაგრამ ისტორია არაფერს ივიწყებს. იგი ფაქტების ერთგულია. ფაქტები კი ერთს ღალადებენ: აკაკი ხორავა — თეატრალური ინსტიტუტის პირველი რექტორი, აკაკი ხორავა ერთ-ერთი ხელმძღვანელი რუსთაველის თეატრისა. ეს იყო მოღვაწე, რომლის პიროვნებაში განსახიერდა დაუშრეტელი ენერგია და, ახალგაზრდა შემოქმედებითი თაობის აღზრდის დაუცხრომელი სურვილი.

აკაკი ხორავა მარტო ინსტიტუტის კედლებში კი არ ზრდიდა ჩვენი თეატრის მომავალს, მას ცხოვრების ფართო შარავზაზე გამოჰყავდა ახალგაზრდები, თვალუფრს ადევნებდა მათ შემდგომ ზრდას ინსტიტუტის გარეთაც. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ხორავამ თავისი ავტორიტეტითა და საკუთარი ინიციატივით შეძლო შეექმნა რუსთაველის თეატრში მძლავრი ბირთვი ახალგაზრდა მსახიობებისა, რომელთაგან უმეტესობას წლების მანძილზე წამყვანი ადგილი ეკავა თეატრში. ეგრეთწოდებული მესამე, ამჟამად კი — უფროსი თაობა რუსთაველის თეატრისა, დიდად არის დავალებული ხორავასაგან. იგი მათ ზრდიდა, უფრთხილდებოდა, გეზს აძლევდა.

გასაკვირი როდია, რომ, როდესაც ეს უდიდესი მსახიობი ფაქტიურად თეატრის მიღმა დარჩა, ერთადერთი ადგილი, სადაც მშვიდად და კარგად გრძნობდა თავს, გახლდათ მისი თეატრალური ინსტიტუტი — მისი საყვარელი პირშუო, რომელსაც თვითონ დაურწია აკვანი და თვითონ გამოზარდა, აქ იყო მისი, ხორავას სახლი, სადაც ისევე, როგორც მრავალი წლის მანძილზე, გულღიად შედიოდა ეს დიდი ხელოვანი, დიდი პიროვნება — ინსტიტუტის ყველაზე საყვარელი ადამიანი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუტის არც ერთ რექტორს არ ჰქონია ისეთი ავტორიტეტი და ახალგაზრდობაზე ზემოქმედების ძალა, როგორც აკაკი ხორავას.

სიყვარული და პატივისცემა ორმხრივი იყო. ბატონ აკაკის არა მარტო

უყვარდა ახალგაზრდობა, არამედ მათ გარეშე ვერ წარმოედგინა ცხოვრება, დაუღალავად ზრუნავდა მათზე. მას რაღაც დაუოკებელი წყურვილი ჰქონდა დახმარებოდა ადამიანებს, მხარში ამოსდგომოდა ყველას — ხელმოკლე სტუდენტებს, სამუშაოსა თუ გამამხნეველები სიტყვის მაძიებელ, ღვთის განგებით ობლად დარჩენილ ბავშვებს, რომელთა დედები და მამები „შორეულ ადგილებში“ იღუპებოდნენ — პირდაპირ გადაჰყვებოდა ხოლმე მათ, არაფერს არ იზურებდა, და დღეს ისინი, უკვე გაქალაქავებულნი, უსაზღვროდ მაღლიერნი არიან კეთილი მავრისა, რომელიც მათ, ბავშვებს, ბროლის კოშკებს უშენებდა...

ალბათ შეუძლებელია აკაი ხორავაზე ისე წერა, რომ არაფერი არ თქვა მისთვის ყველაზე „სუსტ ადგილზე“, გულისტკივილზე, და სადარდებელზე. ლაპარაკია — სანდრო ახმეტელზე, ადამიანზე, ვისი ბედიც მჭიდროდა დაკავშირებული ხორავას ბედთან.

არ არის აუცილებელი ამ წერილში მათი ურთიერთობების საკითხში ჩაღრმავება, ეს ურთიერთობები საკმაოდ რთული იყო, არაერთხელ და ისეთივე რთული, დაძაბული, მეტიც — „ავადმყოფურ“ კამათის საგნად ქცეულა. ეს გასაკვირი როდია! ერთადერთი კი, რაც უდავოა, ეს ის არის, რომ სიცოცხლის ბოლომდე სანდრო ახმეტელის პიროვნება ზორავასთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხად რჩებოდა. ეს მისი საუბრებიდან, ამა თუ იმ გამოწვევამდინ იგრძნობოდა. ბოლოს კი — მისი დღიურებიდან, რომლებიც ჯერჯერობით დალუქულია, მაგრამ რომლებშიც ხორავა იყო თავისი სინდისისა და დარღვის პირისპირ — ამ სტრიქონების ავტორს ხელთ ეჭირა ეს დღიურები, წაკითხულიც ჰქონდა ზოგიერთი ადგილი.

და, აი კიდევ ერთი შემთხვევა ამ ორი სახელის „შეერთებისა“, რომლის მოწმეც მე გახლდით. ბატონი აკაი უკვე ძალიან ცუდად იყო, ნათელი განბა, რომ მისი დღეები დათვლილია.

1972 წლის 18 ივნისს მასთან სანახავად მივედი, მაგრამ მის ოთახში ვერ შევედი — ავადმყოფი უკვე სიკვდილს ებრძოდა. ვისხედით მეზობელ ოთახში — მე და მისი მეუღლე, ქალბატონი ნინო. ჩუმად ვლაპარაკობდით. უცბად ავადმყოფის ოთახიდან გამოვიდა მათი ახლობელი, ქალბატონი თინა, ემანუელ აფხაძის მეუღლე და აღუვლებით გვითხრა: „იცით, რა თქვა აკაკიმ ანლა? — საშა, საშა, ხუთი დღის შემდეგ შევხვდებითო...“

რა იყო ეს? მისტიკა? ან გამოუცნობი სამყაროს განჭვრეტისა და იღუმლებით სავსე ძალა, რომელიც ჩვენთვის, ცოცხლებისთვის, ჯერ მიუწვდომელია. ამ ამბით შეძრწუნებულმა მეგობრებსა და კოლეგებს ვუამბე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ წინაშე უღმობელი დადასტურებაა იმ რეალობისა და ჭეშმარიტებისა, რომ სიკვდილის წინ ადამიანი მიუბრუნდება თავის სულსა და

გულს და იგონებს ყველაზე მტკივნეულს, ყველაზე სადარდებელსა და განუკურნებელს. ადამიანი შეერწყა იმ საიდუმლოებით სავსე სამყაროს, რომელიც კეშმარიტების და ჩვენი ცოდნის მიღმა დგას.

ასე თუ ისე, ზუსტად ხუთი დღის შემდეგ, 1972 წლის 23 ივნისს აკაკი ხორავე ცოცხალი აღარ იყო...

წარმოდგენაც კი ძნელია ყოველივე იმისა, რაც აკაკი ხორავას გაუკეთებია თავისი ხალხისათვის, მშობლიური კულტურისათვის — მათ ბოლომდე შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე.

ერთ-ერთ თავის ფოტოსურათზე, რომელიც ბატონმა აკაკიმ ამ სტრიქონების ავტორს აჩუქა 1960 წელს, ასეთი წარწერა გაუკეთა: „ახლა მშვიდად ვარ, რომ ჩემი სიცოცხლის შემდეგ (მან სწორედ ასე დაწერა — „სიცოცხლისა“ და არა „სიკვდილის შემდეგ“ — ე. გ.) უპატიოსნო აღამიანებს არ მისცემ ჩემი სულის, გულწრფელი შრომის გამრუდებისა და ფალსიფიკაციის უფლებას“.

სხვაგვარად არც იქნება! მისი ერთგული მეგობრები, კოლეგები, მოწაფეები, ახლობლები, მთელი ქართველი ხალხი დიდად აფასებენ მის სახელს და შრომას, ინარჩუნებენ გულში მსახიობის ნათელ ხსოვნას.

რაც შეეხება უპატიოსნო აღამიანებს, ასეთები სამწუხაროდ არიან და მოსვენებას არ აძლევენ მის ნათელ სულს...

... ერთხელ, როცა ბატონი აკაკი უკვე ავად იყო, მეგობრები ეწვივნენ და ალერსიანად ჰკითხეს, ყველაზე მეტად რას ისურვებდითო? მან დაუფიქრებლად უპასუხა: სიცოცხლეს!

აკაკი ხორავას სიცოცხლე გრძელდება. მისი სახელი უკვდავია.

ეთერ გუბუშვილი

წერილები. მოგონებები აკაკი ხორავას შესახებ
СТАТЬИ, ВОСПОМИНАНИЯ ОБ АКАКИИ ХОРАВА

ქართული სცენის დიდი მოვლენა

როდესაც ჩემი დაუვიწყარი მეგობრისა და განუყრელი თანამებრძოლის აკაკი ხორავას ცხოვრებასა და შემოქმედებას მინდა შევებო, აქამდე მის შესახებ დამშვიდებულ ლაპარაკს ვერ ვახერხებ.

მეგობრებს და მკაცრებლებს იგი იპყრობდა თავის ვაჟკაცური ტემპერამენტით, არაჩვეულებრივი გარეგნობითა და გრძნობათა პათეტიკური აღმაფრენით.

1922 წლიდან დიდ ქართველ რეჟისორს სანდრო ახმეტელს თეატრში მოჰყავს მისი ახალი „აღმოჩენა“ — აკაკი ხორავა. ახოვანი ვაჟკაცი, შესანიშნავი ხმით, დიდრონი გამომეტყველი თვალებით წარმოსდგა იგი ჩვენს წინაშე — რუსთაველის თეატრის მაშინდელი ახალგაზრდობის წინაშე...

მაშინვე დაფუძემგებრდით ერთმანეთს, რაც მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გაგრძელდა.

ეს იყო 1923 წლის ივნისში. რუსთაველის თეატრის სცენაზე ოსკარ უაილდის „სალომეაში“ იოქანაანის როლში ამ უცნობი მსახიობის გამოჩენა, რომელსაც მდიდარი ბუნებრივი მონაცემები, მომხიბლავი ხმა და წარმოსადეგი გარეგნობა ჭერ კიდევ ვერ დაემორჩილებინა, ბევრს გვპირდებოდა. დიახ, დიდი დრო არ დასჭირვებია აკაკი ხორავას, რომ რუსთაველის თეატრის მაშინდელ მაღალნიჭიერ ახალგაზრდა დასში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაეკავებინა.

აკაკი ხორავას ამპლუა, როგორც მსახიობისა, 1926-28 წლებში ჩამოყალიბდა ჩვენი სასიჭადულო სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით.

მისი შემოქმედებითი წინსვლა კი დაიწყო ისეთი როლებიდან, როგორიც იყო ბერსენევი, რუსთაველის თეატრის სცენაზე 1928 წელს დადგმულ ლერენდოვის „რღვევაში“. მსახიობის ბუნებრივი მონაცემები ამ როლში იყო შთამბეჭდავი და დამაჯერებელი.

მისი შესრულების მონუმენტური სტილი სავსე იყო უმძაფრესი გადასვლებითა და ნიუანსებით, რომლებიც იშვიათ ზემოქმედებას ახდენდა მაყურებელზე და ჯაღმოსცემდა მხატვრული სახის მრავალფეროვნებას.

თავისი აქტიორული ხელოვნება აკაკი ხორავამ უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა კარლ მოორის (შილერის „ყაჩაღები“), არსენას (შანშიაშვილის „არსენა“), ოტელოს (შექსპირის „ოტელო“), ივანე მრისხანეს (სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“) შესრულებით. ესენი ხომ ქართული თეატრის საქვეყნოდ აღიარებული შედეგებია, რომელთაც ქართველ მსახიობს ჩვენში და მსოფლიოში დიდი საბჭოთა ტრავგიკოსი მსახიობის სახელი მოუპოვეს.

სხვა ტრავგიკოსების მსგავსად ოტელოს როლში აკაკი ხორავა როდი ეძებდა სრულიად პარმონიულ სინთეზს ვენეციელი მავრის ქარიშხლიან ვნებებთან, მის ალტაცებულ განწყობილებასა და მწარე ფიქრებთან, არამედ ცდილობდა გადმოეთა ცოცხალი ადამიანი, ყოველგვარი იაფფასიანი ეფექტების გარეშე. სადალ და დამაჯერებლად.

აღბათ ეს იყო მიზეზი სცენური ხელოვნების ისტორიაში იმ უპრეცედენტო მაგალითისა, რომ ოცდახუთი წლის მანძილზე აკაკი ხორავა შეუცვლელი, განუმეორებელი იყო ამ როლში და მაყურებლის სიყვარული და აღიარებაც უცვლელი იყო მისდამი.

მეფე ივანეს სახეში (ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“) იგი სცენურ გამომსახველობათა სავსებით ახალი საშუალებებით წარსდგა მაყურებლის წინაშე. მხრებში მოზრილი, თავჩაღუნული, დინჯი ნაბიჯით, უთვალებოდ იკვლევდა გზას ბრძენი მეფე და თითქოს, რაღაც დიდმა შინაგანმა ხილვამ უბიძგაო, ერთ წუთში გაქვევადებოდა და მტერზე გამარჯვებისათვის, რომელიც მას დიდი ბრძოლისა და სისხლის ფასად დაუჯდა, წყნარად სამადლობლო ლოცვას აღავლენდა. სპექტაკლის ამ ექსპოზიციურ სცენაში ჩვენ წინ იდგა დიდი ადამიანი სევდიანი თვალებით, ზარივით მოგუგუნე მისი იშვიათი ტემბრის ხმა, ყრულ ჯაღმოსცემდა მოღალატე ბოიარებისადმი მის მრისხანე განჩინებას. ასეთი შეკრული, მონოლითური, სადა და მგრძნობიარე იყო მისი ივანე ეს. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფეში“. ეს იყო დიდი თეატრალური მოვლენა, რუსული კულტურის შესვეურთათვის. მსახიობმა უდიდესი აღიარება მოიპოვა ივანე მრისხანეს როლის შესრულებისათვის, ამ დიდებული ნამუშევრისათვის მას სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

რა მოგახსენოთ, მქონდა ბედნიერება, თითქმის ყველა პიესაში მისი ანტიპოდი ვყოფილიყავი წლების განმავლობაში — თუ ის „ყაჩაღებში“ კარლი იყო, მე ფრანც ვთამაშობდი, ის თუ „რღვევაში“ ბერსენევი იყო, მე-ბოცმანს ვთამაშობდი. შ. აღსაბაძის დადგმულ „ოტელოში“ ა. ხორავა ოტელო იყო,

მე — იაგო. ჩემს მიერვე დადგმულ „დიდ ხელმწიფეში“ თუ იგი ივანე მრის-
ხანე გახლდათ, მე ვასილ შუისკის ვთამაშობდი. „ანზორში“ ის ანზორს ანსა-
ხიერებდა, მე კიდეც — ახმას და ასე — დაუსრულებელიც... იშვიათ შემთხვევა-
ში ვიყავით ჩვენ ფრთიმეორის დუბლიორები. ეს იყო დიმიტრი ალექსიძის სა-
დებიუტო სპექტაკლში — გ. მდივნის „ალკაზარში“, სადაც პედრო კორილიოს
როლში მეც ვიყავი დაკავებული და აკაკიც...

1936 წელს ჩემს მიერ დადგმულ „არსენაში“ აკაკი ხორავას არსენას
როლში დაკავებამ, შეიძლება ითქვას, ბედნიერად გადაწყვიტა სპექტაკლის
ბედი...

რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალო!.. პირდაპირ რომ ვთქვა, ეს კაცი იყო
სისხლხორცეული ნაწილი ჩვენი თაობის სასცენო მოღვაწეობისა და შემოქმე-
დებისა.

მე ბედნიერი ვიყავი, რომ მყავდა ასეთი პარტნიორი სცენაზე და ბედნი-
ერი იყო იგი, რადგან სიცოცხლეშივე ეზიარა უკვდავებასა და მსოფლიო
აღიარებას.

სანდრო შანშიაშვილი

ბაკაკი ხორავას ღვაწლი

„არ ღავიწება მოყვრისა
აროდეს გვიწამს წიანსა!“

მე მინდა გავიხსენო ორიოდე სიტყვით აკაკი ხორავას სასცენო მოღვაწე-
ობა. ეს არ იქნება მისი უდიდესი ღვაწლის შეფასება, არამედ იქნება მეგობ-
ბრისადმი მისალმება და სიყვარულით აღსავსე პატივისცემა.

იგი მე გავიცან რუსთაველის თეატრის დაარსების დღიდან და მას შემდეგ
ჩვენი მეგობრობა არც შეწყვეტილა და არც შენელებულა. მაშინ იგი ვარსკე-
ლავენს ეთამაშებოდა. ბუნებას დაეჭილდობინა მომზიბლავი ტანადობით,
ვაჟკატური სახის გამოშეტყველებით და ხავერდოვანი ხმით, რის გამო მისი
საუბარი საამო მოსასმენი იყო.

მე მაშინ გატაცებული ვიყავ გმირული რომანტიზმით, ვწერდი დრამა-
ტულ პოემებს: „ბერდო ზმანისა“, „ლატავრას“ და „უგვირგვინო მეფეს“.

მაშინ აკაკი ხორავა რუსთაველის სახელობის თეატრში ერთი წამყვანი
მსახიობთაგანი იყო.

როგორც მე გმირული ამბების წერა მეხერხებოდა, ისე აკაკი ხორავას გმირული როლების შესრულება.

ცხადად ვხედავდით, რომ ჩვენ თვალწინ აკაკი ხორავა ბუმბერაზ მსახიობად იზრდებოდა.

მან ჩემს პიესებში ითამაშა: ანზორი, არსენა და გიორგი სააკაძე, ხოლო ჩემსავე ნათარგმნებში: კარლ მოორი და დიდი ხელმწიფე, ივ. მაჩაბლის ნათარგმნებში ოტელო და მეფე ლირი.

აკაკი ხორავამ ოტელოს თამაშით ისეთ მაღალ მწვერვალს მიაღწია, რომ თვით უცხოელთა აღიარებით, იგი საამაყო იყო არა მარტო საქართველოსთვის, არამედ იმ ქვეყნისთვისაც, სადაც დაიწერა ოტელო.

აკაკი ხორავას შემოქმედებითი სიმალლე ჯერჯერობით ჩვენს თანადროულ მოღვაწეებს ქართული თეატრისა არ გადაულახავთ.

დიდია და უკვდავი მისი ღვაწლი ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში.

ბედნიერი ვარ იმითაც, რომ მაღალი ჯილდოები და აღიარება მის გვერდით, ერთდროულად მიმიღია და სიხარული განმიცდია ჩემი უბადლო ამხანაგისა და მეგობრის წარმატებით...

აკაკი ხორავას უდიდესი მხატვრული მიღწევები ყოველთვის იყო ნიმუში რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი მიმართულებისა და საერთოდ თანამედროვე სასცენო ხელოვნებისა.

დიდად დასაფასებელია აკაკი ხორავას ღვაწლი ქართული თეატრის მონაპოვრების ჩვენი სამშობლოს გარეთ გატანის საქმეში. დიდი როლი შეასრულა მან აგრეთვე საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის დაარსებისა და თეატრალური საზოგადოების შექმნა-განმტკიცების საქმეში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აკაკი ხორავა მუდამ წმინდად ატარებდა და ატარებს საბჭოთა მსახიობის მაღალ სახელს.

დიდი სახელი მოიხვეჭა მან კინოხელოვნებაშიც. ამაზე მარტო კინოფილმები „გიორგი სააკაძე“ და „სკანდერბეგი“ მეტყველებენ. მას მრავალი თავჯანისმცემელი ჰყავს. იგი საყვარელი მსახიობია როგორც მისი თანამებრძოლებისათვის ხელოვნებაში, ისე მაყურებლებისათვის მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აკაკი ხორავაზე უფრო პოპულარული მსახიობი თანამედროვეთა შორის არ მეგულება. ამიტომ მისი იუბილე ჩვენი ხელოვნების სახალხო ზეიშია. ჩვენი საზოგადოებრიობა სიყვარულით აჯამებს დიდი მოღვაწის შემოქმედებას, რომელიც აქტიური ხელოვნების მწვერვალს წარმოადგენს.

აკაკი ხორავას მცირე შექმნილი დაუვიწყარი სახეები ანიჭებენ მას იშვიათი დიდოსტატის სახელს მოწინავე საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებაში და

მისი განუმეორებელი შემოქმედება, მწამს, მარად იცოცხლებს, როგორც საიმედო ფესვი ზელოვნებისა.

აკაკი ხორავას სასცენო ხელოვნების დიდ კულტურას უნდა დაეუფლოს ჩვენი ახალგაზრდობა, რადგან სწორედ მათ უნდა აიყვანონ ახალ სიმაღლეზე ქართული თეატრალური ხელოვნება.

აქ მინდა გაკვრიტ აღვნიშნო აკაკი ხორავას სცენაზე მუშაობის ერთი თვისება.

როდესაც იგი შავად როლს კითხულობდა, ან რეპეტიციას გადიოდა, ვაკვირდებოდი და ვამჩნევდი, რომ ყოველ ფრაზას და სიტყვას მრავალ ვარიანტს უკეთებდა, სანამ სასურველ მიზანს არ მიაღწევდა. ამის გარდა, მას ჰქონდა ისეთი შინაგანი ძალა და შთაგონება, რომ თავის თამაშის დროს მთელ დასს ერთ არსებულ შეჰქრავდა, ერთ მთლიან ინსტრუმენტად გადააქცევდა და არ შეეძლო რომელიმე მსახიობს სპექტაკლში რაიმე დისონანსი შეეტანა...

ალექსანდრა თოიძე

ჩემი დიდი ოტელო

როგორც ყველა დიდბუნებოვანი შემოქმედი აკაკი ხორავა იყო ამხანაგური, უშუალო და ზედმიწევნით დემოკრატიული, სცენაზე ურთიერთობისაა ყურადღებიანი, მსახიობების მიმართ ყოველთვის კოლეგიალური. „ოტელოში“ აკაკისთან პარტნიორობის პირველ დღიდანვე შინაგან კონტაქტს ვგრძნობდი. მასთან სცენაზე „სიცივე“ არასდროს მიგრძენია. ის ყოველთვის მართალი, გულწრფელი იყო და სწორედ ამიტომ, მიუხედავად ჩემი გამოუცდელობისა, მასთან ლაღად ვთამაშობდი. ჩემს იმპროვიზაციას ფრთა ესხმოდა და ჩემი დეზდემონა დროთა განმავლობაში გამოიწრთო და სპექტაკლს ორგანულად შეერწყა.

სპექტაკლ „ოტელოს“ განუმეორებელი წარმატება და რეზონანსი საყოველთაოდ ცნობილია. ახლაც მახსოვს უზომოდ გაჭედული დარბაზის მღელვარე სუნთქვა, რომელიც ზღვის ლელვას მოგაგონებდათ. ჩვენ ზეაწეული, ყრუ-ანტელის მომგვრელი ლელვა და შემოქმედებითი განწყობა გვეუფლებოდა. კულისებში ხომ ყველაზე ადრე ჩვენ მოვდიოდით, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე და ამ მოგონების დამწერი.

ხორავა თეატრში შემოდის და მხრებჩამოყრილი, თავჩაქინდრული, თითქოს ძალზე დადლილი, ხოლო საათნახვერის შემდეგ, სცენაზე გასვლის წინ

ოტელო-ხორავა უსათუოდ შემოვიდოდა ჩემს საკაზმულოში უკვე შთაგონებული. ნაპერწკლიანი თვალებით შემოანათებდა, გაიღიმებდა თეთრბილება, კეთილი ღიმილით. უხაროდა საყვარელი ჩოლის თამაში, ხალხმრავალი დარბაზის ხმები.

1939 წლის ზაფხულს ჩვენი თეატრი საგასტროლოდ უკრაინაში გაემგზავრა. ყოველთვის მაღლიერების გრძნობით ვიგონებ ჩვენს გასტროლებს კიევში, ხარკოვსა და ოდესაში. რუსთაველის თეატრის სპექტაკლები ომდენად მოიწონა უკრაინელმა მაყურებელმა, რომ იქ გაცნობილი, ახალი მაყურებლის გარკვეული ნაწილი ქალაქიდან ქალაქში დაგვყვებოდა, აღტაცებული წერილებით, არაჩვეულებრივი სილამაზის ყვავილებით გვანებივრებდა. დაუვიწყარია შეხვედრები და მეგობრობა უკრაინელი ხალხის კულტურის სხვადასხვა დარგის გამოჩენილ მოღვაწეებთან. ალექსანდრე კორნეიჩუკი, რომელიც 1937 წელს გაგრამი გავიცანი, პოეტი მიკოლა ბაჟანი, რომელსაც ადრეც ვიცნობდი, მსახიობი ნატალია უკვი, თავისებური და დიდი შემოქმედი, ჩვენი საყვარელი ნატ იურა, მუდამ მომღიმარი და გულწრფელი მოტრფიალე ჩვენი ერის კულტურისა, დაუვიწყარი მეგობარი კიპარენკო — დამანსკი, ბრწყინვალე მომღერალი პატორჯიცი, დიდი ოსტატები კრუმელნიცკი, გრიშკო, მაშინ ახალგაზრდა კლავდია შულცენკო, კრიტიკოსი ანდრეი ნედზვედსკი, იურისტები ვედენსკი, მამონტოვი და არსენ გურევიჩი ოჯახებით არ გვშორდებოდნენ, სიყვარულით გვაცნობდნენ უკრაინის ძველი კულტურის ძეგლებს.

აკაკი ხორავა მრავალ წელს თამაშობდა „ოტელოს“ დიდი შემართებით, ახალ-ახალი ნიუანსებითა და დეტალებით ამდიდრებდა ამ სახეს. ხშირად ისეთ თავდავიწყებამდე შედიოდა როლში, რომ დეზდემონას დახრჩობის სცენაში კინალამ მართლა გამომასალმა წუთისოფელს. ეს ფოთში მოხდა. მახსოვს მეხუთე აქტში დეკორაცია ისე ლამაზად გაგვიანათეს, რომ სცენაზე გაბნეულმა რბილმა შუქმა ჩვენი თეატრის დიდი მოამაგის მხატვარ ირაკლი გამრეკელის ბრწყინვალედ გაფორმებული დეზდემონას საწოლი თთახის დეკორაცია ნამდვილ ინტერიერად გადააქცია. ამ ინტიმურმა გარემომ ისედაც საკმაოდ აღგზნებულ „ოტელოს“ ახალი გრადუსები შემატა. დახრჩობის ეპიზოდში აკაკი-ოტელომ ისე ძლიერად ჩამასო ყელში თითები, რომ ხრიალი დავიწყე. აკაკიმ წამჩურჩულა: „ნუ გეშინია, ნუ გეშინია“. ოტელომ ისე წამიჭირა კისერზე თითები, რომ უკვე ხელებით ვწვდი და გრძელი ფრჩხილებითლა ვაგრძნობინე, რომ ვკვდებოდი, ხმის ამოდება კი აღარ შემეძლო. სიტუაცია უმალ მივიდა მაყურებლამდე და ვერც კი აღვწერ რა ტრაგიკულ რეაქციაში გადაიზარდა. აკაკი გონს მოვიდა, ხელი მიშვა, თითქმის გონდაკარგულმა ძლივს წამოიღულულა: — მაპატიე, მაპატიეო...

1945 წლის 25 მაისს სპექტაკლ „ოტელოზე“ მამა დავებამიყე*. იმ საღამოს თეატრში, რატომღაც ძალზე ბევრი ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენელი გვეწვია. თეატრში პრემიერისდაგვარი ატმოსფერო შეიქმნა. პარტერის წინა რიგებში ისხდნენ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები: ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, დიმიტრი უზნაძე, მათთან ახლოს ილია ზურაბაშვილი და ბესარიონ ქლენტი ისხდნენ.

სპექტაკლმა ერთობ კარგად ჩაიარა.

1946 წლის 5 დეკემბერს ვენზაღებოლით „ოტელოს“ სათამაშოდ. ამ სპექტაკლს მოწყურებული მაყურებელი ერთი კვირის განმავლობაში თეატრის წინ იყრიდა თავს. თეატრი ხალხით იყო გაქვდილი. პარტერში უცხოელი სტუმრებიც ისხდნენ: აშშ პრეზიდენტ რუზველტის ვაჟი ელიოტ რუზველტი და მისი მეუღლე ამერიკელი კინოვარსკვლავი ფფი ემერსონი.

იმ დღეს არაჩვეულებრივად კარგად წავიდა სპექტაკლი. ხორავა-ოტელო ზედმიწევნით ძლიერი იყო. ემილია — თამარ ჰვეჟავაძე თავის სტიქიაში აღმოჩნდა. როგორც მაყურებლები მოგვითხრობდნენ, რუზველტი და მისი მეუღლე განსაკუთრებით ღრმად განიცდიდნენ მათთვის კარგად ნაცნობი ტრაგედიის კოლიზიებს. თურმე ცოლ-ქმარი, ერთმანეთს მიყვროდნენ და ერთიმეორეს ამშვიდებდნენ...

მინდა მოვიგონო სპექტაკლი „ოტელო“, რომელიც 1947 წლის ზაფხულში გაიმართა მოსკოვში, გასტროლების დროს. 12 ივლისს წარმოუდგენიათ „ოტელო“, რომელმაც, მოსკოველების სიტყვებით რომ ვთქვათ, არგაჯონილი და არნახული შთაბეჭდილება მოახდინა. სპექტაკლი ქართული თეატრის ტრიუმფად გადაიქცა. რასაკვირველია, პირველ რიგში, ეს აკაკი ხორავას ტრიუმფი იყო. გვილოცავდნენ მოსკოვის თეატრების დიდი ვარსკვლავები, დიდი მსახიობები, განუყოფელი ოლღა კნიპერ-ჩეხოვა, მცირე თეატრის უხუცესი მსახიობი ე. ტურჩანინოვა, კამერული თეატრის ბრწყინვალე მსახიობი ალისა კონენი, დიდი რეჟისორი ალექსანდრე თაიროვი; სამხატვრო თეატრის წამყვანი ქალი-მსახიობები: ალა ტარასოვა, კლავდია ელანსკაია, ანგელინა სტეპანოვა, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე ალექსანდრა იაბლოჩკინა (რომელმაც დიდი სიყვარულით ჰკვიანური რჩევები მომცა დეზდემონას სიკვდილის სცენის გამო), მომხიბლავი ელენე გოგოლევა, იმ დროს დიდად პოპულარული დარია ზერკალოვა. გვესალმებოდნენ ბალეტის ჯადოქრები — გალინა ულანოვა, ტატიანა ვეჩესლოვა, მარინა სემიონოვა; ვახტანგოვის თეატრიდან აღტაცებული ციცილია მანსუროვა, სცენის დიდოსტატი მარია ბაბა

* მოსე თოიძე, ცნობილი ქართველი მხატვარი.

ნოვა, სოფია გიაცინტოვა, იმ დროს ახალგაზრდა ვალენტინა სეროვა. კულისებში შემოანათა ვასილ კაჩალოვმა. მოვიდა დიდი ს. მიხოელსი, გაღიმებული რუბენ სიმონოვი, კ. ზუბოვი, ჩებანი, ი. ბერსენევი, მ. ცარიოვი, სერგეი ობრაზცოვი, ახალგაზრდა არკადი რაიკინი, მიხაილოვი, მიხეილ მოროზოვი, პაველ მარკოვი, ი. ალტმანი, გ. ბოიაციევი, ნ. ვოლკოვი, ტიშლერი, ნ. ტინონოვი, ს. მიხალკოვი, საყვარელი პოეტი პაველ ანტოკოლსკი, რეჟისორი მ. კედროვი, მ. რეიზენი, კონსტანტინე სიმონოვი, ვიქტორ გოლცევი, ვაგრამ ვაგარშინი, იოსებ თუმანიშვილი, ვლ. კანდელაკი, გიორგი მდივანი და ტაისა სავა, ირაკლი ანდრონიკოვი — ბოლო არ ჰქონდა თეატრისა და კინოს სხვა გამოჩენილი მოღვაწეების მძლავრ ნაკადს!

აკაკი ხორავა-ოტელო ყურადღების და ქების ცენტრში იყო. ბევრისმნახველი მოსკოველი მასუბრებელი უშუალო, თეატრის უებარი შემფასებელი აკაკი ხორავას ოტელომ განცვიფრებაში, ალტაცებაში მოიყვანა. შექაძილები ჭექა-ქუხილის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, ასე მეგონა დარბაზი დაინგრეოდა.

ხანდაზულებმა მოიგონეს რუსთაველის თეატრის 1930 წლის გასტროლეების განუმეორებელი წარმატება, იხსენებდნენ „ანზორს“, „ლამარას“, „ყაჩაღებს...“ მოსკოვში „ოტელოს“ გარდაწარმატება ზვდათ სპექტაკლებს „ივანე მრისხანეს“, „გამარჯვებულთ“ და „ხევისბერ გოჩას“. გაზეთებში, ჟურნალებში დაიწერა წერილები. გასტროლების წარმატებას მოჰყვა საინტერესო შეხვედრები, მრავალი დარბაზობა, კერძოდ საკავშირო თეატრალურ საზოგადოებაში გამოჩენილი რუსი მსახიობი ქალის ალექსანდრა იაბლოჩინას მეთაურობით.

თეატრალურ საზოგადოებაში ჩვენი თეატრის პატივსაცემად მოსკოვის განთქმული მსახიობების მონაწილეობით გაიმართა დიდი კონცერტი. მოეწყო იქაურ მოწინავე საზოგადოებასთან შეხვედრები. ორივე აკაკის გაუმართეს შემოქმედებითი საღამო-შეხვედრები მსახიობთა სახლში, რომელიც საზეიმოდ ჩატარდა. კვლავ წვეულება, ორივე მხრიდან თბილი სიტყვები, ქართული სიმღერები, რომელსაც სთავაზობდნენ მასპინძლებს აკ. ვასაძე, უმანუილ აფხაიძე, გიორგი საღარაძე, მიხეილ ჩიხლაძე, ბანი — აკაკი ხორავა.

გაუვიმართეს კონცერტი-შეხვედრა ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში. იქ გამოვიდნენ და გვესალმებოდნენ მოსკოვის თეატრებისა და ესტრადის საუკეთესო წარმომადგენლები, გვილოცავდნენ წარმატებას, ყვავილებიც ბევრი იყო, გვიწვევდნენ სხვადასხვა რედაქციაშიც, იქაც საინტერესო შეხვედრები, საინტერესო საუბრები.

რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლებს ხელოვნების საკავშირო

კომიტეტმა და თეატრალურმა საზოგადოებამ მსახიობთა სახლში მიუძღვნა სპეციალური შემოქმედებითი კონფერენცია. მოხსენებებით გამოვიდნენ თეატრმცოდნეები: ი. ალტმანი, ი. ლუკინი, გ. ბოიაჯიევი, მ. შოროზოვი, სიტყვები წარმოთქმეს: ა. იაბლოჩინამ, მ. მიხოელსმა, ნ. ვოლკოვმა, ალ. თაიროვმა, რ. სიმონოვმა, ნ. ოზეროვმა. 1947 წლის 28 ნოემბერს თბილისში „ოტელო“ ვითამაშეთ. წინა დღეებში, ჩვეულებისამებრ, თეატრის წინ აუარება ხალხმა მოიყარა თავი. ისე მოაწვევენ რუსთაველის თეატრის ბაროკალურ კარებს, რომ შუშები მთლიანად ჩაგვილეწეს. მაყურებელი ისეთი მოუთმენლობით მოითხოვდა ბილეთებს, როგორც დამშეული პურს. თეატრში შემოცვივდა ახალგაზრდობა. მახსოვს, მეც კი, სპექტაკლის მონაწილეს, ორი საათის ლოდინი დაჰქირდა, რომ ბილეთები მიმეღო. ადმინისტრაცია იძულებული იყო ცხენოსანთა მილიცია გამოეწვია, თეატრში არც შემოსვლა შეიძლებოდა, არც იქიდან — გასვლა. მაყურებლები ქუჩაში გვიჰერდნენ, გვემუდარებოდნენ — ქალბატონო შურა, გემუდარები თქვენ უარს არ გეტყვიან, გეხვეწებით, ოღონდ დარბაზში შეგვიყვანეთ, ქანდარაზე ცალ ფეხზე დავდგებითო.

სპექტაკლმა ჩინებულად ჩაიარა. პარტერში ტიროდნენ ქალები და კაცებიც კი, ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ქუჩაში ერთი საათი გვიციდიდა თვალცრემლიანი მაყურებელი. გზადაგზა მომყვებოდნენ და მოთქვამდნენ, მეკითხებოდნენ: „ცოცხალი ხართ?“ მართლაც გასაოცარი რამ იყო!

აკაკი ხორავა წლების განმავლობაში, ყოველ სპექტაკლზე „ოტელოს“ სახეს ფსიქოლოგიურ ნიუანსებს მატებდა. ტრაგედიის მესამე და მეოთხე მოქმედებაში არაერთხელ შემინიშნავს მის ინტონაციაში, მოძრაობაში, თვალების გამომეტყველებაში, ჟესტებში ახალი სიძლიერით გამოხატული ეჭვი, შემდეგ ზიზღი, ხან მარტობის საშინელი განცდა, ხან კი სიზარული გაიეღვებდა მის თვალსა და ტუჩებზე. იმ წუთში მას სჯეროდა დეზდემონას სიმართლე და ერთგულება. აკაკის სახე შეეცვლებოდა, მკვეთრად ზურგს შემამქცევდა, ეტუობოდა, რომ ისევე ეჭვმა გაუელვა და მაშინ კი დეზდემონას შეხედავდა ისეთი გაავებული თვალებით, გაბოროტებისაგან ტუჩები აუკანკალდებოდა და მზად იყო ნაკუწებად აეკაფა. ისეთ ზიზღსა და სიძულვილს გამოხატავდა, რომ გრემის ქვეშ ვფითრდებოდი და სუნთქვა მეკვროდა. ძალზე გადამდები იყო ხორავა-ოტელოს გრძნობები.

1947 წლის 7 ივნისიდან 12-მდე მოსკოვში ვიყავით საგასტროლოდ. გასტროლები დაიწყო ი. მოსაშვილის პიესით „სადგურის უფროსი“. 8 ივლისს ვაჩვენეთ „ივანე მრისხანეს“ პრემიერა. სპექტაკლებს მოსკოვის საუკეთესო საზოგადოება ესწრებოდა. წარმატება დღითი დღე მატულობდა.

გარდატეხა მოხდა „მეფე ლიზზე“ მუშაობის დროს. აკაკი გახალისდა და რეპეტიციებზე მობილიზებული მოდიოდა. ვაჩნდა დინამიურობა, გაცოცხლდა შინაგანი რიტმი. ქალიშვილებთან ეპიზოდს უშუალობა დაეტყო. რეპეტიციებით კმაყოფილი ვიყავით, რადგან სცენებს სხვადასხვა ვარიანტით გავდიოდით, უკვე ვიპოვნეთ მთავარი გეზი.

ა. ვასაძე მოითხოვს აბსოლუტურ უშუალობას, თავისუფლებას. ხორავამ ალღო აუღო რთულ სახეს. ქალიშვილებთან დიალოგში, კენტთან სცენაში უტყუარი ტონით შეჰყვირებდა მას. შემდეგ შეყვარებას მოჰყვა ნორმალური ადამიანის ინტონაციები, მათი ცვალებადობა. აკაკი დიდი ორქოფობის შემდეგ როგორც იქნა დაკმაყოფილდა როლში აღმოჩენილით. რასაკვირველია, აკაკის არ შეუწყვეტია როლზე მუშაობა. როგორც მას სჩვეოდა ყოველ ახალ სპექტაკლში სრულყოფდა, ახალ ნიუანსებს ეძებდა როლის ინტერპრეტაციაში. ამ სპექტაკლს, რომ შეტ ხანს ეცოცხლა, ა. ხორავას ლირი ალბათ ოტელოზე არანაკლებად ძლიერი სახე გამოიძერწებოდა, სპექტაკლებში გაზრდიდა. რაც შეეხება ჩემს კორდელიას, მომიტევოს მკითხველმა, თუ მოვიგონებ პრემიერის შემდეგ, ჩემი მასწავლებლის აკაკი ვასაძის სიტყვებს: — „შურა, გილოცავ, შენ არ იცი, როგორი მომხიბვლელი სახე შექმენი, მთელ საბჭოთა კავშირში ვერავინ შექმნის უკეთესს“.

1949 წლის 11 ივლისს ბათუმში წავედით საგასტროლოდ. შესანიშნავად მიგვიღო ბათუმელებმა. იქვე ვიზიემთ ადგილობრივი თეატრის 75 წლისთავი.

1954 წელს ბევრი სტუმარი ეწვია ჩვენს ქალაქს. მახსოვს ინდოეთის დელეგაციის ჩამოსვლა... სახალხო ზეიმად გადაიქცა მათი კონცერტები ჩვენს თეატრში. მათ მოჰყვა ინდოეთის კინემატოგრაფისტთა სახელმძღვანელო ვარსკვლავები რაჯ კაპური და ნარგიზი... ისინი გვეწვივნენ თეატრში სპექტაკლ „ოტელოზე“, რაც აუწერელ სენსაციად გადაიქცა. კინოფირზე იღებდნენ სპექტაკლს. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კინოდელეგაცია მთელი შემადგენლობით ამოვიდა სცენაზე. რაჯ კაპური და ნარგიზი აცრემლებულეები გვეხვეოდნენ, როგორც ახლო მეგობრებს. ხორავა ისე ეხვეოდა სტუმრებს, რომ მისმა შავმა გრიმმა ნარგიზი და რაჯ კაპური მერებს დაამსგავსა, ჩვენც გავუმართეთ სტუმრებს ოვაცია.

იმავე კვირაში „ოტელოზე“ გვესტუმრა ინგლისელების ჯგუფი, მათ შორის ლონდონის ტელესტუდიის დირექტორი და დიდი მუსიკალური ეურნალის რედაქტორი, მათთვის ოპერის თეატრში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც ჩვენ „ოტელოდან“ მესამე აქტი გავითამაშეთ. კონცერტი, რომელშიაც გამოვიდა საუკეთესო ძალები, გადაღებული იყო ლონდონისათვის ფირზე.

1956 წლის 30 იანვარს აკაკი ხორავას 60 წლისთავზე ჩვენმა საზოგადო-

ებამ იუბილე გადაუხადა. იუბილე დიდ ზეიმად გადაიქცა. მომხსენებელი ბესო ულენტი იყო. სცენა და დარბაზი გაივსო ზეიმზე ჩამოსული სტუმრებით. ბევრი მსურველი დარბაზშია ვერ დაიტია...

ნინო ლაფაჩი

ქართული სცენის განუმეორებალი მოვლენა

აკაკი ხორავა ვაჟკაცური, რომანტიული ბუნების ადამიანი იყო — ლმობიერიც და მკაცრიც, ამასთან გულკეთილიც. რამდენი ნიჭიერი და გაჭირვებული სტუდენტისათვის გაუწევია დახმარება და თავისი ხარჯით აღუწარმია. ზოგჯერ ბავშვივით გულუბრყვილო ჩანდა, უცებ გაიბუტებოდა და ვერ გაიგებდი, რა აწყენინებდა და მერე რისთვის შეგირიგდა. იგი ყველასთან თავმდაბალი იყო, ძალზე ამხანაგური, ვერც კი იგრძნობდი, რომ შენ გვერდით ასეთი ბუმბერაზი მსახიობი იდგა. კოლექტივში ყველას უყვარდა და პატივს სცემდნენ როგორც დიდ შემოქმედს, ჩვენ ვამაყობდით, რომ ჩვენი ხელმძღვანელი იყო. მარტო ჩვენი კოლექტივი კი არა, მთელი საქართველო და სხვა რესპუბლიკები ამაყობდა მისით. მოსკოვში აკაკი ხორავა დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა. იგი უყვარდათ, როგორც უდიდესი შემოქმედი და მოაზროვნე, დიდი საზოგადო მოღვაწე, ვინ ჩამოთვლის რამდენ საზოგადოებრივ წამოწყებაში მიუღია მას მხურვალე მონაწილეობა, ამით იმდენად დატვირთული იყო, რომ თამაშს ვეღარ ახერხებდა, დრო არ ყოფნიდა, ვიცი, რომ ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა მაკბეტი ეთამაშა. არ ვიცი მოუცლევლობის გამო თუ სხვა რა მიზეზით არ ითამაშა...

1931 წელს აკაკის პარტიური გავხდი ბ. ლავრენიოვის „რღვევაში“. ტატიანას როლი სრულიად მოულოდნელად მივიღეთ თამარა ბაქრაძემ და მე, ახმეტელს უყვარდა ახალგაზრდობა და გაბედულად აწინაურებდა წამყვან როლებზე.

როგორც ცნობილია, აკაკი ხორავა კაპიტან ბერსენევს თამაშობდა, იგი განუმეორებელი იყო ამ როლში. აქ გამოვლინდა მისი უბადლო ტალანტი, ამ როლით ჩამოყალიბდა იგი როგორც გმირულ-რომანტიკული ბუნების მსახიობი. ბერსენევის სახემ განსაზღვრა მისი ამპლუა და აიყვანა შემოქმედების უმაღლეს მწვერვალამდე.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი უთამბეჭდავი გამომეტყველება ჩიბუხით ხელში, მისი დინჯი ვაჟკაცური სიარული. მახსოვს „რღვევის“ ერთ-ერთ რე-

პეტრიციაზე, აკაკი გაციებული იყო და ხმა არ ჰქონდა, ამიტომ მან ხმადაბლა დაიწყო რეპეტიცია. ახმეტელს ეს მოეწონა და უთხრა — ასე, აკაკი, ამ ტონით წაიყვან მთელ როლს. მართლაც აკაკის მთელი როლი დაბალ ტონებში მიჰყავდა, ძუნწი მოძრაობით, ღრმა გრძნობით, თავდაპირველი ტემპერამენტით. ძალიან უხდებოდა კაპიტნის ჩაცმულობა.

აკაკის ერთ-ერთი საყვარელი გმირი გახლდათ ანზორი. ეს იყო ახალგაზრდა, ლალი მთიელი კაცი. მესამე აქტში ახმა და ანზორი სიმღერით ამობოდნენ ორკესტრიდან, რომელიც ჩვენმა ბრწყინვალე მხატვარმა ირაკლი გამრეკელმა გამოიყენა ჩასასვლელ გზად. და დადგა პატარა-პატარა გორაკები, სცენაზე კი აულის ბანებიანი სახლები იდგა, სადაც დამუხრებული ქალები იყვნენ ჩამწყვირებულნი, როდესაც ანზორი-ხორავა შეიტყობდა, რომ მას ამოუწყვიტეს ოჯახი და დაარბიეს მთელი სოფელი, ეს მთა ვაჟკაცი ერთ ადგილას გაქვავდებოდა ხოლმე. მაყურებელი გრძნობდა მის სულიერ ტანჯვას, შინაგან ბრძოლას, ხოლო, როცა გადაწყვეტდა შური ეძია მტერზე. არწივივით დაჰქროდა სცენაზე და ხალხს საბრძოლველად მოუწოდებდა. ამ დროს იგი მეტად შთაბეჭდავი იყო. მაყურებელს სჯეროდა მისი, სჯეროდა ხალხის თავგანწირვისა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მეტად ეფექტურად იყო ახმეტელის მიერ გაკეთებული ეს სცენა; მთიელები, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება შური ეძიათ სოფლის დარბევისათვის, იხსნიდნენ ნაბდებს, გამარჯვების დროშებივით აფრიალებდნენ მას ჰაერში და ყვიროდნენ: „ანზორ, ანზორ. ჩვენც შენთანა ვართ“ და ელვის სისწრაფით დაეშვებოდნენ ქვევით გორაკებზე. ყოველივე ეს გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე.

ძალიან ბევრს ვმუშაობდით „ანზორზე“, მთელი დასი იღებდა მონაწილეობას, სპექტაკლი აგებული იყო მასობრივ სცენებზე. მახსოვს ისეთი შემთხვევებიც, როცა დილით მივიდოდით ხოლმე რეპეტიციაზე და მთელი დღე ისეთი შემოქმედებითი ცეცხლი ენთო, რომ აზრად არავის მოსდიოდა შეეწყვიტა რეპეტიცია. საღამოს უკვე სპექტაკლის სათამაშოდ ჩავდიოდით სცენაზე. ხშირად რეპეტიციები წარმოდგენის შემდეგაც გრძელდებოდა. უსაზღვრო იყო სიყვარული თეატრისადმი. ერთხელ კი წარმოდგენის შემდეგ იმდენად გაგრძელდა რეპეტიცია, რომ ვერც კი გავივით როგორ შემოგვათენდა.

აკაკი ერთობ მოწესრიგებული მსახიობი გახლდათ და სცენაზე რაიმე უზუსტობის დაშვება არ შეეძლო, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი შემთხვევების გამო კურონოზებისაგან არც ის იყო დაზღვეული. მახსოვს „არსენას“ ერთი წარმოდგენის დროს მოხდა ასეთი რამ: მე სპექტაკლში ნენოს ვთამაშობდი, ბოლო სცენაში, როცა ფარსადანი არსენას კლავს, კულისებში თოფი უნდა გაეარდნილიყო, ფარსადანმა თოფი ესროლა არსენას, მაგრამ თოფი არ გავარ-

აკაკი ხორავას სცენაზე შესანიშნავი პაუზები ჰქონდა, პარტნიორთან ურთიერთობა... აი, სცენა ბერთან „დიდ ხელმწიფეში“, ამაყი და მიუჯარებელი ივანე ზის ტახტზე, მხოლოდ კრიალოსანს ათამაშებს ნერვიულად. ბერი კი შეაჩვენებს მას, ამხელს... ხორავას სახე იმ წუთებში განცდათა მთელ გამას გამოხატავდა — მრისხანებასაც, სიძულვილსაც, ტკივილსაც. ვერ უძლებდა რა ტანჯვას, გაწყვეტდა კრიალოსანს და გაქვევებულ, გარინდებულ სიჩუმეში, მოულოდნელი ხმაურით ტახტის კიბეებზე ცვიოდნენ გაწყვეტილი მძივები... ხორავა-ივანე თითქოს უცებ ფიქრებიდან გამოვრკვეაო, წამოიჭრებოდა და კაცუნა ბერს ხელით ათრევდა ტახტზე, თვითონ კი ქვევიდან შესძახებდა: აბა, შენ მართე სახელმწიფო. ბერი (ნ. ჩხეიძე) მჩვრად იქცეოდა და მოიკუნტებოდა... რამდენი იყო ამგვარი სცენები აკაკი ხორავას სპექტაკლებში!

...თითქმის სამი ათეული წელი მომიხდა მუშაობა დიდი ხელოვანის გვერდით. ნებისთ თუ უნებლიეთ, მეხსიერებაში აღმებეჭვდა ბევრი რამ...

თეატრალურ ინსტიტუტში ორმოცი წლის წინათ, 1944 წელს, სრულიად ახალგაზრდა მივედი.

იმ წლებში აკაკი ხორავას სახელი გრგვინავდა. მეგობრები, ერთგულნი და მოსიყვარულენი, რასაკვირველია ჰყავდა, მაგრამ მოშურნენი უფრო მეტი, რას არ თხზავდნენ, რა ეპიგრამებს არ წერდნენ, ზოგიერთ იმ მითქმა-მოთქმის.

გამოძახილი შეიძლება დღესაც გაიგონოთ იმ ადამიანთა „ავტორიტეტულ“ მსჯელობაში, რომლებიც შესაძლოა თვით ხორავას არც კი შეხვედრიან და მხოლოდ სცენაზე უნახავთ. დიდი ხელოვანი ალბათ მტკივნეულად განიცდიდა ყველაფერ ამას. მაგრამ მუდამ სდუმდა, წუწული არ უყვარდა.

ა. ხორავა ერთდროულად იყო რუსთაველის სახელობის თეატრისა და თეატრალური ინსტიტუტის დირექტორი, ხშირად უხდებოდა ყოფნა საზღვარგარეთ, მოსკოვში... მაგრამ როგორც კი ინსტიტუტში გავრცელებოდა ხმა — „მავრი ჩამოვიდა“, ყველა სულგანაბული ელოდა მასთან შეხვედრას... იგი ჯერ თეატრში შევიდოდა, შემდეგ ინსტიტუტის სადარბაზო კარს შემოაღებდა, არასოდეს მახსოვს იგი ელევანტური (საგანგებოდ ჩაცმული ერთხელ ვნახე, ისიც მხოლოდ სურათზე. კანის ფესტივალზე სმოკინგიანი საზეიმოდ გამოიყურებოდა), მარტო იმიტომ კი არა, რომ ომი იყო და ყველა საერთოდ ცუდად იყო ჩაცმული, მას თავისი გარეგნობა სულაც არ აინტერესებდა, ის გასლდათ აკაკი ხორავა და ეს ყველაფერს ნიშნავდა. ფეხზე მეთხილამურეების სქელ-ლანჩიანი ფეხსაცმელი ეცვა, ლურჯი „კოვბოიკა“ (მაშინ ეს ძალიან იყო მოდაში). თუთუნი კბილის ფხვნილის კოლოფში ეყარა. სიარული ჰქონდა მსუბუქი, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდა და ყველაზე ლამაზი, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანდა...

თითქოს იშვიათად მოდიოდა ხოლმე ინსტიტუტში ბატონი აკაკი, მაგრამ ისე იყო აწყობილი საქმე, რომ მისი იქ არ ყოფნა არ ეტყობოდა. სტუდენტის მიერ არა მარტო გაცდენა, დაგვიანებაც კი „განსაკუთრებული ამბავი“ იყო... იწყებოდა „საქმის“ გამოძიება, გარკვევა, დასჯა, შემდეგ კი სასჯელს თვითონვე ბატონი აკაკი ხსნიდა, განსაკუთრებით თუ ნიჭიერ ადამიანთან ჰქონდა საქმე. დიდ ყურადღებას აქცევდა სტუდენტთა გარეგნობას, ვერც ერთი სტუდენტი ინსტიტუტში ვერ შემოხვდავდა შემოსვლას გაუპარსავი, ულვაშებს მაშინვე აპარსინებდა და თან ეუბნებოდა — „სახე მსახიობის დაზგაა, თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ პროფესიონალები ხართ“... ა. ხორავასთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსახიობის ზნეობრივ მწარეს, ჩვენს ინსტიტუტზე ამბობდნენ: ეს დიდი მონასტერიაო...

ბატონ აკაკის ერთი იშვიათი და დიდად დასაფასებელი თვისება ჰქონდა — არ ეშინოდა თავისი შეცდომის აღიარება და მისი გამოსწორება... ეს, პირველ რიგში, მის შემოქმედებაში ჩანდა. ა. ხორავას თითქმის ყოველთვის ჰყავდა დუბლიორი და თუ დაინახავდა, რომ მას როლი არ გამოუვიდა, თავს ანებებდა, და აღარასოდეს უბრუნდებოდა მას.

მახსოვს, როგორი ენთუზიაზმით მოკიდა ხელი მან გლუმოვის როლს დიმი. ალექსიძის დადგმაში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“. ინსტიტუტის ბიბლი-



ავაკი ხორავა



სანდრო შანშიაშვილი, აკაკი ხორავა, სანდრო ახმეტელი 20-იანი წლები

აკაკი ხორავა (მესამე რიგში მეხუთე მარჯვნიდან) და სანდრო ახმეტელი (მეორე რიგში მეოთხე მარჯვნიდან) რუსთაველის თეატრის მსახიობებთან და თანამშრომლებთან, 20-იანი წლები.





თამარ ქავკავაძე, სანდრო
ახმეტელი, აკაკი
20-იანი წლები



ა. ხორავა, ს. ახმეტელი, დ. ჩხეიძე,
თ. ქავკავაძე. 30-ნი წლები.



თემური, ა. ხორავას და ნ. ალექსი-მესხიშვილის შვილი. გარდაიცვალა 1930 წ.

ნინო ალექსი-მესხიშვილი და აკაკი ხორავა.
1930 წ





ა. ხორავა თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგებსა და კურსდამთავრებულებთან ერთად. 40-იანი წლები.



აკაკი ხორავა და მელეა ჩახავა
40-იანი წლები.




ა. ხორავა ყვარელში კ. მარჯანიშვილის 90
წლის იუბილეზე, 1962 წ.

აკაკი ხორავა და ნიკოლოზ ჩერქასოვი ფრანგ
ლეგობრებთან საერთაშორისო კინოფესტივალზე.
საფრანგეთი, 60-იანი წლები.





ალექსანდრა იაბლოჩინა
 ილოცება აკაკი ხორავას
 მის შემოქმედებით სალა-
 მოზე, მოსკოვი, მსახიობთა
 სასლი, 1965 წ.



აკაკი ხორავა, შალვა ამი-
 რანაშვილი, კონსტანტინე
 გამსახურდია, 60-იანი წ.
 ბოლო.



ს ს ე დ ა ნ აკაკი ხორავა, ბესო ვლენტი, ვასო გომიაშვილი. დგანან: დიმიტრი მშვილდაძე, პა
ბეილ დავითაშვილი. ნონა გაფრინდაშვილი, მუხუბტი ზაქარიაძე, დავით თორაძე. ევგენია გო-
ძიაშვილი. ლიკანი, 1965 წ.

ოთეკაში, რომელიც ჩვენთვის ერთგვარი კლუბივით იყო, ისხდნენ: რუსუდან მიქელაძე, დეიდა ლიზა არჯევანიძე, გიორგი ტოვსტონოგოვი. მე კუთხეში წიგნების თაროსთან ვიყავი მიმჯდარი და ყურადღებით ვუსმენდი მათ კამათს. აკაკი ხორავა ტოვსტონოგოვს უმტკიცებდა, რომ გლუმოვი უარყოფითი ტიპი არ არის, რომ ის ერთგვარი მამხილებელია, ჩაცკისეული ტიპია, რომელიც აღსდგა მამავეებისა და კრუტიცკების საზოგადოების წინააღმდეგ. ბატონი გიორგი ამბობდა, რომ გლუმოვი ავანტიურისტია, ამ საზოგადოების პროდუქტი, ადამიანი, რომელიც ე. წ. მაღალი საზოგადოების ნაკლოვანებებს თავის სასარგებლოდ იყენებს, რათა გახდეს ამ საზოგადოების სრულფუნქციანი წევრი, მიღწიოს სიმდიდრესა და მდგომარეობას ყოველგვარი ხრიკის საშუალებით. მოკამათები ვერ შეთანხმდნენ, ვერ დაარწმუნეს ა. ხორავა მის შეცდომაში. დადგა პრემიერის დღე; ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ხორავას გლუმოვი ეწინააღმდეგება ავტორის აზრს, იდეას, რეჟისორის ჩანაფიქრს, რომ არღვევს ნაწარმოების მთელ კონცეფციას და... ხორავა მიხვდა, უარი თქვა როლზე და გადასცა გ. ჯეგუჟკორს. რომელსაც ინსტიტუტში უკვე ბრწყინვალედ ჰქონდა შესრულებული, მართლაც იგი შესანიშნავი გლუმოვი იყო.

მაგონდება „მეფე ლირის“ პრემიერა. ცნობილია, რომ ეს როლი აკ. ხორავას ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში უშედეგოდ მოუხინჯავს და აი, „ლირი“ აკ. ვასაძის დადგმით.

სცენაზე იდგა უსაშველოდ დიდი „საოპერო დეკორაციები“, რომლებიც პირდაპირ ნთქავდნენ მსახიობებს. ხორავა თეთრ სამოსში, გრძელი თეთრი წვერით ღმერთის იელოვას გაპოსახულებას მაგონებდა. ამ დადგმაში ყველაფერი ყალბი იყო, ყალბი ოჩოფეხებზე შემდგარი. როდესაც კულისებში შევიხედეთ. ხორავა ცრემლს ვერ მალავდა.

ლირს იგი აღარ დაბრუნებია. ამბობენ ომის წლებში თბილისში ყოფნისას ვ. ი. ნემიროვიჩი-დანჩენკო ფიქრობდა მისი მონაწილეობით ამ სპექტაკლის დადგმას...

აკაკი ხორავა სამსახურში მკაცრი იყო, მაგრამ ამავე დროს, იგი ახალგაზრდების მიმართ მამსავეით მზრუნველი და ყურადღებიანი გახლდათ. ყოველ ჩასვლაზე ნოსკოვში იგი საკუთარი ჩიბიდან ფულს უტოვებდა იქ მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, თბილისშიც, ზოგს ფუნსაცემელს უყიდდა, ზოგისთვის გარდერობიდან პალტოს ან კოსტიუმს მიაცემინებდა ხოლმე, ზოგს ჩიბეშა ფულს ჩაუდებდა და როცა მადლობას ეუბნებოდნენ, ბატონი აკაკი მაშინვე გარბოდა — „Хорошо, хорошо... გეყოფა, კაცო...“ სამწუხაროდ, ყველას არ ანსოვს სიკეთე...

მანსოვს ასეთი შემთხვევა — რუსთაველის თეატრის ხანძრის შემდეგ ინს-

ტიტუტი პლენანოვის პროსპექტზე გადავიდა. ერთ-ერთ სკოლაში მოგვათავსეს, რუსთაველის თეატრი კი კონსერვატორიის შენობაში საოპერო სტუდიის სცენაზე მართავდა წარმოდგენებს. ა. ხორავას, თეატრის დირექტორის რეზიდენციაც ამავე შენობაში იყო. იგი თავდადებითა და ბევრს მუშაობდა. ვილაციის ავმა ენამ ჩააგონა ბატონ აკაკის, რომ რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი, კეთილი, ნათელი ადამიანი ეკატერინე კელია, რომელიც რიტმიკაში ასისტენტად მუშაობდა ამ საგნის სპეციალისტ ვ. ბენდეროვიჩ-ჟღენტთან, თითქოს არ ამართლებდა მასზე დამყარებულ იმედებს, არ ვარგოდა პედაგოგად. აკ. ხორავამ, როგორც მას სჩვეოდა, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ბრძანა გაეთავისუფლებინათ კელია სამსახურიდან.

ინსტიტუტში მოვედი და ყველა დაბნეული და შეწუხებული დამხვდა — ყველამ იცოდა კელიას მძიმე ეკონომიური პირობები, ზრდიდა თავის პატარა გოგონას. ძალიან უჭირდა. ამ გარემოებით ყველა აღშფოთებული იყო, თვით აკ. ფალავაც კი, მაგრამ ვერაფერს გაუბედა აკ. ხორავას ეთქვა მისთვის სიმართლე. მე, როგორც პარტორგანიზაციის მდივანს, დამავალეს მასთან საუბარი. ისევე როგორც სხვებს, მეც ძალიან მერიდებოდა მეთქვა ბატონ აკაკისთვის, რომ არ იყო იგი სამართლიანი, მერიდებოდა კი არა, მეშინოდა — აბა, წარმოდგინეთ იგი, თეატრის აღიარებული კერპი და მე...

ავდექი და პირდაპირ შევედი კაბინეტში. ვუთხარი: „ბატონო აკაკი, კატიუშა კელიას ირგვლივ თქვენ არასწორი ცნობები მოგაწოდეს...“ მან წარბები შეიკრა და ცივად მიპასუხა — „როგორ არასწორი, თვით ვალენტინამ მითხრა, თავის საქმეს თავს ვერ ართმევსო“. მე უფრო „გავთამამდი“ და ისევე ცივად მივუგე: ეს ასე არ არის-მეთქი და მოვუყევი როგორ ექცეოდა ვალენტინა ბენდეროვიჩ-ჟღენტი ე. კელიას, ცეკვის მასწავლებელს ვ. გამსახურდიას; ის, რომ სტუდენტებს ჯოხს ურტყამდა ხელებზე... ბატონი აკაკი ყურადღებით მისმენდა, ვკრძნობდი, რა მრისხანება მოაწვა, როდესაც დავამთავრე, უცებ იყვირა — „Позвать Валентину Жгенти!“ ისიც მალე შეიყვანეს. კაბინეტში რა ილაპარაკეს, არ ვიცი, მაგრამ ამ ამბის შემდეგ ვ. ბენდეროვიჩ-ჟღენტი ჩვენგან წავიდა და რიტმიკის სწავლება დიდის მონდომებითა და თავდადებით განაგრძეს ვ. გამსახურდიამ და ეკ. კელიამ. პედაგოგებსა და სტუდენტებს ე. კელია ძალიან უყვარდათ, მართლაც სიკვდილამდე იგი ჩვენი კოლექტივის საყვარელი წევრი იყო.

ბატონი აკაკი რამდენადაც მკაცრი და მომთხოვნი იყო, იმდენად ბავშვით მიმნდობი, მხიარული და დაუღეგარი ჩვეულებრივ პირობებში.

ჩვენი კოლექტივის წევრები მაშინ ხშირად ვიკრიბებოდით ქალბატონ რუსულან მიქელაძისა და ვალენტინა გამსახურდიას ბინაში. რა სასიამოვნო და

დაუფიწყარი იყო ეს სადამოები: ა. ხორავა, დ. ალექსიძე, გ. ტოვსტონოგოვი იწყებდნენ კამათს მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის საკითხებზე, ამ კამათში ვ. კვაჭაძე, მ. თუმანიშვილი, აკ. დვალისხილი (მაშინ უკანასკნელი კურსის სტუდენტები) ჩაერთვებოდნენ ხოლმე. ლაპარაკი იყო მუსიკაზე, სახვით ხელოვნებაზე, პოეზიაზე. ქალბატონი რუსულად იგონებდა თავის საყვარელ ბლოკს, გუმბელეს, ანმატოვას... იყო ლექსების კითხვა, შეჯიბრი, ვსვამდით „საავარიო ყვას“, როგორც მას ქალბატონი რუსულად ეძახდა (სხვა რას იშოვიდით ომის შემდგომ პირველ წლებში), და დაუსრულებელი ბასი, შეჯიბრება გონებასახეილობაში... ყველა ამ შეხვედრაში ბატონი აკაკიც, რა თქმა უნდა, თუ დრო ჰქონდა, მონაწილეობდა.

ბატონ აკაკის ერთობ უყვარდა ჩვენი ინსტიტუტი, ამაყობდა მით, ამიტომ უოველ სადიპლომო თუ საკურსო სპექტაკლს დიდ ზეიმად აქცევდა. სტუმრებს ხვდებოდნენ სტუდენტები. ჩვენი სტუმრები ინტელაგენციის საუკეთესო წარმომადგენლები გახლდნენ; მას ხშირად მოჰყავდა: გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, კ. გამსახურდია, ი. აბაშიძე, ბ. ჟღენტი და ყველა თბილისში ჩამოსული სტუმარი: ნ. ტინონოვი, კ. სიმონოვი, რ. გამზათოვი, ს. ვურგუნი და სხვანი; ინსტიტუტის არქივში შემონახულია ამის დამამტკიცებელი უნიკალური ფოტოები...

1945 წელს ბატონ აკაკის 50 წელი შეუსრულდა. იგი ლენინის ორდენით დაჯილდოვეს. ეს სასიხარულო ამბავი რომ გავიგეთ, ინსტიტუტში გადაწყვიტეთ შეხვედრა მოგვეწყო. აპრილის თვე იყო, მოიტანეს უამრავი ყვავილი... იასამანი, იები და დიდი დაწული კალათები. მაშინდელ მეცხრე (ამჟამად ა. ხორავას სახ.) აუდიტორიაში, დიდი მრგვალი მაგიდა გვაწყვეთ ტკბილეულით. ქალბატონმა რუსულადნა მთლად დაგვიმშვენა სუფრა სახლიდან მოტანილი საგანგებო ჭურჭლით, ყვავილებით, ბატონმა აკაკიმ არაფერი იცოდა. ინსტიტუტში მისვლამდე, როგორც ყოველთვის, თეატრში შევიდა. ინსტიტუტიდან დაურეკეს თეატრის მაშინდელ დირექტორს პ. მურაღლიას, ვიდრე არ შეგატყობინებთ, ხორავა თეატრიდან არ გამოუშვათ. ამასობაში ჩვენი სტუდენტები იასამნებით ხელში გრძელი კიბის გასწვრივ განლაგდნენ, პედაგოგები და თანამშრომლები ზევით უკანასკნელი სართულის კარებთან ელოდნენ, ქვევით ჩავიდნენ გ. ტოვსტონოგოვი და ვ. კვაჭაძე (მაშინდელი კომპაგშირის კომიტეტის მდივანი). როცა ბატონი აკაკი შემოვიდა, მოულოდნელობისაგან შეცბა, დაბნეულად შეხედა „დელეგაციას“. მას სიტყვით მიმართეს გ. ტოვსტონოგოვმა და ვ. კვაჭაძემ, მიულოცეს და როცა კიბეზე ამოსვლა დაიწყო, სტუდენტები ყვავილებით მიეგებნენ, გარს ეხვეოდნენ... ასეთი აღელვებული ბატონი აკაკი არასოდეს მინახავს, როცა სუფრა დინახა, მივიდა, ჭიქა ასწია,

ყველას მადლობა მოახსენა, ცოტა ხნის შემდეგ კი პედაგოგებს სთხოვა სტუ-
დენტებთან დამტოვეთო და დაიწყო საინტერესო საუბარი. რა დიდი, ძალზე
დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა ასეთ აღამიანთან ახალგაზრდე-
ბის შეხვედრას! ასეთივე დაუვიწყარი იყო გამარჯვების დღე 1945 წლის 9 მა-
ისი... რა საღამო მოეწყო ინსტიტუტში... რამდენი სიხარული... ცეკვა, სიცილი
და ყველგან, ახალგაზრდებთან ერთად იყო მკაცრი და კეთილი აკაკი ხორავა,
ჩვენი დაუვიწყარი „მავრი“.

ახალგაზრდობა მას საოცრად უყვარდა, რარიგ ამაყობდა ნიჭიერი რეჟი-
სორებით; მ. თუმანიშვილით, ა. დვალისშვილით, ინსტიტუტის დამთავრებისთა-
ნავე პირდაპირ თეატრში წაიყვანა, დადგმები შესთავაზა...

ალტაცებული იყო ს. ყანჩელის, მ. ჩახავას, გ. გეგეპკორის, ე. მანჯგალა-
ძის ნიჭით! ჩემი ყურით მომისმენია რა დიდი სურვილი ჰქონდა ე. მანჯგალაძე
მისი შემცველი ყოფილიყო ქართულ სცენაზე — „მე თვითონ ვიმუშავებ
მასთან ოტელოს როლზე“ — ამბობდა იგი...

ბატონ აკაკის არ უყვარდა მისი თანდასწრებით თუ ვინმეს გააკილავენენ,
აღმერთებდა ს. ახმეტელის ნიქს. ბავშვივით უხაროდა ე. ანჯაფარიძის, გ. შავ-
გულიძის, ა. ვასაძის ან სხვა თავისი კოლეგის წარმატება. პირადად გამიგონია,
როდესაც ამბობდა — „ვასო გოდიაშვილი უნიჭიერესი მსახიობია, ასეთი მსა-
ხიობი ჩვენ არა გვყავს“. ამავე დროს მან იცოდა სპექტაკლის ნაკლის დანა-
ხვაც. იგი არ ღებულობდა სიყალბეს, პრესაში აქტიურად გამოდიოდა თეატ-
რის მოქალაქეობრივი ფუნქციის, ჰეროიკული თეატრის პრინციპების დასაცა-
ვად.

ბატონი აკაკი ყველას ძალიან გვიყვარდა, თუმცა ვერიდებოდით. იმ ხა-
ნებში თბილისში მანქანა იშვიათად ჰყავდა ვინმეს, ამიტომ სამეცნიერო საბ-
უქოს, ან რაიმე კრების დამთავრების შემდეგ, ქვევით რომ ჩავიდოდა, ბატონი
აკაკი მანქანის კარს გააღებდა და გვეუბნებოდა: „აბა, ვინ მოდიხართ ჩემ
მხარეს, დასხედით!“ მის მხარეს მე და ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის მდი-
ვანი გოგუცა აბაშიძე ვცხოვრობდით, მერიდებოდა, მაგრამ ისე შემომყვირებ-
და ხოლმე, რომ ჩუმად ვჯდებოდი მანქანაში. ერთხელ მოგვიბრუნდა და „ან-
ზორი“ გაიხსენა — „ოი, დედასა როგორ დაგებრდი, მანქანაში ჩაჯდომა მი-
ჭირს, „ანზორში“ კი ჩიტივით ვხტებოდი სახურავიდან სახურავზე, დღესაც
მიყვირს როგორ ვახერხებდი იმ ნახტომებს?!“..

ბატონ აკაკიზე ბევრი რამის მოგონება შეიძლება. მახსოვს, მისთვის ჩვე-
ული გატაცებითა და დაუცხრომელი ენთუზიაზმით, როგორ შეუდგა იგი სა-
ქართველოს თეატრალური საზოგადოების აღდგენის საქმეს, ჩვენ ტექნიკურ
სამუშაოს ვასრულებდით, იგი გვახალისებდა, გვაქეზებდა, უხაროდა, სავსე

იყო გეგმებით. შემდეგ, როცა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გახდა, დამიბარა და მითხრა: „გინდა კიევში, ყრილობაზე წასვლა, წადი და თავი დაბლა დაუქარი კიევის უნივერსიტეტს, მე ხომ იქ ვსწავლობდი“...

მე მართლაც წავედი კიევში, მისი თხოვნაც შევასრულე და აი, უკვე თითქმის ოცდაათი წელია უკრაინულ-ქართული თეატრალური ურთიერთობების საკითხებზე ვმუშაობ, შევისწავლე ბატონი აკაის უკრაინაში ცხოვრების პერიოდი, გამოვაქვეყნე უცნობი დოკუმენტები.

უკრაინაში ა. ხორავას უდიდეს პატივს სცემენ, მისი დიდი მეგობრები იყვნენ საბჭოთა თეატრის ოსტატები სსრკ სახალხო არტისტები: ა. ბუჩმა, მ. კრუშელნიცკი, ნ. უჟვი, გნატ იურა.

როდესაც უკრაინულ-ქართულ თეატრალურ ურთიერთობათა შესახებ მონოგრაფიაზე ვმუშაობდი, გარდაცვალებამდე რაღაც 2—3 თვით აღრე შევხვდი ავადმყოფ გ. იურას. დიდი რეჟისორი დიდხანს მელაპარაკა ა. ხორავას შესახებ, მითხრა, რომ საუკუნეები უნდა გავიდეს, რომ ისეთი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი შექმნას ბუნებამ, გამიძხილა, რომ ძალიან უნდოდა ხორავასთან მუშაობა, მისი მიწვევა უკრაინაში, შემდეგ ამ მეგობრობის დამამტკიცებელ უაღრესად საინტერესო მასალებს ა. ხორავას არქივშიც გავეცანი... ხორავა და უკრაინა, ხორავა და რუსული თეატრი ეს ცალკე გამოკვლევის თემაა...

მაგონდება ის საშინელი ხანძარი, რომელმაც უღმობელი სისასტიკით ჩავერფლა რუსთაველის სახელობის თეატრის შესანიშნავი დარბაზები...

როდესაც თეატრი დაიწვა, ბატონი აკაი მოსკოვში იყო. ინსტიტუტში რომ მივევარი ყველა თავზარდაცემული ტიროდა. როდესაც მეხანძრეებმა ნება მოგვცეს, ზევით ავედით, აუდიტორიები ნამწვავებითა და ნანგრევებით იყო სავსე, წყალი იყო ჩამდგარი უძვირფასეს როიალებში, ირგვლივ ბათქაში, დამწვრის სუნი... ჩვენი შესანიშნავი ბიბლიოთეკა — წიგნები სველი, დამწვარი იატაკზე ეყარა, დავიწყეთ მათი გადაჩვენა იმ იმედით, რომ რაიმეს გადავარჩენდით და ყველას ერთი აზრი გვაწუხებდა — „რა დემარტება ბატონ აკაის, მას ხომ ერთბაშად დაეწვა თეატრიცა და ინსტიტუტიც“... უცებ ჩურჩული გაისმა: „მავრი მოდის!“ ყველა კედელს გავეკარით, ვცდილობდით თვალში არ მოვხვედროდით. ბატონი აკაი წინ მოდიოდა, სახე სულ შავი ჰქონდა, თვალები დაწითლებული. მისთვის ჩვეული მსუბუქი ნაბიჯებით ჩაიარა, უკან მოჰყვებოდა ხელოვნების სამმართველოს უფროსი ისიდორე დოლიძე და დანარჩენი ამაღა, ჩვენ შორიახლო გავყევით.

ბატონი აკაი პირდაპირ ა. ფალავას კაბინეტისკენ წავიდა. კაბინეტის კარი ღია იყო, ხორავასკენ ზურგით იდგა მეხანძრე, ხელში ტოლჩა ეჭირა და

მწარე სიცილით წამოიძახა: — „ამოდენა შენობა დაიწვა, ამდენი რამ დაინგრა და ეს ტოლჩა რამ გადაარჩინა!“ უცებ გაისმა აკაი ხორავას ყვირილი: „რა გაცინებს, რა გიხარია!!!“... ასეთი ხმა არასრდეს მსმენია. ამ ხმაში ისეთი აღმფრთვობა, რისხვა და აუწყრელი ტკივილი ისმოდა, რომ ყველა გაშეშდა, ხმა ვერ ამოიღო.

ხორავა უცებ შემობრუნდა და სწრაფად ჩავიდა კიბეებით თეატრის ქანდარანზე, ჩვენი გავყევით და რაც იქ ვნახეთ, ღმერთმა მტერსაც ნუ აჩვენა — ჩამოქცეული და ნაცარტუტად ქცეული ჭერი, ერთ-ორ ადგილას რალაცნაირად ეკიდა ამური, დარბაზისა და სცენის მხოლოდ აგურებიდა ჩანდა, იდგა საშინელი ამწვრის სუნი. ხორავა გარინდებული იდგა, სიბნელეში მისი სახე არ ჩანდა, ხმას არ იღებდა, შემდეგ როგორღაც ამოიკენესა... ჩვენი ცრემლები წაგვსკდა. ვტიროდით ყველა... ის უცებ შემოტრიალდა და წავიდა...

მაგრამ რა ბედნიერი იყო, როცა თეატრი აღადგინეს. ცოტა ვინმემ თუ იცის რამდენი ჯანმრთელობა, სიცოცხლე შეაღია ა. ხორავამ საყვარელი თეატრის აღდგენას, იმ, ისედაც შიმე, ომის შემდგომ წლებში რაიგ ჭირდა ყველაფრის შოვნა. ერთხელ, სპეციალური საღებავის, ოქრას საშოვრად მოსკოვში მოუხნა გაფრენა, ძალზე იღლებოდა, მაგრამ ენერგიით იყო სავსე, უსაროდა რომ იშოვა მანქანები, განათების აპარატურა... არ შეიძლება დიდი მადლობის გრძნობით არ გავიხსენოთ ჩვენი ძვირფასი ბატონი აკაი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის იმაში, რომ ერთ წელიწადში ყოფილიყო აღდგენილი ასეთი დიდი შენობა.

როდესაც ყველაფერი დამთავრდა, ერთხელ ბატონმა აკაიმ მე და ჩემს ამხანაგებს გვითხრა: „წამოდიო, გოგოებო, არ გინდათ ახალი თეატრის ნახვა?!“... უნდა გენახათ რა ამაყად მიაბიჯებდა ბატონი აკაი, როგორ უბრწყინავდა თვალები, ავიყვანა სცენაზე, მერე ქვევით, სადაც მექანზმია ისე ღრმად, რომ მიწაში რამდენიმე სართული იმალებოდა. შემდეგ ისევ ამოვედით, დარბაზში შევედით და უცბად სიცილით მოგვიბრუნდა: „ჰა, გაბედეთ, პირველები დასხედით სავარძლებში, ახალ სავარძლებში!“.. ჩვენც დიდი მოწიწებით დავეშვით ყავისფერ ხავერდგადაკრულ სავარძლებში, ვამაყობდით (თან გვიხაროდა), რომ პირველებს მოგვეცა უფლება შეგვეხედა განათებული სცენისთვის, დავმტკბარიყავით ახალი ქალების სილამაზით... ვუყუარებდით და უსაზღვროდ გვანარებდა ჩვენი თეატრისა და ჩვენი ინსტიტუტის განახლება...

გავიდა წლები... ბატონმა აკაიმ ინსტიტუტის ღირებურობას თავი დაანება, შემდეგ თეატრის ხელმძღვანელობასაც ჩამოსცილდა... იგი გულჩათხრობილი იყო. სამოცი წელი რომ შეუსრულდა, ჩვენმა ოჯახმა დიდი კალათი გავუ-

გზავნეთ და თბილი წერილი მივაცოლოთ. შემდეგ იგი მადლიერებით ივანებდა ამას. ჩემი მეუღლე ვახტანგ გოციელი ბატონ აკაკის ძალიან უყვარდა.

მას დიდად ახარებდა როგორც ჩემი, ისევე სხვა მის ხელში წამოჩიტული ახალგაზრდების ბედი.

მაქვს მის მიერ ნაჩუქარი სურათი — ოტელო უკანასკნელ აქტში ჩემთვის უძვირფასესი, სამაყო წარწერით: „ნადიას, საყვარელ დას, წარმოდგენელ ადამიანს, ჭკვიანს, გულისხმიერს, ჩემს დიდ მეგობარს“. აკაკი, 10/XII 66 წ.

რეჟისორმა მიხეილ ქიაურელმა ბატონი აკაკის მონაწილეობით გადაიღო ფილმი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავს!“. გავიგეთ, რომ გადაღებისას ბატონი აკაკი ფაიტონიდან გადმოვარდნილა, მაგრამ მაინცდამაინც მძიმედ არ დაშავებულა.

ბატონი აკაკის ჯანმრთელობა კი უფრო და უფრო უარესდებოდა. საბედისწერო სენი თავს იჩენდა. მე და ჩემი მეუღლე მივედით საავადმყოფოში. ძალზე გამოცვლილი გვეჩვენა. სახე აქერცილილი ჰქონდა, თვალები ჩაწითლებული. ბატონმა აკაკიმ ჩემი მეუღლე გვერდზე გაიყვანა და უთხრა: — „ვახტანგ, ხომ იცი როგორ მიყვარხარ და მჭერა შენი, როგორც ექიმისა და როგორც მეგობრის, მითხარი რა მაქვს, ესენი სულ მატყუებენ, თუ კიბოა, მითხარით სიმართლე, მე ვაუკაცი ვარ და ვაუკაცურად შევხვდები ამ ამბავს, დამიჭერე“... ვახტანგმა, რომელმაც, რასაკვირველია იცოდა დიაგნოზი (ლიმფური ჯირკვლების სიმსივნე), უთხრა: „აქ თქვენ არაფერს მოგაკლებთ, მაგრამ გირჩევთ მოსკოვში წახვიდეთ“. ბატონი აკაკი მეუღლის თანხლებით გაფრინდა მოსკოვს. აეროპორტში სულ რამდენიმე კაცმა გააცილა. თეატრიდან არცერთი არ ყოფილა. ამის შემდეგ თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთ პლენუმზე პატივცემული ბესარიონ ქლენტი გამოვიდა მისთვის ჩვეული მღელვარებით სავსე სიტყვით და უსაყვედურა თეატრის კოლექტივს: „არა გრცხვენიათ, რამ დაგაგლახავათ ისე, რომ ის კაცი სიკვდილში მიმავალი ერთმაც არ გააცილეთ“...

ბატონ აკაკის ოპერაცია გაუკეთეს, უკეთ გახდა. დაბრუნდა თბილისში. დავხვდით სადგურზე ყვავილებით, შეძახილებით, ამჭერად თეატრიდანაც ბევრნი იყვნენ... ბატონი აკაკი იმდენად კარგად გახდა, რომ დაიწყო მუშაობა ინსტიტუტში. იმჟამად უცნაური კამათი გაიმართა პრესაში მეგერელებისა და სვანების ქართველობის შესახებ. რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში დიდი სხდომა იყო. როდესაც სხვებთან ერთად ბატონი აკაკი გამოჩნდა სცენაზე, პრეზიდენტში, დარბაზი ფეხზე ადგა და მხურვალე ოვაციები გაუმართა სიცოცხლედაბრუნებულ საყვარელ მსახიობს. ბატონმა აკაკიმ სიტყვა წარმოთქვა ამ სხდომაზე, მახსოვს მისი აღშფოთება — „მე, ბატონებო, მეგერე-

ლი ვარ, ქართველი ვარ და მთელი სიცოცხლე ქართველი დეარჩები... ხალხო, რა გემართებათ... რა დროს ჩვენი ქართველობის დადგენის დროა... არა გრცხვენიათ?!...“

ბატონი აკაკი მუშაობდა, ებრძოდა ავადმყოფობას, ებრძოდა სიკვდილს. დიდ ზეიმად გადაიქცა მისი დაბადებიდან 70 წლისთავის იუბილე. ვინ არ ჩამოვიდა ამ იუბილეზე, რა სიტყვებით არ მიმართეს, რით არ შეამკეს, მაგრამ იყო ამ ზეიმში რაღაც დაფარული სევდა მოახლოებული დასასრულის წინათგრძნობა...

უკანასკნელად ბატონი აკაკი „ლალატში“ ვნახე კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის სცენაზე. სპექტაკლს დგამდა გ. ლორთქიფანიძე. რუსთაველის თეატრიდან ფაქტიურად უკვე წასულ აკ. ხორავას მან შესთავაზა ოთარბეგის როლი თავის დადგემაში მარჯანიშვილის სახ. თეატრში. ბატონ გიგას ამით სურდა იმედი მიეცა მსახიობისთვის, გაემხნევებინა იგი. ხორავა დიდხანს არ თანხმდებოდა. ყველა ვარწმუნებდით უარი არ ეთქვა ამ წინადადებაზე, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, მაგრამ ვაი, რომ თავად უკეთ იცოდა თავისი მდგომარეობა, ჩვენ კი, კვლავ ილუზიებით ეცხოვრებდით, ვერ წარმოგვედგინა რას შეეძლო ამ დიდი მუხის წაქცევა?!.

არასოდეს დამავიწყდება „ლალატის“ პრემიერა, დარბაზი გაქვდილი იყო, ბატონი აკაკი საშინლად ლელავდა, თამაში უჭირდა, სცენაში, როცა ოთარბეგი მუხლს იყრის ზეინაბის წინაშე, იგი ვეღარ წამოდგა, ქალბატონი ვერაიკო, რომელიც დედოფალს თამაშობდა, თითქმის გულწასულბ მიეხმარა ბატონ აკაკის წამოდგომაში...

დამთავრდა წარმოდგენა... დარბაზში არავის უთქვამს აუვი... ყველა დაძაბული და გაოგნებული იყო, ყველას ესმოდა, რომ ეს საღამო დიდი მსახიობის თეატრთან და ცხოვრებასთან გამოთხროვების მწუხარე საღამო იყო... ფარდის წინ გამოვიდნენ მსახიობები... დარბაზმა ოვაციბა გაუშართა ა. ხორავას. მან ხელის მოძრაობით გააჩერა მაყურებელი და გამოსამშვიდობებელი სიტყვით მიმართა დარბაზს... იმ სამარისებურ სიჩუმეში ისმოდა ბატონი აკაკის მძიმე სუნთქვა... მან მწუხარედ თქვა: „მე ცუდად, ძალზე ცუდად ვთამაშობდი დღეს. გთხოვთ მაპატიოთ, მაპატიოს ჩემმა დიდსულოვანმა მაყურებელმა... მე მესმის თქვენი ტრამის აზრი და შინაარსი, მაღლობელი ვარ, რომ მამხნევებთ... მაპატიეთ“...

აკაკი ზორავა უკვე ისტორიას ეკუთვნის, ქართველმა ხალხმა იგი მთაწმინდაზე იყვანა, ქართველი კაცის სულიერი სიწმინდის სიმბოლეს აზიარა... აღბათ ვაგა საუკუნეები, ვიდრე ასეთი ხმის, ტემპერამენტის, შინაგანი ძალისა

და ასეთი ფაქტურის ხელოვანი მოვა სცენაზე, ხორავა კი განუმეორებელი დარჩება. ხორავა ერთადერთი იყო და არასოდეს არ ყოფილა „მეორე“...

ვათვალისწინებ მის წერილებს, მის ნაჩუქარ ბატარა სუვენირებს, ფოტოებს და ბედნიერი ვარ იმით, რომ ოდნავ მაინც ახლოს ვიყავი დიდი ხელოვანის ცხოვრებასთან, ბედნიერი ვარ მისი კეთილი, მეგობრული დამოკიდებულებით, მაღლიერი ვარ იმ ადამიანური სიკეთისთვის, რომელსაც ის უხვად ურიგებდა ადამიანებს და, რომელიც მეც ვამინაწილა... ხორავა კი, ხორავა დარჩება თეატრალურ ლეგენდად ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ისტორიაში. ეს მტკიცედ მწამს.

გიორგი ბაგვაძორი

მისი სახე ცოცხლობს მაყურებელთა ხსოვნაში

ქართული თეატრის ტიტანთა შორის აკაკი ხორავას ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილი უკავია.

იჩო, კარლ მოორი, ბერსენევი, ანზორი, პლატონ კრეჩეტი, არსენა, ოტელი, დიდი ხელმწიფე, გენერალი მურავიოვი, ოიდიპოსი... და მაინც ყველაზე დიდი საოცრება მისი ოტელო იყო.

აკაკი ხორავამ ოტელო პირველ წარმოდგენებზე ვერ მოდრიკა. მერე კი თანდათან მეთოდურად დაიწყო და უმალეს მწვერვალზე აიყვანა. შეიძლება ითქვას, რომ მე მომსწრე ვარ ხორავას ოტელოს თანდათანობითი ზრდისა და მისი საქვეყნოდ აღიარებისა.

აკაკი ხორავა მაშინ 44 წლის იყო. ათლეტური აგებულებისა. ახოვანი, მაღალ ფეხებზე მდგარი, წელში გამოყვანილი, ოდნავ გამხდარი. განუმეორებელი ხმის ტემბრი ჰქონდა. ბევრი მსახიობი მინახავს სცენაზე, მათ შორის ბევრი საინტერესო და დიდებული სცენური მონაცემების მქონე, მაგრამ აკაკი ხორავას ხმის ტემბრის მსგავსი არსად შემხვედრია. ასეთი ხმა მხოლოდ ხორავას ჰქონდა. საოცრად სასიამოვნო, მუსიკალური და ხვედროვანი.

თვალწინ მიდგას ერთი შეხვედრა. მეცხრე კლასის მოსწავლე ვიყავი, მე და მამაჩემი, მწერალი და თეატრალი ლალო გვეგუპკორი, რუსთაველის გამზირზე მოვიდოდით. გზად ორი უზარმაზარი კაცი შემოგვხვდა. მამამ გამაცნო, — შალვა დადიანი და აკაკი ხორავა იყვნენ. საშინლად ავლელი. ჩემ წინ იდგა ორი ბუმბერაზი. აღვლევდა და განცვიფრება გაორკეცდა, როდესაც მათ საუბარში მამაჩემიც ჩაერთა და ლაპარაკი მეგრულად განაგრძეს.

1940 წლის სექტემბრიდან რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გახდნი. ამ დღიდან მოყოლებული „ოტელოს“ არცერთი წარმოდგენა არ გამიცდენია. ხოლო მომდევნო წლებში, როცა უკვე რუსთაველის თეატრის მსახიობი ვიყავი, წილად მხვდა ბედნიერება აკაკი ხორავასთან ერთად გამოვსულიყავი სცენაზე. „ოტელოში“ ჯერ მონტანოს ვთამაშობდი, ხოლო შემდეგ 1957 წელს მოსკოვში მსახიობთა სახლში გამართულ აკაკი ხორავას შემოქმედებით საღამოზე იავო ვითამაშე. ეს სცენა მაშინ მოსკოვის ტელევიზიითაც გადასცეს.

1947 წელს რუსთაველის თეატრი მოსკოვს ეწვია საგასტროლოდ. წარმოდგენები კ. ს. სტანისლავსკისა და ვლ. ნემიროვიჩ-დნჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის შენობაში იმართებოდა. დარბაზში 1800 კაცი ეტეოდა. წარმოდგენებს დიდი წარმატება ხვდა წილად. მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ეს გასტროლები მაინც აკაკი ხორავას ბუმბერაზ მსახიობად აღიარების დიდებული დადასტურება იყო.

პირველ წარმოდგენაზე ანტრაქტის დროს კულისებში შემოვიდნენ გიორგი ტოვსტონოგოვი (იგი ახალი გადასული იყო თბილისიდან მოსკოვში) და სოლომონ ვირსალაძე (მან ჩვენი სპექტაკლი „დიდი ხელმწიფე“ გააფორმა). ორივე აღლევებული და გახარებული იყო. გ. ტოვსტონოგოვმა დაბეჯითებით განაცხადა: აკაკი ხორავა ბრწყინვალე რეპერტუარით წარსდგა მოსკოველების წინაშე, — დიდებული ივანე მრისხანე და გენერალი მურავიოვი, ტრამპლინია უდიდესი ნახტომისათვის, ოტელოსათვისო. მისი წინასწარმეტყველება გამართლდა.

დიდძალი ხალხი დაესწრო „ოტელოს“. გეგმით ოთხჯერ უნდა წარმოგვედგინა, მაგრამ თეატრალური საზოგადოებრიობის მოთხოვნით ხუთჯერ ვითამაშეთ.

იმ დღეს წარმოდგენიდან თავისუფალი ვიყავი და თვალყურს ვადევნებდი სცენას და მაყურებლებს, როგორც იტყვიან, დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. მოსკოვის თეატრების მესვეურთა, ხელოვნების მუშაკთა, მწერალთა და მეცნიერთა საუკეთესო წარმომადგენლები, უამრავი ახალგაზრდობა, თეატრალური სასწავლებლების სტუდენტები, ვინც იმ საღამოს თავისუფალი იყო და ბილეთი იშოვნა, „დიდი ოტელოს“ სანახავად მოვიდნენ.

იმ წარმოდგენის ყველა მაყურებელი დამემოწმება, რომ მსგავსი სასწავლო იშვიათად უნახავს. როგორც არასდროს, ისე იყო მობილიზებული წარმოდგენის ყველა მონაწილე. ხოლო აკაკი ხორავა-ოტელო და აკაკი ვასაძე-იავო ხომ რაღაც განსაკუთრებული შთაგონებით თამაშობდნენ. ასე მკვეთრად და თანამიმდევრულად არასოდეს ჩაუტარებიათ ექვიანობის ჩასახვის სცენა

მესამე და მეოთხე მოქმედებაში, როგორც იმ საღამოს... სცენაზე იღვნენ კოლონები, განსაკუთრებით ოტელო-ხორავა...

ფარდა დაიხურა...

თითქოს ქარიშხალი ამოვარდაო, ერთხმად დაიგრგვინა მთელმა დარბაზმა და არც აპირებდა გაჩერებას; ვერ მოვთვლი რამდენჯერ გახსნეს და დახურეს ფარდა... Хорава! Хорава! Хорава!.. ისმოდა ყოველი მხრიდან... წასვლა არავის უნდოდა...

კულისებში აკაკი ხორავას საკაზმულოსთან ხომ ტევა არ იყო, ვის არ ნახავდით აქ — გამოჩენილ მწერლებს, კომპოზიტორებს, რეჟისორებს, მსახიობებს, მხატვრებს, მეცნიერებს... ყველანი მდაბლად თავს უხრიდნენ ღიდებულ ხორავას.

გარეთ ქუჩაში დემონსტრაცია გეგონებოდათ. გამოვიდა ბატონი აკაკი, ატყდა ტაში. სასტუმრო „მოსკოვამდე“ მიაცილეს თაყვანისმცემლებმა და ახალგაზრდა სტუდიელებმა დიდ მსახიობად აღიარებული აკაკი ხორავა.

სოლოვიოვის „დიდ ხელმწიფეს“ (დადგმა ა. ვასაძისა) რუსთაველის თეატრის რეპერტუარში მეტად თვალსაჩინო ადგილი ეჭირა.

მე ივანე ბატონიშვილს ვთამაშობდი. ორ სცენაში ვიყავი დაკავებული. მეოთხე სურათში პირველი სცენა შუისკისთან მქონდა (მას შესანიშნავად ანსახიერებდა ბატონი აკაკი ვასაძე), შემდეგ ივანე მრისხანესთან. ეს იყო მამის დარიგება, ხელმწიფის ალერსი. ხორავა — მრისხანე დაბალ სავარძელში: ჯდებოდა, მომიხმობდა, მე მუხლს ვიყრიდი მის წინაშე, მას კი ორივე ხელით ჩემი სახე ეჭირა. თვალეებში შემომტყეპოდა და ჭკუას მარიგებდა. მერე მკერდზე მიმიკრავდა და მოფერებით მიამბობდა რუსეთის ბედზე, მომავალზე, თავის დიდ მიზნებზე. სულგანაბული ვუსმენდი ხოლმე, როგორც ბატონიშვილი ივანე და ამავე დროს როგორც მსახიობი. ვნეტარებდი მისი ხმის გამგონე: ყური ხომ მის ფართე მკერდზე მქონდა მიდებული. ამ მკერდიდან ისეთი ხმა მოედინებოდა, გეგონებოდა ორკესტრი ჟღერსო და უხილავი რეზონატორები ამ საზღაპრო მუსიკალური ხავერდოვანი ბუბუნის ექოს გამოსცემენო. იმ წუთებში მე ამ განსაცვიფრებელი ხმის ტყვე ვიყავი.

ამ სპექტაკლთან დაკავშირებულია რამდენიმე კურიოზული შემთხვევა: მეცხრე სურათი „დიდი ხელმწიფიდან“. ბოიარების თავყრილობა მეფის სასახლეში, პოლონელთა ელჩის მოსვლა, მისი გამოწვევა, ხელთათმანის გადმოსროლა, კრაილოსნის გაწყვეტა, ივანე ბატონიშვილის ამხედრება შუისკის წაქეზებით, ხელმწიფის განრისხება, აურზაური, კვერთხის მოქნევა და ამ არეულობაში ივანე ბატონიშვილის მოკვლა.

ეს სცენა ღიდებულად იყო დადგმული და შესრულებული, იგი წარმოდ-

ვენის ერთ-ერთ კულმინაციურ სცენად ითვლებოდა. და აი ერთი რიგითი წარმოდგენის დროს... სცენა მეფის სასახლის მისაღებ დარბაზში... ხელმწიფე შუაში, დიდ სავარძელში იჯდა. მარჯვნივ მე — ივანე ბატონიშვილი, მარცხნივ ბატონიშვილი თედორე (ანდრო კობალაძე) — უფრო მოშორებით, ხელმარჯნივ სამღვდლოება, ხელმარცხნივ დიდგვაროვანი ბოიარები, სულ ქვევით კი ავანსცენაზე, ზურგით მაყურებლისკენ — რიგითი ბოიარები და, როდესაც პოლონელთა ელჩი (მას თეიმურაზ ტატიშვილი ანსახიერებდა) რკინის ხელთათმანს გადაუგდებდა ხელმწიფეს, რათა გაეხელებინა, ბოიარები აირეოდნენ, შეიქმნებოდა ჩოჩქოლი... მე, ივანე ბატონიშვილი წინა პლანზე გამოვევარდებოდი. აკაკო ვასაძე-შეისკი ფეხდაფეხ გამომყვებოდა, შემაჩერებდა, იქვე სავარძელზე დამსვამდა, ჩემი ხელი ეკავა, მეფერებოდა, თან მაქეზებდა.

პაუზა... სიჩუმე... ელიან ხელმწიფის რეაქციას... მან სიბრაზისაგან კრიკოსანი გაწყვიტა და სიჩუმეში ყოველი მძივი საბედისწერო კაკუნით გორდებოდა კიბე-დანადგარზე.. ისევე პაუზა... პოლონელთა ელჩი პასუხს ელის, შემდეგ ამბობს — „რა მოვახსენო მე ჩემს ხელმწიფეს, ბრძოლას თანხმდები, თუ შშვიდობასა, ვერ გამიგია“?!

თეიმურაზ ტატიშვილმა (პოლონელთა ელჩმა), იმ წარმოდგენაზე პირველი სიტყვები ასე წარმოთქვა: „რა მოვახსენო მე ჩემს ხელმცუას...“

ამის თქმა იყო და სცენაზე თითქმის ყველას სიცილი აუტყდა, ბოიარებს, კათალიკოსებს, აკაკი ვასაძე და მე მაყურებლისაკენ სახით ვიდექით, ამიტომ ყველაზე ცუდ დღეში ჩვენ ვიყავით, მან ჩურჩულით მითხრა — ეს რა თქვა ტატიშვილმა-ხელმცუასო... — არ ვიცი რა სასწაულით შევიკავე თავი, ვასაძე კი მიბრუნდა, გულიანად ჩაბეირდა: თეიმურაზ ტატიშვილი, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, აგრძელებს სცენას, ამბობს მომდევნო სიტყვებს და ელის ხელმწიფის პასუხს... აკაკი ხორავა ცდილობს არ აყვეს საერთო განწყობილებას, არა და ბოიარებმა ქურქებში და წვერებში ჩაშალეს სახეები, მიბრუნდნენ ზურგით მაყურებლისაკენ და ველარ ჩერდებიან. ხორავამ გახედა მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ, თვალები დაკვესა, მერე ჩუმად თქვა: — კარგით ახლა! გეყოფათ!..

მაგრამ სიცილი არ წყდებოდა...

ხორავამ დაატყო, რომ საშველი აღარ იყო, კვერთხი იატაკზე დაჰკრა და რატომღაც რუსულად დაიყვირა: **Замолчите!**

ამან ყველა გამოაფხიზლა და სცენაც თავისი ჩვეული გზით წავიდა.

1944 წელს რუსთაველის თეატრში ე. როსტანის „სირანო დე-ბერჟერაკი“ დაიდგა (რეჟისორი იოსებ მიხეილის ძე თუმანიშვილი), სირანოს აკაკი ხორავა თამაშობდა. ბატონი აკაკი ამავე დროს რუსთაველის სახელობის თეატრალუ-

რი ინსტიტუტის დირექტორი იყო და თეატრის მასობრივ სცენებსა და იპი-ზოდურ როლებში სტუდენტები გამოჰყავდა ხოლმე. მე და ბიჭიკო ანდრონი-კაშვილი, უკვე მეოთხე კურსის სტუდენტები, პარიზელ მოქალაქეებს ვასახი-ერებდით. პირველი მოქმედების შუაგულში შევდიოდით სცენაზე, მონფლე-რის თეატრის წარმოდგენის სახაზავად, და უნებლიე მოწმენი ვხდებოდით სირანოსა და ვიკონტ დე-ვალერის ორთაბრძოლისა.

დაიწყო გენერალური რეპეტიცია. მე და ბიჭიკო პარიზელი მოქალაქეების კოსტიუმებში გამოწყობილნი, თავზე პარიკებით და ფარფლებიანი ფართე ქუდებით კულისებში ველოდით ჩვენი შესვლის რეპლიკას. აკაკი ხორავა-სი-რანო უკვე სცენაზე იყო. მას მაყურებელი ვერ ზედავდა, სვეტს ამოფარებუ-ლი ჩუმად ადევნებდა თვალს მოქმედებას, ელოდა როქსანას გამოჩენას. სცე-ნას მოავლო თვალი, ყველა ადგილი დაზვერა და მზერა მარცხენა კულისისაკენ გადმოიტანა, იქ, სადაც ბიჭიკო და მე ვიდექით სცენაზე გასასვლელად გამზა-დებულნი, — ბატონი აკაკი მოსცილდა სვეტს, გადმოდგა ჩვენსკენ რამდენიმე ნაბიჯი და ბიჭიკოს ჰკითხა: *Слушай, Бичико, ты плату за право учения внес?*

წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება და დაბნეულობა... მან ცოტა ხანს კიდევ გვიყურა და პასუხს არ დალოდებია, გვითხრა: — *Завтра последний срок, внеси деньги, иначе выгоню. А если денег нет, скажи я одолжу.* მერე შებრუნდა, ისევ სვეტს ამოეფარა.

ეს ეპიზოდი იმაზე მეტყველებს, რომ აკაკი ხორავას ყოველი სტუდენტის ბედი და მომავალი აღევნებდა. აინტერესებდა, მამობრივ ზრუნვას არ აკლებ-და თითოეულ მათგანს.

რიგითი მსახიობის შემოქმედება ქრება მისი სცენიდან წასვლის შემდეგ, მაყურებელი თანდათან ივიწყებს მას. აკაკი ხორავა გამონაკლისია, რჩეულია, მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები ყოველთვის გამოირჩეოდა მასშტაბუ-რობით, ამალღებულობით, რომანტიკულობით... მისმა შემოქმედებამ და პი-როვნებამ ახალი სიკოცხლე დაიმკვიდრა თანამედროვეთა მეხსიერებაში, რაც უფრო დიდია მსახიობი, მით უფრო ხანგრძლივად ცოცხლობს მისი სახე მაყუ-რებელთა ხსოვნაში. ასეთი იყო აკაკი ხორავა.

მეფა ჩახავა

დიდი სახელი

უმეტესად ასე ხდება — ადამიანი რომ გარდაიცვლება, მერე ვიწყებთ მის ქება-დიდებას ცოცხლად დარჩენილები, მერე ვხდებით ყურადღებიანნი და

გულუხვნია... ბატონი აკაკი აი იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ქება-დიდებასათვის სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნა არც მიზეზია და არც საზღვარი.

ვასაოკრად გამოხატავდა ბატონი აკაკის ტალანტსა და პიროვნებას მისი აღწავობა: ეს ფიზიკურად ტიტანი, ასეთივე ბუმბერაზი პიროვნება იყო.

აკაკის დიდად უყვარდა და უსაზღვრო პატივისცემით იყო გამსჭვალული თავისი მეგობრისადმი.

— ჩემი ფასი ღღეს კაპიკი იქნებოდა, ნინა რომ არ მყოლოდა, მასთან და მ-ს ოჯახში ვავიარე უდიდესი სკოლა. ხალხმა რა იცის, რა ფასდაუდებელი სანახაური ვაპიწია ამ დახვეწილმა, არისტოკრატულმა ოჯახმაო, იტყოდანოლმე.

ნინა სარდიონის ასული და ბატონი აკაკი ერთი განუყოფელი მთელი ვახლდათ. მან უმაგალითო მეგობრობა გაუწია აკაკის, მისთვის არაფერი დაიშურა. არავითარ მსხვერპლს არ მოერიდა, თავისი ნიჭი ზიამოვნებით მოახმარა თავის ერთგულ მეგზურს. ასე სცნო საჭიროდ.

მამაჩემი და აკაკი ხორავა ერთად სწავლობდნენ კიევში სამედიცინო ინსტიტუტში. მამა ხშირად იგონებდა: „აკაკი, რომ ჩამოკარავდა გიტარაზე თავის წებვართ თითებს და ჩავალუღუნებდით რომანსებს, ჩვეილად დარჩეული გოგონები თავისთავად იმკებოდნენო“. ალბათ, ასეც იყო.

ძალიან ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა შემიძლია (მე, ხომ სულ პატარაობიდან ვიცნობდი ბატონ აკაკის, როცა ხელში აყვანილს მატარებდა ხოლმე).

ჩემი სტუდენტობის პირველი დღიდან მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, დამეთანხმებით, ბევრი რამ არის მოსაყოლი მისი კეთილშობილების, გულუხვობის, სიკეთის, სიბრაზის, გულჩვილობის, განრისხების, ნებისყოფის შესახებ...

მინდა გვიამბოთ მხოლოდ ერთი ისეთი ფაქტი ბატონი აკაკის ცხოვრებიდან, რომელიც ჩემთვის ჯერ კიდევ ამოუცნობი საიდუმლოებაა.

1972 წლის 28 აპრილს, ბატონი აკაკის დაბადების წინა დღეს, ჩვენი თეატრის მაშინდელმა დირექტორმა, ოთარ ქინქლაძემ ქალბატონ ნინას დაურეკა და უთხრა: რამდენიმე კაცს გვინდა ხვალ ბატონი აკაკი ვინახულოთ და დაბადების დღე მივულოცოთ, ჩვენი მოსვლით ხომ არ შეგაწუხებთო. ქალბატონმა ნინამ ძალიან გაიხარა, მაგრამ დასძინა: ძალიან ცუდადაა, უკვე ორი კვირაა ლოგინიდან სულ აღარ დგებო.

ჩვენ მინც გადავწყვიტეთ წასვლა. მეორე დღეს, 29 აპრილს, დილის 10 საათზე ქალბატონმა ნინამ ო. ქინქლაძესთან დარეკა და უთხრა: „აკაკის რომ

გუთხარი მოსვლას აპირებთ, ძალიან გაუხარდა, 3 საათისათვის გელით“. კარა რომ გაგვიღეს, ბატონი აკაკის საწოლი ოთახიდან მისი მოუთმენელი ყვირილი (არ მეშლება, სწორედ ყვირილი) მოგვესმა — ნინა, მოვიდნენ? მაშინვე შევეცივდით მასთან... ძნელი იყო, აუტანლად ძნელი ლოგინს მიკრული, გამხდარი, გაწამებული ბატონი აკაკის ნახვა... როგორც კი დროს ვიხელთებდით. ქალი თუ კაცი, ოთახიდან გამოვიპარებოდით და მეორე ოთახში გულამომჯდარი ვკვითინებდით... იგი კი წამდაუწუმ გაიძახოდა: „ნინა, მზად არის?“.

— აბა როგორ, მეც მოვდივარო, და დაიწყო ადგომა; შევცბით, შეგვეშინდა, რანაირად? არავინ მოიშველია, ისე გამოვიდა სასადილო ოთახში და თითქმის საათ-ნახევარი სუფრას უჯდა. მრავალჯამიერიც იძღერა, კარგად, ძალიან კარგად, მაგრამ თვითონ უკმაყოფილომ ხელი ჩაიქნია, — ხმაშეცემა მითაღობო — თქვა თვალცრემლიანმა. ბევრი რამ იყო იმ დღეს ისეთი, რაც ყოველ ჩვენთაგანს სამუდამოდ ჩარჩება გონებაში. მაგრამ ყველაზე გასაოცარი იყო მისი სუფრიდან ადგომა! ადგა! ადგა და მოგვამხა — აბა, მომყვებით!.. მოწიწებით ვიდრეკ მუხლს მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.

მამბარინე ვახანაძე

ჩვენი მემობარი

ვისაც კი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში იმ პერიოდში უსწავლია, როდესაც ბატონი აკაკი ხორავა დირექტორად იყო, ბევრი საინტერესო ფაქტის მოყვანა შეუძლიათ. როგორ შეიძლება დავივიწყო პირველი გამოცდა თეატრალურ ინსტიტუტში! დიდი აუდიტორია. გრძელ მაგიდაზე გადაფენილი წითელი სუფრა. მკიდროდ ისხდნენ მიმღები კომისიის წევრები. დიდი კონკურსი, ლეღვა. შევედი თუ არა ფეხზე მდგარი ბატონი აკაკი დავინახე. ბატონმა აკაკიმ დაიძახა... „ჩვენთან მოდით თამამად!“ მისი ხმა ზარივით ჩამესმა და გამომაფხიზლა. დიმიტრი ალექსიძეს უთხრა: „ეს გონა რა ხმის ამომღებია“ (საშინელი გამხდარი და ფერმკრთალი ვიყავი). ხორავას ხავერდოვანმა ხმამ უფრო გამამხნევა, ვიდრე დამაბნია. როდესაც გამოცდა ჩავაბარე, თავისთან მომიხმო, შემაქო და მითხრა: „როდღიდან დაგებადა სურვილი, რომ მსახიობი გამხდარიყავი?“ ვიდრე მე გავცემდი პასუხს დიმიტრი ალექსიძემ უთხრა: „აკაკი, это внучка Черкезшвили“. რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ ბატონმა აკაკიმ ელისაბედს დაურეკა და უთხრა... ჩემს შესახებ.

ბატონი აკაკი ზორავა ყოველგვარ პირობებს ქმნიდა იმისათვის, რომ სტუდენტებს არაფერი დაჰკლებოდა. არჩევდა საუკეთესო პედაგოგებს და ინსტიტუტში იწვევდა. ასეთები იყვნენ: რეზო ნათაძე, ა. ჩიქობავა, ვ. ბერიძე, გ. ნადირაძე და სხვ.

დიდი სისულთავე იყო დაცული ინსტიტუტში. მე იატაკი გავიხადე საცურაოდ. ერთხელ ჯიქურ გავცურდი და მოულოდნელად შიგ ფეხებში ჩავუვარდი ბატონ აკაკის. „რა ამბავია, რა ქაჯივით იქცევი, სად იმყოფები შენ. რაკი დასვენებაა ამით უნდა ისარგებლო?“. მე წამოვხტი, კედელს შიშისაგან ავეყუღე და ჩუმად ვუპასუხე: „მე მინდა მოქნილი ვიყო“. ამ სიტყვებზე გავცინა და მითხრა: „მეორედ აღარ გაიმეორო“. მისი სიტყვა, ერთი გამოხედვაც კი კანონი იყო. ყველას დიდი რიდი და კრძალვა ჰქონდა მისი.

თეატრალურ ინსტიტუტიდან ჩვენი კურსის ქალები ჩავვიყვანა რუსთაველის თეატრში — სპექტაკლ „ღალატში“ ვცეკვავდით. ეს ჩვენთვის იყო დიდი სენსაცია და აღმაფრენა. ბატონი აკაკი ყოველთვის გვამოწმებდა ყველაფერში. ერთხელ ისიც კი შეამჩნია, რომ მე გადაჭარბებით ლოყებზე ბევრი წითელი გრიმი მესვა. გამომიძახა და შენიშვნა მომცა. გასტროლების დროს უყურადღებოდ არ გვტოვებდა დამწყებ მსახიობებს. პირდაპირ გვეუბნებოდა: „თქვენ ჩვენთან ერთად უნდა გაიზიაროთ ჩვენი თეატრის წარმატება“. როდესაც პირველ გასტროლებზე მოსკოვში მოვხვდი მთელი მოსკოვის მაყურებელი ფეხზე იდგა, ბატონი აკაკი თავბრუს ახვევდა მაყურებელს. იმ სიტუაციაშიც არ ავიწყდებოდა კოლექტივი. თუ რაიმე შეკრება იყო, ყოველთვის ჩვენ წავვიყვანდა.

ბატონი აკაკი თუ შეამჩნევდა, რომ სტუდენტს მართლა ჰქონდა სწავლის სურვილი და მონაცემები, როგორც მორალურად, ისე ეკონომიურად, ეხმარებოდა. დიდი ტრადიცია ჰქონდა იმისა, რომ როდესაც პრემიერას ითამაშებდა ესა თუ ის მსახიობი, მით უმეტეს ახალგაზრდა, არ შეიძლება არ აღენიშნა. მიზეზილ თუმანიშვილმა დადგა „საქმიანი კაცი“. მე ვთამაშობდი პეპელას. მომილოცა და მოგვიანებით მომცა თავისი სურათი წარწერით „ჩემს ნიჭიერ, ტკბილ კატოს“. აკ. ზორავა.

მინდა მოვიგონო პატარა ეპიზოდი. წადვერში ელისაბედ ჩერქეზიშვილის აჯარაკზე ჩვენი ერის საამაყო რეჟისორმა სანდრო ანბეტელმა და მისმა მეუღლემ — თამარ წულუკიძემ ინახულეს ელისაბედი, ჩვენთან სტუმრად იყვნენ ნიკო გოცირიძე, ტასო აბაშიძე. სანდრო ანბეტელმა ყველა დაპატიოა ტბაზე (იმ წელიწადს მთელი რუსთაველის თეატრი ისვენებდა იქ და თან მუშაობდნენ ბუნების წიაღში), მეც წამიყვანეს. დიდი ამბით შეხვდნენ ელისაბედ ჩერქეზი.

შვილს. ბატონი აკაკი იდგა სანდრო ანმეტელის გვერდით. მაღალი, გამხდარი იყო მაშინ. აკაკი ხორავა შეხვდა ელისაბედს, გადაკოცნა, რამდენიმე მსახიობ-მა ელისაბედი ხელში აიყვანეს და წრე შემოატარეს. მე პატარა ვიყავი. შეგვიყვანეს დაბურულ ტყეში. დიდ ფულურო ხესთან გაგვაჩერეს. აკაკი შევიდა ფულუროში. გამოვიდა და ელისაბედს უთხრა: „აი, ამ ტყეში ვმუშაობთ დეიდა ლიზა“. ბატონმა სანდრომ მხარზე ხელი დაადო აკაკის და სთქვა: „აი, ასეთი დიდი ტალანტის მქონე, როგორც აკაკია ხელოვნებაში იშვიათიაო“. ეს სიტყვები თითქოს ახლაც მესმის.

ჩემთვის საუზმე მოჰქონდათ სახლიდან. ერთხელ ელისაბედმა მომიტანა. ბატონმა აკაკიმ დაინახა ელისაბედი. გულში ჩაიკრა, მკლავი გაუყარა და უთხრა: „დეიდა ლიზა, წამობრძანდით გაჩვენოთ ჩვენი სტუდენტები სად საუზმობენ. სხვა ბავშვებს ეს მავალითი არ უნდა უჩვენოთ. ერთნაირ პირობებში უნდა აღვზარდოთ“. ელისაბედმა გადაკოცნა აკაკი ხორავა და შეაქო... „სცენაზე ხომ ღმერთი ხარ, როგორც ხელმძღვანელიც ბრწყინვალე ყოფილხარ! Виноват, виноват!“ აკაკის ხუმრობით უთხრა ლიზამაც, გადაკოცნა და წავიდა.

დიდი ორგანიზატორობის ნიჭი ჰქონდა. არ იყო სპექტაკლი, რომ თბილისის საზოგადოება არ შეეკრიბა. გ. ა. ტოვსტონოგოვიც ბატონი აკაკი ხორავას ინიციატივით იყო თეატრალურ ინსტიტუტში მიწვეული პედაგოგ-რეჟისორად.

1942 წელს 19 იანვარს გ. ა. ტოვსტონოგოვმა დადგა პირველი სპექტაკლი ბრუშტეინის „ცისფერი და ვარდისფერი“. ჩვენი კურსი: მედია ჩახავა, სალომე ყანჩელი, ნათელა მახალდიანი, მიშა გიყიძყელი, დავით ქუთათელაძე, ნელი ქუთათელაძე და მე ვმონაწილეობდით. ბატონმა აკაკიმ მხატვის მსახიობები მოიწვია სპექტაკლზე — მაშინ ისინი თბილისში იყვნენ ჩამოსული. აკაკი ხორავას დიდი პატივისცემით, სიყვარულით შეჰყურებდნენ, დიდ თაყვანს სცემდნენ. ამ სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, როცა გ. ა. ტოვსტონოგოვი სცენაზე პრისტლის „კონვენების ოჯახს“ ამზადებდა, უკვე მიზანსცენაზე იყო გადასული, ძალიან დაძაბული მუშაობა გვქონდა, ამ დროს ბატონმა აკაკიმ შემოაღო კარი. უნდოდა შეემოწმებინა ჩვენი მუშაობა. გ. ა. ტოვსტონოგოვმა პირდაპირ უთხრა: — „Я прошу Акакий, пока не заходите“. უხმოდ გავიდა აკაკი ხორავა. საერთო ენა, გაგება იყო. სასტიკი იყო. ყველასაგან მოითხოვდა წესიერებას, მაგრამ თუ საქმისათვის საჭირო იყო დამთმობი და გამგები გახლდათ.

გ ლ ა დ ი ა ტ ო რ ი

„ჩვენ გვინდა რომ ხელოვანი ცეცხლში იწვოდეს, ნაწილობრივ კვდებოდეს ჩვენს წინაშე. ჩვენ, ძველი რომაელების მსგავსად, ტაშს ვუქრავთ მომაკვდავ გლადიატორებს. ამიტომ დიდი ხელოვანი ხშირად ნაადრევად იფერფლებიან...“

დიდი ქართველი ინტელექტუალის გერონტი ქიქოძის ეს სიტყვები ამოტივტივდება ხოლმე მესხიერებაში, როცა აკაკი ხორავას ვიგონებ — ტიტანური ვნებების მსახიობს, რომელმაც თავისი ანთებული სულის ნაწილი დაწვა ხელოვნების კოცონზე.

ომამდელ თბილისს ვიგონებ, რუსთაველზე მოშრიალე ჭადრებს და თეატრისაკენ გოლიათური ნაბიჯებით მიმავალ მსახიობს, შორიდან შეფარვით თუ ცხადად მიდევნებულ დაინტერესებულ მზერას გამვლელებისა, რომელთაც არაერთხელ განუცდიათ მასთან თეატრში შეხვედრის სიხარული. ვიგონებ მის სტუმართმოყვარე ბინას გულგახსნილი დიასახლისით და ლომივით მობუხუნე მასპინძლით. ამ ჰერქვეშ განცდილი სითბო ძნელად თუ დაავიწყდება ვისმეს, მით უფრო მე, ვინც მრავალგზის ვხლებიყარ ამ ოჯახში სტუმრად მიმავალ დეიდას — ცეცილია წუწუნავას და მრავალჯერ შემიღია კარი თუნდაც მეზობლური წვრილმანებისათვის.

ხდება ისე, რომ ყოველდღიურ ურთიერთობაში ადამიანები კარგავენ შარავანდედს, აკაკი ხორავა „მსხვილი პლანით“ კიდევ უფრო დიდი პიროვნება გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფრიალ მწყალობდა, როგორც მისთვის. ძვირფასი ადამიანების ალექსანდრე და ცეცილია წუწუნაეების ნებოერს, დღემდე რაღაც ამოუხსნელი რიდითა და მოკრძალებით ვღგავარ მისი ბუმბერაზი აჩრდილის წინაშე.

აკაკი ხორავამ დამილოცა სტუდენტური გზა თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებს დაემთხვა და რომელსაც მიუხედავად საშინელი ნგრევისა, შიმშილისა და სისხლის წვიმებისა, თავისებური, ტკივილიანი სიხარულით ვიგონებ.

საოცარი დრო იყო! ქართულ სცენაზე ბობოქრობდნენ ვერტიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვახტანგ ჭაბუკიანი... მასსოვს ნემიროვიჩი-დანიჩენოს მამაკაცური ცრემლი მარჯანიშვილის თეატრში, როცა სცენაზე ვერიკოს მარგარიტა გოტიე კვდებოდა. მასსოვს მისი მგზნებარე სიტყვები აკაკი ხორავას ხელოვნებაზე, რომელიც მან თეატრალურ ინსტიტუტში შეხვედრაზე

წარმოსთქვა. რაოდენ საგულისხმო და მნიშვნელოვანი იყო დიდი რეჟისორის ეს აზრი მსახიობის შემოქმედებაზე, რადგან იგი ერთობ სიტყვაძუნწი გახლდათ შეფასებაში.

რა ხერხს არ მივმართავდით სტუდენტი გოგონები, რომ თუნდაც შორიდან შეგვევლო თვალი ჩვენი კერპებისათვის. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის ჩემი განცდები, როცა აკაკი ხორავას ოჯახში გამართულ საზეიმო ვახშამზე მოვხვდი.

იფრქვეოდა საუკუნის ეპითეტები: „ბუმბერაზი“, „დეკაკტური“, „გრანდიოზული“, „ტიტანური“, „ქემმარტილ შექსპირული“... ეს იყო დაუფიწყარი საღამო „ოტელოს“ წარმოდგენის შემდეგ.

აკაკი ხორავას ოჯახში შევხვდი ხმელიოვს, თავად მოვისმინე მისი ალტაცებული სიტყვები ხორავასა და ვასაძის — ოტელოსა და იაგოს შესახებ.

სტუდენტ გოგონებს არცთუ იშვიათად გვიხდებოდა მცირე როლების შესრულება დიდ სპექტაკლებში. მეც მრავალგზის ავსულვარ სცენაზე, როგორც დეზდემონას მსლებელი. და სწორედ ამან გამხადა მომსწრე ხორავას ტრიუმფისა მოსკოვსა და უკრაინაში გამართულ გასტროლებზე. მსახიობის გამარჯვების ეტალონად დარჩა ჩემს ხსოვნაში მაყურებლის უწყვეტი ოვაციები, სამხატვრო თეატრის დასის ამოსვლა სცენაზე უზარმაზარი გირლიანდით.

გავიდა წლები. „ოტელო“ დაიდგა სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზეც და ბედმა წილად დეზდემონას როლი მარჯუნა. ვიგონებ განცდებს, როცა მივიღეთ აკაკი ხორავას თანხმობა ჩვენს სპექტაკლშიც ეთამაშა ოტელო, ვიგონებ სოხუმის საზოგადოებრიობის მოლოდინს, თეატრში დასადგურებულ მღელვარებას...

იმ ბედნიერ დღეებში თავად გავხდი მოწმე დიდი მსახიობის პასუხისმგებლობისა. რა ტემპერამენტით, ენერგიით, დაუღალავად იბრძოდა იგი რეპეტიციებზე, რათა ანსამბლში ჩაწერილიყო, უფრო სწორად, თავის სიმძლავრე ამოეხიდა დასი. და მაინც, მისი მზრუნველობის უდიდესი წილი ჩემზე მოდიოდა, მსახიობზე, რომელსაც თავად მან ასწავლა სცენური ცხოვრების ანბანი და, როგორც ჩანდა, ახლა თავის ღირსეულ პარტნიორად სურდა ეხილა.

დღემდე მთრთოლვარედ ვიგონებ აკაკი ხორავას ოტელოს ხმაში ჩაქსოვილ გრძნობათა გამას: „ჩემო ლამაზო მეომარო!“, დიდი პარტნიორის ამ სამარეკლოდან ვცდილობდი ჩემი გმირის ხასიათის გახსნას, ხოლო განსჯა იმისა, თუ რამდენად იმსახურებდა ჩემი დეზდემონა აკაკი ხორავას ოტელოს სიყვარულს, მაყურებელს უნდა მივანდო.

მოგვიანებით კიდევ ერთი შემოქმედებითი შეხვედრა გვქონდა — ჩვენი

თეატრის სპექტაკლში „ტარიელ გოლუა“ მან ტარიელი განასახიერა, მე კი მისი ვაჟიშვილის რჩეული — თინა.

ჩვენი პირადი ურთიერთობები კი გრძელდებოდა, კვლავ სასურველ სტუმრად ვგრძნობდი თავს მის კეთილ ოჯახში, კვლავ მეგულებოდა ფარად და იმედოდ შემოქმედებითი ცხოვრების კრიზისულ მომენტებში, რომელთაც გვერდს ვერ აუვლის ვერავენ, ვისაც ამ ბელოვნებისათვის, უძღვნია თავი.

ახლა, როცა აკაკი ხორავას ვიგონებ, ჩემს ხსოვნაში კინოკადრებივით ელავენ ფრაგმენტები ჩვენი ურთიერთობიდან: აი, იგი, ძლიერი, დიდი, დგას სცენაზე ჩემს გვერდით და ღირსებით სავსე გასცქერის აბობოქრებულ დარბაზს... აი, კარებს მიღებს სენშეპარული და მილიმის დეკაკუტური, თბილი ღიმილით...

აი, თავის „დიდ“ სტუმრებში ჩამდგარა ომახიანი, ბედნიერი...

აი, სტოპკადრიც: აკაკი ხორავა სოხუმში აღელვებული ზღვის ფონზე. მქვინვარებს შტორში, ყალყზე დგებიან გიგანტური ზვირთები. ამ ფონზე უბრალო ადამიანისათვის ძნელია, რომ შეინარჩუნოს სიდიადე, მაგრამ აკაკი ხორავა ამაშიც გამორჩეულია: დიადი რჩება ნებისმიერი მასშტაბების წინაშე.

ბაბუღია ნიკოლაიშვილი

სტუდენტების კეთილი მზრუნველი

1939 წლის მაის-ივნისის თვეში მარჯანიშვილის სახ. თეატრი საგასტროლოდ გაემზადა მოსკოვში გასამგზავრებლად და პირველი კურსის სტუდენტები, მათ შორის მეც ვიყავი, დაგვაკავეს მასობრივ სცენებში. ეს იყო დაუვიწყარი დღეები...

ჯერ კიდევ არ განელბებულიყო ჩვენს გონებაში მოსკოვის შთაბეჭდილებანი, როდესაც თბილისში დაბრუნებულ სტუდიელებს ახალი მოვლენა გველოდა. ეს იყო თეატრალური ინსტიტუტის გახსნა საქართველოში. გვითხრეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა შევხვედროდით საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს აკაკი ხორავას.

1939 წლის აგვისტოში ხორავასთან შესახვედრად მოვიდნენ მარჯანიშვილის სახ. თეატრთან არსებული დრამატული სტუდიის II, III და IV კურსის სტუდიელები. შეხვედრას ყოველი სტუდიელი მღელვარებით მოელოდა. ბევრს გული სწყდებოდა, რომ უნდა მოშორებოდა საყვარელი თეატრის კერას. უფროსი კურსელები ბევრ სპექტაკლში იყვნენ დაკავებულნი.

აკაკი ხორავამ ეს შეხვედრა დიდის ტაქტიით მეგობრულ ვითარებაში ჩაატარა. მე პირველად შევიგრძენი, თუ რა ადამიანური მიმზიდველობით იყო დაჯილდოვებული ეს გოლიათი მსახიობი. ისე გვესაუბრებოდა, როგორც დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრებს, რომელსაც ესმოდა ჩვენი გულისტკივილი გამოწვეული შეჩვეულ პედაგოგებთან დაშორებით, დაგვიბრდა, რომ ბევრი ჩვენი პედაგოგი მოწვეული იქნება ინსტიტუტში სამუშაოდ, აგვიხსნა თუ რა ფუნქციას შეასრულებს თეატრალური ინსტიტუტი ქართული კულტურის განვითარების საქმეში, რომ პედაგოგებად მოწვეულნი იქნებიან საუკეთესონი საუკეთესოთა შორის, რომ სტუდიელები განაგრძობენ მონაწილეობას იმ სპექტაკლებში, რომელშიაც დაკავებულნი არიან, რომ იწყება ახალი, უფრო საპასუხისმგებლო ერა თეატრალური ინსტიტუტის მომავალი სტუდენტების ცხოვრებაში.

სამსახიობო ფაქულტეტის II კურსზე გაერთიანდა რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის სტუდიების II კურსის მოსწავლეები, რომლებსაც ეწოდათ სტუდენტების სახელი, მათ შორის იყვნენ: ნოდარ ჩხეიძე, თამარ თეთრაძე, ნინო ზალდასტანიშვილი, ვახტანგ სულაქველიძე, ლევან ბალისევიჩი, სერგო აპრესიანი, ნელი ვაშაკიძე და სხვანი.

1939 წელს თეატრალური ინსტიტუტის I კურსზე მიღებულ სტუდენტთა შორის იყვნენ: მედეა ჩახავა, სალომე ყანჩელი, ეკატერინე ვაჩნაძე, დავით ქუთათელაძე, მიხეილ გივიმყრელი, ნელი ქუთათელაძე, ნათელა იასალაშვილი-მახალდიანისა და სხვა.

1939 წლის I სექტემბერს საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პირველ შეკრებაზე საპროგრამო სიტყვით გამოვიდა აკაკი ხორავა, რომელმაც საწესდებო დებულებები გააცნო სტუდენტებს და პედაგოგებს.

აკაკი ხორავა დიდ პატივს სცემდა კ. ს. სტანისლავსკის მიერ შექმნილ მსახიობის აღზრდის სისტემას და თეატრალურ ინსტიტუტში მსახიობის ოსტატობის პედაგოგებად მოწვეულნი იყვნენ ის რეჟისორები, რომლებიც ფლობდნენ ამ სისტემას: I კურსზე გ. ტოვსტონოგოვი, II კურსზე დ. ალექსიძე, სხვა კურსებზე მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი ო. იაკუბოვსკაია და მერე სამხატვრო თეატრის რეჟისორი ა. ფერემოვი.

აკაკი ხორავას ინიციატივით სისტემატურად ჩამოდიოდნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობები. ჩემი სწავლების პერიოდში ჩამოვიდა სამხატვრო თეატრის სახელმძღვანელო მსახიობი ნ. ხმელიოვი. მის შესახებ დრად თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები ინსტიტუტის საკმაოდ გრძელ კიბის ყოველ საფეხურზე წყვილწვილილად დაეწყვნენ და მათ შორის უხდებოდა მსა-

ხიობ ნ. ხმელიძეს გამოვლა სტუდენტების ტაშის გრიალში, კიბის დასასარულს მოედანზე კი მე დაშველდა სტუდენტების სახელით მისალმება და ყვავილების თაივლის გადაცემა.

აქაი ხორავა ზრუნავდა ინსტიტუტისათვის, მომავალი პედაგოგიური კადრების აღზრდისათვის და მისი უშუალო დახმარებითა და ხელისშეწყობით მოსკოვის ლენინგრადის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტსა და კინო ინსტიტუტში განაგრძეს სწავლა ჩვენი ინსტიტუტის ზოგიერთმა სტუდენტმა.

აქაი ხორავას სარეკომენდაციო წერილებს მაგიური ძალა ჰქონდა იმ დროინდელ რუსულ თეატრალურ უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა, მას ზნობად უზღვებოდა მოსკოვში ჩასვლა და ზრუნვა-პატრონობას არ აკლებდა მოსკოვში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს. ამ სტუდენტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი აშეამად ქართული ხელოვნების სასიქადულო ძალას წარმოადგენენ. მხოლოდ ერთი მათგანი უმაღლური აღმოჩნდა...

როდესაც ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა დიდი სამამულო ომი, ამ რთულ ვითარებაში უფრო ნათლად გამოიკვეთა აქაი ხორავას პიროვნება. ეს ადამიანი კლდესავით იყო ამართული სტუდენტებზე ზრუნვისათვის. მან უკეთ იცოდა თუ ვის რა უპირდა და ამჟამად თუ ფარულად დახმარების ხელს უწყობდა ყოველ სტუდენტს. იმ პერიოდში უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებული იყო სწავლის გადასახადი. აქაი ხორავა თავისი ხელფასიდან იხდიდა ასეთი სტუდენტების სწავლის გადასახადს და მათ კი უცხადებდა, რომ განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან. იგი მრავალ წერილს იღებდა ფრონტზე წასული სტუდენტებისა და პედაგოგებისაგან, რომლებსაც უპასუხოდ არ სტოვებდა. როდესაც რომელიმე ფრონტელის დაღუპვის ამბავი მოდიოდა, ის ჩვენთან ერთად გლოვობდა.

აქაი ხორავა რამდენიმეჯერ გაემგზავრა ფრონტზე კავკასიის დამცველებთან შესახვედრად. ეს ამბები გაზეთებში დაწვრილებით იყო აღწერილი, ხოლო იქიდან დაბრუნებისას შეგვკრებდა სტუდენტებს და გვიყვებოდა ქართველი მეომრების და მხედართმთავრების საბრძოლო ეპიზოდებს.

1942 წელს მოსკოვის სამხატვრო თეატრის დასის ნაწილი ევაკუირებული იყო თბილისში, მათ შორის იყვნენ რუსული თეატრის კორიფეები: ვლ. ნემროვიჩი-დანჩენკო, ვ. კახლოვი, მ. თარხანოვი, მ. ლილინა, ო. კნიპერ-ჩეხოვა, მ. კლიმოვი და სხვები. ხორავამ ისინი მოიწვია თეატრალურ ინსტიტუტში. ისინი ესწრებოდნენ სტუდენტების სპექტაკლებს, ლექციებს და საუბრებს ატარებდნენ სტუდენტებთან, მთელ რიგ მეთოდურ რჩევა-დარიგებებს გვაძლევდნენ. აქაი ხორავა ყოველმხრივ ცდილობდა, რომ მომავალი ქართული თეატ-

რის ახალგაზრდობისათვის მიეწოდებინა ყველაფერი საუკეთესო, რაც იმდროინდელ თეატრალურ სამყაროში არსებობდა.

აკაკი ხორავას დიდი ამაგი მიუძღვის ქართული თეატრის მომავალი თაობის აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. იგი ფასდაუღებელი სიკეთის მთესველი იყო, თვითონ იყო ნიმუში ადამიანური ავკარგიანობისა და ახალგაზრდობისაგანაც მოითხოვდა ერთგულებას, თავდადებას, ქმედითობას და ნიჭიერებას ქართული თეატრალური ხელოვნების საქმიანობაში. განსაკუთრებული სიყვარულით იყო იგი ახალგაზრდობისადმი განწყობილი, უყვარდა ხუმრობა და ჩვენც გვაძლევდა უფლებას ხუმრობისას.

მე ჩემს ტოლ-ამხანაგებთან ერთად ბედნიერად ვრაცხდი ჩემს თავს, რომ ვცხოვრობდი იმ დროს, როდესაც აკაკი ხორავას მსახიობური ხელოვნება ზენიტში იმყოფებოდა, მქონდა საშუალება, რომ მენახა და განმეცადა თუ რა შეუძლია ქვემარტ ხელოვნებას, მსახიობურ ნიჭიერებას, უძვირფასეს სამსახიობო მონაცემებს, დაუოკებელ ტემპერამენტს.

ასეთი ძვირფასი მსახიობური მონაცემების მქონე ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში მეტად სადა, ყურადღებიანი და ხალისიანი იყო, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა.

1955 წლიდან რუსთაველის თეატრში რეჟისორის ასისტენტად ვმუშაობდი მიხეილ თუმანიშვილთან ლეო ქიაჩელის პიესაზე „ტარიელ გოლუა“, სადაც ტარიელ გოლუას როლს აკაკი ხორავა ასრულებდა. ერთ-ერთი რეპეტიციის დროს მ. თუმანიშვილმა დამავალა მასიური სცენის გავლა. ამ სცენაში აკაკი ხორავა მონაწილეობდა. მე ვფიქრობდი, რომ ჩემს რეპეტიციას აკაკი ხორავა არ დაესწრებოდა და მასიური სცენის რეპეტიცია უმისოდ ჩაივლიდა, მოკარნახე მოგვაწვდიდა მის რეპლიკებს, მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აკაკი ხორავა პირველი გამოცხადდა რეპეტიციაზე და დიდი გულმოდგინებით გადიოდა რეპეტიციას. ამ სცენის მრავალჯერ გამეორება მოგვიხდა, რომ რიტმულად აწყობილი მოქმედება მიგველო. მე მერიდებოდა აკაკი ხორავასი, იგი კი, პირიქით, თვითონ მთხოვდა კიდევ გამეორებას და რეპეტიციას გულმოდგინებით გადიოდა. ჩემთვის აშკარა იყო, რომ თავისი მოქმედებით იგი მე მამხნევებდა, როგორც ახალბედა ასისტენტი.

აკაკი ხორავას მხარდაჭერა მე შემდეგაც ვიგრძენი, როდესაც დიმიტრი ალექსიძის ასისტენტი ვიყავი სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეზე“ მუშაობის პროცესში, სადაც ოიდიპოს მეფის როლს აკაკი ხორავა ასრულებდა. ამ დადგმაში მე დავალელებული მქონდა ორგანიზება ქოროს მოქმედებისა, მეტყველებებისა (ქორო 16 მამაკაცისაგან შედგებოდა და დიდი მოცულობის ტექსტი ჰქონდა წარმოსატქმელი) და მასიური სცენისა. ამ სცენების პლასტიკურ გამომსახვე-

ლობაზე მუშაობდა დ. მაჭავარიანი. ამგვარი სცენების ორგანიზება საკმაოდ რთული საქმე იყო და უფრო რთული იყო ოდიზოსის როლის შემსრულებელ მსახიობისათვის მასიურ სცენასთან სწორი ურთიერთობის მიგნება. საკმარისი იყო მასიური სცენის რომელიმე მონაწილეს სწორად არ შეესრულებინა თავისი ქმედითი ამოცანა, რომ ყველაფერი ირეოდა და ხელახალ გამეორებას მოითხოვდა. ამგვარ რეპეტიციებზე აკაკი ხორავა იყო ნამუში საუკეთესო პროფესიონალი მსახიობისა, რომელიც დარბაისლურად იქცეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი რომელიმე ეპიზოდის ათჯერ გამეორება უხდებოდა და ნაცვლად პრემიერი მსახიობისათვის ჩვეული ჭირვეულობისა და ამბიციისა, იგი დინჯად იმეორებდა მოქმედების რომელიმე მონაკვეთს არა მექანიკურად, არამედ გამომსახველობის ახალი ხერხების ძიებით.

ასეთი იყო აკაკი ხორავა!..

მასილ კინამაძე

დიდი და ბასმოცარი ტალანტი

ჩემი მოგონების სათაური ა. ფადეევის დეპეშიდან არის მოტანილი.

ქართველთაგან აკაკი ხორავა ყველაზე პოპულარული მსახიობი იყო მთელ კავშირში. დიდი ტალანტის გარდა მის საყოველთაო აღიარებას ხელს უწყობდა ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა და გასაოცარი პიროვნული მომხიბვლელობა. წულუკიძის საშუალო სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა რაიონში ხმა დაიჩხა აკაკი ხორავას შეხვედრას უწყობენ კულტურის სახლშიო. შეხვედრამდე ორი საათით ადრე მივედი კულტურის სახლთან, ხორავასთვის თვალი მანიც რომ მომეკრა. მალე თეატრალურ ინსტიტუტში მომიწია გამოცდების ჩაბარებამ. მაშინ ინსტიტუტის დირექტორი აკაკი ხორავა იყო. ჯერ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვაბარებდი, მაგრამ არ გამიმართლა. პოეტ შ. ლორთქიფანიძის რჩევით გადავწყვიტე თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე შესვლა. მიძღები კომისიის მდივანმა ვლ. ადამიძემ გადასინჯა საბუთები. განცხადებაში მეწერა: რაიონულ გაზეთში ვიბეჭდებდი-მეთქი. საბუთი სადა გაქვსო, მკითხა მდივანმა. არც გაზეთები მქონდა თან და არც ჩემი განცხადის დამამტკიცებელი რაიმე ცნობა. ვლ. ადამიძე კეთილი კაცი იყო, მაგრამ ა. ხორავას გარეშე ვერ გადაწყვიტა საბუთების მიღება. ნებართვისათვის ხორავასთან გამაგზავნა. აკაკი ხორავას კაბინეტში შესვლას კი კაი გული უნდოდა. ბევრი ვიწრიალე მისაღებ კარებთან, ვერ იქნა და შიში ვერ დავძლიე-

უცებ რაღაც ღრმა შინაგანმა ძალამ მიბიძგა და ხორავას მაგიდის წინ აღმოვ-
ჩნდი. ხმამაღლა, თითქოს ტრიბუნაზე ვიყავი, ისე პათეტურად მივმართე
ხორავას:

— მე, როგორც ახალგაზრდა ამომრჩეველი, მოგმართავთ თქვენ, ჩვენი
რაიონის დეპუტატს — დამიშვით მისაღებ გამოცდებზე, ერთი საბუთი მაკ-
ლია... ახლა წარმომიდგენია როგორ სასაცილოდ გამოვიყურებოდი. მაინც
რამ მათქმევინა ასეთი ტექსტი? ალბათ შიშმა. ხორავა შუბლშეკრული დაძვ-
და, როცა შევედი. რაღაცას წერდა, ჩემს სიტყვებზე გაიღიმა. არასოდეს შე-
ნახა ადამიანის ასეთი თბილი, მომხიბვლელი ღიმილი, მე ვიტყვოდი, რაღაც
ღვთაებრივი ღიმილი, ვერავითარ ეპითეტებით ვერ ავხსნი მაშინდელ უაწყო.
ტრაგიკომიკურ მდგომარეობას.

— დაჯექი, აბა რაშია საქმე, რატომ არ იღებენ შენს საბუთებს, — მითხ-
რა აკაკიმ და მეც დაჯექე. ხუთ წუთში გავაცანი მთელი ჩემი ბიოგრაფია.
ლადო ადამიძე გამოიძახა. საბუთები მიაღებინა. არასოდეს არ დამავიწყდება.
ეს დღე და აკაკის ის ღიმილი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პირდაპირ რუსთაველის თეატრში მო-
მიწია სალიტერატურო ნაწილის გამგის თანამდებობაზე მუშაობა. ზოგი წი-
ნალმდევცი იყო ჩემი მიღებისა, დიდი და რთული თეატრიაო, ძალზე ახალ-
გაზრდააო ამბობდნენ და მართალიც იყვნენ. მაინცდამაინც არც მე მიწოდდა
დასაწყისისათვის ამხელა საქმეს შევქიდებოდი. მეშინოდა, მაშინდელმა კულ-
ტურის მინისტრმა ა. გუნიამ მამაშვილურად დამარიგა, გამამხნევა, ჩე-
მი თანდასწრებით დაურეკა აკაკი ხორავას.

... და აი ისევ კაბინეტის მოსაცდელთან ვდგავარ: 1954 წლის ათი ოქტომ-
ბერია. ხორავასთან ეროსი მანჯგალაძე დამხვდა. ბატონმა აკაკიმ გულთბილად
მიმილო. ეროსიმაც შემაწია კარგი სიტყვა. ჩემი ცხოვრების ორი ყველაზე
მნიშვნელოვანი პერიოდი აკაკი ხორავას სახელს დაუკავშირდა.

ათი წელი გავატარე თეატრში მის გვერდით.

ტკივილით სავსე ბედნიერი ათი წელი!..

მოსაგონარი ბევრი მაქვს ამ გასაოცარ კაცზე. ხორავას ნიჭის საიდუმლო-
ება, მის რთულ შინაგან სამყაროს სიღრმეებშია ჩამარხული.

იგი თავით ფეხამდე ტრაგიკოსი მსახიობი იყო, ანტიკური გმირების მსგა-
ვსად „კაცობრიობის ბავშვობის“ გულუბრყვილობით აღბეჭდილიყო მისი
სული.

მასში დროდარო უცნაურის ძალით იღვიძებდა ხოლმე ექვიანობის დე-
მონი და მისი გმირების თანაგანცდის ჟამს გამოაგნებელ შთაბეჭდილებას ახ-
დენდა მაყურებელზე.

ოტელო, ივანე მრისხანე, ოდიშოსი დიდი წყალწყვის საოკეანო გემები-
ვით დაცურავდნენ შემოქმედების უნაპირო სივრცეებში. რა საცოდაოდ გა-
მოიყურებოდა სცენის ეს გიგანტი, როცა პატარა ვნებების პრიმიტიულ რო-
ლებს ასრულებდა. ასე მეჩვენებოდა, თითქოს საოკეანო გემი პატარა მდინა-
რეში იყო გაჩხერილი... „რას მახითურებთ“, — იტყოდა ხოლმე ასეთ დროს.

ერთხანს ყვარყვარე თუთაბერის თამაში მოისურვა, თავისი განზრახვა
გამანდო... — „აბა, კარგად დაფიქრდი“ — მითხრა ბოლოს. ერთგვარი შუამავ-
ლის როლი უნდა შემესრულებინა თეატრის ხელმძღვანელობასა და მას შო-
რის.

თეატრში რთული სიტუაცია იყო...

* * *

ბუნება გულუხვად აჯილდოებს ტრაგიკოს მსახიობს, მაგრამ ამასთანავე
საოცრად ძუნწია, როცა საქმე ტრაგიკოსთა რიცხვს ეხება. ცოტანი არიან
ისინი, მხოლოდ ერთეულებს აბედნიერებს ბუნება თავისი სიუხვით.

ამ ერთეულთა შორისაა აკაკი ხორავაც. მას, იშვიათ ფიზიკურ მონაცე-
მებთან ერთად ნამდვილად დიდი ტრაგიკოსის სული ედგა. ქარიშხალივით
ამოვარდებოდა ხოლმე იგი. ეს იყო არტისტული ვნების მოძალების უამი. ამ
დროს კი საზღვარი არ ჰქონდა მის თეატრალურ გახელებას. ზეშთაგონების
წუთებში მის ხმას რაღაც ღვთაებრივი ძალა ეუფლებოდა. ეს იყო დრამატუ-
ლი თეატრის შალიაპინის ხმა.

თავისი გმირის ყველაზე ტრაგიკულ წუთებში აკაკი ხორავა ქუხდა და
გრგვინავდა. მე ბედნიერი ვიყავი, როცა ამ წუთებს ვეზიარებოდი ხოლმე. ეს
ხორავას არტისტული შესაძლებლობის სრული გაშლის, მისი ტემპერამენტის
ვეულკანისებური ამოფრქვევის წუთები იყო. მინდა ზოგიერთი მათგანი გავი-
ხსენო.

... გადაწყდა, დეზდემონა უნდა დაიღუპოს. უნდა განადგურდეს ოტელოს
ყველაზე დიდი ბედნიერება (ეს ხომ თვითგანადგურებაც არის?!).

საშინელი იყო ხორავას მრისხანება ამ დროს, ყველას ახსოვს, როგორ
იცემდა იგი მკერდში მჭილს, როგორ ღმუროდა დაჭირილი ვეფხვივით. აქეთ-იქით
აწყდებოდა, მერე თავისი სარეცლის ირგვლივ იწყებდა ბორგვას.

აკაკი ხორავა ოტელოს ტემპერამენტის სრულ აფეთქებას, მის მრისხანე-
ბას თანდათან ცვლიდა ლირიზმი. თითქოს ქარიშხალი ჩადგაო, ისეთი სიმშვი-
დე დაისადგურებდა მის სულში, მაგრამ იყო დაბრუნებული, განადგურებული
პოეტური სამყაროს ილუზია.

ხორავას ტრაგიზმი მწვერვალს აღწევდა ოიდიპოს მეფის „ფესვების“ („ჩემს ფესვენს ვეძებ...“) ამოცნობის დროს. მონუმენტური, ანტიკურ ქანდაკებასავით სრულქმნილი მეფე „თავით ფეხამდე სიბილწე ვარ“, — რომ იტყოდა, შემადრწუნებელ დისონანსს ქმნიდა, ტრაგიკული კონტრასტების მასშტაბები მის შესრულებაში ისახებოდა ფართო აქტიორული ექსტით, მსუყე ფერებით, ცეცხლოვანი ტემპერამენტით.

მულშივე მშფოთვარე, ინტენსიურ მოქმედებაში მეტი სიღრმე და სიცოცხლე ეძლეოდა მის აზრს. დაუვიწყარი იყო შვილებთან გამოთხოვების სცენა: ბედისწერასთან შევიდებული გმირული ნებისყოფის ოიდიპოსი უცნაურად თრთოდა და ცახცახებდა უმანკო ბავშვებთან გამოთხოვებისას. მისი ძლიერი ხელები საოცარ სინაზხეს იძენდნენ ამ დროს, მეფური დაცემის ჟამს იგი თანდათან იკრებდა ძალას, მერე ქანდაკებასავით გაქვევებული წამოიშართებოდა უფსკრულისაკენ მიმავალი გზის გასაყართან და ასე ამაყი ეთხოვებოდა მაყურებელს.

... და, აი, კარლოსი-ხორავა თითქოს გათანგული, სისხლსა და მტვერში ამოსვრილი ბრუნდება ბრძოლიდან. სულით ხორცამდე შეძრული „დასტირის“ მეგობრის, როლერის ცხედარს, ჯუშინდელი მძვინვარე კარლოსი, შილერის სიტყვით რომ ვთქვათ, „ზეციური გენიის შვილი“, „ძირს დაცემული ბუმბერაზი“, ოდესღაც მის საფლავთან მეგობრები „ვაჟკაცთა ცრემლს“ რომ ღვრიდნენ, ახლა პიესაში გარდაქმნილი საპირისპირო სიტუაციაში დგას. „როლერ, საბრალო როლერ“, ისმის ხორავას მწუხარე ხმა, იგი ეფინება მთელ დარბაზს, მაყურებელთა გულებს სწვდება, რაღაც იდუმალ გრძნობას იწვევს „დაჯუბებული ცრემლით“.

ვაჟკაცი კაცის (როგორც ახმეტელი იტყოდა, „რანდული რომანტიზმის“ იდეალს რომ განასახიერებდა) სეკდაში არ იყო წუწუნი, ჩივილი, იყო დრტვინვა, გოდება, ამაღლებული პოეტური განცდა, სამართლიანი საქმისათვის განწირულთა შოგონებას რომ ახლავს ხოლმე.

მსახიობის ბიოგრაფიის ტრაგიკული წუთები განსაკუთრებულ აზრს სძენს მისი გმირის ასეთსავე წუთებს, როცა სცენაზე ერთმანეთს ხვდებიან ისინი. თანახვედრის ამ წუთებს ნაზიარები მაყურებელი მას ვერასოდეს დაივიწყებს. ფრანგ მსახიობს მუნე სულის ორი შვილი ჰყავდა და ორივე ერთ დღეს დაეღუპა. მას შემდეგ, როცა პირველად ითამაშა ოიდიპოს მეფე, შვილებთან გამოთხოვების სცენაში, არაადამიანური ქეთინი აღმოხდა. მაყურებელი ფეხზე წამოდგა და თანაუგრძნო საყვარელ მსახიობს. გაიზიარა ტრაგედია მამისა და ოიდიპოსისა.

იდილი ზელმწიფის როლში აკაკი ხორავას ჰქონდა ისეთი ტრაგიკული წუ-

თები, რომლებსაც უბრალოდ არტიტული შემოქმედების მწვერვალი ჰქვია. ჩვენ შვილის დატირების სცენაზე ვლაპარაკობთ.

ძლიერებისათვის თავშეწირული მრისხანე მეფე, პირადული და საერთო ინტერესების შეჯახება, ღრმა კონფლიქტი და ტრაგიკული კოლიზიის შედეგი — შვილის სიკვდილი, დატირების სცენაში თითქოს წამიერად ქრებოდა ძლიერი მეფის სახე, სადღაც „მეორე პლანზე“ გადაინაცვლებდა იგი და ა? დროს გზა ეძლეოდა უსაზღვრო მწუხარებას, რომელიც ხორავას „მრისხანე, ქვითინში“ იხატებოდა. „შვილო ივან... ივან!“ — თითქოს საიქიოდან უხმობდა შვილს, გამანადგურებელი იყო შვილის კუბოსთან დამზობილი ხორავას ეს ხმა.

მსახიობის ამ წუხილში, რომელიც ყველაზე უფრო მისი გმირების ტრაგიკულ წუთებში ვლინდებოდა, იყო რაღაც უთქმელი პირადული, გაუმხელელი, დაგუბებული...

... „ტარიელ გოლუას“ გენერალური რეპეტიცია იყო რუსთაველის თეატრში. ლეო ქიაჩელი პარტერში იჯდა. რეპეტიცია ნახევარ ტონში მიდიოდა. მაგრამ, როცა ხორავას ტარიელმა შვილის (ლევანი) სიკვდილის ამბავი შეიტყო, უცებ შეიცვალა „ნახევარი ტონი“. მსახიობი მთელი არსებით „შევიდა როლში“ და ცარიელ დარბაზში გაისმა ყრუანტელისმომგვრელი „შვილო, ლევან!“ რეპეტიცია დამთავრდა. ხორავა პარტერში ჩამოვიდა, ლეო ქიაჩელს მოეფერა, მზარზე მოხვია ფრთხილად ხელი, მწერალიც ყურადღებით შეხვდა. გეგონებოდათ ჭირისუფლებმა მიუსამძიმრესო ერთმანეთს. ვინ იცის, მარტო თავიანთი გმირის სიკვდილი განიცადეს იმ წუთებში თუ სხვა ტკივილმაც იმძლავრა?!

მამაკაცთა შორის ჩვენში არც ერთ მსახიობს არ მოუპოვებია ისეთი ფართო ასპარეზი და აღიარება, როგორსაც აკაკი ხორავამ მიიღწია. უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა იგი. საკადრისი ეპითეტებით შეამკეს მისი შემოქმედება გამოჩენილმა აღმზინებმა. როცა აკაკი ხორავა სამხატვრო თეატრის ერთ-ერთ სპექტაკლს ესწრებოდა, სცენაზე მსახიობები ღელავდნენ და აინტერესებდნენ, რას იტყოდა იგი. ცნობილმა მეცნიერმა ს. მოკულსკიმ თითქოს შეაჯამა ყველას ნააზრევი, როცა თქვა — „ეს არის დიდი გაქანების ტრაგიკოსი მსახიობი, რომლის შემოქმედებაში ცეცხლოვანი აღმფრენა და რომანტიკული მგზნებარება მგრწყებულია რეალისტურ სიღრმესა და დიდ სიმართლესთან“.

აკაკი ხორავა ხელგაშლილი სტუმართმოყვარე მსახიობი იყო. გასაოცრად უყვარდა ახალგაზრდები. არავის არ აკლდა მისი ზრუნვა. სუფრაზე თუ მასთან მოხვდებოდით ვერავინ დაასწრებდა ფულის გადახდას. ხარჯავდა უშურველად, გულდიად პურმარილიანი კაცის ხარჯვით.

1960 წელს მოსკოვში და კიევში თეატრის დიდი გასტროლები მოეწყო. გასტროლების წინ, ბევრი ეხვეწა ღირეჟცია ოტელოს როლი ეთამაშა, მაგრამ აკაკიმ არ ქნა. მოვხუციდი, არ მინდა ახალგაზრდებმა დაჩაჩანაყებული ოტელო ნახონო. მაშინ იგი მხოლოდ სამოცი წლის იყო... მოსკოვში ვითამაშებო დაპირდა... ასეც მოხდა. ვახტანგოვის თეატრის სცენაზე გამოეთხოვა ოტელოს. წავიდა, ამიერიდან ისტორიის კუთვნილებად იქცა ქართული ოტელო, ხორავას სახელით გამორჩეული გმირი, რომელიც ოცდახუთი წელი აღელვებდა ჩვენს სულს თავისი ტრაგიკული სრულქმნილებით!.. თბილისში არ მოეწყო ოტელოს გამოსათხოვარი საღამო. რა იყო ეს? თავის საყვარელ თეატრზე განაწყენება, თავის ბედის უკუღმართი ცვლილებები თუ ლეგენდად ქცეული ოტელოს ისევე ლეგენდად დატოვების სურვილი!

აკაკი ხორავამ ადრე იგრძნო მუხლების მოკვეთა. ძალა მალე ერთიგოდა. 1965 წელს თავის სამოცდაათი წლისთავს უკვე მოტეხილი შეხვდა. მოსკოვში სამკურნალოდ წავიდა, სადგურზე გასაცილებლად გავედით ახლობლები. თეატრალური ინსტიტუტიდან უფრო მეტი გამცილებელი იყო ვიდრე მისი თეატრიდან... ტრაგიკოსის ბედი მიაცილებდა მოსკოვისაკენ.

სენი თანდათან ერეოდა. მოტყდა, შინ ჩაიკეტა, განმარტოვდა და ასე გაატარა თითქმის სიცოცხლის სამი უკანასკნელი წელი.

აკაკი ხორავა და ა. ვასაძე პირველი ქართველი მსახიობები იყვნენ, რომლებსაც საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭათ. ა. ხორავა სახელმწიფო პრემიის ხუთგზის ლაურეატი იყო.

მან დააარსა (1939 წ.) თეატრალური ინსტიტუტი და თეატრალური საზოგადოება. ჰქონდა ბუნებისაგან ნაბოძები დიდი აქტიორული მონაცემები. იყო... მაგრამ რომელ ერთს ჩამოთვლი, ან როგორ არ უნდა თქვა, რომ აკაკი ხორავა განსახიერება იყო ცნებისა: მსახიობი — საზოგადო მოღვაწე. მისი სიცოცხლე ღირსებას და პატივს მატებდა თანამედროვე ქართულ თეატრს. სიკვდილის შემდეგ მისი სახელი ამშვენებს თეატრალურ ისტორიას.

აკაკი ხორავას გულწრფელად უყვარდა რუსი მწერლები, მსახიობები. ბევრ მათგანთან მეგობრობდა. ბევრჯერ მომისმენია თუ როგორი თბილი და გულითადი მეგობრობა აკავშირებდა მას ალექსანდრე ფადეევთან. თავის მხრივ ა. ფადეევიც მუდამ უდიდესი პატივისცემით იხსენიებდა ხორავას. და აი, ერთხელ ა. ხორავამ ა. ფადეევის დეპეშა მიიღო. აკაკი გააოცა დეპეშის ტექსტმა — „თუ კაცი ხარ, მითხარი სად მიღის, რას მემშვიდობება“ — მითხრა აკაკიმ და დეპეშა წამიკითხა. აბა, მე რისი ტქმა შემეძლო. ორი დღის შემდეგ კი რადიომ აღ. ფადეევის ტრაგიკული სიკვდილის ამბავი გვაუწყა. ა. ხო-

რავა შემდეგ ხშირად იგონებდა, თუ როგორ გამოეთხოვა მას სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში. ესეც საოცარი ტრაგიზმით სავსე ამბავი იყო... .

ოტელოს როლთან გამოთხოვებით ფაქტიურად სცენასაც გამოეთხოვა აკაკი. მას შემდეგ იშვიათად გამოდიოდა სცენაზე. მერე კი სულ შეწყვიტა თამაში, არც აქ უღალატია თავისი საყვარელი ქანრისათვის. ტრაგიკული იყო მისი სიცოცხლის ბოლო წლები. უნდოდა სცენაზე გამოსვლა და აღარ შეეძლო...

მე იგი ვინახულე უკვე მძიმე ავადმყოფი, მის ბინაზე. არასოდეს დამავიწყდება ის დღე. „აი, ნახავ, — ეუბნება აკაკი თავის მეუღლეს, ცნობილ მსახიობს ნინო მესხიშვილს — ორი თვის შემდეგ კარგად ვიქნები“. არ გაუმართლა.

ჩვენი უკანასკნელი საუბარი ერთ საათს გაგრძელდა. აკაკის ლაპარაკი ლჷირდა, პაუზებს, ზოგჯერ უცნაურ პაუზებს აკეთებდა. ხშირად უწყლიანდებოდა თვალები. ხშირად უბრუნდებოდა წარსულს, თითქოს უკვე წარსულში ცხოვრობდა.

ტრემლებს ვერ ვიკავებ გარდასულ დღეებს რომ ვიგონებ — ამბობდა აკაკი. უცებ ნემიროვიჩი-დანჩენკოზე დაიწყო ლაპარაკი: ომის წლები იყო, მაშინ სამხატვრო თეატრის მსახიობები აქ იმყოფებოდნენ. ერთ დღეს ნემიროვიჩმა მითხრა — მარტო მე და შენ გავიზროთ ქალაქშიო. წავედიო, ნელი, დინჯი ნაბიჯით მიდიოდა რუსთაველის პროსპექტზე, სიმართლე გითხრაო მე მიპირდა ასე სიარული, მეშინოდა წინ არ გამესწრო, ნემიროვიჩმა შემამჩნია, წვერებზე მოისვა ხელი და ღიმილით გამომხედა. „არა, ჩქარი სიარული მეც შემიძლია, მაგრამ ახლა ასე მიჩვენია“ — თქვა მან. პირველ საშუალო სკოლისაკენ გადავუხვიეთ. მივხვდი, სადაც მიდიოდა ნემიროვიჩი. თავისი სკოლა უნდოდა ენახა. ბავშვები შემოეხვივნენ. ცოტა ხანს იდგა ჩაფიქრებული, მაგრამ გამობრუნდა უხმოდ და უფრო ნელი ნაბიჯით წავიდა. თვალები ტრემლებით ჰქონდა სავსე. ბავშვობა გაიხსენა და გული აუჩუყდა მოხუცს. აი, ზედავ, ასე მემართება, ძნელი ყოფილა, როცა კაცს მარტო წარსული დაგრაჩა. ჩემი დღევანდლობა კი აი, ესაა, როგორც მხედავთ...

მინდა ნაღვლიანი მდგომარეობა შევუმსუბუქო და ვეუბნები: — ბატონო აკაკი, თქვენ ისე ბევრი გააკეთეთ ქართულ თეატრში, რომ გულნაკლული არ უნდა იყოს. თქვენი ენერჯია, ნიჭი, სითბო... ხმა გადავიდა ქართულ ოტელოში, დიდ ხელმწიფეში, კარლ შოპრში, ბერსენევიში... ამ სახეებს ხომ წლები აღარ ემატებათ.

— ეეჰ, ისევე ჩაიქნია ხელი — ეგ წარსულია... ცოცხალ კაცს კი დღევანდლობა გინდა. მე ვიცი, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს, მაგრამ ერთი ხუ-

თი წელი კიდევ ხომ შემეძლო თამაში? ხუთი წელი... ხუთი... არ დამაცალა ამ ოხერმა, მუხლები მომკვეთა. — თქვა და გაიღიმა. ვგრძნობ, რომ სიმხნევე უბრუნდება. ზოგჯერ ისე მოულოდნელად წამოიწყებს რომელიღაც საკითხს, რომ მიჭირს საუბარში ლოგიკური თანმიმდევრობის დანახვა. კაცმა რომ თქვას, არც არის საჭირო, მოხსენებას ხომ არ კითხულობს.

— ნემიროვიჩმა მითხრა, სულ შექსპირზე ფფიქრობ და ვერაფერი გადამიწყევტაო.

— დადგით „მეფე ლირი“ — ვუბასუხე მე.

— ო, არა, ძნელი პიესაა, არ მიყვარს.

— სხვა იყოს, რომელიც გნებავთ.

— სისტემის ბრალია, სისტემის... ამ სიტყვებმა ცოტა გამაოცა. სტანისლავსკის სისტემას გადაჰკრა ნემიროვიჩმა. ზორავას თქმით, სამხატვრო თეატრის განდგომას შექსპირისაგან ნემიროვიჩი სისტემის თავისებურებით ხსნიდა.

— თეატრში კარგი ბიჭები არიან (ზორავას საყვარელი გამოთქმა იყო „ბიჭები“) — ეროსი, რამაზი... რამაზი მოდის ხოლმე, სხვებიც, ყურადღებას არ მაკლებენ... არავის არ ვემღერი. ივარგონ, თეატრს მიხედონ. ჩვენ რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ. მეტს ნუ მოგვთხოვენ. ზოგიც სხვამ გააკეთოს. ასე არ არის?

— ასეა, ბატონო აკაკი, ყოველ თაობას თავისი გასაკეთებელი აქვს.

აკაკიმ ჭიქით ღვინო მომაწოდა და მითხრა:

— დავლიოთ ჩვენი თეატრის სადღეგრძელო. მე ვსვამ, მაგრამ იგი ჭიქას მალლა სწევს და ისევ მაგიდაზე დგამს.

— ჩემი სასმელი რძეა — ნაღვლიანად ამბობს, მერე აგრძელებს:

— თეატრი ვაჟკაცური უნდა იყოს. განაზებული ხელოვნება შორს ვერ წავა. ამ გზით მაყურებელს ვერ ააღლევა. ვერა, ძმაო. მაყურებელს თავისი უნდა, თუ დაგინახა, რომ სცენაზე მისთვის იხარჯები, მისთვის იტანჯები, მაშინ დაგიკრავს ტაშს, ისე თავს არ შეიწუხებს. სწორიკ არის. შენ არ იწუხებ თავს და რატომ მოგეფეროს?

— ჩვენი მაყურებელი ასე მგონია შეიცვალა, — ვუთხარი მე, — გულგრილი გახდა...

ვატყობ, შენიშვნების გამოთქმისაც ერიდება. ცდილობს მარტო კარგი თქვას.

— შეგაწუხეთ, ბატონო აკაკი, ახლა წავალ, — ვამბობ და ფეხზე ვდგები. იგი ერთ ადგილზე წრიალებს. — ხედავ, ვერ ვდგები... სტუმარსაც ვეღარ ვაცილებ, არაფერია, კიდევ ორი თვე და კარგად ვიქნები, — ამბობს იგი და თვლები ცრემლებით ევსება. ცივი, უცნაური ღიმილი დასთამაშებდა მთასავით

კაცს, რომელიც პატარა ბავშვივით იჯდა მაგიდასთან და წამოდგომა აღარ შეეძლო. იგი გრძნობდა, რომ უკანასკნელ ტრაგიკულ როლს ასრულებდა, ოღონდ არა სცენაზე, არამედ სინამდვილეში. ეს იყო უკანასკნელი და უჩვეულო როლი. მისი გმირები ყოველთვის ზეზეულად ხედებოდნენ სიკვდილს...

ნოდარ გურაბანიძე

„სთჳვიტ, იცოდჳ თჳო სიჳჳარჳლი...“

ერთხელ მაინც თუ გინახავთ აკაკი ხორავა, სულ ერთია სცენაზე თუ ცხოვრებაში, შეუძლებელია მისი დავიწყება. ეს ახოვანი, ბრგე ვაჟკაცი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა თავისი ენერგიული გამომეტყველებით, იმ განსაცვიფრებელი შინაგანი სიამაყით, რაც ყოველ მის მოძრაობაში, თუ ქესტში გამოსტყვიოდა, მისი მხილველი უმკველად იფიქრებდა, რომ იგი იყო შთამომავალი იმ სახელოვანი რაინდების, იმ სულით მაღალი ვაჟკაცების, რომლებმაც სამშობლოს ღირსება ათას ცეცხლსა და განსაცდელში გამოატარეს.

ერთხელ მაინც თუ მოგისმენიათ მისი ხმა, სულ ერთია, სცენიდან თუ პირად საუბარში, შეუძლებელია თქვენს შინაგან სმენას სამუდამოდ არ დამახსოვრებოდა ეს ხვეწრდოვანი, ათასი მოდულაციითა და ობერტონებით მჟღერი ხმა, რომელსაც შეეძლო გამოეტანა ადამიანის შემძრავი ტკივილი თუ სიხარული, აღტაცება გამარჯვებისა, როცა ამ განცდას თავბრუდამხვევ სიმძლევზე აჰყავს ჩვეულებრივი მოკვდავი კი.

თავს ნუ მოვიტყუებთ მაღალფარდოვანი შედარებებით და ეპითეტებით, ისინი ყოველთვის უძღურნი არიან მოვლენის არსის გამოხატვაში. მივმართოთ ყველაზე პროზაულ და უბრალო რამეს — წინ დავილაგოთ ფოტო-ობიექტივის თვალით აღბეჭდილი სახეები. სახელდახელოდ გადავარჩიოთ რამდენიმე მათგანი.

აი, ახალგაზრდა, გამხდარი, ტანატყორცნილი აკაკი ხორავა კარლ მოორის როლში. კუნთმაგარი, აშხვართული ფეხებით მტკიცედ დგას იგი მიწაზე, ფეხები განზე გაუშლია, რომ კიდევ უფრო მაგრად იდგეს. ცალი ხელი გაშლილი თითებით მალა აღუმართავს, თითქოს ამ ენერგიული ქესტით და უცნაურად ანთებული თვალებით სურს რაღაც უხილავი ძალის შეკავება.

ერთი, წამიერი მომენტია აღბეჭდილი ამ სურათზე, მაგრამ თვალს ვერ ვაკილებთ კარლ მოორს — ისეთი მომნუსხველი ძალა ასხივებს მისი სხეულიდან.

აი, მეორე ფოტო — შეძრწუნებული, გამოუცნობი შიშითა და ტკივილით აღბეჭდილი სახე — მავრ ოტელისი: ხელები, კონველსიურად, ნერვულად შეკუმშული თითებით, წინ გაუწვდია. ვერ გაიგებ სახეზე სურს მათი აფარება თუ მოშორება რაღაც წარმოუდგენლად მახინჯი და შესასხარი არსებისა, რომელსაც შექსპირი მწვანეთვალემა საშინელებას უწოდებს. დიახ, ეს ხელებია მავრისა, რომელმაც სულ მალე, ან საბოლოოდ უნდა განდევნოს საშინელი, კომპარული ხილვები, რაც მისი ექვით შეპყრობილ ცნობიერებას გამოუხშია, ანდა დაახრჩოს დეზდემონა და ამით მოკლას არა მარტო საყვარელი ადამიანი, არამედ ადამიანობის მაღალი იდეალის რწმენა. ეს არის ხელები ტრაგიკულად გაორებული ადამიანისა, რომელიც საბედისწერო არჩევანის წინ ღვას. ეს განწირულება, ტრაგიკული გაორება არა მარტო მის თვალბეჭდილი, არამედ მის გრძელ, ლამაზად ჩამოქნილ თითებში, რომლებმაც დეზდემონას თეთრ გულმკერდზე უნდა დაისვენოს.

აი, ხელში ვიღებ კიდევ ერთ სურათს — აქ აკაკი ხორავა ოიდიბოსის როლშია გამოსახული. მის სხეულს დაუქარგავს უწინდებური სიმტკიცე და პროპორციულობა, აღარ ფეთქს იგი ახალგაზრდული ვნებით და ტემპერამენტით, მაგრამ ის სიამაყე, რაც, როგორც ჩანს, აკაკი ხორავას ბუნების ნაწილია, აქაც ძლიერად ჩანს. ამას ემატება სიღარბისღე და წონასწორობა, რაც, ასე თუ ისე, ანაზღაურებს იმას, რასაც ახალგაზრდობაში ვკარგავთ.

გამოგიტყდებით, ამ უამრავი სურათიდან ეს სამი შემთხვევით არ შემირჩევიან. თითოეული სურათი არის გამომხატველი მსახიობის მრავალფეროვანი და ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების ცალკეული პერიოდის ზენიტისა.

„აკაკი ხორავამ ჩვენს თეატრში მოიტანა თავისი თემა, გმირული, თავისუფლებებისმოყვარე, წარმტაცი ადამიანის თემა. ეს იყო მაშინ, როცა რუსთაველის სახელობის თეატრის გაბედული შემართების სპექტაკლებში (მაშინ ამ თეატრს სანდრო ახმეტელი ხელმძღვანელობდა) ჩვენ ვნახეთ იგი თავისუფლებისმოყვარე, გრაციოზული ანზორის როლში, ვავიჯეთ მისი ძლიერი, დიდებული ხმის ქუხილი... ხორავა არასოდეს არ ეშვებოდა წვრილმანი პრობლემების დონეზე. იგი მიდიოდა დიდი ნაბიჯებით, გაბედულად და მამაცურად იბრძოდა იმ ხელოვნების სახელთ, რომელიც მისთვის მთელი ცხოვრება იყო და თავისი დიდებული, გრაციოზული ფიჯურით, მშვენიერი, მეტყველი, კვიანური და ბრძნული სახით, თავისი პლასტიკური და დარბაისლური მოძრაობით იგი თითქოს სწორედ ამისათვის იყო შექმნილი“ — ვერღა ცნობილი რუსი თეატრმცოდნე პ. მარკოვი.

ა. ხორავას სცენურ გმირებს ახასიათებდა პლასტიკური ნახატის განსაკუთრებული პარამონიულობა, სიხუსტე და შინაგანი განწყობის ადეკვატურობა.

განსაკუთრებული სულიერი მღელვარების დროსაც კი, როცა მთელი მისი სხეული დიდ ფიზიკურ დატვირთვას განიცდიდა, როცა მას ძლიერი, ემოციური ალტკინება იუფლებოდა, მისი ქესტი თუ სხეულის მოძრაობა არასოდეს ატარებდა შემთხვევით ხასიათს; ყველაფერი გამოზომილი, გაწონასწორებული და აუცილებელი იყო. ამ მომენტისათვის მისი მოქმედება არ ემორჩილებოდა წმინდა ფიზიკურ რიტმს, არ იყო შექანიკური გამეორება სიტუაციის დაძაბულობის. პირიქით, თვით იგი ქმნიდა მთელ ფსიქოფიზიკურ განწყობილებას. საყოველთაოდ ცნობილია მისი ტემპერამენტი და სულიერი მხურვალეობა, მაგრამ მისი საუკეთესო როლებიდან ჩვენ ვერ გავიხსენებთ თუნდაც ერთ მომენტს, სადაც მისი მოძრაობა ქაოსური ან უმიზნო იყოს. ს. ახმეტელის სპექტაკლებში, სადაც ყველაფერი დულდა და ბობოქრობდა, გმირების მოქმედება მგზნებარე ტემპერამენტითა და რიტმით იყო გამსჭვალული, ა. ხორავას თამაში მუდამ ემორჩილებოდა იმ შინაგან წონასწორობას, იმ შინაგან ხმას, რომელიც განარიდებდა მას ცრუპათეტიკისაგან და მოჩვენებითი რომანტიკულობისაგან. ჰეროიკული რომანტიკულობა, მას არ ესმოდა როგორც გარეგნულ, გავიადებულ მომენტებზე აგებული, ოჩოფეხებზე შემდგარი პათეტიკა, რომელიც ადამიანის შინაგან ცხოვრებას ფარავს ან აყალიბებს. ჯერ ერთი, თვით ყველაზე პათეტიკურ მომენტში მისი ხმა — გამომხატველი განცდის — არასოდეს უღერდა ყალბად, მეორეც — ამაღლებულ განწყობილება იგი ყოველთვის ვიძრის ფსიქიკაში ეძებდა...

ბერსენევი! ანზორ ჩერბიეი! კარლ მორი!..

ყველა ეს სახე, დიდი სიმკვეთრით და ცხოვლად დახატული, სამუდამოდ შევიდა ქართული თეატრის ანალებში და ეს ერთ მსახიობს სიცოცხლეში ეყოფა. მაგრამ ა. ხორავა კიდევ უფრო მაღალი მწვერვალისაკენ მიისწრაფოდა. რაოდენ დიდად მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ეს საში სცენური სახე, მაინც ისინი უნდა მივიჩნიოთ იმ საფეხურებად, რომლებმაც მისი აქტიორული ხელოვნების დამაგვირგვინებელ სიმაღლეზე უნდა აგვიყვანოს. ეს გახლავთ ოტელიო — კვინტესენცია მსახიობის მთელი შემოქმედებისა, ამ როლში მან სრულყო თავისი ნიჭი და სამსახიობო ტექნიკა. ოტელიოს როლზე მას მუშაობა არ შეუწყვეტია, თვით უკანასკნელ სპექტაკლამდეც კი. ოტელიოს შემდეგ (1937 წ.) მან მრავალი ღირსშესანიშნავი სახე შექმნა — ივანე მრისხანე, გენერალი მურავიოვი, ოიდიპოს მეფე, რომლებიც ასევე ღირსეულად დაიჭერენ კუთვნილ ადგილს ქართული თეატრის ისტორიაში, მაგრამ, ასე მგონია, მსახიობის შინაგანი თვალის ყოველთვის ხედავდა თავის ოტელიოს, ფიქრობდა მასზე და კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოსახვა ეწადა. ყველაფერი მოხმობილი იყო ამ როლის გაღრმავებისაკენ. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში.

ცნობილ შექსპიროლოგს მ. მოროზოვს, როცა წერდა: „მსახიობმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაამდიდრა როლი დეტალებით, გააღრმავა თავისი გმირის განცდები. ოტელოს როლში მან მიაღწია ისეთ სიმაღლეს, სადამდეც მსოფლიო თეატრის ისტორიაში მხოლოდ ცოტა თუ ასულა“.

მართლაც, ოტელოს როლის შესრულებამ მსოფლიო სახელი მოუხვეჭა მსახიობს. როგორც საბჭოთა, ასევე უცხოელი შექსპიროლოგები აღიარებდნენ, რომ ხორავას ოტელო შექსპირიანას მშვენივბაა. რა შეიტანა მან ამ როლის ინტერპრეტაციაში ისეთა, რამაც აამალა მრავალი სახელმწიფო მსახიობის ოტელოზე, რამაც უპირატესობა მოუპოვა მას? ხოლო ამ უპირატესობას აღიარებდნენ ყველაზე გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეები და შექსპირის მკვლევარები.

ვ. ნ ე მ ი რ ვ ი ჩ- დ ა ნ ჩ ე ნ კ ო წერდა: „ხორავა-ოტელოს შესახებ შეიძლება თქმა, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენ ამ როლის სხვა ასეთი განმსახიერებელი არ გვყავს.“

მხოლოდ ყველაზე მეტად გამოჩენილ, პირველხარისხოვან მსახიობებს შესწევთ უნარი უღრმესად გაგებულ შექსპირის შემოქმედებას ასე საოცრად შეუსისხლზორცონ სისადავე, გულწრფელობა და უზარმაზარი ტემპერამენტი.

მე არ ვვიშობ ვთქვა, ხორავა-ოტელო მხოლოდ კარგად შესრულებული როლი კი არ არის, არამედ თეატრალური მოვლენაა“...

მ. მ ო რ ო ზ ო ვ ი: „მე ვნახე თბილისში საუკეთესო ოტელო, საუკეთესო იაგო ყველა იმათგან, ვინც კი მინახავს, უცხოელ შემსრულებელთა ჩათვლით. ხორავას ოტელო ნამდვილად შექსპირისეული მონუმენტური სახეა... დიდება თეატრს. რომელსაც ასეთი აქტიორი ჰყავს“.

ა. ს ო ლ ო დ ო ვ ნ ი კ ო ვ ი: „აკაკი ხორავას ოტელოს... საჭე საბჭოთა ხელოვნების შედევრია... იშვიათად შეიძლება მოინახოს მსახიობი, რომელიც შეიძლება გაუტოლდეს მას ტემპერამენტის ძალით, გულწრფელობის სიღრმით, ადამიანის სულში ღრმად წვდომისა და მაღალი პროფესიული უნარით“.

რ. ს ი მ ო ნ ო ვ ი: „...ბოლოს ვხედავთ ტრაგედიის მრავალტანჯულ გმირს, მის საუცხოო, გულუბრყვილო თვალებს, რომლებიც ხან ბოროტებით აინთებიან, ხან ვნებით, ხან კი სინაზით. ეს ნიჟანსები, ეს გასაოცარი გადასვლები, კუშმარითად უდიდესი აქტიორული ნამუშევარი, ფიგურისა და სახის უზადო ოსტატობით გამოძერწვას ემსახურება... ჩემი აზრით მხოლოდ ასე უნდა შექსპირის თამაში!“.

გ. ბ ო ი ა ჯ ი ე ვ ი: „...აკაკი ხორავას მიერ მაღალი სრულყოფილებით შექმნილ ოტელოს სახეში გმირული გახსნილია, როგორც უმაღლესი მორალური დაძაბულობის მომენტი“.

ა. ხორავა ღრმად ჩასწვდა არა მხოლოდ ოტელოს ხასიათს, არამედ შექსპირის პოეტიკას და ფილოსოფიას, მთელ იმ სამყაროს, სადაც შესაძლებელი იყო წარმოქმნილიყო, ხოლო შემდეგ დაღუპულიყო ეს ტიტანური ვნების აღმზიანი. პირველსავე სურათში (სენატი) ა. ხორავას ოტელო ისეთი მომხიბლავი, შინაგანი ცეცხლითაა გაიცისკროვნებული, რომ ჩვენ მონუსხულნი შევცქერით მას. ეს ბუნების დიდი და ბრძენი ბავშვია, რომელსაც მრავალ ქარცეცხლში, უბედურებაში, ბრძოლაში გამოუტარებია თავისი სიცოცხლე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ უნახავს და განუცდია, მაინც შეუნარჩუნებია ის პირველყოფილი სიწმინდე და აუმღვრევლობა, რითაც მხოლოდ უმანკო ბავშვის თვალები იშზირებიან. ბრაზანციოს მუქარა, სენატის დაძაბული ატმოსფერო შეშფოთებას არ იწვევს მასში. აკ. ხორავას ოტელო ღირსებითაა სავსე. იგიც, სენატორთა მსგავსად დიდებულია, ამაყია იმის შეგნებით, რომ ბრაზანციოს ჩივილს „ამ ქვეყნისადმი ჩემი ღვაწლი ხმას შეუმოკლებს“. იგი სიუზერენია სიუზერენთა შორის. მან იცის, რომ: „...ჩემთა წინაპართ ქვეშ სახელმწიფო ტახტი სდგმიათ და მეც ღირსი ვარ, ამაყად დავხვდე ჩემგან ნაპოვნ ბედნიერებას“.

თუ არ ვცდები მკვლევართაგან პირველად გ. ბოიაჩიევმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ სწორედ ა. ხორავამ გახსნა შექსპირის მიერ . შექმნილი ერთი უჩვეულო. სიტუაციის უღრმესი აზრი: შაკანთან მავრს, ნახევრადგველური ტომის შვილს დავალებული აქვს დაიცვას ადრიატიკის მარგალიტი — ვენეცია, ხელოვნების, მეცნიერების, სილამაზის ეს საყდარი.

მთელი ეს კომპლექსი, გაძლიერებული ოტელოს ზეციური სიყვარულით, მას მატებს რწმენასა და ძალას. მისი ბედნიერება აუმღვრეველია, მისი სიყვარული ყოვლისმძლეა, ვინაიდან იგია მისი სიკეთისა და რაინდობის სათავე. ღრმა აზრია მ. მორაზოვის სიტყვებში: „ეს სიყვარული მისი კოსმოსია, მისი შთავგონებაა“. პირველი მონოლოგიდანვე — „სიდარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნი“ — ჩვენ წინ დგას თავის სიმართლეში დარწმუნებული ადამიანი, რომელმაც გაიგო, იგრძნო ისეთი რამ, რასაც სხვები ამ ძალით ვერ იგრძნობენ. ეს ჰეპირატესობა — არა განგებ, არამედ როგორც ემანაცია ისე ანათებს მისი სხეულიდან. ერთბაშად დავიწყების საბურველი გადაეფარა მის ძველ ცხოვრებას, მის განსაცდელს, ბნელ და სისწლიან ფერებში დანახულ სამყაროს.

„ვრცელ გამოქვაბულთ, უღაბნოთა უნაყოფოთა,
ქვესკნელთ უძიროთ, ცად მიბჭენილს მთებსა და კლდეებს,
ხალხს კანიბალად წოდებულსა, ანტროპოფაგთა...
ერთმანეთისა ხორცისმჭამელთ და კაცთ .უცნაურთ...“

ყველაფერმა ამან უკან დაიხია, სადღაც გადაიკარგა... დისპარმონია შესცვალა პარმონიამ, ქაოსი — წესრიგმა. სიყვარულისათვის მაგრის ბუნება გულგახსნილი აღმოჩნდა. ამ სიმშვიდისა და წონასწორობის შემდეგ დგება მომენტი, როცა შემკრთალი ა. ხორავა-ოტელო შეყოვნდება — მოდის დეზდემონა, რომელმაც საჭაროდ უნდა დაადასტუროს მათი სიყვარულის ამბავი. მოლოდინით გათანგული ოტელო ელოდება დეზდემონას სიტყვებს. დეზდემონა იწყებს:

მშობელო ჩემო, დიდებულო, მე ამას ვგრძნობ,
რომ შუა არის გაყოფილი აწ ვალი ჩემი;

ხორავას დაძაბულ თითქოს საქრეთელით გამოკვეთილ სახეზე, ნერვიც არ თრთის... დეზდემონა განაგრძობს:

„თქვენ უფალი ხართ ჩემი, მე კი თქვენი ასული.
მაგრამ აქა დგას ჩემი ქმარი...“

— ჩემი ქმარი — ამ სიტყვებზე ა. ხორავას ოტელოს სახეს ბედნიერების, უმაღლესი ნეტარების ისეთი სინათლე გაანათებს, რომ ჩვენ იმჟამსვე ვხვდებით რას ნიშნავს მისთვის დეზდემონა და ეს სიყვარული. ამ დიდი სინათლის შემყურენი ვხვდებით იმასაც, რას ნიშნავდა წელანდელი დაძაბულობა, რომელიც, შესაძლოა, ტრაგიკულად დასრულებულიყო, ანაზღად დეზდემონას რაიმე ცუდად რომ წამოსცდენოდა. მცირე ხნის შემდეგ წარმოთქმული დეზდემონას სიტყვები —

მე მაერი მიყვარს და მსურს მუდამ ვიცხოვრო მასთან.
ეს მე ვაცნობ მთელს ქვეყანას, რის გულახდილად
და შეუპოვრად ავეყე უცნობ ბედის ქარიშხალს...
და სული მისი მის სახეზედ გამოძეებატ.

ასრულებს საზეიმო-მაჟორულ სურათს. მართლაც, ამ წამს აკ. ხორავა-ოტელოს სახეზე მთელი მისი სულია გამოხატული. იგი უნეტარეს მწვერვალზეა ასული და ამ სიმაღლიდან სკვრეტს ყოველდღიურობას. მან იპოვა თავისი არსების საფუძველი, გამართლება იმისა, რისთვისაც ბუნებამ შექმნა. ის სულიერი წონასწორობა, რომელიც მის სულში დამკვიდრდა, გავრცელდა მთელ სამყაროზე. ერთი იქცა მრავლად და ეს მრავალი იქცა ერთად, ანუ ოტელო იქცა ამ სამყაროს წესრიგის, სინათლის გამოხატველად, მის სახედ.

აი, რა სიმაღლეზე აპყავს აკ. ხორავას თავისი გმირი.

ბუნებამ წამიერად გაანათა, რათა ოტელოს შავი, კეთილშობილი სახე დაგვენახა. ეს სინათლე ჟმომწყალოდ ანათებს სასიკვდილოდ დაქრილ ოტელოს, როცა იგი ზედიზედ გულისგამაძობელ დარტყმებს იღებს. ანათებს, ვიდრე საბოლოოდ არ ჩაქრებოდეს. მაგრამ ახლა, როს ცაზე არავითარი ღრუბელი არ ჩანს, როს ქაოსს სძინავს და სადღაც ბნელში ფეხს იღვამს „მწვანეთვალება საშინელება“, ხორავა-ოტელო ზეიმობს. იგი მზადაა ქვეყანას ყიჟინით აცნობოს თავისი სიყვარულის ამბავი. მისი ბედნიერება უკიდურესობამდეა მისული, ზღვარსაა მიბჯენილი — ამის იქით უფსკრულია, ტრაგედიაა. ამას გრძნობს ოტელო. კვიპროსზე ჩამოსული, რაღაც არაჩვეულებრივი გულთბილობით ჩაიკრავს დეზდემონას, მის თეთრ სახეს ეალერსება დიდი, შავი, ათრთოლებული ხელებით.

ესლა რომ მოვეკვდე, ჩემს სასურველ ბედს შევევრები;
რადგან ჩემს სულსა, ესლა სახსეს ნეტარებითა,
ვეონებ, უცნობი ბედისწერა აღარ არგუნებს
ასეთს უზომო სიტკბობას.

აქ ბედისწერას შემთხვევით არ ახსენებს ოტელო. მან იცის, რომ ღმერთები საზღვარს უღებენ ადამიანის ნეტარებას, მის იქით გადასვლა მოკვდავს ეკრძალება. მომხიბლავი და სულით ნატიფი დეზდემონა გრძნობს ოტელოს მდგომარეობას და შეუტყობელი სიკეკლეუცით სურს კიდევ უფრო მეტი ცეცხლი შეუგზნოს მავრს.

ღმერთმა ნუ ქმნას ეგ!
ღმერთმა ინებოს, რომ ვით ყამი და დრო გვემატვის
ისე გვემატოს სიყვარული და სიტკბოება.

აქ ხორავა-ოტელოს თავზარდამცემი ბედნიერებისგან ძალა ეცლება, მთავრეულივით შეპყრობილი დგას იგი, მის დიდრონ, ლამაზ თვალეებში ენითუთქმელი ბედნიერება იხატება. დეზდემონას ჩეღს უშეგებს და მინდობილი უხილავ ძალას, რომელიც მას ფეხზე აჩერებს, წარმოსთქვამს მადლიერების სიტყვებს იმ ხმით, რომელიც ჩვენ აქამდე არ გავვიგონია. ამ ხმაში იგრძნობა ვედრება, სიხარული, ლოცვა და ქვითინის შორეული იქო. თითქოს ზოგიერთი სიტყვა ბგერისგან კი არ არის გახშიანებული, არამედ შეძრული, აფორიაქებული გულისგან. გამაოგნებელია ხორავა-ოტელოს მიერ წარმოთქმული:

ძალნო ციურნო, შეუსმინეთო — ეელარ ვიხერებ
გამოვთქვა ჩემი ნეტარება... ხმა აღარ მომდგეს...
ოჰ, მეტსმეტი არის ჩემთვის ეს სიხარული...

ამ სიტყვებს შორის ისმის სწორედ ქვეითინის ხმები და ბედნიერების 'თეთრ ფარდაზე სისხლის ლაქებს ამჩნევს.

ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელია, თუ რა იმძიმე და აუტანელი იქნება ოტელოს ამ სიყვარულის დარღვევა, რომ იგი გამოიწვევს არა პიროვნების დამოლას, არამედ სამყაროს წესრიგში დისონანსის შეჭრას. ეს გასცილდება ერთი ადამიანის ტრაგედიას — იგი საყოველთაო ხასიათს მიიღებს. მიუხედავად ოტელოს მიამიტური და მიმნდობი ბუნებისა (სხვათა შორის ოტელოს ამ თვისებებს მსახიობი ხაზგასმით არ გამოყოფდა) იაგოს უჭირს შეღწევა რწმენის სიმაგრეში. ა. ხორავას მიერ ოტელოს ბედნიერება და სიყვარული, რაც ასე გაუგებარია იაგოსათვის — იმ ძალით არის წარმოდგენილი, რომ მისი დარღვევა არ არის იოლი, ძნელია ერთმანეთს „აეშალოს ცა და ქვეყანა“. აკაკი ვასაძის იაგოს პირველ შემოტევებს იგი გულგრილად იგერიებს. აკ. ხორავა-ოტელო საქმიან წერილს კითხულობს და იაგოს პირველი ფრაზა (ა-ა! ეს მე არაფრად მომწონს), რითაც იწყება საშინელი ტრაგედია, უბრალოდ აცურდება, პაერში დაეკიდება. იაგოს არც შემდგომი ცდა სრულდება წარმატებით. ხორავა-ოტელოს ცნობიერებამდე არ დადის შეფარვითა და გადაკვრით ნათქვამი სიტყვები. მაგრამ აი, როგორც იქნა, შხამის პირველი წვეთი მოხვდა მის გულს. ოტელოს თავზე თაღები შეზანზარდნენ. გაოგნებული, ზარდაცემული ოტელო-ხორავა მექანიკური, უაზრო მოქმედების ტყვეობაში ექცევა. პირველმა ექვემა გაიღვიძა, ისევ ჩაქრა, კვლავ გაიღვიძა. ტერასაზე სავარძელში ზის ოტელო, გრაგნილი ჩაუბლუჯავს და ცდილობს რაღაც აზრი გამოიტანოს წაკითხულიდან. ყველაფერი ამაოა, გონება ისევ უბრუნდება იაგოს ნათქვამს, მის სახეზე მწუხრის ჩრდილები გადაივლიან. ამ დროს სცენის მიღმიდან მოისმის დეზდემონას სიმღერის ხმა. ა. ხორავას სახეზე იმწამსვე გაქრება მწუხარების კვალი, ეხლა იგი ისევ ის ძველი, მიმნდობი, სიყვარულით სავსე ოტელია და იგი, ყველაფრის შემცნობი ღიმილით, ხელს ჩაიქნევს იმ მიმართულებით, საითაც იაგო წავიდა. საცოდავი, პატარა კაცია იაგო. იგი ვერ შესწვდება ჩვენს სიყვარულს. იაგო შემცდარია. ხელის ამ ერთი უბრალო ჩაქნევით მან შეუწდო იაგოს ეს შეცდომა, შეუწდო ვინაიდან „პატიოსნებით სავსეა ეს ადამიანი“. მიწყნარდა დეზდემონას სიმღერის ხმა. კვლავ გაალო ექვემა თვალში. ის ქვეითინი, რომელიც ყრულ, ექოსავით გვესმოდა უბედნიერესი ოტელოს სიტყვებში, ახლა აღმოსკდა მთელი ძალით, შეარყია მთელი მისი სხეული.

ოპ, ჩემ შევარდნს თუ დაეატყვე გაორგულება,
მაშინ იმ თასმებს, რაზედაც მყავს იგი მობმული
თუნდ ჩემის გულის ღვიძლ სიმებად გაღმექციონდნენ,
დავგლეჯ და თვით მას გზას გავუხსნი საილა-ბედლოდ.

ექვევების პირველ ბზარს ოტელოს რწმენა მედგრად დახვდა, მის არსებაში შედწეული ეს ექვი, ოტელოს სიმტკიცის გამო, სხვა ბზარს ვერ აჩენს. ამაშია უბედურება. წინააღმდეგობა ისე დიდი იყო, გამოიშველი ძალების ურთიერთ-მოქმედება ისე ძლიერი, რომ რწმენის კედელი თანდათან კი არ დაიბზარა, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ერთბაშად გასკდა. ოტელო-ხორავა სცენაზე ბორავს, აქეთ-იქით აწყდება, შემდეგ, შეუმჩნეველად იწყებს წრეზე მოძრაობას. წრე თანდათან პატარავდება, კიდევ უფრო, ციდევ უფრო და შემდეგ ერთ წერტილში გაქვევებული ოტელო ამთავრებს თავის მონოლოგს, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, სულის კენსას.

ის მირჩვენან, ჟოჯო ვიყო და დავფოფხავდე
ბელის ჭურღმულის სიმყარაღეში, ვიდრე მცირედი
წილი ჩაეუღო ჩემს საყვარელ საგანში ვისმე!

ამ საშინელი სცენის შემდეგ შემოდის დეზდემონა. საოცარია: უეცრად გაჰქრა ის უციღურესი მრისხანება, რითაც წელან იყო შეპყრობილი ა. ხორავა-ოტელო. დეზდემონას პირისპირ იგი ისევ ის ძველი ოტელოა, რომლის სახეს კვლავ აუზღვრეველი, სიკეთით სავსე ღიმილი ამშვენებს და შუქს ჰფენს. გულწრფელად, თითქოს კი არ საყვედურობს ზეციურ ძალებს, რომლებსაც შეუძლიათ დაუშვან ამგვარი უსამართლობა, არამედ შექვეითინებს, შევედრის მათ:

„ დეზდემონა მოდის
თუ იგი მოლაატვა, ოჰ, თით ზეცა ზეცას ორგულობს.
არა, არ მყარა“.

ამ „ოჰ“-ს ა. ხორავა მთელ გულს ამოაყოლებს. დიახ, არ სჯერა და უნდა კიდევ ერთხელ მივაღერსოს დეზდემონას, ჩახედოს თვალებში, მკერდში ჩაიკრას.

დეზდემონა: „რად ლაპარაკობ ეგრე სუსტად, ავად ზომ არ ხარ?“ აქ ა. ხორავა-ოტელო პატარა ბაღის გულჩვილობით, ენითუთქმელი უმწეობით, საცოდავად ამბობს: „აქ შუბლთან მტკიცა და მაწუხებს“, იღებს დეზდემონას ხელს და შუბლზე იღებს. ეს არის მისი ამოო ცდა, თავი შეაბრალოს დეზდემონას. თითქოს ხორავა-ოტელო ეუბნება დეზდემონას — შემომხედე რარვ ვიტანეები, რა ფიქრი, რა საშინელი ტკივილი მკლავს. შენ შეგიძლია ჩემი ხსნაო. ხორავა-ოტელო მოუთმენლად ელის ცოლის პასუხს. დეზდემონა, რომელიც ვერაფერს ზღვდება, სულ აუბრალოებს ოტელოს ნამდვილ ტკივილს, სულის ტკივილს და იგი ფიზიკურ უქვეითობად მიიჩნია: „ეგ უძილობის ბრალი იქნება. არაფერია, მალე გაგივიღის“.

გულშოკიანი ოტელო ცივად მოიშორებს დეზდემონას. გათავდა, დეზ-

დემონა მოღალატეა, ამ ქალის თვალთმაქცობას საზღვარი არა აქვს. შეძრული, აღტიკინებული, ეგზალტირებული ოტელო-ხორავა ხსნას იაგოში ხედავს. უძლიერესია ის სცენა, როცა იაგო თავის მიერვე შეთხზულ კასიოს სიზმარს უამბობს ოტელოს. აქ არის ერთი შემაზრზენი ფსიქოლოგიური მომენტი, რომელიც ა. ხორავას დიდ ნიჭსა და ფსიქოლოგიური წვდომის განსაკუთრებულ უნარს ავლენს. ოტელოს სულის სიღრმემდე სძაგს იაგო („ბილწო ქმნილებავ... გერჩინა შობილიყავ წუწკ ძაღლის ლეკვად“), გულს ურევს მისი ყოველი გამოჩენა, სძაგს და ამ სიძულვილს ამავე დროს უფარდებს მის სიყვარულსაც (მას შეუძლია ამ მომენტში თქვას მძულს-მიყვარს, ისევე როგორც ამას ამბობს დეზდემონას მიმართ: „ჩემი ვარამი ზეცისას ჰგავს: მას სჯის, რაც უყვარს“). იგი როგორც ძმას, მეგობარს, რომელსაც ყველაზე მძიმე წუთებში ენდობიან, ისე ეკვრის იაგოს, ხელს ხევეს, ტერასის კიბეებზე ჩამომჯდარი, ჩახუტებული ორი ადამიანი, განუყოფელი სიკეთე და ბოროტება, ერთ არსებად იქცევიან. იაგო თითქმის ყურში უჩურჩულებს:

„დაიწყო ბოღვა: „დეზდემონა, ფრთხილად ვიყოთ, ნუ გავამჟღავნებთ ჩვენს სიყვარულს“. მერე მომვარდა, მაგრად ხელი ხელს მომიჭირა და დამიხა: „ოჰ, სულთუტებესო ქმნილებაო?“ თან გადამოკენა“.

თითქოს ფსიქოლოგიური შოკით დაელექტროვებული ზორავა-ოტელო ამხნევებს იაგოს, უბიძგებს, ცეცხლს უნთებს მოკლე, ნერვიული წამოძახილებით „ხო, ხო, ხო!“ და შემდეგ იაგოს სიტყვებზე:

. . . . თან გადამოკენა
ისეთის ძალით, თითქოს სურდა ამ ჩემ ტუჩებზედ
ამოხულ კოცნათ ამოგლეჯა ძირფესვიანად;

ხორავა-ოტელო იწევებს სულის გამყინავ სიცილს, რომელიც უფრო მძაფრი და შემაზრზენია ვიდრე ათასი მგლოვიარე ქალის მოთქმა. გამოაგნებელია ეს სიცილი თავისი უადგილობისა და მოულოდნელობის გამო. სიცილი მთავრდება ჩურჩულით წარმოთქმული ორი სიტყვით:

— საზარელია, საზარელი! —

და ეს ეფექტი, რასაც იწვევს ასევე მოულოდნელი ჩურჩული (მაყურებელი ელის როდის აღმოსკდება ყვირილით ოტელოს ტანჯვა), ეს ორი სიტყვა, რომელიც მატერიალურ სიმკვრივეს იძენს, ჩვენ ახალი ძალით გვითრევს ოტელოს ტრაგედიაში. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩვენ უკვე ნათლად დავინახეთ ოტელოს ტანჯვის უფსკრული, როცა მასთან ერთად განვიცადეთ ლალატისა და სიცრუის მთელი საშინელება, მსახიობი გადადის ახალ ფსიქოლოგიურ ეფექტ-

ტზე — იგი თავისუფლებას აძლევს იმ ძალებს, რომლებიც მას აკავებდნენ და უკიდურესად ეანარსებებულნი გაჰყვირის: „ნაკუწ-ნაკუწად დავგლეჯ მე ჩემს ცოლს“. ახლა იგი ცის სილურჯეს კი აღარ შესცქერის, არამედ ჯოჯოხეთის სიბნელეს („ჯოჯოხეთისა ქვესკნელიდამ ამოდი შავო შურისძიებაე!“), სიყვარულს სცვლის სიძულვილი, სიყვარულის ნექტარს — ასპიტის გესლი.

ჯოჯოხეთთან სიახლოვეს ადასტურებს სწორედ იაგოს მიჩნევა უახლოეს ადამიანად. რიტმულად თავბრუდამხვევ სცენაში, სადაც ოტელო მთლიანად ეძლევა საკუთარ გულისთქმას, ზვირთად მომსკდარ ეჭვიანობას და საზარელი ჩურჩულით ამბობს — „სისხლი, სისხლი, სისხლი მწყურიაან!“.. ხოლო იაგო ცინიკური სიმშვიდით, ფარისევლური კეთილმოსურნეობით აღსავსე ეუბნება: „დამშვიდდით-მეთქი, მოითმინეთ. იქნება კიდევ გამოიცვალოთ თქვენი აზრი“, რითაც უფრო ახელებს ოტელოს ისედაც გაღიზიანებულ ცნობიერებას, ისინი კვლავ ძმებივით ახლობელნი არიან: ორივენი, დაჩოქილები ზეცას აძლევენ ფიცს.

ო ტ ე ლო:

„ამ მარმარილოს მსგავსად გაშლილ ცის ქვეშ ფიცსა ვდებ.
ვლებ წმინდა ფიცსა, შევასრულო ეს აღთქმა ჩემი.“

ი ა გ ო:

... „ცის მნათობნო განუქრობელნო.
და სტიქიონნო, ადამიანთ ვარშემომწერნო,
გიმოწმებთ მე თქვენ, რომ იაგო ამ დღეის იქით
მზაა შესწიროს თვის გონება, ხელი და გული
შეურაცხეთილს ოტელოს სვეს“.

არ შეიძლება ამაზე უფრო მკრეხელური და შემამძრწუნებელი სცენის წარმოდგენა. ერთი მხრივ, წმინდა შურისგებისთვის ანთებული ოტელო, ხოლო მეორეს მხრივ, ყალბი პათოსით სავსე რიტორიკული იაგო. აქ კვლავ ერთადაა სიწმინდე და ბოროტება და ამაშია სამყაროს ტრაგიკული ირონია. ეჭვიანობის ამ უმძაფრესი შემოტევების ქაშა ოტელოს ცნობიერება ვერ ინარჩუნებს მთლიანობას. სამყაროს იგი ნაწილ-ნაწილ, ქაოტურად აღიქვამს. გონებადაბნელებული, თითქოს ტრანსში ჩავარდნილი ა. ხორავა-ოტელო ნერვიული აღგზნებით, ექსპრესიით წარმოსთქვამს:

„უნდა გამოტყდეს და ამის სამაგიეროდ ჩამოიღრჩოს...“

ჯერ ჩამოიღრჩოს და მერე გამოტყდეს“..

იგი ვერ ხედავს „რა მარტო მოვლენების თანამიმდევრობას, იგი ვერ ხედავს მთლიან საგნებსაც კი: „მე სიტყვები კი არ მალეღვებს, არა, ცხვირები, ყურები, ტუჩები... ეს განა შესაძლოა?“.. ახლა კი ღრთა, რომ აღსდგეს სამართლიანობა, ქაოსი დაწყნარდეს, მოვლენები დალაგდეს თანმიმდევრულად, უაზრო სამყაროს აზრი მიეცეს, ამისთვის კი საჭიროა უდიდესი მსხვერპლი.—

დებდემონას სიკვდილი, ვინაიდან იგია ის ბოროტი ძალა, რომელმაც პარმონია დაარღვია. ამგვარად, ა. ხორავას გააზრებით, წინა პლანზე გამოდის არა პირადი შურისგება, არა ექვიანი და მოტყუებული ოტელოს ტრაგედია, არამედ ნათელი იდეალის კრახით გამოწვეული კატასტროფა.

დებდემონას საძინებელ ოთახში ოტელო შემოდის დაღლილი და მოტყუნილი. იგი მოჰქანცა საკუთარ თავთან ბრძოლამ. ეტყობა ქარიშხალი წამით ჩადგა. ღრმად დაფიქრებული ოტელო-ხორავა საკუთარ თავს ესაუბრება, თითქოს მან ახლა აღმოაჩინა ისეთი რამ, რაზედაც ადრე არ უფიქრია.

„აი, მიზეზი, სულო ჩემო, აი მიზეზი“.

ეს ფრაზა ორმაგი ქვეტექსტითაა წარმოთქმული. ეს „სულო ჩემო“ ეკუთვნის დებდემონასაც — თითქოს ოტელო ამბობდეს. შენი დალატია, სულო ჩემო, შენი სიკვდილის მიზეზი და ეკუთვნის მასაც, ოტელოსაც, რომელმაც გაიგო მიზეზი ამ დალატისა. მძინარე დებდემონას იგი ეალერსება როგორც ზეციურ, წმინდა არსებას. ცრემლმორეული ქვითინით ამბობს: — „მე იმის სისხლს ვერ დავღვრი, ვერც კი გაგკაწრავ მის კანს თოვლზედაც უსატეავეს და უსუფთესსა“. ა. ხორავას არ ეშინია ეს ბოზოქარი ტრაგედია ლირიულ აღსარებად გადაქციოს, გვაჩვენოს ოტელოს ნაზი და მგრძობიარე სული. დებდემონას გაღვიძებისათხავე ეს სინაზე ქრება და ოტელოში კვლავ მრისხანება ისადგურებს. იგი ჩქარობს განზრახულის სისრულეში მოყვანას, თითქოს ეშინია წელანდელმა სისუსტემ და სინაზემ კვლავ არ მოუაროს. აჰა, იგი უფესკრულის პირასაა, მან ახლა უნდა მოჰკლას დებდემონა და ამით თვით მოკვდეს ფიზიკურადაც (სულიერად იგი უკვე მკვდარია და ინერციით ცოცხლობს). მტკიცე ნაბიჯით შედის იგი დებდემონას ბუღუარში, სწრაფი მოძრაობით ხურავს ფარდას და... იქიდან გამოსული ოტელო საეხებით შეცვლილია. ჩვენ ვხედავთ უძლურ, ყოველგვარი ძალისაგან დაცლილ, მოტეხილ კაცს. ისედაც შავი სახე მწუხარებას და განცდებს სულ ჩაუშავებია, თვალები ჩასცვინია, ამაყი თავი ჩამოვარდნია, იგი ზიზლით, სასოწარკვეთით ცდილობს მოიშოროს საშინელი ხილვები. მარჯვენა ხელი მარცხენა ხელის მტევნისათვის ჩაუვლია, თითქოს სურს წაიწყვიტოს ის თითები, რომლებიც ცოტა ხნის წინ ალერსით ეხებოდნენ დებდემონას მკერდს და ახლა ასე უმოწყალოდ შემოესალტნენ მის ყელს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს სცენაზე ღუცებ ღამე ჩამოწვა.

ამ წამს ჩვენც განაწამები ოტელოს თვალებით აღვიქვამთ სამყაროს, რომელშიც ჯოჯოხეთურ ძალებს ყოველგვარი ნათელი ჩაუქრიათ. მაგრამ აი, სინათლის სხივმა წამიერად გაიელვა, ოტელოს დაბინდულ გონებას მისწვდა ემი-

ლიას სიტყვები დეზდემონას უდანაშაულობის გამო. ოტელოს ტრაგედია ამით უფრო მძაფრდება, მაგრამ აღდგენილი ჰარმონიისა და განახლებული სიკეთისაგან მოგვრილი სიხარული მას ძალას აძლევს წამომართოს და შინაგანად გაცისკროვნებული შეეგებოს კატასტროფას. ასე მთავრდება ეს დიდი ტრაგედია, წარმოდგენილი და განცდილი აკაკი ხორავას მიერ.

ზურაბ ანჯაფარიძე

ქლიერი პიროვნება

ბატონი აკაკი ყველასათვის განსაკუთრებით საყვარელი და ზეამაღლებული პიროვნება იყო — დიდი მსახიობი.

ჩვენ სრულიად ახალგაზრდები — ბავშვები, მოწაფეობის პერიოდში ჩასაფრებულები ვიყავით, რათა თვალი შეგვევლო ამ მუხასავით ძლიერი კაცი-სათვის. იმდენად ძლიერი იყო შთაბეჭდილებები მიღებული სცენიდან, რომ ჩვენთვის მისი გმირები ცხოვრებაში აგრძელებდნენ არსებობას. ძალიან მსურდა, მეწადა დავმგვანებოდი — ვბაძვდი სიარულში — ვიბოხებდი ხმას და განა მარტო მე? ვფიქრობ, ჩემი დროის ყმაწვილები ყველა ერთნაირად ვიყავით გატაცებულები ბ-ნი აკაკის პიროვნებით.

იმდენად დიდი იყო მისი არსება, იმდენად ძლიერი მისი პიროვნება, რომ რაღაცნაირად გიმორჩილებდა და წაგმართავდა, თუმცა არცერთი ჩვენთაგანი მაშინ მსახიობობაზე და სცენაზე არ ვფიქრობდით. ჩვენ გვინდოდა ცხოვრებაში ვყოფილიყავით მისი გმირების მსგავსნი.

ეს ის დრო გახლდათ, როდესაც მისი ოტელო ზენიტში იყო და, როდესაც რუსთაველის თეატრის სცენიდან ზეაწეული, პატრიოტული სულით გამსჭვალული ხმა გაისმოდა — „სამშობლო“ იყო ეს თუ „არსენა“, „ლალატი“, „ანზორი“, თუ „ყაჩაღები“. ყოველივე ეს გვზრდიდა და გვასწავლიდა სამშობლოს სიყვარულს. და ამაში უდიდესი როლი მიეკუთვნება აკაკი ხორავას.

გავიდა წლები. 1953 წლის 3 მარტს პირველად ვიმღერე ოპერის სცენაზე „აბესალომი“.

მეორე დღესვე ხორავა მოვიდა თეატრში, მაშინ დირექტორის მოადგილის გუგული (აპოლონ) ყიფიანის კაბინეტში. დამიძახა, მამაშვილურად დამარია, პირველი წარმატება მომილოცა.

ამის შემდეგ საშუალება მქონდა მასთან ხშირი შეხვედრებისა — ერთხელ ბედნიერება მქონდა. მის საიუბილეო საღამოზე მივსალმებოდი პ. ამირანაშვი-

ლთან ერთად დუეტში—საქოს და სიკოს კუბლეტებზე აწყობილი სპეციალური ტექსტით.

შემდგომში უფრო დამიახლოვა, ხანდახან მომძებნიდა კიდევ, როცა სურვილი ჰქონდა. ხმები შევაწყვეთ და არაერთგზის წაუყუვანივარ თავის მეგობრებთან წვეულებებზე, წარმადგენდა ხოლმე როგორც მის უმცროს მეგობარს და წარმოიდგინეთ, ამ დროს ჩემი სიხარული და აღმაფრენა. ქვეყანა ჩემი მეგონა და დღეს რომ ვუფიქრდები მგონი ასე იყო.

ბატონი აკაკის უდიდესი ნიჭიერება ვფიქრობ იმაში გამოიხატება, რომ იგი ერთნაირად ძლიერი და მომზიბველი იყო ყველგან — სცენაზე, ქუჩაში, ლხინში. აფრქვევდა გარშემო თავის რაინდულ სხივებს.

უკანასკნელად მისსავე ბინაში ვნახე. იმ პერიოდში ავადმყოფობდა და გარეთ აღარ გამოდიოდა, მაინც მეფესავით ბრძანდებოდა საგარძელში. გამიგონია, თურმე ცხოველთა მეფე, ლომი, რომ დაბერდება, ბუნაგიდან აღარ გამოდის — უძლური არ მნახონო.

ასე იქცეოდა ბატონი აკაკი, თუმცა მისი სახე კვლავ დიდ სიამეს გვფენდა. ძალიან გაიხარა, დიდი ხნის უნახავი ვყავდი და განსაკუთრებით მომეფერა, გვერდით დამისვა. ამ დროს, სად იყო სად არა, გაიღო კარები და ყოველთვის გულმართალი და ბობოქარი, ხმაურიანი ქაფიანიძე შემოვარდა, თავზე დიდი შამპანურით სავსე ყუთით. იქვე გაჩნდნენ რუსთაველები: რამაზი, გურამი, გოგი და სხვები. ბატონი აკაკი კვლავ თავში დაბრძანდა, როგორც თავკაცი და თუმც ღვინოს არ მიირთმევდა (ერთი ჭიქა მაინც შესვა), დიდებული დრო გაგვატარებინა.

გვერიდებოდა არ დაღლილიყო, მაგრამ არ გვიშვებდა.

მეორე დილით დავრეკე და ქალბატონმა ნინამ მიპასუხა: დამლუპეთ, ეს მოთვინიერებული კაცი ისევ გადამირიეთო. ძველებურად დაგვიწყო მბრძანებლობა ოჯახშიო. ამას დიდი სიხარულით ამბობდა და ჩვენც გავიხარეთ.

დიდი მაგალითი იყო ბატონი აკაკი ჩემი თაობისათვის, მისი მოღვაწეობის პერიოდში დავიბადეთ, გავიზარდეთ, გზას დაუადექით და ვცდილობთ დღეს და მომავალში მყარად ვიაროთ.

მოგონებები აცოცხლებენ ადამიანის სახეს, მაგრამ ვფიქრობ, ძნელად თუ ვინმე შეძლებს ისე თვალნათლივ დახატოს ბატონი აკაკის პიროვნება, რომ მიახლოებითი შთაბეჭდილება მაინც შეიქმნას.

აკაკი ხორავა, რომ ნამდვილად აღიქვა, საჭირო იყო მისი ნახვა სცენაზე, ცხოვრებაში.

მუდამ დიდი მადლიერების გრძნობითა და პატივისცემით მოვიგონებ მას მისი უმცროსი მეგობარი, როგორც თვითონ ბრძანებდა ხოლმე.

ვამაყობ, რომ ვიყავი მის გვირდით

... იმ დღეს ქართველი ზალხი შალვა დადიანს ეთხოვებოდა. ცნობილ ქართველ მწერალთან, თეატრალურ და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანთან ბატონ აკაკის დიდი ხნის ახლო მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებდა და თუმცა თავს ცოტა არ იყოს შეუძლოდ გრძნობდა, თანაც საღამოთი საკმაოდ ძნელი სპექტაკლი უნდა ეთამაშა, მაინც დაესწრო სამ-გლოვიარო მიტინგს საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში. როცა სამ-გლოვიარო პროცესია რუსთაველის პროსპექტისკენ გაემართა, ჩვენც მანქანებით მთაწმინდის პანთეონისკენ ავიღეთ გეზი. პატარა ბალთან, სადაც საბასულხან ორბელიანის ძეგლია, გზა ბესიკის აღმართზე გადაეკეტილი აღმოჩნდა — საბუთი მაჩვენეთ! — სთქვა მილიციის წარმომადგენელმა.

— აკაკი ხორავას რა საბუთი უნდა, გადმოსძახა ვიღაც ხანშიშესულმა კაცმა წესრიგის დამცველს.

მართლაცდა რა საბუთი სჭირდებოდა აკაკი ხორავას! განა სადმე მოიძებნებოდა სხვა მსგავსი გარეგნობის, მსგავსი ხმისა და მეტყველების, სიარულისა და ექსტიკულაციის მქონე ადამიანი?

ბუნება ძალზედ გულუხვი აღმოჩნდა მის მიმართ, არაფერი არ დაუშურებია მის შესამკობად. როცა საკმაოდ ღარიბად ჩაცმული, დედინაცვლის გაზრდილი ცხაკაიელი ყმაწვილი ეწვია თბილისს (აკაკი ხორავა თავის გამზრდელს ყოველთვის განსაკუთრებული მოწიწებითა და სიყვარულით იხსენიებდა), განა იფიქრებდა მაშინ ვინმე, რომ დედაქალაქში კიდევ ერთი იმ რჩეულთაგანი ჩამოვიდა, ვისაც ბედმა თავისი ერის უკვდავ შვილთა შორის განუწყესა განსვენება?!

ღიახ, ბედიც გულუხვი იყო მის მიმართ და ბუნებაც, მაგრამ ხომ იცით, ნათქვამია: „განა ბედი ოდესმე ბოლომდე გაახარებს კაცსო“; და ჩვენი სათაყვანო მსახიობიც ვერ გადაურჩა ფორტუნის ბასრ ბრჭყალებს. სიცოცხლის ბოლო წუთამდე იგი გულში დიდ ტკივილს ატარებდა. დაპკარგა ერთადერთი შვილი, ზუთი წლის ვაჟი... და თანაც ამ უსაზღვრო უბედურების დღეს მას თეატრში სპექტაკლის თამაში მოუხდა. ახლა უკვე ძნელია იმის დაზუსტება, მართლაც შეუძლებელი იყო სპექტაკლის შეცვლა ან მოხსნა, თუ ბატონმა აკაკიმ ან ვინმე სხვამ არ მოისურვეს, რათა ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანათ და ამით ოდნავ მაინც შეემსუბუქებინათ სასოწარკვეთილი მამისათვის

თავს დატეხილი უბედურება. ასეა თუ ისე ამ ამბავმა წარუშლელი კვალი დატოვა აკაკი ხორავას გულში. მაგრამ, აბა, დაფიქრდეთ: თვითონ, რომ არ გადაეტანა ასეთი უბედურება შეძლებდა ოდესმე ჩვენი სახელგანთქმული არტიტი მარტო, ყოველგვარი დამხმარე თეატრალური აქსესუარების გარეშე ასეთი განსაცვიფრებელი ძალით, აქტიორული ხელოვნების ასეთი უმაღლესი მწვერვალების წვდომით, ასეთი თავბრუსდამხვევი აღმაფრენით ჩაეტარებინა ივანე მრისხანეს შვილთან გამოთხოვების ტრაგიკული სცენა ვ. სოლოვიოვის პიესა „ივანე მრისხანეს“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში, იმ ბუნებრიობაში და ტრაგიკულ უბრალოებაში, რომლითაც სრულდებოდა ეს ფაქტიურად მონოსცენა. მაყურებელი აშკარად გრძნობდა, რაღაც განსაკუთრებით პირადულს, ადამიანურს და იქნებ სწორედ ამიტომ ამ ეპიზოდის ფინალს ყველგან და ყოველთვის აგვირგვინებდნენ ერთსულოვანი და ძლიერი ოვაციებით.

1953 წლის ბოლოს პროფესორმა აკაკი ხორავამ მიმიყვანა თავის ასისტენტად თეატრალურ ინსტიტუტში. მას თვითონ ხშირად უხდებოდა მოგზაურობა. ხან მოსკოვში მიდიოდა სესიაზე, როგორც უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხან პარიზში, როგორც საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაკთა დელეგაციის წევრი, ხან კიდევ ტირანაში ალბანეთის დიადი მეომრის სკანდერბეგის სახის შესაქმნელად. ასეთი მასშტაბის პიროვნებისათვის, როგორც ის იყო, განსაკმე დაილეოდა?! მე კი იმ დროს ვრჩებოდი პირისპირ ჩემზე ოდნავ უმცროს ახალგაზრდებთან, მომავალ მსახიობებთან, რომ მათი მთავარი მასწავლებლის „მაგიერობა“ გამეწია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ის მომავალ მსახიობები ოთარ მეღვინეთუხუცესი, ირაკლი უჩანეიშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი, ნოდარ ჩაჩანიძე, მალხაზ ბებურიშვილი, გაბრიელ მდინარაძე და სხვები იყვნენ, ადვილი წარმოსადგენია თუ რა ღომის ხახაში მაგდებდა მე პროფესორ ხორავას საპატიო მოგზაურობები. მაგრამ, სამაგიეროდ, რა სიხარული იყო მისი დაბრუნება. ჯერ ერთი ის ფეიერვერკი, რომელსაც ვადმოაფრქვევდა ხოლმე ახლად დაბრუნებული ბატონი აკაკი თავის რეპეტიციებზე. მისი როგორც პედაგოგის ერთ-ერთი ძირითადი „იარაღი“ მომავალ ხელოვანთა აღზრდის დროს მსახიობური ჩვენება იყო. როგორ გადაიქცეოდა ხოლმე ეს ბუმბერაზი კაცი ჩია ტანის მონხელედ, ან გათხოვებას მოწადინებულ შინაბერად, მისი მსახიობური საიდუმლო იყო. ჩვენ წინ ჩაივლიდა მთელი გალერეა სხვადასხვა ასაკის, ხასიათის, პროფესიის მქონე ორივე სქესის ადამიანისა. რა სამწუხაროა, რომ რეპეტიციაზე იმპროვიზაციის დროს სახეების შექმნაში ასე გულუხვი ბატონი აკაკი, ასეთი ძუნწი იყო თეატრის სცენაზე ახალი როლების წარმოსახვისას. გარდა რეპეტიციებისა ჩემთვის არსებობდა სიხარულის კიდევ

ერთი წყარო. უმეტესად შაბათობით შუადღისას აკაკი ხორავა, დიმიტრი ალექსიძე, კუკური პატარძე, პედაგოგი და მსახიობი ანტონ თავზარაშვილი, თეატრალური ინსტიტუტის იმდროინდელი რექტორი, პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ილია თავაძე და ამ სტრიქონების ავტორი ჩამდენიმე საათით გავდიოდით ხოლმე ქალაქგარეთ სასეირნოდ, სასაუბროდ, დასასვენებლად. ვერასოდეს ვერ ვაპატიებ ჩემს თავს, რომ ის მოგონებები ქართულ თეატრის ისტორიიდან, წარსული ცხოვრებიდან, ოცნებები, იმედები, რომლის მოწმეც ვახლდით არ ჩავიწერე და ასე დავიწყებას მივცა.

ერთხელ, მახსოვს, დაღლილ-დაქანცულნი მცხეთის მახლობლად სასადილოში შევედით. ოფიციალტმა უმალ მოგვიტანა ცივი საუზმე და რამდენიმე ბოთლი „თეთრა“, რომელიც მაშინ ახალი გამოსული იყო. როგორც ყველაზე ახალგაზრდა მე გამაგზავნეს მზარეულთან საკითხავად, რომელი ცხელი კერძის შეკვეთა ჯობდა. უნებლიეთ, ასეთ სცენას შევესწარი!

— შე არაფერა ვიცი, საიდანაც გინდა იქიდან გამიჩინე „თეთრა“ — გახარებით ეუბნებოდა ახალგაზრდა, თმახუტუქა კაცი ოფიციალტს.

— კაცო, რამდენჯერ უნდა გითხრა, არა მაქვს-მეთქი — სხაპასხუპით ეუბნებოდა იფიციალტი.

— აბა, მაშ ის რა არის? — ხმას მოუმატა თმახუტუქამ.

— უკანასკნელი ოთხი ბოთლი იმათ მივართვი, უკან ხომ არ წავართმევ და შენ ხომ არ მოგიტან?! —

— ვითომ, რომ წაართვა კიდეც რა დაშავდება? ახალგაზრდა ეტყობა აღარ ჭურბობდა.

— ჯერ ერთი კარგად შეხედე ვინ უზის იმ მაგიდას და მერე ვნახოთ რას იტყვი?! ახლა ოფიციალტი გაწიწმატდა.

თმახუტუქა ფანჯარასთან მივიდა, ჩვენი მაგიდა კარგად შეათვალიერა, უტბად გავიდა საზარეულოდან, თავის მეგობრებთან ერთად მანქანაში ჩაჯდა და თვალს მიეფარა.

„ალბათ თავისი საქციელის შერცხვა-მეთქი“ — გავიფიქრე.

ასე ნახევარი საათის შემდეგ ის ახალგაზრდები კვლავ დაბრუნდნენ. მალე ყველაფერი გაირკვა. ოფიციალტმა ბატონ აკაკის მაგიდაზე წინ დაუდგა ძვირფასი ყვავილებიანი კალათა შიგ ჩადებული ორი ბოთლი შამპანურით და ბარათით, სადაც ეწერა: „უბადლო ოტელოს თეატრის მოყვარულებისაგან“.

აკაკი ხორავა — ოტელო!

რამდენ აზრს, გრძნობას, შთაბეჭდილებასა და ასოციაციას იწვევს ეს სამი სიტყვა. ვინც 1947 წლის გაზაფხულზე მოსკოვში კონსტანტინე სტანისლავს-

კის და ვლადიმერ ნემიროვიჩი-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის სცენაზე რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების უკანასკნელ სპექტაკლს „ოტელოს“ არ დასწრებია, იმისთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ ტრიუმფს მოეწურო აკაკი ხორავა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე. არასოდეს არ დაშავიწყდება გიორგი ტოვსტონოვოვის მიერ იმ საღამოს ნათქვამი სიტყვები: „როდესაც ყოველდღე ვხვდებოდით, ვესაუბრებოდით მას, მაშინ იმდენად ვერ ვხედავდი, თუ რაოდენ ღიაა ეს კაცი“.

მოსკოვის ლუნჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი გახლდით, მცირე აკადემიურ თეატრში სპექტაკლის ანტრაქტში რომ შევხვდი ბატონ აკაკის. მან დაწვრილებით გამომკითხა მოსკოვში ჩემი სწავლისა და ცხოვრების შესახებ, რამე დახმარება ხომ არ გკირდებაო, იმის თქმაც არ დაავიწყდა და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ჩვენსკენ მომავალი სოლომონ მიხოელსი დაინახა. ძალზედ გულთბილი იყო ამ ორი გამოჩენილი დიდოსტატის შეხვედრა, მათ ჯერ მეგობრულად მოიკითხეს ერთმანეთი. მერე კი საერთო ნაცნობები. მე თავი უხერხულად ვიგრძენი და ბატონ აკაკის ქართულად გადაუჩურჩულე „ბოდიში, უნდა დაგტოვოთ-მეთქი“. „ფეხი არ მოიცვალაო — ქართულადვე მიპასუხა და ისეთი ამბით გააცნო ჩემი თავი მიხოელსს, რომ ჰარხალივით გავწითლდი, ერთხანს ხმის ამოღება ვერ მოკახერჩე. „საუ პირბოდი, ბიჭო?“ — საყვედურით მითხრა ბატონმა აკაკიმ მიხოელსის წასვლის შემდეგ და დაუმატა — „მეც ვიცი, შენც ყოველდღე ხვდები და ესაუბრები ამ ბუმბერაზ შემოქმედს, მაგრამ ზედმეტი მორცხვობა არ არის კარგი, ვინ იცის, როდის შეიძლება დაგწიოდეს ეს კაცი?“ სამწუხაროდ, მიხოელსი სულ მალე ტრაგიკულად დაიღუპა. აღარ არის დღეს ჩვენ შორის აკაკი ხორავაც, მაგრამ ეს შემთხვევითი შეხვედრა მცირე თეატრის ფოთში ჩემთვის შესანიშნავ მოგონებად დარჩა და აკი, დამპირდა კიდევ დიდ ქართველი მსახიობის გახსენებისას.

ჩვენ ვინც ბელისა თუ შემთხვევის წყალობით ასეთი სასახელო ადამიანების თანამედროვენი აღმოგჩნდით, რა თქმა უნდა, ბედნიერები ვართ, მოგონებები მათ შესახებ ჩვენი სიმდიდრეა, რომლის ფლობაც ამავე დროს გვავალებს მომავალ თაობებს დევანახთ აკაკი ხორავასი და მასსავით ერის საამაყო შვილების განუმეორებელი იერსახე. რაც უფრო თვალნათლივ და მკაფიოდ წარმოვაჩინებ მათ ბუნებას, ხასიათს, სულიერ სიღრმესა და სილამაზეს, მით უფრო მეტად მოვიხილთ ჩვენს ვალს როგორც მათი ხსოვნის, ისევე ჩვენი შთამომავალთა წინაშე.

სომეხი ხალხის მემკობარი

აკაკი ხორავა უბადლო მსახიობი და, რაც მთავარია, დიდი მოქალაქე იყო.. ხალხს უყვარდა იგი.

აკაკი ხორავა სომხური კულტურის დიდი მოამაგე იყო. მას ახარებდა საუკუნო მემკობრისა და მეზობლის წარმატება. აკაკი ხორავა არა მარტო რუსთაველის სახელობის თეატრის დედაბოძი იყო, არამედ თბილისის შაჰმიანის სახელობის თეატრის დიდი მოამაგეც. იგი სომეხ მსახიობთა ის. ალიხანიანის, პრ. ნერსესიანის, ვ. ვალარშიანის, ვ. ფაფაზიანის, არტემ და მარი ბეროიანების, ბ. ნერსესიანის, არტემ ლუსინიანის, დორი ამირბეკიანის, რ. პაპოვიანის, კ. უმიკიანის ძმა და მემკობარი იყო. მათ ხელოვნებას ჯეროვნად აფასებდა, საქიროებთან შემთხვევაში ხელსაც უმართავდა. იგი ახლოს იყო სომხურ ინტელიგენციასთან.

აკაკი თბილისის სომხური თეატრის მსახიობთა, მწერალთა, პრესის მუშაკთა და მოსწავლე ახალგაზრდობის წრეში დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ეს დიდი ხელოვანი კეთილშობილი ადამიანი იყო. როცა სომხეთიდან გასტროლებზე ჩამოდიოდნენ ვ. ფაფაზიანი, პრ. ნერსესიანი, ვ. ვალარშიანი, გ. ჯანიბეკიანი, — აკაკი ხორავა ყოველთვის ესწრებოდა მათ წარმოდგენებს, ახარებდა მოძმე რესპუბლიკის მსახიობთა წარმატებები.

სომხეთის სსრ სახალხო არტისტის ავეტ ავეტისიანის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად გამოქვეყნებულ სტატიაში ხორავა წერდა:

„მე მუდამ დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ამ დიდი ხელოვანის წარმოდგენების ხილვა. იგი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო მნიშვნელობის არტისტად“.

თბილისის სომხური თეატრის მსახიობთაგან ხორავას განსაკუთრებით უყვარდა არტემ ლუსინიანი და ბაბკენ ნერსესიანი, მათთან მკვიდრო ურთიერთობა ჰქონდა, როდესაც არტემ ლუსინიანი ოტელოს როლს ასრულებდა, ხორავა მთელი დღე თეატრში ტრიალებდა. დაესწრო წარმოდგენას, მის განხილვას, რომელმაც რამდენიმე საათს გასტანა. მან მაღალი შეფასება მისცა ოტელო-ლუსინიანის შესრულებას. შეაქო, გაამხნევა, მისცა რამდენიმე საქმიანი შენიშვნაც, რომელიც მსახიობმა სიამოვნებით მიიღო. რამდენიმე დღის შემდეგ მან შეიტყო რომ გაზეთ „სოვეტკან ვრასტანში“ უნდა გამოქვეყნდეს რეცენზია ოტელოს დადგმის შესახებ, იგი პირადად მოვიდა რედაქციაში, დატო-

ვა პატარა წერილი და სთხოვა რეცენზიაში ჩავეერთო. ჩვენ დავემაყოფილეთ რეცენზიით, ხოლო მისი წერილი ჩემთან დარჩა. მისი შინაარსი ასეთია:

„... 9 ივნისს თბილისის სომხურ თეატრში დიდი ზეიმი იყო. ჩვენ სცენაზე ვიხილეთ მსახიობი არტემ ლუსინიანი, რომელიც ასრულებდა ოტელოს როლს. მას აქვს მსახიობის ყველა ის მონაცემი, რომელსაც არტისტული ხელოვნების მწვერვალებზე აყვავართ. უბრალოება, პოზისა და ეგზოტიკის უარყოფა, რიტმის გრძნობა, მძაფრი ტემპერამენტი, კარგი გამოთქმა — აი, ის ძირითადი ნიშნები, რომელიც გამოავლინა ლუსინიანმა ოტელოს როლში, მე ვიცნობ ამ მსახიობს, როგორც შრომისმოყვარე, ჰკვიან ხელოვანს, რომელიც უაღრესად თავმდაბალია. ეს სრულ ნებას მაძლევს ვთქვა, რომ მისი სახით იშვა დიდი ხელოვანი, არტისტი. წარმატებას ვუსურვებთ მას შემდგომში“.

მაგონდება კიდევ ერთი შემთხვევა. ვემზადებოდით კინოფილმ „გიორგი სააკაძის“ კინოგადაღებისათვის. აკაკი ხორავამ მოისურვა, რომ ლუსინიანი კინოში გამოსულიყო. ასეც მოხდა. იგი კინოში ასრულებს შაჰ-აბასის შვილის როლს.

ერთი სომეხი მსახიობი ცუდ პირობებში ცხოვრობდა, ხეირიანი ბინა არა ჰქონდა. გაიგო აკაკი ხორავამ, დაპირდა დახმარებას. ორი კვირის შემდეგ მსახიობმა მიიღო ოროთახიანი ბინა.

საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა მუშედ ბაბლოიანი. 1949 წელს იგი ამთავრებდა კურსს. ინსტიტუტის ლექტორებმა, მათ შორის აკაკი ხორავამაც, საჭიროდ ჩათვალეს ბაბლოიანი პრაქტიკაზე გაეგზავნათ სომხურ თეატრში. მისი სადიპლომო შრომა იყო სომხური თეატრის სცენაზე თანამედროვე პიესის დადგმა. თეატრის ხელმძღვანელობა შიშობდა ახალგაზრდა რეჟისორისათვის მიენდო ეს საქმე. მაგრამ ქართველმა სცენის მოღვაწეებმა სათანადო დახმარება აღმოუჩინეს თავიანთ სტუდენტს.

თბილისის სომხური თეატრის 100 წლისთავს ზეიმობდნენ... ზეიმს ესწრებოდნენ ქართველი მეგობრები, მათ შორის აკაკი ხორავაც. იგი ყოველნაირად ცდილობდა, მაღალ დონეზე ჩატარებულყო მოძმე ხალხის ოუბილე საქართველოს დედაქალაქში.

ბაბუკენ ნერსესიანის სახით ხორავა ხედავდა მანათობელ ვარსკვლავს, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობი თბილისის მოზარდ მყოფრებელთა თეატრში მუშაობდა, ხოლო როდესაც ბ. ნერსესიანი უკვე მუშაობდა შაუმიანის სახელობის თეატრში, აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძეს აზრი დაეხადათ გ. სუნდუკიანის „პეპო“ დაედგათ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. პეპოს როლს ასრულებდა აკაკი ხორავა, ზიმზიმოვის — აკაკი ვასაძე. წინადა-

დება წამოაყენეს, რომ ქართულ თეატრში პეპოს როლი შეესრულებინა ბ. ნერსესიანს. სხვა მსახიობი შეიძლება არ დათანხმებულიყო, რომ მასთან ერთად ქართულ სცენაზე პეპოს როლში ბ. ნერსესიანი გამოსულიყო. მაგრამ ეს ნაბიჯი გადადგა აკაკი ხორავამ.

ასეთი იყო აკაკი ხორავა, იგი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა სომეხ ხალხში.

ვიქტორ ნინია

ჩვენი დროის უღიღესი მსახიობი

მე ბედნიერება მქონდა ახლო ურთიერთობა მქონდა ჩვენი დროის უღიღეს მსახიობთან აკაკი ხორავასთან.

მას განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა მამაჩემთან, ცნობილ რეჟისორთან და საზოგადო მოღვაწესთან ვიქტორ ათანასეს ძე ნინიძესთან. ოცდაათიან წლებში ჩვენს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ქართული თეატრის მოღვაწეები და მათ შორის აკაკი ხორავაც. მეგობრულ სუფრასთან იმართებოდა გულახდილი საუბარი ქართული თეატრის ავ-კარგზე, მის აწმყოსა და მომავალზე...

ამ პერიოდთან მოყოლებული იგი თვალყურს ადევნებდა ჩემს საქმიანობას. ორმოციან წლებში, როცა თბილისის სანიტარული კულტურის თეატრში ვმუშაობდი, ბატონი აკაკი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი თეატრის, ესწრებოდა სპექტაკლებს და თავისი აზრის გაზიარებით ფასდაუდებელ ამაგს გვიწევდა. შემდეგ მე სამუშაოდ სოხუმის ქართულ თეატრში გადავედი და აქაც მქონდა ბედნიერება ხშირად შეგხვედროდი მას. ჩვენს თეატრში წარმატებით იღგმებოდა „ოტელო“ და მახსოვს როგორ დიდ ზეიმად გადაიქცა ბატონ აკაკის მონაწილეობა ჩვენს სპექტაკლში. ეს იყო უღიღესი მოვლენა აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში.

აკაკი ხორავამ აკაკი ვასაძესთან ერთად სამ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. ეს იყო ჭეშმარიტი ზეიმი. მაღლიერი მაცურებელი სპექტაკლია დამთავრების შემდეგ ფეხზე ამდგარი მჭუხარე ოვაციას უმართავდა საბჭოთა სცენის ბერძენას.

ასევე დიდი აღტაცება გამოიწვია შემდეგში მისმა მონაწილეობამ ლ. ქიანჩელის „ტარიელ გოლუაში“, რომლის დადგმაც რეჟისორმა გიორგი ვაბუნიამ განახორციელა, მე რეჟისორის ასისტენტად ვმუშაობდი. მახსოვს, როცა

რეპეტიციანზე გიოს როლის შემსრულებლად ტანმორჩილი, ახალგაზრდა ქალი იხილა, მის სახეზე გავივრება და ვაოცება გამოიხატა, ხოლო პირველი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მან მალალი შეფასება მისცა სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს და განსაკუთრებით, გიოს როლის შემსრულებელს, ამჟამად საქართველოს და აფხაზეთის სსრ სახალხო არტისტს ნორა ყიფიანს. მამაშვილურად ჩაიკრა გულში და უთხრა: „შენ ყველაზე კარგი, პატარა და საყვარელი გიო ხარ, რომელიც მე მინახავსო... „აბა ულას“ შენსავით ვერავინ ვერ მღერისო. ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი ბედნიერება იყო ახალგაზრდა მსახიობისათვის აკაკი ზორავასგან ამ სიტყვების მოსმენა...

ამ პერიოდში სოხუმის თეატრის ღირებულორად მუშაობდა აწ განსვენებული შალვა გაბესკირია, რომლის ინიციატივითა და მცდელობითაც სოხუმის საზოგადოებრიობას საშუალება მიეცა დამტბარიყო ამ დიდი მსახიობის შემოქმედებით.

აფხაზური თეატრის ზეიმად იქცა ბატონი აკაკის მონაწილეობა სპექტაკლში რ. ებრალიძის „თანამედროვე ტრაგედია“, რომლის დადგმაც შესანიშნავად განახორციელა რეჟისორმა ნელი ეშბამ. აკაკი ზორავა ამ სპექტაკლში პროფესორის როლს ასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა აკაკიმ აფხაზური ენა არ იცოდა და როლი ქართულად მიჰყავდა, არავითარ დაბრკოლებას ადგილი არ ჰქონია, იგი ყოველ რეპლიკაზე ზუსტად პასუხობდა და თავისი დიდი შემოქმედებით სპექტაკლს მრავალფეროვანს ხდიდა.

პატივცემულ აკაკის განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა აფხაზური დასის მსახიობებთან. ის წამყვანი ძალა, რომელსაც დღეს აფხაზური თეატრის მსახიობთა საშუალო თაობა წარმოადგენს, მაშინ სრულიად ახალგაზრდები მოვიდნენ თეატრში შ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ და სიამაყით აცხადებდნენ, რომ მათი ხელმძღვანელი და პედაგოგი აკაკი ზორავა იყო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგა სისტემატურად ადვენებდა თვალს მისი აღზრდილების საქმიანობას და გულით ხარობდა მათი წარმატებით.

სოხუმში ყოველი მისი ჩამოსვლა სასიხარულო და საამაყო იყო მას ამ ქალაქში, თავისი ნიჭის თავყვანისმცემლების გარდა, პირადი მეგობრებიც ჰყავდა. ესენი იყვნენ: ცნობილი ლოტბარი კიწი გეგეჰკორი, ძველი თეატრალური მოღვაწე პროკლე თურქია, რეჟისორი გიორგი გაბუნია, სახალხო არტისტი ლეო ჰედია, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ასტამურ მარლანია და სხვა. როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა, თეატრის წინ, სკვერში შეიკრიბებოდნენ და მეგობრულ საუბარში გარდასულ დღეებს იგონებდნენ.

ბატონი აკაკის ხელგაშლილობა ყველასათვის ცნობილია. იგი სისტემატურად ეხმარებოდა სტუდენტებს, არცთუ ისე ხშირი იყო შემთხვევები, რომ მისთვის ვინმეს დაესწრო მეგობრული სუფრის გადახდა. ჩემი სოხუმში ყოფნის დროს მან ათზე მეტ წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა და არცერთი სპექტაკლის პონორარი არ აუღია.

სამოცდაათიან წლებში მე რუსთაველის თეატრში დავიწყე მუშაობა. რაოდენ სამწუხარო იყო ჩემთვის, რომ ამ დროს აკაკი ხორავა სცენაზე უკვე აღარ გამოდიოდა. ჩემს მოვალეობად მივიჩნიე სწეულს სახლში ვხლებოდოდა მომენახულებინა.

არასდროს დამავიწყდება რა რიგ ვაიხარა, როცა გაიგო, რომ ჩემი ოცნება აღსრულდა და რუსთაველის თეატრის მსახიობი ვავხდი. თავის ცხოვრების განუწყრელ მეგობარს, ქალბატონ ნინო სარდიონის ასულს დაუძახა და მთელი ორი საათი გულახდილ, გულწრფელ საუბარში გაატარა. იგი სიამოვნებით იგონებდა მამაჩემთან ერთად გატარებულ პერიოდს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში, არაერთგზის მოგზაურობას მასთან ერთად მოსკოვსა თუ ლენინგრადში, გურიასი სტუმრობას მამისეულ სახლში და სხვა ღირსშესანიშნავ ფაქტებს...

მე სულგანაბული ვუსმენდი მას და გულში სინანულის გრძნობა ისადგურებდა იმის გამო, რომ ახალგაზრდა თაობას აღარ ექნებოდა საშუალება სცენაზე ეხილა ეს ტიტანი და დამტკბარიყო იმ ადამიანის შემოქმედებით. რომლის წინაშეც თვით დიდი კაჩალოვი დაბლა, მიწამდე ხრიდა თავს...

ზაზა ბაწელაშვილი

მისი ანდერძი: იზრომეთ მრის დიდებვისათვის

ეს წერილი, რომელიც მოსკოვიდან გამოგვიგზავნა აკაკი ალექსის ძე ხორავამ ლონდონში გაფრენის წინ 1964 წლის 19 აპრილს, ახლა წინ მიდევს და გულაფორიაქებული ვკითხულობ...

თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მეოთხე კურსზე რომ გადავედი, ჩვენს ჯგუფში სპექტაკლი უნდა დაედგა აკაკი ხორავას. ძალიან ვავებახარა ამ ამბავმა. და აი, პირველი გაკვეთილი — პირველი ლექცია. ყველანი სიყვარულითა და სიამოვნებით ველოდებით მას მეცხრე აუდიტორიაში. იღება კარი, მსუბუქი ნაბიჯებით შემოდის მთასავით ახოვანი კაცი. კაცი კი არა, თითქოსდა ზორცუმესხმული ქანდაკება. გვესალმება, მერე გვი-

ლიმის, ძალიან შეენის ღიმილი, ამ ღიმილში ბავშვური გულუბრყვილობაც კი გამოკრთის, რაც იმას გვაუწყებს, რომ მართალია ტრაგედიის გმირების განსახიერება მიყვარს სცენაზე და მათ ბედთან მრისხანე შერკინება, მაგრამ არანაყოლებ მიყვარს ღიმილი და მეგობრული ურთიერთობა.

ყველას უზომოდ გვიყვარდა იგი და ეს მან მაშინვე იგრძნო, თვითონაც იმ დღიდან შეილებივით შეგვიყვარა, ჩვენს შორის დიდი მეგობრობა დამყარდა...

ერთხელ, თავისი აღფრთოვანება ასე გამოხატა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა მიხეილ ულიანოვმა: როცა აკაკი ხორავა ვინილე „ოტელოს“ როლში, კინალამ „ტენისი შერყევა“ მომივიდაო. მართლაცდა, აკაკი ხორავას „ოტელო“ შეგძრავდა, შეგახანზარებდა.

... მაგონდება ის საღამო, როცა აკაკი ხორავამ რუსთაველის თეატრში ითამაშა „ოტელოს“ უკანასკნელი სპექტაკლი. ეს თავისებურად, მისი „გედის სიმღერა“ იყო, ამის შემდეგ „წელთა დაღმართმა“ თავისი გაიტანა და მკაცრბელი უღარესად დიდ სიამოვნებას გამოეხალმა...

თუმცა კი, აკაკი ხორავამ კიდევ ერთხელ გაიელვა ლონდონში, 1964 წელს, შექსპირის დაბადებიდან ოთხასი წლისთავის ზეიმზე, სადაც იგი საბჭოთა დელეგაციასთან ერთად ჩავიდა საქართველოდან. მასთან ერთად ამ ზეიმზე იმყოფებოდა ქართველი კომპოზიტორი, ბალეტ „ოტელოს“ მუსიკის შემქმნელი ალექსი მაჭავარიანი, რომელმაც საშობლოში დაბრუნების შემდეგ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებთან შეხვედრისას მოკვითხროვანიტ აუწერელი იმ დიდი წარმატების შესახებ, რომელიც ხვდა აკაკი ხორავას ოტელოს ორი მონოლოგის წაკითხვის გამო, მას ხომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ღირსეული ხელოვანი უსმენდნენ, მათ შორის შექსპირის გმირების საუკეთესო შემსრულებლებიც... და აი, აკაკი ხორავა დგას მათ წინაშე, მათთვის უცნობ, უცხო ქართულ ენაზე კითხულობს ოტელოს მონოლოგებს... უღარესად დიდი პატივისცემის ნიშნად ყველანი სანთლებს ანთებენ...

იმ წერილში, რომელიც აკაკი ხორავამ მოსკოვიდან გამოგზავნა ჩვენი ჯგუფის სახელზე, კარგად იგრძნობა, როგორ მეგობრობდა იგი ჩვენთან და როგორი მამაშვილური გრძნობით იყო გამთბარი ჩვენი ურთიერთობანი. ისიც კი არ დავიწყნია, რომ ჩვენი თანაურსელი ცისანა გოქაძე დღედღეზე შვილის დაბადებას ელოდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ აკაკი ხორავას 29 აპრილს ლონდონში უსრულდებოდა 69 წელი. მე ვიცოდი და ჩვენს ჯგუფსაც ვამცნე. გადავწყვიტეთ, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტების სახელით.

მისთვის მისალოცი დეპეშა გაგვეგზავნა ლონდონში და ასეც მოვიქციეთ: ლათინურ ასოებით რუსულ ენაზე დავეწერეთ მისალოცი ტექსტი.

თურმე ჩვენი მისალოცი დეპეშა ლონდონის საბჭოთა საელჩოში რომ მივიღა, ამის შესახებ წინდაწინ არაფერი უთხრეს აკაკი ზორავეს, უბრალოდ შექსპირის დღეებზე ჩასულ საბჭოთა დელეგაციის წევრებს გამოუცხადეს, რომ ამა და ამ საათზე საელჩოში უნდა მოხვიდეთ და აკაკი ზორავეც მათთან ერთად გამოცხადდა. რა თქმა უნდა, სულაც არ მოელოდა, რომ ეს შეკრება მისი გულისათვის იყო დანიშნული. თანაც საელჩოს ერთ-ერთ დარბაზში პატარა პურმარილიც გაეწყოთ. მოულოდნელად, საბჭოთა საელჩოს თანამშრომელმა დეპეშა ააფრიალა ჰაერში და იქ შეკრებილთ წაუკითხა. არც და ტამის ცემა, მილოცვა, ხევეწა-კოცნა, კინაღამ „დაახრჩვეს მოხუცი ბავშვი“, რომელსაც სიხარულის ცრემლები უბრწყინავდა თვალებში.

მე რუსთაველის თეატრში დავიწყე მუშაობა, ჩვენი მეგობრობა კვლავ გაგრძელდა. ხშირად მეუბნებოდა, რატომ არ დაცოლშვილდები, რაღას უყურებო. ერთხელ ასე გავეხუმრე: თუ ხელისმომკიდედ გამოიყვებით, ცოლს ერთ კვირაში შევიერთავ-მეთქი. მხარზე ხელი მომიტათუნა და ღიმილით მი-თხრა: თანახმა ვარო.

მოვიდა პირველი იანვარი, მისთვის ბოლო ახალი წელი.

ახალი წლის მისალოცად მივედი, სულმოთუქმელად ავირბინე კიბეები. ზარის დილაქს თითი დავაჭირე.

— ნინა, სტუმარია, კარი გაუღე! — მომესმა აკაკი ზორავეს ხმა.

კარი მისმა მეუღლემ გაშიღო, წინ გამიძღვა და სასადილო ოთახში შე-მიყვანა. მაგიდასთან იჯდა ორი დიდი აკაკი — აკაკი ზორავე და აკაკი ვასაძე. ორივეს გადავეხვიე, ახალი წელი მივულოცე, ყველას ჩურჩხელები დავუბრ-ივე. ძალიან გაუხარდა, ბატონი აკაკი მომეფერა, მაგიდასთან დაბრძანდით, მთხოვა. მას წვეურულაში და თმა მოშვებული ჰქონდა, პირველად ვნახე იგი ასეთი, კარგ ხასიათზე იყო, ხუმრობდა, ოხუნჯობდა. სუფრაზე ინდაური-საცვივით სავსე თიხის ორყურიანი დიდი ქოთანნი იდგა, მის გვერდით ჩანა-ხვერებული ღვინის ბოთლი. ერთ თეფშზე პურის რამდენიმე ნაჭერი იდო. მოლდავურ ღვინოს „ბილეს“ სეამდნენ. თუმცა, სად იყო სმა?! აკაკი ზორა-ვეს აკრძალული ჰქონდა ღვინის დაღევა, აკაკი ვასაძემ ჭიქები შეაგასო, ასწია სასმისი და თქვა:

— აბა, აკაკი, კიდევ ერთხელ მოგილოცავ ახალ წელს და წავალ! სხვა მეზობლებსაც მინდა მივულოცო. აქ კი შენი საყვარელი სტუდენტი დარჩება. ვიცი, არ მოიწყენთ! — სასმისი გამოცალა და წავიდა.

მაგიდასთან ორნი დავრჩით. ქალბატონმა ნინომ ღვინით სავსე მერაჯე

ბოთლი შემოდგა. რამდენიმე ჭიქა გადაყარი, ის ლიმონათს სვამდა. თვალე-
ბი ამენთო, გული ამიფორიაქდა, მიხაროდა, რომ ბატონი აკაკი კარგ გუნე-
ბაზე იყო; ბევრი ვილაპარაკეთ, ვისაუბრეთ, სასმისი ავწიე და მოკრძალები
ვუთხარი:

— თქვენ გაგიმარჯოთ, ბატონო აკაკი! — თქვენ რუსთაველის თეატრის
ბურჯი ბრძანდებით. თქვენ საოცრებებს და სასწაულებს ახდენდით სცენაზე.
ტრაგედიის გმირის ცოცხალი ძეგლი ხართ, ცოცხალ ლეგენდად ქცეული და-
იარებით დედამიწის ზურგზე და ვისაც სცენაზე და ეკრანზე არ უნახიხართ,
ამ ლეგენდით გიცნობენ. თქვენ უკვდავი ხართ.

მას ბავშვური სიხარული ედგა თვალეში. ეხამეუა კიდევ, რომ ასე ვა-
ქებდი, მაგრამ იმდენად გულწრფელად ვუთხარი, რაც მსურდა, ხელი არ შე-
მიშალა.

მხოლოდ ერთი კი ჩაიდუღუნა დარცხვენით:

— ვნახოთ, შეილო, თეატრის ისტორია როგორ შემათასებს, რას იტყვის
ჩემზე, დავეუბლოთ!

მერე თავის მეუღლეს სთხოვა პირადი არქივიდან ზოგიერთი წერილი
მოეტანა. მან მყისვე შეუსრულა თხოვნა და დავიწყე მისი დროის გამოჩენი-
ლი ადამიანების წერილების ხმაბლდა კითხვა, იგი სულგანაბული მისმენდა
და ვატყობდი, როგორ ცოცხლობდა მის სახესა და თვალეში დაუვიწყარი
წარსულის სურათები. აი, ხელში მომხვდა გამოჩენილი რუსი მსახიობის
ვ. კაჩალოვის წერილი, სადაც კაჩალოვი წერს, რომ თავს ხრის მაწინდელ ხო-
რავას ოტელოს წინაშე...

აკაკი ხორავა ჭანდაკებასავით იჯდა, მისი თვალეები ძალიან შორს, შორს
იციკირებოდნენ, შემოკმედებითი ცეცხლით გაელვებულ წარსულში...

დიდხანს ვისხედით ასე. ისევ თვითონ დაარღვია სიჩუმე, ჭიქა შემივსო,
თვითონ ლიმონათი დაიხბა, მერე სამი წვეთი ღვინო ჩააწეთა ლიმონათით
სავსე ჭიქაში და თქვა:

— რუსთაველის თეატრს გაუმარჯოს, მის მომავალს გაუმარჯოს!

ლომით აბუბუნდა სცენაზე სწორუპოვარი მხცოვანი მსახიობი.

ქალბატონმა ნინომ მეუღლეს გადასცა საწერ მაგიდაზე უკვე შეკრულ-
ლი ბარათები.

— საღამოს ბინდს ერთვოდა ოთახის მკრთალი განათება.

— თუ ძალიან არ გადაგლალეთ, ბატონო აკაკი, იქნებ მომცეთ
ამ დღის აღსანიშნავად თქვენი ფაქსიმილე?

ქალბატონმა ნინომ შემოიტანა ორი სურათი სხვადასხვა დროს გადაღ-
ებული.

სიჩუმეში მკვეთრად გაისმა კალმის მოსმის ხმა. კვლავ მძიმედ გამოიწოდდა ხელი ღია ბარათებით და სურათებით სავსე.

ბინდში თითქოს სივრცე ლანდავდა სხვადასხვა დროს ჩვენს მიერ ნანახ მხატვრულ სახეებს. ასე გვეგონა, ყოველი მათგანი, აკაკი ზორაფას ორეულად ქცეული, უკვე მისგან დამოუკიდებლად სახლობდა ამ კედლებში. იქნებ ამიტომაც უფრო გაუცხოებული გვეჩვენებოდა შინდისფერ ხავერდის სუფთაზე დაყრდნობილი, გარინდებული აკაკი ზორაფას სილუეტი.

ამ წუთებში კი...

თეატრალური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ტევა არ იყო. საზეიმოდ განათებული სცენა და დარბაზი, სავსე ბედნიერი სახეებით; განსაკუთრებული ატმოსფეროთი ავსებდა გარემოს, საღამოს დამდგმელი რეჟისორისა და წამყვანის გოგი ქავთარაძის ცოცხალი იუმორი.

ასეთ გარემოცვაში, პროფესორმა ეთერ გუგუშვილმა გულწრფელ-სიამაყით ამცნო დამსწრე საზოგადოებას, რომ ინსტიტუტი სამახსოვროდ სთავაზობდა ახალბედებს დალოცვას ხელოვნების რთულ, ტკბილმწარე გზაზე და რომ პირველი, ვინც ხმას უერთებდა და ფაქსიმილეთი ადასტურებდა ამ ლოცვა-კურთხევას, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პირველი რექტორი, უდიდესი მსახიობი აკაკი ზორაფა იყო.

მანბანა ზელიძე

მცირე მოგონება

შექსპირის ტრადიციული დღეებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მოაკოვს 5 აპრილს გავემგზავრეთ: აკაკი ზორაფა, აკაკი ვასაძე და მე. მასალები გამოფენისათვის, რომელიც ქართულ საბჭოთა სცენაზე შექსპირის პიესების განსახიერების თემას ეძღვნებოდა, ჩამდენიმე დღით ადრე გაგზავნეს ავიოფოსტით: მე ინფორმაციული ხასიათის მოხსენება მქონდა დავალებული — „შექსპირი ქართულ სცენაზე“, ჩვენს მსახიობებს კი მოსკოველი მაყურებლის წინაშე სცენა უნდა გაეთამაშათ „ოტელოდან“. ეს წინააწარვე ვიცოდი და ამიტომ სხვებივით არ გამკვირვებია, როდესაც ვაგზალში გამოსულ აკაკი ვასაძეს ხელში დიდი ხმალი დავუნახე — ჩემოდანში არ ჩატეოდა იაგოს მახვილი და ხელით მოქჭონდა. გამცილებლები ეხუმრებოდნენ ვასაძეს — აბა, შენ იცი, მაგ მახვილით როგორ გვასახელებო...

გაიხსნა ფარდა...

დარბაზში სამარისებური სიჩუმეა. სცენაზე გამოდის აკაკი ვასაძე-იაგო. ერთბაშად დამკრა თავში: ვასაძის ფეხსაცმელები საშინლად კრაჭუნობს. თითქოს. უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ მე მაშინ ეს მთელ უბედურებად მომეჩვენა. იაგოს ოტელოც შემოაყვია და კიდევ ახალი უბედურება: ხორავაა ფეხსაცმელებსაც კრაჭუნი გაუღისა..

დაიწყო იაგომ შეშპარავი ხმით. და იმ წუთიდან მე აღარ გამიგონია ფეხსაცმელების კრაჭუნი, ვეღარ ვხედავდი ზორავასა და ვასაძეს, რომლებთან ერთად სულ ორიოდ საათის წინ მოვედი ამ თეატრში. მე შევეუბრებდი დიდსულოვან ვეაკაცს, მეტისმეტად მიმნდობ გმირ სარდალს, რომელსაც საკუთარ თავზე უფრო უყვარს თავისი ახალგაზრდა ცოლი, ვხედავდი ბოროტადამიანს, რომელიც ცდილობს დაუნგრიოს კაცს ეს ბედნიერება... მე მანცვიფრებდა ის საოცარი ზომიერება, რასაც ჩვენი მსახიობები იჩენდნენ. არც ერთი ზედმეტი ნაბიჯი, არც ერთი უადგილო ხმაძალი სიტყვა... საერთოდ არა მაქვს ძალა და სურვილი ანალიზი გაუუკეთო იმას, თუ როგორ ასრულდებნენ ოტელოსა და იაგოს როლებს ხორავა და ვასაძე. მით უმეტეს ეს არ შეიძლება ამ წერილში. გრძელი მახვილი არ ეკრა იმ ღამეს ვასაძეს, არც ხორავას, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია მათთვის ხელი, თავიანთი მახვილგონიერული თამაშით ვესახელებინეთ.

რამდენჯერმე გამოიძახეს სცენაზე ხორავა და ვასაძე.

— „აი, ნამდვილი შექსპირი!“, „ბრწყინვალეა!“ „არ დაბერებულა“ — გაისმოდა დარბაზში. ერთმა ინდოელმა პროფესორმა, რომელიც ჩემს მახლობლად იჯდა, თავის მეზობელს უპასუხა: „ძნელია ამ პატარა სცენით სრული შთაბეჭდილება შეგექმნას, მაგრამ ვგრძნობ რომ დიდებულია! Outstanding!“ და მერე მეორე მეზობელს რუსულად უთარგმნა „Очень хороши“. მაგრამ ეს თარგმანი არ არის ზუსტი — იგი „შესანიშნავს, გამოჩენილს“ ნიშნავს.

სოსო ხაინდრავა

დიდი მაღლობა, ბატონო აპაკი!

1958 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შევედი შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრთან ახლად ჩამოყალიბებულ სტუდიაში. თავი ზღაპარში მივგონა. უცბად მოვხვდი ისეთ ბუმბერაზებთან, როგორებიც იყვნენ აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე, გიორგი დავითაშვილი, დოდო ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი და სხვა. სტუდიამ სამი თვე

იარსება, მაგრამ ამ მცირე დროშიც აქ ჩაგვიწერეს თეატრის დიდი სიყვარულო პროფესიონალიზმი. განსაკუთრებით აკაკი ზორავე დაგვეფოფინებდა თავზე, ვატყობდით როგორ უყვარდა ახალგაზრდობა, როგორ აინტერესებდა, რომ რუსთაველის თეატრს საიმედო ძალა შემატებოდა, როგორი გიტაცებით გვიყვებოდა თეატრის საქმიანობას.

სტუდიის დაშლის შემდეგ რამდენიმე ახალგაზრდა დაგვეტოვეს თეატრის თანამშრომლებად, მსობრივ სცენებში მონაწილეობის მისაღებად. ამ დროს რეპერტუარში აკაკი ზორავეს მონაწილეობით „ოტელო“ და „ოიდიპოს მეფე“ იყო მხოლოდ. მე ბედნიერი ვიყავი, რომ შემეძლო ხან დარბაზიდან, ხან კულისებიდან, ხან უშუალოდ სცენაზე ყოფნისას მეცქირა მისი დიდი ოსტატობისათვის, მესმინა განუმეორებელი ხმისათვის.

არასოდეს არ დამავიწყდება 1959 წელს გასტროლები ქიათურაში, სადაც სხვა სპექტაკლებთან ერთად „ოიდიპოს მეფეც“ იყო წარმოდგენილი. სპექტაკლებზე მოხვედრა სასწაული იყო. პირველ დღეს ოიდიპოსი ეროსი მანჯგალაძემ ითამაშა, მეორე დღეს სერგო ზაქარიაძემ და მესამე დღით ჩამოვიდა აკაკი ზორავე.

— ნუ, როგორ არის საქმე — იკითხა მან.

— ოო, ბატონო აკაკი საოცრება ხდება, ეროსიმ და სერგომ ისე ითამაშეს, რომ გადარჩეს ხალხი.

— Хороши! — ჩილაპარაკა აკაკიმ და თვალბეჭეტი ეშმაკურად ნაპერწკლებმა გაუფლვეს.

დაიწყო სპექტაკლი, ჩვენ დასაწყისში მსობრივ სცენებში ვიყავით და ზუთი წუთის შემდეგ შეგვეძლო ჩაგვეცვა და წავსულიყავით, მაგრამ აკაკი ზორავემ ისეთი ძალით დაიწყო სპექტაკლი, რომ ყველანი კულისებში გავიბრინდეთ, გაფაციცებული შევსტყუარდით სცენას, სადაც უკვე ქეჩა-ქუხილი იყო ატეხილი და იმ ადგილას სადაც ოიდიპოსი ამოხეთქავს — „ჩაქრა მზეო, ჩემთა თვალთა ნულარ უნათებ“ — ბროლის უზარმაზარი ქალი, რომელიც დარბაზში ეკიდა. აქანავდა და წკრიალი დაიწყო, დამთავრდა სპექტაკლი და დარბაზი კინალამ დაინგრა ტაშისგან. ბრაეო, — ისმოდა შეძახილები. სცენაზე დოდო ალექსიძე ამოვარდა, სახეზე ფერი აღარ ედო. — „ეს რა ვნახე ხალხო, ეს რა სასწაული იყო, ლომმა აიწვიტა, ლომმა“, — და აკაკის გადაეხვია. ამის დაეიწყება შეუძლებელია...

ბატონი აკაკი ისე როგორც ყველა ახალგაზრდისადმი, ჩემს მიმართაც ძალიან ყურადღებიანი იყო, ყოველთვის აინტერესებდა რას ვაკეთებდი, როგორ ვსწავლობდი (იმ დროს უკვე თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი).

1968 წელს სადიპლომო თემად ავირჩიე ფ. შილერის „ინ ტირანოსი“ („ყაჩაღები“) სანდრო ახმეტელის დადგმით რუსთაველის თეატრში. რეცენზიის დაწერა სთხოვეს აკაკი ხორავას. ბატონი აკაკი იმ დროს უკვე შეუძლოდ იყო, სახლიდან იშვიათად გამოდიოდა, მაგრამ რეცენზიაზე მაინც დათანხმდა და სახლში დამიბარა: მივედი და მივუტანე ჩემი სადიპლომო ნაშრომი, დიდხანს ვისაუბრეთ, დაწვრილებით გამომკითხა როგორ ვმუშაობდი, რა წყაროებს დავყვარდენი.

დადგა დიპლომის დაცვის დღე, იმ პერიოდში ბატონი აკაკი ძალიან ცუდად იყო, სამი კვირის წინ მძიმე ოპერაცია გადაიტანა და სახლიდან საერთოდ არ გამოდიოდა, დაურეკეს — ბატონო აკაკი, ვიცით რომ თქვენ მოსვლას ვერ შეძლებთ და ამიტომ მხოლოდ რეცენზია გამოგვიგზავნეთო. კარგი, კარგი, ვნახოთო და... იღება კარი და ყველას გასაოცრად ბატონი აკაკი აუდიტორიაში შემოვიდა, ძალიან დასუსტებული იყო, მაგრამ თვალები, ისევ ისეთი ცეცხლოვანი ჰქონდა, ყველას ძალიან გაუხარდა მისი დანახვა, შემოეხვივნენ, კოცნიდნენ, მე ხომ მეშვიდე ცაზე დაფრინავდი, მივედი დიდი მადლობა გადაუხადე, თავზე ხელი გადამისვა, ფართო მკერდზე მიმიხუტა. რომ არ გადაეღალათ სასწრაფოდ ყველამ თავისი ადგილი დაიკავა და ბატონმა აკაკიმ ეს რეცენზია წაიკითხა.

— „განვიციდი უხერხულ მდგომარეობას: უნდა გავუყვითო რეცენზირება შრომას „ინ ტირანოსი“ ახმეტელის დადგმით“, რომლის ერთ-ერთი მონაწილე და მთავარი როლის შემსრულებელი მე ვიყავი.

აჯობებდა რეცენზია დაეწერა ისეთ ვინმეს, რომელსაც ან წარმოდგენის დადგმასთან უშუალო კავშირი არა ჰქონდა, მაგრამ რაკი დამეგალა მეც შეძლებისდაგვარად ვასრულებ ამ დავალებას.

აქვე არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი კმაყოფილება იმის გამო, რომ ამ ბოლო ხანებში ახმეტელსა და მის შემოქმედებას მოეხსნა მიჩუმებისა და მიჩქმალვის გარემოცვა და დღეს უკვე თამამად იწერება გამოკვლევები ამ დიდი ხელოვანის საამაყო მოღვაწეობის შესახებ ქართულ თეატრალურ კულტურაში. თუ დღემდე მხოლოდ რამდენიმე კრიტიკოსი თეატრის ისტორიაში (შ. აფხაიძე, ვ. კვიციანი, ნ. შვანგირაძე და სხვ.) ბედავდა შეეფასებინათ ახმეტელის დიდი როლი საქართველოში თეატრის აღორძინების საქმეში, დღეს უკვე ახალგაზრდობაც გულმოდგინედ სწავლობს ახმეტელის შემოქმედებას და თავისი აზრები გაბედულად გამოაქვს პრესის ფურცლებზე, ამის ერთ-ერთი მაგალითია თეატრალური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტ იოსებ შოთას ძე ხაინდრაგას მიერ წარმოდგენილი სადიპლომო შრომა „ინ ტირანოსი“ ს. ახმეტელის დადგმით.

შრომიდან აშკარად ჩანს, რომ დიპლომანტს დიდი შრომა აქვს გაწეული, რათა არსებული მასალები შეესწავლა და გასცნობოდა მდიდარ პრესას როგორც თბილისის, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინისას.

გარდა პრესის გაცნობისა დიპლომანტს, ამ წარმოდგენის მაშინდელ მრავალ მონაწილეებთან ჰქონია საუბარი. ყველა ეს მასალა საკმაოდ აქვს გამოყენებული თავის შრომაში.

ს. ახმეტელის მხატვრული კრედოსი, მისი მეთოდოლოგიის თუ სისტემის ჩამოყალიბებას დიდი დრო და ურუდიცია სჭირდება და მე იმედი მაქვს, რომ ი. ხაინდრავა, უფროსი ამხანაგების დახმარებით, ამ საკითხსაც მოუვლის.

ზოლო, რაც შეეხება თვით წარმოდგენის აღწერას, ეს საკითხი დიპლომანტს საკმაო სიზუსტით აქვს აღწერილი.

მე პირადად დასამატებელი არაფერი მაქვს, შრომას ვთვლი სავსებით დამაკმაყოფილებლად.

პროფესორი ა. ზორავა“

როდესაც კითხვა დაამთავრა მიუბრუნდა ეთერ გუგუშვილს და უთხრა — ჩემო ეთერი, შენ პირადად გთხოვ, დაეხმარო სოსოს ამ ნაშრომის სრულყოფაში, დისერტაციის მომზადებაში, მას ეს შეუძლია და უნდა გააყეთოს.

სამწუხაროდ, ბატონ აკაკის ეს სურვილი ვერ შევუსრულე, სამსახიობო და სარეჟისორო გზას ვაყვევი. მაგრამ მისი სიტბო, მისი დიდი ბუნება, მისი სიყვარული ყოველთვის მიმყვება და გზას მინათებს ცხოვრებაში.

ლამაზირა ჩხიძე

პატარა მოგონებები აკაკი ზორავაზე

მ ო გ ო ნ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი. ბავშობიდან მახსოვს ჩვენს სახლში აკაკი ზორავას ფოტოსურათები (ვიცოდი, რომ ეს იყო აკაკი ზორავა — მსახიობი), რომლებიც მამაჩემს მოუტანია დედაჩემისათვის. დედა ახალგაზრდობიდან აკაკი ზორავას თაყვანისმცემელი იყო. მახსოვს, მისი მონაყოლი ზორავას საოცარ თამაშზე „ანზორში“, „პლატონ კრჩეტში“, ვიცოდი, რომ აკაკი ზორავას ჰქონდა ასეთი უესტი — ის მუშტს უკულმა იდებდა შუბლზე ძლიერად და ფეხები განზე ჰქონდა გადგმული. ეს ყველაფერა

ძალიან მომწონდა და მეზობელ ბავშვებთან „თეატრობანას“ თამაშის დროს ამ უესტის წარმოვადგენდი.

მ ო გ ო ნ ე ბ ა მ ე ო რ ე. ისევ პატარა ბავშვი ვარ. გვიანი ღამეა. სახლში გვაქვს რადიომიმღები „სი“ ჩართული. მე ვწევარ, ალბათ ნახევრად მძინავს. და უცებ გადავეშვი საოცარ, ზღაპრულ, სიზმარეულ სამყაროში. ეს შეგარძნება იმ წუთებიდან ჩემთვის დღემდე ცოცხალია და ისევე ემოციური. ეიწექი და მესმოდა ხმები, სიტყვები, რომლებიც ჩემს სხეულში და ბავშვურ სულში ვიბრირებდნენ. რაღაც მიხაროდა, ალბათ, თანაზიარობა მქონდა, ჩემებური. ვუსმენდი „ოტელოს“ დიდ სიყვარულს და მთელი არსებით თანაგანცდა მქონდა.

ეს იყო „ოტელოს“ რადიო გადაცემა. მერე მივხვდი, რომ ეს იყო თეატრი, რომელიც უკვე შემყვარებოდა და დავემონებინე.

მ ო გ ო ნ ე ბ ა მ ე ს ა მ ე. თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ვარ. მესამე კურსზე ბ-ნი დოდო ალექსიძე აკეთებს მ. გორკის „მზის შვილებს“. ვთამაშობ ლიზას. უნდა გავგვიღე და ჩეპუჩჩოსის სურათით შემოვიდე. სურათი აუცილებელია, ზედ უნდა ეწეროს ლექსები. ბევრი ფიქრის შემდეგ შეეჩერდი ბ-ნ აკაკი ხორავას დედაჩემის კუთვნილ ფოტოზე.

მ ო გ ო ნ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე. ვგრძნობ მის ბუმბერაზობას, სიღიადს. ვთამაშობ ჩემს პირველ როლს თეატრში ი. ვაკელის „რვალში“ (რუსუდანის როლს). პირველი შემსრულებელი ამ როლისა გახლდათ ქ-ნი ალექსანდრა თოიძე.

ჩემი პირველი სპექტაკლის შემდეგ ბ-ნი აკაკი ხორავა მილოცავს და სინანულით მიხდის ბოდის, რომ არ გამოაცხადა, არ მომიწყო ოფიციალური დებიუტი (ამას ვწერ ძალიან თავმოდრეკილად, მხოლოდ იმიტომ, რომ ალვნიშნო მისი ყურადღება და ახალგაზრდა ადამიანისადმი დამოკიდებულება).

საერთოდ, შემდეგ ყველაფერი ისე აეწყო, რომ ბ-ნ აკაკი ხორავას ყოველ მონდომებას, ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში დადებითი ჩარევისათვის არ ეწერა ახდომა. ასე მოხდა გ. მდივნის „ტერეზას დაბადების დღეში“ — მას მოსწონდა ჩემი მუშაობა ამანდას როლზე, უნდოდა რომ მეთამაშა ქსენია „რღვევაში“, მაგრამ ეს არ მოხდა, სამწუხაროდ ჩემთვის.

— ა. ხორავას სპექტაკლებზე — მე შეგნებით ვწერ სპექტაკლებზე — (და არა როლებზე) უამრავია დაწერილი. ალბათ ამ ორ სპექტაკლებზეც, რომელსაც მოვიგონებ.

ჭიათურა. გასტროლები. „ოიდიპოს მეფე“. მიდის სპექტაკლი და ზღება ისევ განუმეორებელი რაღაც, — აკაკი ხორავა თამაშობს ოიდიპოსს და ეს სახე ეუფლება აკაკი ხორავას სულს და ცოცხალი ოიდიპოსი გოდებს და და-

ლადებს ჭიათურის თეატრის სცენაზე. ჩვენ, ყველანი (მონაწილენი და ალბათ არა მონაწილენიც) წამში მოვეჭყეტით თანაგანცდის მაგიურ რადიუსში.

ეს შეგრძნებავს დღემდე დამაჭეს ჩემს გულში და ბედნიერი ვარ იმ ხილვებისას.

კ ი დ ე ვ ე რ თ ი მ ო გ ო ნ ე ბ ა. ვართ სოხუმში გასტროლებზე. შემთხვევით მოხვდები ბ-ნ აკაკი ხორავას და ქ-ნ ნინო მესხიშვილის ნომერში. ჰოი, საოცრებავ: ბატონი აკაკი პატარა მაგიდაზე ჩაით გვიმასპინძლდება — პირადად გვისხამს ჩაის და კამფეტებს გვთავაზობს. მე ვერც კი წარმომიდგენია, რომ აკაკი ხორავას შეიძლებოდა კამფეტები ჰქონოდა და ხელში ჩაის ფუნჯანი დაეკავებინა...

მე მინდა ვთქვა, რომ თეატრი ჩემთვის ზღაპრული სამყარო იყო და აკაკი ხორავა ამ ზღაპრის დეკავაციი..

და კიდევ ერთი, პატარა ძალზე სევდიანი შემთხვევა.

ბ-ნი აკაკი მოსკოვიდან დაბრუნდა უკვე ავადმყოფი. შევბვდივით და საკონცენტრაციო წავიწიე. არ ვიცი როგორ მოხდა, რანაირად მოახერხა, რა საიდუმლო იცოდა, რაღაც საოცარი უესტით და ხმით თავის პირისახე მომზარია.

ვიყავი გამცბარი, თუ დაბნეული, თუ არ მინდოდა რომ მივმხვდარიყავი იმას, რომ თავის ავადობას მომარიადა. ამას ვწერ დიდი შინაგანი კრთომით და მინდა რომ ვთქვა. — მას ასეთი მოფრთხილება შეეძლო გამოეჩინა.

გიული ზონონელიძე

დიდბუნებოვანი ტიტანი

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე საშუალება არ მომეცა გამომეხატა ის მადლიერების გრძნობა, რაც ამ დიდბუნებოვანმა ტიტანმა-შემოქმედმა, აკაკი ხორავამ გამოიჩინა ჩემს მიმართ. მახსოვს, თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მესამე კურსზე ვიყავი, დირექტორი იყო ბატონა აკაკი ხორავა. ერთ დღეს კიბეზე ავდივარ, უცბად ბატონმა აკაკიმ დამიძახა და მითითება მომცა, მივსულიყავი ბატონ საშა კიკნაძესთან, სამსახიობო ფაკულტეტის დეკანთან და მას ბატონ აკაკისთან მიეყვანა ის სტუდენტები, ვისაც გადახდილი არ ჰქონდა ჭწავლის ქირა. მე რასაკვირველია მოვახსენე საშა კიკნაძეს აკაკი ხორავას დანაბარები და თან დაუვმატე, ჩემს გარდა მეტი, რადგანაც მე თვითონ გადაუხდელი მქონდა სწავლის ფული. ბატონმა

საშამ ყურად არ იღო ჩემი თხოვნა, მომკიდა ხელი და მის კაბინეტში შემიძღვა: „აქაკი ალექსეიევიჩი, ყველა სტუდენტს გადახდილი აქვს სწავლის ფული ჭოხონელიძის გარდა“.

ბატონმა აქაკიმ თავი დაუქნია და საშა კიკნაძემ დასტოვა კაბინეტი.

— „რატომ არა გაქვს სწავლის ფული გადახდილი?“

მე დიდი მოლაპარაკე არ ვიყავი და დუმილი ვარჩიე.

— „მშობლები გყავს?“, მე ვუბასუხე რომ მყავს მეთქი..

— „მამა სად მუშაობს?“ — დედა პედაგოგია, — ვუბასუხე.

— „მე მამას გეკითხები!“

— „გადასახლებულია“.

ამ ფრაზის თქმა ძალიან მიჭირდა, მოგეხსენებათ დრო იყო ისეთი, „ტროცკისტის“ შეილებად გვნათლავდნენ.

მან უხმოდ ამოიღო ჯიბიდან 240 მან (ფულის ძველი კურსით) და გამომიწოდა, წადი ეხლავე შეიტანეო. მე უხერხულად ვიგრძენი თავი და შორს დავიჭირე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ამის შემდეგ როცა კი სწავლის ფულის გადახდის დრო დადგებოდა, ბატონი საშა ჩაიკითხავდა თავის ტალმუტს და ჩემი გვარის ამოკითხვისას, იქვე დასძენდა — გადახდილია.

ერთხელ ვაივავლახით შეევაგროვე ფული და ევახელი ბატონ აქაკის, მან კი კაბინეტიდან გამომისტუმრა: „წადი შეილო, აი კარგი მსახიობი რომ ვახდები ეს იქნება შენგან ვალის გადახდა“.

V კურსზე ბატონი აქაკი ჩვენი ხელმძღვანელი გახდა და დადგა საკურსო სპექტაკლი „ლუტონინების ოჯახი“, სადაც მე მფრინავ ბაბროვს ვთამაშობდი. საოცრად მოსწონდა ეს როლი და სულ მპირდებოდა, რომ მას რუსთაველის თეატრში დადგამდა და თვითონ ითამაშებდა ამ როლს, ღუბლიორად კი მე ღამნიშნავდა.

მახსენდება სახელმწიფო გამოცდები ბატონი აქაკის თავმჯდომარეობით. იმდენად მამაშვილური იყო ჩვენი ურთიერთობა, რომ გამოვუტყდი, ყველა საგანში, ყველაზე კარგად მეშვიდე ბილეთს ვსწავლობ მეთქი. ამის მერე გამოცდაზე შესვლის დროს ბატონი აქაკი თითოთ მიმანიშნებდა მეშვიდე ბილეთის მდებარეობას.

ერთხელ, მუსიკათმცოდნეობის საგნის გამოცდის დროს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი კოტე მელვინეთუხუცესი, ბატონმა აქაკიმ ვერ მოძებნა მეშვიდე ბილეთი და მე შემხვდა მეთორმეტე ბილეთი. ეს ბილეთი მე, როგორც თავმჯდომარეს, ბატონ აქაკის გადავეცი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა აქაკი ხორავამ საჭაროდ გამოაცხადა, გიული ჭოხონე-

ლიძეს მეშვიდე ბილეთი შეხვდაო. რასაკვირველია ბილეთზე პასუხი გავეცი. ყველაფერს ამას დამაჯერებელი სახე რომ ჰქონოდა, ბატონმა აკაკიმ შეკითხვა დამისვა: „აბა გვითხარი ვინ იყო ქართველ კომპოზიტორთა შორის ყველაზე დიდი ფიგურა“, მე ვუპასუხე ყველაზე დიდი ფოცხვერაშვილია მცთქი. ბატონი აკაკი კინალამ სკამიდან გადმოვარდა. ისეთი სიცილი აუტყდა, თან გაიძახოდა: „იცი, იცი“.

კარგად მახსოვს მოსკოვის პერიოდი. კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ვსწავლობდი. როცა აკაკი ზორაგა მოსკოვში ჩამოდიოდა, ყოველთვის შენომითვლიდა ხან ვ. ბელაკუროვის, ხან ს. გერასიმოვის პირით, რომ მასთან მივსულიყავი. ჩემი მასთან მისვლა ყოველთვის დავით მთავრდებოდა. ჩვენი დავა ერთ საკითხს ეხებოდა, ყოველთვის მიხსნიდა, რომ მსახიობს სრულებით არ სჭირდება ორი ინსტიტუტის დამთავრება და მოითხოვდა ჩემს დაბრუნებას თბილისში, მის თეატრში. ამავე დროს დიდ ყურადღებას იჩენდა ჩემს მიმართ სულიერად თუ მატერიალურად.

ადამიანი ბევრ შეცდომას უშვებს ცხოვრებაში. სულ თვალწინ მიდგას მისი ნათელი სახე, რომელიც მარწმუნებდა, რომ მსახიობი წარმოუდგენელია უთეატროდ. ეს მე ვიწვინე ჩემს თავზე. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მივედი მარჯანიშვილის თეატრში და არა ჩემი მამობილის თეატრში. შემდეგ ისე დავტეხირთე კინოში, რომ დრო აღარ მრჩებოდა თეატრში სამუშაოდ, და სამუდამოდ კინო-სტუდიის შტაბში ჩავიბრუნე.

მე არ შემძლია გვერდი ავუარო ერთ ეპიზოდს, რომელმაც საოცრად გამოაცა და გული დამწყვიტა. როცა ცნობილ სცენარისტთან ვ. ი. სოლოვიოვთან ერთად ვმუშაობდი „ბაგრატიონის“ სცენარზე, იგი ზშირად მთხოვდა. მუშაობის შემდეგ ავსულიყავით „მამადავითზე“ დასასვენებლად. მეც ვუსრულე ამ თხოვნას, ვუყვებოდი ქართველ მოღვაწეთა ისტორიას. ერთ-ერთი ასეთი ასვლის დროს ჩვენ წავაწყდით ტურისტთა ჯგუფს, რომელთაც გილა აძლევდა ახსნა-განმარტებას. ჩვენც შევეუერთეთ ამ ჯგუფს. როცა სერგო ზაქარიაძის საფლავს მივუახლოვდით, გილმა საოცარი მჭევრმეტყველება გამოიჩინა და ლექსიც კი წაიკითხა ქართველი პოეტებისაგან მიძღვნილი. შემდეგ გილმა სთხოვა ტურისტებს ყურადღება მიექციათ ხელმარცხნივ მდებარე საფლავისათვის, სადაც აკაკი ზორაგას ბიუსტი დგას და დასძინა: „ეს საფლავი არის მსახიობ აკაკი ზორაგასი, რომელიც კარგად თამაშობდა „ოტელოს““.

ნუ დავრჩებით იმ გილის დონეზე და წლები ნუ ჩამორეცხავს ჩვენს დიდ კორიფებს. ჭეშმარიტ სახეებს.

XX საუკუნის ბენია

აკაკი ხორავაზე ბევრი ითქვა. კელავაც ითქმება. ვინც მას მოსწრება, თუნდაც ერთხელ უნახავს სცენაზე, ის ადამიანი ბედნიერია და ნაზიარება უმადლეს ხელოვნებას. ვისაც არ უნახავს, მას კი ვუთანაგრძნობ. ვუთანაგრძნობ იმიტომ, რომ სიტყვებით მისი გრანდიოზულობის, უბადლო ოსტატობის და ღვთის მიერ ბოძებული ტალანტის გადმოცემა წარმოუდგენლად მიმაჩნია.

ვინ არ მანახავს, ვისთვის არ მომისმენია, რუსისა თუ უცხოელისათვის; და არამარტო ოტელოს როლის შემსრულებელი, არამედ საერთოდ, მისი ბადალი მსახიობი არ დაბადებულა ამ ქვეყანაზე.

თეატრალურ ინსტიტუტში ჩემდა საბედნიეროდ მე-3—4 კურსი მის ხელში გავიარე მსახიობის ოსტატობაში, აბა ის იყო ოსტატი და...! რასაც ვერ ვახერხებდით ჩვენს როლებში, უნდა გენახათ, როგორ გვიჩვენებდა, რა გამომსახველობით, რა პლასტიკით (ხმაზე ხომ აღარაფერს ვამბობ!), ქალის როლი იქნებოდა თუ კაცის, ახალგაზრდა თუ მოხუცი პერსონაჟის, ეს იყო ოსტატობის უმაღლესი ნიმუში. მის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ცალკე წიგნი უნდა დაიწეროს, სანამ დროა და სანამ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან მისი აღზრდილები.

საქართველოში სტუმრად ჩამოსული გამოჩენილი ფინელი მსახიობი ტარმო მაანი ინსტიტუტში გვესტუმრა. დაესწრო ჩვენს მეცადინეობებს და ბოლოს სააქტო დარბაზში შეხვედრა მოვუწყვეთ. სხვა პედაგოგებთან ერთად ბრძანდებოდა ბატონი აკაკიც. თავის განუყრელ პარუსინის თეთრ კიტელ-შარავალ-სანდლებში გამოწყობილი. იყო გამოსვლები, მისალმებები, დასასრულს გამოვიდა სტუმარი. მოყვა თუ რაიმე ჰქონდა გაგონილი საქართველოზე. ბოლოს თქვა: „ჩემი ოცნებაა როგორმე ვნახო მსახიობი აკაკი ხორავა, მის შესახებ ბევრი რამ მაქვს გაგონილი, სამწუხაროდ, ვიცი ვერ ვნახავ სპექტაკლ „ოტელოს“, რადგანაც უკვე ვიკითხე და ამ პერიოდში, სანამ მე თბილისში ვიქნები, რუსთაველის თეატრში ეს სპექტაკლი არ არის დანიშნული“. ყველამ ბატონ აკაკისკენ გაიხედა. იგი წამოდგა და უცხოელი იმწამსვე მიხვდა, რომ აი ეს იყო აკაკი ხორავა. მისკენ გაექანა, ბატონმა აკაკიმ დაჩოქება არ აცალა, უმალ წამოაყენა, ხელი ჩამოართვა, გულზე მიიკრა და დაივრგვინა — „საშა!“... ბატონი საშა იყო ჩვენი საყვარელი სასწავლო ნა-

წილის გამგე, გვარად კიკნაძე — „გისმენთ ბატონო აკაკი“ — თქვა ბატონმა სამამ, — „რა გადის დღეს რუსთაველის თეატრში?“.

— „ახალგაზრდა მასწავლებელი“.

„ჩადი და უთხარი შეცვალონ წარმოდგენა „ოტელიოთი“, შენ კი, სტუმარო, მობრძანდი სპექტაკლზეო“. — შეტრიალდა და წავიდა.

ჩვენ ისედაც ვესწრებოდით მის ყველა სპექტაკლს, სალამოსაც შევაცი-
ლეთ დარბაზში ჩვენი სტუმარი, რომელიც თავის ნაციონალურ ტანსაცმელ-
ში გამოწყობილი მობრძანდა.

ის იყო ჩვენთვის პირველი უცხოელი მსახიობი, ვინც ვინილეთ, ხოლო მისთვის ის სალამო და ის სპექტაკლი იყო ისეთი რამ, რომლის მსგავსიც მას თავის ცხოვრებაში არ უნახავს (ეს მისი სიტყვებია — ბ. წ.).

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თითქმის მთელ ჯგუფს მოგვიხდა სოხუმის თეატრში მუშაობა. ამავე პერიოდში ბატონი აკაკის თაოსნობით შეიქმნა აფხაზური ჯგუფი. ეს გამოშვება იყო პირველი პროფესიონალი მსახიობების, რომლებიც აფხაზურ დასში ჩაირიცხნენ. ბატონმა აკაკიმ უზარმაზარი წვლილი დასდო აფხაზურ თეატრს, და უყვარდა კიდევ მთელ აფხაზეთს. ღმერთკაცადაც კი მიაჩნდათ. ერთ-ერთ შეხვედრაზე ლხინში დიდებული ცხენი აჩუქეს.

და აი ერთხელ ბატონი აკაკი, ბატონი ილია თავაძე (ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი) და პროფესორი დიმიტრი ჭანელიძე სოხუმში ჩამოვიდნენ, მათი აღზრდილების სპექტაკლების სანახავად. მე, რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად დავხვდი სადგურზე. იყო ყვავილები, დახვდა მთავრობა, იყო ზვევან-კოცნა, სალამოს სპექტაკლი, ბანკეტი, მერე დასვენება სასტუმრო „აფხაზეთში“. დილას კი ჩავეუსაფრდით სტუმრებს და როგორც კი გამოვიდნენ ფოიეში, შეეთავაზეთ საუზმე ზღვისპირა ღია ცის ქვეშა კაფეში, სადაც გემრიელ და საუცხოო აჭარულ ხაჭაპურს აცხობდნენ და ყავაც განსაკუთრებული იცოდნენ. მზარეულები იყვნენ ბერძნები. რომ შევედით, აქაიქ უკვე ისხდნენ, თითქმის ყველა წამოდგა და მოგვესალმა. მე მივედი სამზარეულოს ფანჯარასთან და შევუკვეთე ოთხი ხაჭაპური, ხოლო დანარჩენი შეკვეთა ოფიციალტს მივეცი. მოტანეს საუზმე. შევექცით, მაგრამ ხაჭაპურ-
ავჯიანებს. მაგიდიდან ვანიშნე, რას მიშვრებით-მეთქი! ზელითვე მანიშნეს — ცოტა მოიცადეო. დრო გადის, კიდევ ვანიშნე, კიდევ ცოტა მოიცადეო. ვნერვიულობ, ლამის ვავგიჟდებ. აკაკიმაც შემომძახა, სად არის, კაცო, შენ? ნაქები ხაჭაპურიო, — ნეტავ მიწა გამისკდეს-მეთქი და ამ დროს ვხედავ, ორივე მზარეული სუფთად გამოწყობილი, ქათქათა „ჩეფიკებით“, რომელიც მათ თავზე ადრე არასოდეს მინახავს, „პოდნოსებით“ მოდის ჩვენსკენ,

დაგვილაგეს სამს ჩვეულებრივი ხაჭაპურები, ხოლო ბატონ აკაკის იგივე ფორმის, მაგრამ უზარმაზარი სიდიდის — აი, გოჭი რომ შემოაქვთ სუფრაზე, ისეთ დიდ ლანგარზე დადებულ, დაბრაწული ხაჭაპური მოართვეს. „ეტრ ჩტო ტაკოე“ — დაიგრგვინა ბატონმა აკაკიმ. ეს, ბატონო, უპასუხეს რუსულად, თქვენს საპატივცემულოდ გამოვაცხვეთ პირველად, ამ ზომისა არასოდეს გამოვციტხვია. თქვენ გეგონათ ვერ გიცანით, თქვენ ხომ გიორგი სააკაძე ბრძანდებით?! თქვენ უფრო დიდი ხაჭაპური გეკუთვნით, მაგრამ ღუმელი არ გვიწყობს ხელსო. მთელი კაფე გამხიარულდა, რამდენიც შეეძლო მიერთვა, ყავაც დავლიეთ, მადლობა გადავუხადეთ და ყველამ სიყვარულით გამოგვაცილა. თუ მკითხავთ საუბრე რა დაგიჯდაო — არაფერი! ძალიან უყვარდათ ბატონი აკაკი აფხაზეთში.

ბატონი აკაკი ხორავას 70 წლისთავი ახლოვდებოდა. სენაკის რაიკომია მაშინდელმა მდივანმა, ცხონებულმა, დიდებულმა ადამიანმა ნოე შონიამ დამიბარა და მითხრა: „აღმასკომმა გამოიტანა დადგენილება და გამოყო 10.000 მანეთი აკაკი ხორავას საკუთარი სახლის შესასყიდად, სადაც საიუბილეოდ სახლ-მუზეუმი უნდა მოეწყობო. მიდი აკაკისთან და სთხოვე, თუ გაყიდის სახლსო. მივედი და ნელ-ნელა შევეაბარე სახლის ამბავი. — ნინა! — მიუბრუნდა უძვირფასეს მეუღლეს ქ-ნ ნინა ალექსი-მესხიშვილს, ხედავ ბორისი რას გვთავაზობსო. გაგყიდოთ აკაკი ის სახლი, ჩვენ ვერ ჩავდივართ, კი უვლიან ეზო-კარ-მიდამოს ნათესავეები, მაგრამ ჩვენ არაფერში გვარგიაო. მეც ვურჩიე და თანხაც დავასახლე 10.000 მანეთს იძლევიან-მეთქი. აკაკი ჩაფიქრდა. უცებ ხელი დაარტყა მაგიდას და თქვა 11.500!

— კი ბატონო-მეთქი, წავედი, სენაკში დავრეკე და ბატონ ნოეს მოვახსენე ეს ამბავი, თანხაც დავუსახლე. ბატონი ნოე შეწუხდა, დადგენილება მიღებულია და ვერ შევცვლითო. ისევე მივედი ბ-ნ აკაკისთან, მეტი არ შეუძლიათ-მეთქი. თუ არ შეუძლიათ, არც მე შემიძლიათ. ჩავაჩინდი, რა გახდა 1500 მანეთი, მივცეთ სახლი 10.000 მანეთად, ჯანდაბას მაგათი თავი-მეთქი. გამიგე ბორის.... ვალი მაქვს, კაცო, ვალი ზუსტად მაგდენი და მინდა ეს ათასხუთასი მანეთი მაინც დამრჩესო. ბატონი აკაკი ძალიან მხარჯველი და გულუხვი კაცი იყო. ჩვენთვის, სტუდენტებისთვისაც ბევრჯერ უჩუქებია ფული და სპექტაკლების შემდეგ ბანკეტებს სულ თვითონ იხდიდა. ჩვენ კაპიკს არ გვახარჯვინებდა. მოკლედ, ეს საქმე გააჩანჯლდა, ვერ გავარიგე, ბ-ნმა ნოემ დადგენილებას ვერ უღალატა, ბ-ნ აკაკის კი ვალი ჰქონდა. შემდეგ ის სახლი 13.000 მანეთად სხვამ იყიდა და იუბილის დროც მოვიდა.

საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში მისი იუბილე დიდი ზარზე-იმით გადაიხადეს, და სენაკელების ჭერიც დადვა. მეც მიმიპატყეს და გა-

მოსვლაც დამავალეს. ღამეები ვათენე და ჩემი მისალმება ლექსად მოვაგზავ-
დე. გამოდიან ბუმბერაზი პიროვნებები. მომხსენებელი ბესარიონ ჟღენტი
იყო. ზემოე კულმინაციას აღწევს და ამ დროს მესმის ჩემი გვარი. ვდგები,
ბატონ აკაკის წინ, მუხლები მიკანკალებს და მაინც ვდებავ და ვიწყებ. ლექსი
დიდია. აქ მომყავს ფრაგმენტი მისალმებიდან:

„ეს ზღვა ხალხი ამ ზეიმზე
რომ მობრძანდა მოკაზმული,
თქვენთან რომ სურთ გაატარონ
მთელი ღამე სულით, გულით,

სად გსურს ხალხი დაპატიო,
სად გსურს ხალხი წაიყვანო,
ეზო მაინც შეგერჩინა,
სახორავოდ. სათაყვანოდ“.

იგრილა ტაშმა დარბაზში, ხალხმა ალბათ იცოდა სახლის ისტორია და
უცბე მესმის ბ-ნ აკაკის ხმა: „ტი პასმატრი!... მერზავეც!“—წამოდგა სავარ-
ძლიდან, ჩამიკრა გულში, შეტრიალდა პრეზიდენტისაკენ და „მართალს ამ-
ბობს კაცო, მართალია ეს კაცო“... დანარჩენი აღარ მესმოდა, ძლივს დავას-
რულე მისალმება. მერე გრანდიოზული ბანკეტი, მეორე დღეს ნოქალაქევემ-
გასეირნება. ბატონ აკაკის იმ ღამეს თეთრი, ქათქათა ნაბადი აჩუქეს ვერცხ-
ლის ქამარ-ხანჯლით.

სადამოს მატარებელში ჩავსხედით, უამრავი კალათებით საგზალიც გა-
მოგვატანეს და მეც რაღაც შეხვეული ვადმომცეს. გავხსენი, რას ვხედავ,
საკოსტუმე „ატრეზი“ და შიგ შესაკერი ფული 100 მანეთი, გადავირიე სი-
ხარულათ, შევევარი კუბეში ბ-ნ აკაკისთან და ვახარე, აი რა მაჩუქეს-მეთქი.
ყველას გაუხარდა. ბატონი აკაკი გამეხუმრა, გინდა გაგიცვალო ნაბადში.
სახლში ამის გარდა კიდევ შეიდი მაქვს, რად მინდა ამდენი ნაბადიო. ბ-ნ
აკაკი ეს ნაჭერი სამი მეტრია, ამაში თქვენ მარტო შარვალი თუ გამოგივათ,
თქვენი ნაბადი კი შუაზე უნდა გადავჭრა მე რომ მომერგოს, ცოდვია ორივე-
მეთქი. ბევრი იცინეს, განსაკუთრებით ქ-ნმა ნინამ და მისმა საყვარელმა დის
შვილმა ლალიმ, რომელიც დღეს ბ-ნ აკაკის სახლში ცხოვრობს და რუდუნე-
ბით უვლის სახლ-მუზეუმს თბილისში.

1988 წელს სენაკში ჩატარდა გრანდიოზული დღესასწაული „ვეგრისობა“.
ამ ზეიმზე თბილისიდან ჩამოვიდა 400-მდე კაცი სპეციალური მატარებლით.
იყო როგორც სამთავრობო, ასევე სხვადასხვა დარგის ღირსეული წარმომად-

გენლი. ამ დღეს სენაკის ცენტრში, თეატრის წინ მდებარე სკვერში საზე-
იმოდ გაიხსნა აკაკი ხორავას ბრწყინვალე ძეგლი. ასეთი ქანდაკება ალბათ
მსოფლიოში არცერთ მსახიობს არ რგებია. ამ ზეიმისა და ძეგლის გახსნა
სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი მე გახლდით და ადვილი წარ-
მოსადგენია რა სიბოძო და სიყვარული მქონდა ჩაქსოვილი.

1990 წელს ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარებით (რაიკომის
მდივანი თამაზ კოლუა, აღმასკომის თავ-რე ტარიელ დგებუაძე) და მინისტრ-
თა საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ ჭითანაგას მხარდაჭერით სენაკის სახალხო
თეატრს მიენიჭა სახელმწიფო თეატრის სტატუსი და აკაკი ხორავას სახელი.
ასე რომ, აკაკი ხორავას კიდევ ერთი პატივი მიიღო ჩვენმა რესპუბლიკამ.

1996 წელს სენაკის რაიონის ხელმძღვანელობამ ისევ მე დამავალა აკაკი
ხორავას ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის ორგანიზება.
ორი თვის დღედაღამ მუშაობის შედეგად, ქალაქ სენაკის აკაკი ხორავას სა-
ხელობის სახელმწიფო თეატრის დასმა, ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის წარ-
მომადგენლებთან ერთად ბრწყინვალე ზეიმი ჩაატარა.

ხალხში ამ ზეიმმა უზარმაზარი ინტერესი გამოიწვია და რადგანაც თე-
ატრი მსურველებს ვერ დაიტევდა, მოგვიწია პარალელურად ღია ტყეშ
მსგავსი ღონისძიებების გამართვა, რომელშიც მონაწილეობდა სამეგრელოს
რეგიონებიდან ჩამოსული მხატვრული კოლექტივები.

თეატრში შეიკრიბა საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოწვე-
ული სტუმარი. ხორავასადმი მიძღვნილ სპექტაკლ „რეკვიემში“ ჩაერთვნენ
გამომსვლელები: ეთერ გუგუშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, მედეა ჩახავა,
გრიშა ონიანი, მანანა ცომაია, და თქვენი მონა-მორჩილი — მეც.

ზეიმი დაავიროგვინა საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ელუარდ შე-
ვარდნაძის შესანიშნავმა გამოსვლამ.

ელენე საყვარელიძე

სანთელ-საკმეველი

ომიანობის სუსხი იდგა, როცა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი
გავხდი!

ინსტიტუტის დირექტორი აკაკი ხორავა იყო, ღმერთის ტოლი კაცი, რომ-
ლის სახელი ზღაპრული შარავანდელი იყო მოსილი. ხორავამ ბრძანაო იტ-
ყოდნენ და საქმეს წინ აღარაფერი დაუდგებოდა. ხორავა მოდისო და ყველა

ფორმაში ჩადგებოდა. ზორავა გაბრახებულიაო და ინსტიტუტი ფეხისწვერებზე დადიოდა. ზორავა უყენებოდააო და ყველა ჩურჩულებდა. ზორავა გიბარებსო ზომ მენის გავარდნის ტოლი იყო.

ჰო და, პირველკურსელი ვიყავი როცა ეს „მენი“ დამეცა.

— ზორავა გიბარებსო მითხრეს.

ინსტიტუტის გრძელი დერეფანი სულ იმის ფიქრში გავიარე რა „ცოდვის“ გამო უნდა მიბარებდეს-მეთქი. წესიერად არც მიცნობდა; ჩემთვის ვიყავი საცოდვად მიკუთვნილი. აკანკალებულმა კარი ისე ფრთხილად შევადე არც კი გაუგია. გოლიათი მაგიდასთან იჯდა და ქალღმერთებს ათვალთვლებდა!

„მთელი საუკუნე“ ვიდრე ასე უხმოდ. მერე თავი ასწია და ჩემს დაფთებულ მზერას შეხვდა: — Ты кто, чужаки?! მე ვუთხარი.—აა, მოდი გენაცვალე.

გენაცვალე გამათამამა.

— დედამა არ გყავს? — არა.

ქალღმერთი გამომიწოდა დამიწერე ყველაფერიო. დავუწერე 1937 წლიდან რატომ არ მყავდა მშობლები და გამოვედი.

მაშინ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის ქირა წელიწადში 500 მანეთი იყო. ჩემთვის ძნელი იყო მისი შოვნა, მაგრამ აწ განსვენებულმა დეიდა ტატულიმ და საშა კიკნაძემ მითხრეს, ნუ გეშინია, აკაკი ზორავამ სწავლის ქირისაგან გაგანთავისუფლაო.

ეს ჩემთვის დიდი სიხარული იყო. გულში უსახლვროდ მადლობელი ვიყავი ბატონი აკაკისა, თუმცა ისიც კი ვერ შეეკადრე მადლობა სიტყვიერად გამომეთქვა მასთან.

დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტის დამოუკიდებლად ცხოვრება დავიწყე და ძალიან დიდი ხნის შემდეგ, როცა ბატონი აკაკი აღარ გვყავდა. გავიგე, თურმე, კი არ გამანთავისუფლა სწავლის ქირისაგან, არამედ თვითონ. თავისი ჯიბიდან იხდიდა ჩემი სწავლის ქირას. ზოლო თუ რატომ შევიტყვე ყველაფერი ასე გვიან, გასაგებია, ზორავას ყველა გაფრთხილებინა არ გამეზილაო, აბა, ვინ გაბედდა წინ აღდგომოდა მის სურვილს. მაშინ მაინც მცოდნოდა ეს ამბავი, ერთად რომ ვიმოგზაურეთ ჩეხოსლოვაკია — უნგრეთში, „სესხს“ მაინც არ გამოვართმევდი!

ამ მოგზაურობისას, გზად, ერთი დღით, კიევში შევეცოვნდი. ერთი წლიწინ, 1960 წელს, ამ ქალაქში რუსთაველის თეატრის გასტროლების დრო: თეთი ძალით იქუხა ზორავას ოტელომ და ოდიშოს მეფემ, რომ გამოძახილჯერაც არ დამცხრალიყო, გაიგეს თუ არა აკაკი ზორავა კიევშიაო, უკრაინის თეატრალურმა საზოგადოებამ დიდი საზიემო წვეულება მოუწყო მას.

ბატონი აკაკის მეუღლე — ნინა ალექსი-მესხიშვილი ცოტა გაციებულ-
იყო, მართო ხომ არ წავალო, სთქვა და მე წამიყვანა თან.

წვეულება დნეპრზე — ტივტივა რესტორანში მოეწყოთ. დარბაზში შუ-
მოდოლოდნენ და ზორავას ეხვეოდნენ უკრაინის გამოჩენილი ადაპიანები,
ბრწყინვალე წყვილის — ალექსანდრე კორნეიჩუკის და ვანდა ვასილევსკაიას
შემდეგ მთლად ყურებამდე გაღიმებული შემოვიდა პოეტი მიკოლა ბაჟანი,
დიასახლისობდა უკრაინის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ
კავშირის სახალხო არტისტი ნატალია უჟვი, მას მხარს უბამდა სსრ კავშირის
სახალხო არტისტი ოლღა კუსენკო, ყმაწვილკაცებივით ხარობდნენ სსრ კავ-
შირის სახალხო არტისტი დმიტრი მილიუტენკო და თეატრმცოდნე — პრო-
ფესორი პეტრო ტერნიუკი, იყვნენ ახალგაზრდა პოეტები, მსახიობები.

მასპინძლები სახეში შესცივინებდნენ ჩვენს გოლიათს, თავი მოსწონ-
დათ აკაკის თანაზიარ სუფრაზე რომ იყვნენ და სიამოვნებით იწვევდნენ
ჩვენს სუფრასთან, გაიზარდა ჩვენი მაგიდა, ემატება ხალხი და ემატება აკაკი:
აღტაცებულთა მზერა. სირჩა ასწია მშვენიერმა ვანდა ვასილევსკაიამ, სუფ-
რაზე ხორავა იყოს და სხვა თამალობდეს, გაგონილაო? — სთქვა, სწორიაო,
ერთხმად შეპყვირეს ყველამ და ფეხზე აღგნენ. საპატიო სტუმარმა თამალო-
ბა მიიღო.

აკაკი ბრწყინავდა იმ დღეს, მასპინძლებს ებაქებოდა, გონებამახვი-
ლობდა, მღეროდა. მეც ბედი მწყალობდა, ქართულ სიმღერას ჩემს მეტი ვინ
აპყვებოდა? ჩვენი სიმღერები ძალიან მოეწონათ, სახსოვრად დამრჩა მიკოლა
ბაჟანის ხელით დაწერილი ექსპრომტად ნათქვამი ლექსი:

Пение грузинского Отелло
Здорово вышло все-таки,
Но с такой милой партнершей
Каждый запоет, Акакий!

გვიანობამდე ვისხედით. ბოლოს დ. მილიუტენკო შემფოთებული შემო-
ვიდა იპის გამო, რომ... (იგი სულს ძლივს ითქვამდა) მთელი დანახარჯი ფე-
ლი აკაკი ზორავას გადაუხდიაო.

ყველა შეწუხდა, თავი მოგვეკრა, ეს როგორ იქნებაო, მაშინ აკაკიმ მა-
თივე ნათქვამი სიტყვები გაიმეორა თამადად რომ ირჩევდნენ — სუფრას ხო-
რავა თამალობდეს და ფულს სხვა იხდიდეს, გაგონილაო? ღვინომოკიდებუ-
ლი როხროხობდა იგი და გამარჯვებას ზეიმობდა.

... მეორე დღეს, გამგზავრებამდე მაღაზიებში შევიარეთ, უფრო სწო-
რად ქალბატონმა ნინამ რაღაც წვრილმანის ყიდვა დაგვაფალა. გზაში ბა-
ტონმა აკაკიმ მითხრა:

— გუშინ სულ შემომეხარჯა რაც ფული მქონდა და თუ გაქვს ცოტა ხნით მასესხე, მაგრამ, იცოდე, ნინკას არ უთხრა.

თვალეები სიხარულით უბრწყინავდა, როცა გუშინდელ საღამოს იხსენებდა.

რა ვიცოდი მაშინ, რომ ის „სესხი“ მისი სანთელ-საკმეველი იყო იმ დიდი ვალისათვის, რაც ცხოვრებაში დამლო ბატონმა აკაიმი.

მ ე ბ ა რ ბ უ ლ ი

... ერთხელ, ქალაქ მოსკოვში მიგვავლინეს იქაური თეატრალური საზოგადოების მიერ გამართულ შეგობრობის საღამოში მონაწილეობის მისაღებად. ბატონ აკაისთან ერთად მივდიოდით... ექვსი ახალგაზრდა მსახიობი ქალი.

... მოსკოვი! სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების გაჩახჩახებული რამბა! შეგობრობის საღამო!... ხორავას ანტურაჟში ყოფნა! ყველაფერი ეს ჩვენთვის, დამწყები მსახიობებისათვის, დიდი მოვლენა იყო და იცოცხლე, ავავსეთ ჩვენი ჩემოდნები ზოგი საკუთარი, ზოგი ნათხოვარი ტანსაცმლით და სამკაულებით, ამას მატარებელში ასათვისებელი პურ-მარილი და ხილი მივუმატეთ, დავტენეთ ორ-ორი ჩემოდანი და თეატრში წავედით, რადგან ბატონ აკაის გასაუბრება უნდოდა ჩვენთან. მორცხვობა რომ შეგვატყოს სხვათაშორის ასეც კი ვვითხრა:

— მსახიობები ხართ და ღირსეულად დავიჭირეთ თავი, არ დაიწყით მანქვა-გრეხვა, მე იქ ღირექტორი კი არაა, თქვენი ჩვეულებრივი კოლეგა ვარ და გახსოვდეთ, ყოველგვარი ოფიციალობის გარეშე, ამხანაგურად მომექეციო!

მატარებლის გასვლის წინ, სადგურში, ერთი გადაავლო თვალი ჩვენს თორჩეტ ჩემოდანს, მაგრამ გაახსენდა, რომ ჩვენი „ჩვეულებრივი“ კოლეგა და თავაზიანად აიტანა ვაკონში ჩვენმა ერთადერთმა კავალერმა!

ცოტა არ იყოს უხერხულობა ვიგრძენით, მაგრამ მის სიტყვებს ხომ ვერ გადაუდებოდით?

ჩავედით მოსკოვში და... ბატონმა აკაიმ უყოყმანოდ ჩამოზიდა ჩვენი ჩემოდნები. ჩვენ „ღირსეულად დავიჭირეთ თავი“ და არც ის გაგვირვება ტაქსებში რომ ჩააწყო ჩვენი ბარგი, შემდეგ სასტუმროდან რომ გადმოსცალა და ნომრებშიც რომ ჩამოგვირიდა ყველას! რა ვუყოთ, თვითონვე ვვითხრა „ამხანაგი“ ვარო...

როცა ჩემს ოთახში შემოვიდა, ჩემოდანი დადგა და მძიველ დაეშვა სავარ-

ძელში. უკვე მილალატა დამღუბველმა სინდისმა და მაინც „ყოველი შემთხვევისათვის“ ვკითხვებ:

— დაილაღეთ, ბატონო აკაკი?

— ბატონო, მე ვითხარით ამხანაგურად მომეჩვენეთ-მეთქი, თორემ მებარგულად მაქციეთო კი არ მითქვამს?

გაოფლილ თავზე ქათქათა ცხვირსახოცი გადაისვია, შემდეგ რაღაც გაბნენდა და სწრაფად წამოდგა.

— ჰო, ლეილა ღამბაშიძის ერთი ჩემოდანი არ ამომიტანია!

გავიდა, შემდეგ დავინახე, როგორ ჩარბოდა კბეებზე ჩვენი დიდი „ამხანაგი“.

არაშანის ბომბი

1961 წლის ივლის-აგვისტოში ჩეხოსლოვაკია-უნგრეთს მიემგზავრებოდით. მატარებლის კუბეში სამნი ვართ: აკაკი ხორავა, მისი მეუღლე ნინა ალექსი-მესხიშვილი და მე.

რიჟრავია. არ მეძინება. თავზე ზეწარი მფარია და გარინდული ვარ, რომ ჩემს საპატიო მეზობლებს ძილი არ დავუფრთხო. ან რა დამაძინებს. ვიგონებ ჩვენს წარმოდგენას ჩებეთის ეროვნული გმირის იულეის ფუჩიკის ცხოვრებაზე, მიხარია რომ ასე მშვიდია ქვეყანა, რომ აღარ ისმის სირენებია შემზარავი წივილი, ტყვიების ზუზუნი და აფეთქებების... ამის გაფიქრებაც ვეღარ დავასრულე, რომ იქაურობა საშინელი მსხვერვის ხმამ შესძრა. შეშინებულები წამოვბრტით. საწოლებზე შუშის ნამსხვრევები და რაღაც თეთრი სითხე ესხა. შიში ან სულ ჩაგივდებს ენას, ან ქადაგად დაგავდებს.

— რა ჯანდაბა მინდოდა უცხოეთში? ოღონდ ახლა გადავრჩეთ და აღარსად წავალ! ვსლუჟუნებ.

— იიპ, თქვე... თქვენა! ეს ხომ მე ვიყავი, ფანჯარა ღია მეგონა და არაშანის ქილა გავისროლე გარეთ!

ძლივს გონს მოვედით და უცებ დანაშაულის ადგილზე წაგვასწორეს და კუბეში მატარებლის გამცილებელი ჩეხი ქალი შემოვიდა. განვითარდა უესტიკულაცია, ქალი მონუსხულივით შეჰყურებს ბატონ აკაკის, ბედად შეიცნო მასში ალბანეთის დიდი მემოპარი სკანდერბეგი კინოფილმიდან. იქულებული შევიქენით მთარგმნელი გვეხმო. მთარგმნელმა დაიცვა დიპლომატიი: ყველა ნორმა და მშვიდად გადმოგვითარგმნა:

— პატივცემულო პან — მსახიობო, თქვენ უდიდეს პატივსა გცემთ და

არ მინდა თქვენი დაჯარიმება, მაგრამ რა ვქნა, რომ ფანჯარას აშკარად ემჩნევა, რომ შეიგნიდანაა გატეხილი. ძალიან გთხოვთ, თუ არ შეწყუხდებით, ჩაბრძანდით ბაქანზე და ახლა გარედან ესროლეთ ფანჯარას ქვა, მაშინ მე ვიტყვი, რომ ფანჯარა გარედან გატეხეს და აღარ შევადგენ აქტს!

ჩვენ ეტყობა ძალიან გაოცებული ვჩანდით, რადგან ქალმა დაუმატა: — ნუთუ ალბანეთის დიდ მეომარს ნიშანში სროლა გაუჭირდება?

პაუზა... აკაკიმ ერთი გადმოგვხედა და ისეთი ხარხარი ატეხა გრგვინვა გეგონებოდათ. როგორც იქნა დაიყოლია ქალი ჯარიმა მიეღო მისგან. აუხსნა, სიმართლე ჩაეწერა აქტში, რადგან არც ალბანელ მეომარს და არც ქართველ მსახიობს არ ეკადრება ქვა დაუშინოს მშვიდობიან სახალხო მატარებელსო.

ПРОШУ, ЕЛЕНА САРБАЈЕВИЌ!

რუსთაველის თეატრი საგასტროლო მოგზაურობაში იყო ქალაქ კიევში. აკაკი ხორავამ გაიბრწყინა მისი ოტელოსა და ოიდიპოს მეფის როლებით. მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი, აღტაცებული ოვაციებით ეგებებოდა დიდ მსახიობს. თეატრალური კიევის მესვეურნი აკაკი ხორავას შემოხვეოდნენ, ხოტბას ასხამდნენ მის ოიდიპოსს და საფანგებო წვეულებაზე ეპატიჟებოდნენ.

ბატონმა აკაკიმ მიწვევა მიიღო და სთქვა:

— წავიდეთ, იქ გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი!

— თუ შეიძლება, ცოტაც მოვიცადოთ, ბარემ, ელენა სერგეევნაც გამოვიდეს! სთქვა იური ტიმოშენკომ (ტარაპუნკამ), რომლის ოჯახთან მე პირადი მეგობრობა მაკავშირებს.

— ჰო, კი ბატონო, როგორც მიბრძანებთ, დაეთანხმა ბატონი აკაკი. ამასობაში მეც გამოვედი, ტარაპუნკას და მის მეუღლეს გვერდით ამოვუდექი და საუბარს ყური მივუგდე.

აკაკი ვასაძე ქართულად შეეკითხა ხორავას:

— რას ვუცდით, თუ იცი?

— არ ვიცი, ვილაც ელენა სერგეევნა უნდა მობრძანდესო!

ნელნელა წავიდეთ, არა? — შეახსენა სტუმრებს ნატალია უყვიბი.

— როგორ გეკადრებათ, დაველოდოთ ელენა სერგეევნას! — იუარა ხორავამ.

— აი, ისიც აქ არის სთქვა ტარაპუნკამ და ჩემზე მიუთითა.

ბატონი აკაკი თავზიანი ღიმილით შემობრუნდა ქალის შესაგებებლად და ხელში შევრჩი მე, დარცხვნილი, ტარაპუნკას ამოფარებული.

გული მისკლებოდა ახლა ხმაძალა რომ გადაიხარხაროს რა მეშველება. მეტი, მაგრამ აკაკის ტაქტი არასოდეს ღალატობდა.

— შენ ხარ, ბოშო, ელენა სერგეევნა? ქართულად მეითხა, შემდეგ აკაკი ვასაძესთან წარმადგინა: აი, თურმე ვის ველოდებოდით ამდენი ჩინმედლოსანი ხალხი ნახევარ საათსო, კარგი კინოკადრივით ჩამრჩა მეხსიერებაში ვასაძის გაკვირვებული სახე, ხორავამ კი ხელი გამომიწოდა, თითქოს კადრის საცეკვოდ მეპატივებოდა და რაინდული თავაზიანობით მომმართა:

— Прошу, Елена Сергеевна!

დაუბეგმავი სინარული

ქართველმა საზოგადოებამ დიდის პატივისცემით აღნიშნა აკაკი ხორავას დაბადების 70 წლისთავი. ეს თარიღი თითქმის საქართველოს ყველა ქალაქში იხეიმა.

საიუბილეო ღღეები იყო. ბატონი აკაკი ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდა. ერთ ღღეს, რამდენიმე კაცი, მაშინდელი კულტურის მინისტრის მოადგილე აკაკი დვალისვილთან გამოგვიძახეს. მივედი: რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი საღარაძე, დამსახურებული არტისტი რეზო ბარამიძე, თეატრის მაშინდელი სალიტერატურო ნაწილის გამგე ვასო კიკნაძე და მე.

— ღღეს, საღამოს რვა საათზე, ქალაქ ფოთში ეწყობა გრანდიოზული შეხვედრა აკაკი ხორავასთან, თქვენ გაგზავნით ამ საღამოში მონაწილეობის მისაღებად. აეროდრომზე წამსვლელი მანქანა გელოდება.

თვითმფრინავი მზად იყო გასაფრენად, მაგრამ მასში მხოლოდ სამი თავისუფალი ადგილი აღმოჩნდა, მეოთხე კაცის წაყვანაზე პილოტმა თავი მოიკლა და არ დაგვეთანხმა, როგორ არ ვთხოვეთ, როგორ არ ვევედრეთ, მიზეზიც ვუთხარით, გაგონილა? არა, არა და არა, სულ დაგვაწყდა ნერვები, მარტო ვასო კიკნაძე არ ერეოდა საქმეში, იჯდა და მისასალმებელ სიტყვას წერდა.

მაშინ აეროდრომის უფროსის მოადგილე სალონში ავიდა და ზალხს გამოუცხადა: ამხანაგებო, ასეთი საგანგებო შემთხვევა გვაქვს: მსახიობები მიდიან ყველასთვის საყვარელ აკაკი ხორავას იუბილეზე ფოთში, ისინი აგვრანებენ. იქნებ დაგვავალოს რომელიმე მგზავრმა, დაგვითმოს ადგილი და თვითონ მომდევნო რეისით გაფრინდეს?!

თვითმფრინავი აჩოჩქოლებულა, უცბად ამდგარა ერთი ვაჟკაცი და უთქვამს: აკაკი ხორავასთვის კაცი სულს არ დაიშურებს, სკამს კი არაო, ხელჩან-

თა აუღია, გზა დაულოცია და გარეთ გამოსულა. ტრაპთან მდგარი ჯგუფი, რომ დანახა, ზელი ასწია და დაიძახა „ღღეგრძელობა აკაკი ხორავას!“ გახარებულნი ავვარდით თვითმფრინავში.

ვასო ისევ აგრძელებდა მისალმების წერას...

რვა საათი სრულდებოდა, როცა თეატრს მივუახლოვდით. სცენაზე ფუს-ფუსი იყო. მე არ დამავიწყდება ბატონი აკაკის შუქჩაზღვარი თვალები ჩვენს დანახვაზე.

სალამო დაიწყო. ბევრი რამ ითქვა გულითადი სასიამოვნო და გულსამაჩუყებელი, ვასო კინაძეს თავის ნაწერებში ერთხელაც არ ჩაუხელია და შესანიშნავი სიტყვა კი სთქვა.

მეც უნდა მეთქვა სიტყვა, მაგრამ რა მეთქვა? მოგეხსენებათ, მოფიქრების საშუალება არ მქონდა, ამიტომ, როცა გამომაცხადეს მოვყვეი შემთხვევა თვითმფრინავში, ვთქვი, როგორ დათმო კაცმა ადგილი იუბილარია პატრვსაცემად, როგორ საზეიმოდ წარმოსთქვა „ღღეგრძელობა აკაკი ხორავასო“ და, როგორ ბედნიერები ვართ ჩვენ, ახალგაზრდები, იმით, რომ მასი დიდი საბელის სხივი ჩვენი თანაზიარია.

საპატიო სავარძელში მჯდომ იუბილარს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ მაშინ რას იტყოდა? როგორც კი სალამო დამთავრდა დაწვრილებით გამოქკითხა ყოველივე.

— ნეტა ვინ იყო, — დაინტერესდა. მართლაც რა საწყენია, რომ იმ სიჩქარეში აზრადაც არ მოგვსვლია ეს გაგვეგო!

არის ახლა ის კაცი სადღაც, მისთვის, შრომაში გართული და არც კი ეჭვობს იმაზე, თუ რა დიდი სიბოზო ჩაღვარა აკაკი ხორავას სულში იმ ერთი, კაცური საქციელით, რა დიდი სიკეთე გამოსჭვივის ამ პატარა ამბავში, რა ბედნიერი იყო აკაკი ამ დაუგეგმავი სიხარულით.

ილინა ჰამბაჰამი

ჩემი უფროსი მემობარი

მე დიდი ბედნიერება მხვდა წილად, ბატონ აკაკი ზორავასთან ბავშობიდან ძალიან ახლოს ვყოფილიყავი. ჩვენ მეზობლებიც გახლდით და ნათესავებიც. დღეაჩემი თამარ ჭავჭავაძე და აკაკი ზორავას მეუღლე წინო მესხიშვილი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. ბატონ აკაკის ძალიან უყვარდა

ბავშვები. ქალბატონ ნინოს დისშვილები დალი და ნიკო, ძმისშვილი ლალი თითქმის სულ ბატონ აკაკის ოჯახში იზრდებოდნენ.

ძია აკაკის და მე დიდი მეგობრობა გვქონდა. ის ხშირად მეპატრონებოდა სახლში და ყოველთვის რაღაც გემრიელი ჰქონდა ჩემთვის შენახული. ხშირად მაკითხებდა ლექსებს, მაცეკვებდა. ერთხელ ჩვენი ეზოს ბავშვებმა გადაეწყვიტეთ დაგვედგა სპექტაკლი „მძინარე მზეთუნახავი“ ჩემს ბენაში. „რეჟისორი“ მე ვიყავი, ხელმძღვანელი კი ბატონი აკაკი ხორავა. დიდხანს ვთათბირობდი ძია აკაკისთან როლების განაწილებაზე. ჩვენს სპექტაკლში მონაწილეობდნენ კარლ მარქსის 2/8 სახლის ყველა ბავშვი. მათ შორის კახი და იმერი კავსაძეები. იმერი პრინციის როლს ასრულებდა. მე ვისარგებლე ჩემი „რეჟისორული უფლებებით“ და ორი როლი ავირჩიე — მძინარე მზეთუნახავი და ბოროტი ფერია. რეპეტიციები ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. ძია აკაკი დაუზარებლად გვეხმარებოდა. დედანაში¹ იყო ჩამცველი და გრიმიორი. ძალიან ვღელავდი. დადგა პრემიერის ღღეც. მოპრძანდნენ ჩვენი საამაყო მეზობლები: აკაკი ვასაძე, ენაწილ აფნაიძე, ალიო მირცხულავა, ლევან ანჯაფარიძე, ვიქტორ კუპრაძე, შაქრო ქუჩინიანი და სხვები. მაყურებელი დერეფანში იხსდა. აკაკი ხორავა სულ ბოლო რაგმად აჯდა სამზარეულოსთან. მაყურებელმა დიდი ოვაცია მოგვეწყო. ძია აკაკი ბრწყინავდა, ძალიან ბედნიერი იყო.

დედაჩემს ყოველთვის გასტროლებზე თან დავყავდი. არ დამაგოწყდებოდა ერთი საღამო. სპექტაკლ „ოტელოს“ შემდეგ აღფრთოვანებული მაყურებელი ბატონ აკაკის გარს ეხვეოდა. ისინი ერთხმად ლაპარაკობდნენ. ქება-დიდებას ასხამდნენ მსახიობებს. მე კუთხეში ვიყავი ატუხული. ძია აკაკიმ მომკრა თვალი, ყველა მიატოვა, ჩქარი ნაბიჯით ჩემსკენ გამოემართა და ხმამაღლა მითხრა: „შენ? შენ რას მეტყვი, მე ყველაზე უფრო შენი აზრი მაინტერესებს.“

სწრაფად გაირბინა დრომ, დავამთავრე სკოლა. გავიგე იმ წელს თეატრალურ ინსტიტუტში მიღება არ იყო. გლდა მეცა. მასსოვს, თვალცრემლიანი ავრბივარ სახლში, საღარბაზოში ბატონი აკაკი შემომხვდა: „რა იყო გოგო რა გატირებს? ვეცდები დაგეხმარო. სასწრაფოდ მოამზადე I კურსის საგნები“. თვითონ მომამარაგა ყველა საჭირო წიგნით. გადაფრინდა მოსკოვში, როგორც გამონაკლისი დამიშვეს პირდაპირ II კურსზე იმ პირობით, რომ 6 თვის განმავლობაში უნდა ჩამებარებინა I კურსის ყველა საგანი. ჩვენს კურსს ხელმძღვანელობდა ბატონი აკაკი ხორავა. ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდი.

¹ რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ ქავკავაძე.

დღეს ბევრი მათგანი სახელგანთქმული მსახიობებია. ბატონმა აკაკიმ ჩვენს კურსზე დადგა ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“ კრუჩინას როლს შესანიშნავად ასრულებდა ზინა კვერენჩილაძე. ნუნამოვი — თენგიზ არჩვაძე, შმაგა — გივი ბერიკაშვილი და ბორის წიფურია, ჯალჩიზა — ლეილა კაპანაძე, მუროკი — ელდარ სახლთხუციშვილი, ნილ სტრატონიჩი — ნოდარ მარგველაშვილი, მე კორინკინას როლს ვასრულებდი.

ჩვენ ყველა სტუდენტს ბატონი აკაკი ძალიან გვიყვარდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე სტუდენტი პირდაპირ რუსთაველის თეატრში ჩაგვიყვანეს. არც აქ მოგვაკლო თავისი მზრუნველობა ჩვენმა პედაგოგმა. ბატონმა აკაკიმ აღადგინა ბ. ლავრენიოვის პიესა „რღვევა“ (დადგმა ახმეტელის). თვითონ ამ სპექტაკლში ბრწყინვალედ ასრულებდა ბერსენიევის როლს. გამომიძახა და მითხრა — გაძლეე ტატიანა ბერსენიევას როლს. ჩემი ქალიშვილი იქნები. ამ როლს დედაშენი თამაშობდა. ბ. ლავრენიოვმა როცა ნახა სთქვა: „ეს ჩემი ყველაზე საუკეთესო ტატიანაა“. იცოდე, გენდობი არ შემარცხვინო.

მეორედაც შეონდა ბედნიერება ბატონ აკაკის პარტნიორი ვყოფილიყავი. ეს იყო გ. მდივანის პიესა: „ტერეზას დაბადების დღე“ (დადგმა ბატონ დოდო ალექსიძის). მე კუბელ მოცეკვავე გოგონა ამანდას ვთამაშობდი, იანკი — ბატონი აკაკი ზორავა. ეს ერთ-ერთი ბოლო როლთაგანი იყო ჩვენი ბუმბერაზი მსახიობის...

ლეილა ლავრაშვიძე

კვირფასი აღმშენი

ძალიან მემამყება, რომ ჩემი სტუდენტობის პერიოდში თეატრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელი აკაკი ზორავა იყო.

როდესაც სახელმწიფო გამოცდას ვაბარებდი ქართული თეატრის ისტორიაში მესამე საკითხად აკაკი ზორავას ბიოგრაფია შემხვდა. ძალიან შეეწუხდი, უნდა მესაუბრა ბატონი აკაკის თანდასწრებით და ამის გამო ველაგვდი. როდესაც ბატონმა აკაკიმ გაიგო, რომ მე მისი ბიოგრაფია შემხვდა და უკვე პასუხს ვიწყებდი, აუღიტირიდიან გავიდა, რათა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავეყენებინე. ბოლო სახელმწიფო გამოცდის დროს კი მითხრა, გამოცდებს რომ დაამთავრებ ჩემთან თეატრში მოდიო. ასე აღმოვჩნდი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დასში ბატონი აკაკის წყა-

ლობით და შემდეგ თითქმის 25 წელიწადი ვიმუშავე მასთან. ეს ჩემთვის მეორე ინსტიტუტი იყო.

ამ ხნის მანძილზე ძალიან ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი.

ჩვენი თეატრი ხანძრის შემდეგ წარმოდგენებს კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენაზე მართავდა. დილით და საღამოს შალვა დადიანის პიესა „ნაპერწყლიდან“ იდგმებოდა. თეატრში არასოდეს დამგვიანებია. იმჯერად კი ჩემი საათი არაზუსტი აღმოჩნდა და სპექტაკლზე მისვლა ერთი საათით დამაგვიანდა. გზაში საოცრად აღელვებული ამხანაგი შემხვდა, რომელმაც ეს ამბავი შემატყობინა.

ვერ აგიწერთ ჩემს მღელვარებას, როგორ უნდა შევხვედროდი ბატონ აკაკის, რომელიც იმჟამად თეატრის დირექტორი იყო!

არავითარი სასჯელი მაშინ არ მიმიღია. ბატონ აკაკის უთქვამს, ალბათ რაღაც მოხდა, თორემ ისე ლეილა არ დაიგვიანებდაო. ამ შემთხვევის შემდეგ კიდევ უფრო გამიძლიერდა პასუხისმგებლობის გრძნობა.

თეატრის მსახიობებს ხშირად გვიხდებოდა საგასტროლოდ გამგზავრება. ბატონი აკაკი ჩვენთან, მსახიობებთან ერთად ცხოვრობდა სასტუმრო იქნებოდა ეს თუ სკოლის შენობა. უფრო ხშირად ახალგაზრდებთან ატარებდა დროს და ყველას მიმართ გულისხმიერი იყო.

1967 წელს ერთად ვიმოგზაურეთ ჩეხოსლოვაკია-უნგრეთში, როგორც ტურისტებმა. ჩვენი თეატრიდან ვიყავით ნინო ლაფაჩი, ელენე საყვარელიძე, იამზე ტყავაძე და მე. ბატონი აკაკი კი თავის მეუღლესთან ქალბატონ ნინო ალექსი-მესხიშვილთან ერთად იყო წამოსული.

აქვე მინდა ორიოდ სიტყვა მოვიგონო ქალბატონ ნინოსთან დაკავშირებით. ახალი მისული გახლდით თეატრში. იდგმებოდა პოპოვის „ოჯახი“ დიმიტრი ალექსიძის რეჟისორობით. ნინო ალექსი-მესხიშვილი ლენინის მასწავლებლის ვერა კაშკადამოვას როლს ასრულებდა, მე კი სულ ახალბედა მსახიობი მის დუბლიორად დამნიშნეს. ერთგვარად მერიდებოდა კიდევაც ასეთი გამოცდილი მსახიობის დუბლიორი რომ გახლდით, თანაც ამგვარი საპასუხისმგებლო როლი მანდეს. როგორ მესმარებოდა ქალბატონი ნინო, ცდილობდა როგორმე აეცდინა რეპეტიციები, რათა მე უფრო მეტი მემუშავნა. ეს იყო ჩემი პირველი როლი თეატრში და ამ გაკვეთილის შემდეგ, თუ ტრახანად არ ჩამომართმევთ, მეც ვცდილობდი ასეთივე გულისხმიერი ვყოფილიყავი ჩემი დუბლიორების მიმართ.

ბატონ აკაკის შესანიშნავი პიროვნება ედგა გვერდით, რომელსაც განსაკუთრებული პატივით და სიყვარულით ეპყრობოდა.

მოგზაურობისას კიდევ უფრო დაუუახლოვდი ამ ორ ძვირფას ადამიანს.

თუ რაოდენ პოპულარული იყო აკაკი ზორავა კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ევროპის ქვეყნებში მოგზაურობისას. როგორი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ყველგან. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა მის მიერ ბოლო დროს შესრულებული როლი ალბანეთის გმირი — სკანდერბეგი. ასე გაუთარე ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ბატონ აკაკის გვერდით.

ნატო ლვიძი

უკანასკნელი გადაცხილი ინსტიტუტთან

თეატრალური ინსტიტუტი ზეიმისათვის ემზადებოდა. ზეიმი ტრადიციული და უნიკალურიც გახლდათ იმავდროულად. იმ წელს, პირველად გაიხსნა საქართველოში კინოსარეჟისორო ფაკულტეტი და ინსტიტუტს სურდა განსაკუთრებულად აღენიშნა ახალი დარგის შემომატება.

ტრადიციულად ქცეულ ზეიმთა შორის, ყველაზე პოპულარული და საყვარელი „ზილთაქება“ გახლდათ. ეს საღამო ფეიერვერკი იყო ახალი სახელების, იმპროვიზაციის, გონებამახვილობის, გამომგონებლობის, უფრო სწორად „შეთზვის“ — მოკლედ ნიჭიერების, ხოლო შეხვედრა პირველკურსელებთან, შედარებით აკადემიურ ხასიათს ატარებდა ყოველთვის. ამჯერად მთელი ინსტიტუტი ერთსულოვნად განეწყო ლამაზი, გამორჩეული საღამოს მოსაწყობად. სამწუხაროდ, ასეთი რამ ინსტიტუტში უკვე აღარ არის...

ეს არცთუ შორეული წარსული, 1972 წლის სექტემბერი იყო.

სტუდებილეთები პირველკურსელებს თეატრალურ ინსტიტუტში მოგვიანებით გადაეცემოდათ. ამიტომ დიდხანს ფიქრობდა ყველა, რა საჩუქარი მიეძღვნათ პირველკურსელთათვის ამ დღის შინაარსიც რომ მოეცვა და შემდეგ, წლების გავლის მერე, სიამოვნებით გაეხსენებინა მათთვის ეს დღე. გადაწყდა: ღია ბარათებზე, მილოცვის ტექსტისათვის ხელი მოეწერათ პროფესორ-მასწავლებლებს.

„იციოთ რას გირჩევთ?“ — გვითხრა კაბინეტის გამგემ, ქალბატონმა თამარ ჩხიკვაძემ, — ჩადით აკაკი ზორავასთან, დიდი მსახიობის და ინსტიტუტის პირველი რექტორის ავტოგრაფი, ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იქნება პირველკურსელთათვის, ყურადღება კი ბატონ აკაკისაც გაახარებს ასეთ დღეს!“

დავრეკეთ და მივიღეთ მისი მეუღლის, ქალბატონ ნინოს თანხმობა სტუმრობაზე.

ბატონი აკაკი თავს სუსტად გრძნობდა, მაგრამ სიამოვნებით დაგვთანხ-

მდა ას ბარათზე აღენიშნა ფაქსიმილე. „ლატოვონ და შემდეგ შემოიარონ წასაღებდალ“, — გვითხრა.

მოვლენები იმდენად სწრაფად განვითარდნენ, რომ მხოლოდ მათი ბინის კართან მდგომებმა შევიგარძენით, რომ მისმა უდიდებულესობა „შემთხვევამ“ მოგვცა შესაძლებლობა ვსტუმრებოდიტ მსოფლიოში სახელგანთქმულ დიდ ქართველ მსახიობს.

როდესაც ქალბატონი ნინო ბატონ აკაკისთან შეგვიძღვა, იგი საწოლზე, ჩამომჯდარი დაგვიხვდა. თუმცა ხალათი მოეგდო მხრებზე. (სჩანდა ზრდილო-ბისათვის), მაინც თავის საყვარელ პოზაში იჯდა. უეცრად გამახსენდა ჩემპედაგოგების უღრესად საინტერესო ლექციები აკაკი ხორავას შემოქმედებაზე, მოგონებები მის პიროვნულ თვისებებზე, ხასიათზე.

— არ იუხერხულოთ — გაგვიღიმა ქალბატონმა ნინომ — იგი ასე ხელებოდა თეატრში, მის საგრიმორო ოთახში ამოსულ სტუმრებსაც.

— ჩვენ ეს გვიამბეს — ვუპასუხებთ — ჩვენ ხომ უამრავი რამ გვამენია და წაგვიკითხავს თქვენს შესახებ.

დიდხანს გვიტყერდა.

შევბედე.

— მე თქვენი „ოტელო“ მახსოვს, აღდგენილი „რღვევა“...

უფრო დაკვირვებით ამოგვხვდა.

— მაშ რა ხდებოა? — შეგვეკითხა და პირველად მოისმინა ჩვენი მისულის მიზეზი.

— ძალიან კარგი, — დასძინა მძიმედ, — როდისთვის გნებათ? ოო, აჰ სადამოსთვის ამდენზე?! მგონი ბევრია არა? ახედა მეუღლეს.

მძიმედ სუნთქავდა. მივხვდიტ, ერთი შეხედვით უბრალო თხოვნა უკვე დიდი ძალის ვაღებას ითხოვდა თუმც ვამხდარი, მაინც წარმოსადეგი ვარგნობის მქონე ბატონ აკაკისაგან.

— მერე რა? ნელა ვავაკეთებთ — გაამხნევა მეუღლემ.

აკაკი ხორავამ ხელი გამოგვიწოდა, ღია ბარათები ჩამოგვართვა.

მორიდებით წამოვდექით. შეგვაჩერა.

სიჩუმის დარღვევას არ ჩქარობდა მასპინძელი, ვიგარძენით, საგანგებოდ აჰიანურებდა დროს, ფარული ჭურვილიტ — რაც შეიძლება დიდხანს დავეტოვებინეთ, არ ვავეშვით. აჰ სურვილიტ დაძაბულს უჭირდა საუბრის წარმართვა.

სევდა მოძალებოდა. ვაიშვიათებულოყო ხალისიან სტუმართა, ყურადღებიან მომკითხველთა რიცხვი. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ აკაკი ხორავა

აუტანელი მარტოობის განცდას მოეცვა. ვერაფერს აწყობდა ამ ვითარებასთან ქალბატონ ნინოს თავდაუზოგავი ერთგულება, სიყვარული...

— სხვა რა ხდება ინსტიტუტში?

როდესაც ვუამბეთ თითქოს ფიქრებში ჩვენ კი არა საკუთარ თავს დაუდასტურა.

ჰო თერიმაც მითხრა. მირეკავს ხოლმე.

და კვლავ საკუთარ ფიქრს გაჰყვა, თავის არსებაში ჩაიძირა.

შეუსაბამო კონტრასტს ქმნიდა დიდი ძველებური ბინის სიმყუდროვე. დაუფლებული მარტოობის ეს განცდა.

სამი საათის შემდეგ დიდი თაიგულით შევედით სასტუმრო ოთახში. ბატონი აკაკი ახლა მაგიდასთან იჯდა და მკუთრნალი ეჭიმის რჩევას ისმენდა.

— გაიცანით, ჩემი ინსტიტუტის სტუდენტები არიან — თავად წარგვადგინა ეჭიმთან.

МАРИНА КОРНЕЙЧУК

И В ПАМЯТИ, И В СЕРДЦЕ

Ноябрь 1970 года. Тбилиси.

То, что было сегодня, я уверена, бывает в жизни драматурга очень редко.

Грузинский театр имени Котэ Марджанишвили начал работу над «Памятью сердца». Дирекция театра пригласила Александра Евдокимовича Корнейчука на встречу с артистами. Когда мы в одиннадцать часов вошли в театр, то сразу почувствовали: произойдет что-то необыкновенное. Нас встретили Д. А. Алексидзе и директор театра и повели в репетиционный зал на второй этаж. Как только открыли дверь, послышались волшебные звуки. Вся мужская часть труппы театра стояла на ступеньках, они пели прекрасный грузинский хорал в честь гостя. Молодые актрисы держали гирлянды цветов и бросали цветы к ногам драматурга.

Конечно, весь этот прекрасный, волнующий «спектакль» был срежиссирован нашим дорогим Додо (так ласково называли в Грузии Алексидзе).

Александр Евдокимович не ожидал такой встречи, она взволновала его до слез. Когда его попросили сказать несколько слов для телевидения, он от спазм в горле, от волнения долго молчал...

¹ ეთერ გუგუშვილი.

Актеры попросили Корнейчука прочитать первое действие пьесы на украинском языке, а переводчик «Памяти сердца», известный грузинский писатель Григол Абашидзе, прочитал то же самое на грузинском языке.

На встрече были критик Бесо Жгенти, поэт Ираклий Абашидзе, другие литераторы. Потом Григол Абашидзе пригласил нас всех к себе на обед. Провозглашалось много тостов в честь гостя.

Это было вчера, а сегодня А. Е. Корнейчук, Д. А. Алексидзе, Анзор Кутателадзе и я ходили проведать известного грузинского актера Акакия Хорава.

Я видела этого чудесного актера в 1960 году, когда Тбилисский театр имени Шота Руставели приезжал на гастроли в Киев.

Мы шли на встречу с любимцем грузинской сцены и вспоминали Хорава в ролях Платона Кречета, Отелло, Богдана Хмельницкого, Георгия Саакадзе, царя Эдипа... Он остался в памяти человеком необычайной красоты, темперамента, голоса.

И вот перед нами лежал совсем не тот Хорава, который жил в нашем воображении. Мы смотрели на него и почти не узнавали — смерть уже наложила на этого великана свою жестокую печать...

Увидев его, Александр Евдокимович протянул к нему руки, и две слезы выкатились из его глаз. Нас всех душили слезы. Настала тишина. Взволнованный Корнейчук стал перед постелью Хоравы на колени, взял его руки и нежно поцеловал их.

«Прими, дорогой Акакий — великий артист — неизменную любовь и благодарность старого драматурга», — сказал Александр Евдокимович.

Вечером в гостиницу принесли письмо от Хоравы. Вот что он писал:

«Дорогой и незабвенный друг Сашко!

От души хочу поблагодарить тебя за то большое внимание, что оказал мне, посетив мой дом. Очень рад, что не забыл меня, и горжусь твоим отношением ко мне. Я многим тебе обязан: на твоих сценических образах я рос. Твое теплое и дружеское сердце всегда грело меня. Никакое время, никакие обстоятельства не смогут охладить мою любовь и уважение к тебе. Желаю в твоей высокоталантливой работе и в выдающейся государственной и общественной деятельности плодотворного успеха.

От души обнимаю и целую

Твой Акакий Хорава».

Что можно еще добавить к этим прекрасным, душевным словам?..

И тут происходит нечто неожиданное. Вместо того, чтобы обрадоваться на «Дон-Жуана», Акакий Алексеевич, словно краснадевица, яростно сопротивляется и требует опровержения. Увы! Пришлось признать, что он не Дон-Жуан!..

Время действия — 1944 г. Институт празднует 50-летие Хорава. Ему еще нет пятидесяти, но нам не терпится признаться ему в любви и поклонении. Празднуем нарядно, весело... Вся институтская лестница снизу доверху полна прекрасными девушками и юношами. У всех в руках ветки махровой сирени, которой закидываем Хорава. Он и на сей раз (может ли быть иначе?!) получает один из моих паритетов с надписью: «Тому, которому приоткрыты потайные двери в страну чудес!..»

На сцене театра идет «Сирано де Бержерак». Хорава — Сирано. Я теперь не помню точно, что я тогда надписала на прекрасном издании Ростана. Помню, что «варьирую» Хорава с Кокленом и Ростаном, я изощрялась в диферамбах, восхвалениях, похожих на лесть. Какой актер устоит перед нею?!

В свой 60-летний юбилей Хорава получает от меня роман Керама «Боги, гробницы, ученые». На книге надпись:

«Вам жизнь обернулась яркой сказкой,
И сказка жизнью стала Вам».

Говорят, что Нефертити ему завидовала...

Потом он покинул институт, как его ректор. И по этому случаю снова, получил от меня изящный томик стихов с таким вот посвящением:

«Едва в глубоких снах
мне снова
Начнет былое воскресать,
Рука уж вывести готова
Слова, которых не сказать...»

Казалось бы все восторги были высказаны за эти годы. И все-таки! К его славному 70-летию я подготовила томик Тютчева со словами, прозвучавшими как еще одно мое признание в неизменной нежности к человеку, другу, товарищу, с которым связана вся жизнь и без которого она, эта жизнь, была бы вероятно менее интересной и менее содержательной. Вот она, надпись:

О, как на склоне наших лет
нежней мы любим и суеверней...

Хорава был доволен. Слова попали в самое сердце.

აპაკი ხორავა მკრანე

ისტორიული ფილმის „ალბანეთის დიდი მეომრის სკანდერბეგის“ ხელახალი გახმოვანება მთავრდებოდა. საქმე ის იყო, რომ რეჟისორ სერგეი იუტკევიჩის დაუშვებლად მიაჩნდა ალბანელ სკანდერბეგს ეკრანიდან, თუნდაც ოდნავ შესამჩნევი აქცენტით ემეტყველა რუსულად, ამიტომ თავიდან ფილმი სხვამ გაახმოვანა (უაქცენტოდ) და არა მთავარი როლის შემსრულებელმა: მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ—გმირის ეკრანულმა სახემ მიმზიდველობა დაკარგა, უეჭველი იყო, იგი მაყურებელზე სათანადოდ ზემოქმედებას ვერ მოახდენდა. ერთი სიტყვით, აკაკი ხორავას სკანდერბეგს ის ერთიანობა აკლდა, რაც მის გიორგი სააკაძეს ჰქონდა და რის გამოც მიიწვიეს იგი ალბანელი მხედართმთავრის როლის შესასრულებლად.

საინტერესოა, რატომ შეცვალა ცნობილმა კინორეჟისორმა გადაწყვეტილება, რა იყო განსაკუთრებული გიორგი სააკაძის სახეში და რის შემოტანას ცდილობდა მსახიობი სკანდერბეგის ეკრანულ იერსაღში.

სააკაძის ეკრანული სახის წარმატებას შემდეგი ფაქტორიც განაპირობებდა: ის, რაც თეატრალური მსახიობისათვის ბუნებრივი იყო და რაც ასევე ბუნებრივად მოიტანა მან ფილმში. ეს მსახიობის ხმა გახლავთ, განუმეორებელი ქლერადობის ხმა.

აკაკი ხორავას იშვიათი უნარი ჰქონდა ხმის ტემბრის, ინტონაციის წყალობით გმირის ნებისმიერი სულიერი განწყობა გამოეხატა. სწორედ ხმამ გამოკვეთა სააკაძის ტრაგიკული ბუნება და მისი ქვეშაბრტყლად გმირული ხასიათი. შესაძლოა, ეს თვისება კინოს პრინციპებს გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა, რადგან ფილმში ერთგვარი თეატრალურობა შეჰქონდა, მაგრამ როგორც ეს „სკანდერბეგთან“ დაკავშირებით მოხდა, ერთიანობა იპდენად ორგანული იყო, რომ მსახიობის ეს თვისება გასათვალისწინებელი გახდა კინოსათვის. ს. იუტკევიჩი დარწმუნდა, ფილმში გმირული ზასიათი არ ჩანდა იმის გამო, რომ სკანდერბეგს არ ახმოვანებდა მისივე შემსრულებელი და, როდესაც მსახიობმა თავადვე გაახმოვანა როლი, ამით სრულფასოვანი გახდა მის მიერ შექმნილი სახე.

აკაკი ხორავა კინოს 20-იან წლებში დაუკავშირდა. ეს იყო „დიდი მუნჯის“ ხანა, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ რეჟისორთა ყურადღება მიიქცია, უპირველეს ყოვლისა, მსახიობის ზედმიწევნით მეტყველმა სახემ და შთამბეჭდავმა გარეგნობამ. ეს თვისებები ერთგვარი პირობაც იყო მუნჯ კი-

ნოში მუშაობისათვის, ამიტომ თითქოს ადვილი უნდა ყოფილიყო მსახიობისათვის კინოდებიუტი და წარმატებაც იოლი მისაღწევი, მაგრამ ასე არ მოხდა. „დიდი მუნჯის“ დროს და შემდეგაც, უკვე ოცდაათიან წლებში, აკაკი ხორავას სამწუხაროდ სათანადო სამოქმედო ასპარეზი კინოში არ ჰქონდა. ოციანი წლების პირველი ნახევრის ფილმები, რომლებშიც მონაწილეობდა იგი („წარსულის საშინელებანი“, „მუქურის საიდუმლოება“ და „ნათელა“) მხატვრული ღირსებებით არ გამოირჩეოდნენ.

ეს სურათები, იმ დროს ჩვენს კინოში მომრავლებული ისეთი რეჟისორთა ქმნილებები გახლდათ, რომელთათვის დამახასიათებელი იყო კომერციული ხასიათი, ეგზოტიკის ძიება, საფათერაკო სიტუაციების სიჭარბე, მელოდრამატულობა და ა. შ.

მომდევნო წლებში, როცა ახალ რეჟისორთა კადრების მოსვლით ქართულ კინოში შემოქმედებითი ძიებისა და ექსპერიმენტების ხანა დაიწყო, ეს ხანა იწყება ხორავა-კინომსახობის ბიოგრაფიაშიც. ეს უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მსახიობს უფრო მეტი შემოქმედებითი თავისუფლება ჰქონდა და თუმცა, უმეტეს წილად, ეპიზოდურ როლებს სთავაზობდნენ („ჩემი ბებია“, „არსენა“, „ნარინჯის ველი“), სულაც არ იყო გასაკვირი, რომ თუნდაც ეპიზოდში, აკაკი ხორავა დასამახსოვრებელ სახეებს ჰქმნის. კინოში მუშაობის პირველი თექვსმეტი წელი მსახიობისათვის მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეს მომზადებისა და ძიების წლები იყო.

აკაკი ხორავას მიერ შესრულებული კინოროლებიდან, უდავოდ ყველაზე გამორჩეული და მნიშვნელოვანია გიორგი სააკაძის ეკრანული სახე. ამ დროისათვის მსახიობს თეატრში უკვე მოპოვებული აქვს საყოველთაო აღიარება, სცენის ჯადოქარი ღიღების მწვერვალზე იმყოფება. მისი ეს წარმატება დაკავშირებული იყო სანდრო ახმეტელის ეროვნულ-პროიქულ თეატრთან. გასაკვირი როდია რომ ესოდენ ეპიკური დრამა თეატრიდან კინოშიც გადადის. ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა: ოცდაათიანი წლების კინემატოგრაფში წინა პლანზე წამოიწია ძლიერმა აქტიურმა გმირმა. სულ მალე იგი მტკიცედ დამკვიდრდა ეკრანზე. ასეთი ხასიათის გმირები, ძირითადად, ისტორიული პიროვნებები იყვნენ. ამის ტიპური მაგალითი ქართულ კინოში მიხეილ ჭიაურელის ფილმი „გიორგი სააკაძე“ გახლავთ.

სრულიად ბუნებრივია, რომ რეჟისორმა მთავარი როლის შესრულება სანდრო ახმეტელის სკოლის მსახიობს შესთავაზა, ვისაც რომანტიკულ-პროიქული ხასიათის არა ერთი გმირი ჰყავდა განსახიერებელი სცენაზე. აკაკი ხორავამ ზუსტად შეძლო მოეძებნა ის ფერები, რომელთა მეშვეობითაც დახატა ჭეშმარიტად ეროვნული გმირის ეკრანული იერსახე... მისი გიორგი სა-

აკაქე, უპირველეს ყოვლისა, დიდი მამულიშვილია, რომელსაც ერთი მიზანა აქვს — სამშობლოს თავისუფლება და ამ წმინდა მიზნისათვის მზად არის ყველაფერი მსხვერპლად გაიღოს. მხედართმთავარი, სწორუპოვარი მეომარი, საბელმწიფო მოღვაწე. მოსიყვარულე მამა, უბრალოდ, ვაჟაკი, სწორედ ამ თვისებებს ანიჭებს მსახიობი თავის გმირს. სწორედ ამ თვისებებით გახსნა მსახიობმა ქართველი აზნაურის ბუნება და აჩვენა მისი კავშირი ხალხთან.

ა. ზორავას გიორგი სააკაძე საოცარი ტემპერამენტისა და ძალის მქონე გმირია, მისი გარეგნული უმოქმედობის დროსაც კი იგრძნობა შინაგანი დინამიზმი, ექსტრენისა. მსახიობმა თავის გმირს ყველა ის თვისება მიანიჭა, რაც ჭეშმარიტად ერის წინამძღოლსა და სახალხო გმირს უნდა ჰქონოდა.

აკაკი ზორავას გიორგი სააკაძე, რა თქმა უნდა, რომანტიზებული გმირია, მაგრამ შესრულების თავისებურმა მანერამ დამაჯერებლობა მიანიჭა ამ სახეს. ამიტომ გწამს გმირისა, გწამს, რომ მისი ტრაგედია ეს ურის ტრაგედიაა, ამის უმთავრესი მიზეზი მსახიობის მიერ ეკრანული სრული გათავისებაა.

გიორგი სააკაძის სახემ ბევრად განაპირობა მსახიობის პოპულარობა, ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა მიწვევა „სკანდერბეგის“ როლზე. ასე რომ, წარმატებამ აკაკი ზორავას ახალი როლი მოუტანა, მასთან ერთად კომანტიკულ-ჰეროიკული ხასიათის კინოგმირთა საუკეთესო შემსრულებლის სახელიც.

ორმოციანი წლები აკაკი ზორავასათვის უდაოდ მეტად ნაყოფიერი იყო ინდივიდუალობისა და პროფესიული შესაძლებლობების სრული გამოვლენის თვალსაზრისით. სამწუხაროა, რომ ასეთი მონუმენტური გმირის განსახიერება მსახიობს კინოში აღარ მოუხდა, ის ძირითადად თეატრით იყო დაცავებული და იშვიათად დგებოდა კინოაპარატის წინ. მიუხედავად ამისა, ორმოცდაათიან წლებში მან რამდენიმე საინტერესო ეკრანული სახე შექმნა („მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“, „მამლუქი“).

გვიდა დრო, თანდათან ჩამოსცილდა აკაკი ზორავა კინოს. უკანასკნელად მსახიობი მიხეილ ჭიაურელის ფილმში „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ ვიხილეთ, სადაც მისთვის ჩვეული ოსტატობით შექმნა ყარაჩოხელ გიჟუას მეტად კოლორიტული სახე. ზორავას გიჟუა ძველი თბილისის ჭეშმარიტი მოქალაქეა, მან შრომისა და ვაჟაკობის ფასი იცის, პატიოსნების მეტი არა აბადია, ალაღმართალი შრომით ნაშოვნის ალაღმართლად გაცემა შეუძლია, ბუნებით ლადია, ყარაჩოხელებზე ჩვენამდე მხოლოდ ლეგენდებმა მოაღწიეს; ძველი ქალაქის სინდის-ნამუსი იყვენენო, სწორედ ასეთი ტიპი დახატა ფილმში აკაკი ზორავამ. მისი გიჟუა კეთილშობილი, მდაბიო ანუ, უფრო სწორად, მდაბიოთა რაინდია.

საინტერესოდ ძერწავს სახის ეკრანულ ხატებას მსახიობი, გარეგნულ ეგზალტაციას მოკლებული მოძრაობა უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს გმირის შინაგან ძალას. გიჟუას სახე არ არის ჭარბად რომანტიზირებული, რადგან მსახიობის რეალისტური თავშეუკავებელი თამაშის წყალობით ბუნებრივი და დამაჯერებელი გახდა ეკრანული სახე. ამ პერსონაჟით განუმეორებელ-კოლორიტი შეემატა ფილმს და კიდევ უფრო გაამრავალფეროვანა ზასიათების პალიტრა. ეს როლი ბოლო იყო მსახიობისათვის კინოში. ამ უკანასკნელმა გაელეგებამ ეკრანზე ბევრი დააფიქრა, დაგვანახა მსახიობის ამოუწურავი პროფესიული შესაძლებლობები, რომლებიც სამწუხაროდ, სრულად ვერ გამოიყენა კინომ.

წერილები აკაკი ხორავასადმი
ПИСЬМА К АКАКИЮ ХОРАВА

Дорогой мой Акакий!

Твоим исключительно теплым и чутким письмом ты окончательно покорила меня. Ты знаешь, что я всегда любил тебя, как Человека с большой буквы и преклонялся перед твоим огромным талантом. Каждая твоя театральная победа, а их было немало, искренне меня радовала. Ты, дорогой Акакий, один из больших мастеров нашей любимой Родины, которые так нужны всему трудовому народу. Большое, большое товарищеское спасибо! Я постараюсь оправдать твои надежды и провести этот сезон удачно. Как будто бы у нас есть хорошие актеры и, следовательно, должен быть театр. Моя твердая точка зрения, что в театре один хозяин и имя ему «Актер»!!! Желаю вашему прекрасному, темпераментному театру большого успеха в новом году! С огромным нетерпением и волнением буду ждать твоего Отелло. Не хочу быть пророком, но почти что уверен, что это будет одним из выдающихся явлений в советском театре за все годы его существования. Еще раз благодарю от имени нашего коллектива. Дружески обнимаю и целую обаятельного, чуткого товарища и большого мастера советского театра.

Всегда твой Котик Азизов¹

Москва, 3 октября, 1936 г.

ძ მ ა ო აკაკი!

დაგვერწმუნეთ რომ შენზე ნაკლებად არც ჩვენ ველეღვთ, შენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა და საერთოდ მთელი ქართველი პატრიოსანი ხალხის. გისურვებთ კიდევ ახალ მოსალოდნელ „ეგზამენების“ ბრწყინვალედ ჩაბარებას.

მ ე გ ო ბ რ ე ბ ი: ემ. აფხაიძე, სტ. ჭაფარიძე, გ. ხალარაძე
თბილისი, 1 ოქტომბერი, 1937.

ს ა ლ ა მ ი ჩ ე მ ო აკაკი

გწერ ამას ლენინგრადიდან, საშინელი ამინდებია — თოვლი, სიცივე და დახუთული ჰაერი, ველი წუთებს, როდესაც აქედან გამოვალ. ჩემი ამბავი ასეა: ჩავატარე ძალიან კარგად „დაისი“ და „სამშობლო“. საყვარელ კიევში ყველა კმაყოფილი დამჩნა, მთავრობაც და თეატრებიც. ერთი სიტყვით, რუსთაველის თეატრი არ შევარცხვინე და ჩემი თავიც. იმედი მაქვს ასევე წავა მოსკოვში და ლენინგრადშიც.

მე არ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში ის ლამაზი კიევი, რა საუცხოო გაზაფხულია და აქ კი სულ სტირის ბუნება.

დეკორაციები აქ თითქმის დავამზადე და პირველ რიცხვებში წავა წარმოადგენა. მოგიკითხა კიევში გნატ იურამ, ბუჩუმამ² და ყველა შენმა ნაცნობებმა. თუ არ დაიშურებ ჩემთვის რამდენიმე წუთს, გამეხარდება შენი წერილი და ჩემი თეატრის ამბები და მუშაობა.

ყველას ჩემი სალამი და გამარჯვება.

ლიუტიკასგან სალამი ნინას და შენ, მანაველას, თინას³.

იყავით კარგად და გამარჯვებით.

შ ე ნ ი ირაკლი (გამრეკელი)

ლენინგრადი, მარტი, 1938.

ძ მ ა ო აკაკი!

კაცო, რატომ ასე ავიბენი, შენი აქ მოსვლა ვერ აღვნიშნე რივიანად. წინასწარ რომ მცოდნოდა, როდის იქნებოდი აქ, ტბაზე აღარ წავიდოდი. ყოველ შემთხვევაში რაც გასურდა, შეგისრულე: ჩქარა და ახალი თარგმანის⁴ ხომ ასეა?

ძლიერ მსურდა ახალგაზრდების თარგმანი გამესწორებინა, მაგრამ დროს დიდს გვართმევდა... ისევ თავიდან დავიწყეთ. ეს მათი რვეულები შეინახეთ არქივში, რომ ჩვენს თარგმანს შეუფარლოთ. რომელიც მოგეწონებათ ის მიიღეთ.

აკაკი! გიგზავნი სამსურათს, კიდე გინდა? დოდოს დაბარე რაცა გასტრას და ჩვენც... ზოგი თეატრის და ზოგიც აკაკიების ხათრისათვის, — შეძლებისდაგვარად — ყველაფერს შეგისრულებთ...

ი. გრიშაშვილი

წაღვერი, 31 აგვისტო, 1938



უსახელო, ვ. ტოლერის „კაცი-მისა“. დადგმა კ. მარჯანიშვილის და მ. ქორელისა.
1923 წ.



გ ა რ ს ი ი, კ. ლიპსეროვის „კარმენსიტა“,
დაღმას. ახმეტელისა, 1927 წ.

ა ნ ზ თ რ ი, ს. შანშიაშვილის „ანზორი“, დაღ-
მას. ახმეტელისა, 1928 წ.





ბერსენევი, ბ. ლაზრენვის „რღვევა“,
დაღმა ს. ახმეტელისა, 1928 წ.

გორიანი, ვ. კირშონის „პართა
ქალაქი“, დაღმა ს. ახმეტელისა, 1929 წ.





კარლ შოორი, ფ. შილერის „ჟანაღები“,
დადგმა ს. ახმეტელისა, 1933 წ.



არსენა, ს. შანშიაშვილის „არსენა“. დაღვა
ა. ვასაძის, 1936 წ.



იჩო, გ. რობაქიძის „ლამარა“. დაღვა ს. ახ-
მეტელისა, 1930 წ.



ალი, ლ. სლავინის „ინტერვენცია“. დაღვა
ს. ახმეტელისა, 1934 წ.



აკაკი ხორავა — მცხეთელი, ალექსანდრა თოძე — დეზდემონა, უ. შექსპირის „ოტელო“
დადგენა შ. აღსაბაძისა, 1927 წ.



აკაკი ვასაძე (პარკეცივი) — იაგო, აკაკი ბორჯა — ოტელო უ. შექსპირის „ოტელო“, დადგ. შ. ალსაბაძისა, 1937 წ.



ოტილო, უ. შექსპირის
„ოტილო“, დადგმა შ. აღ-
საბაძისა, 1937 წ.

ეკვანი შარისხანი, ვ. სოლოვიოვის „ადგი ზემოწიფე“, დადგმა ა. ვასა-
ძისა, 1945 წ.







გიორგი სააკაძე, სცენარი ანა ანტონოვსკაიას და ბ. ჩორნის «გიორგი სააკაძე»,
დადგმა მ. კიაურელისა, 1944 წ.



პეპო, გ. სუნდუკიანის „პეპო“, დადგმა დ. ალექსიძისა, 1951 წ.

პეპო — ა. ხორავა, ფეფელა — მ. ჩახავა, გ. სუნდუკიანის „პეპო“, დადგმა დ. ალექსიძისა.





ფ. ბაქრაძის მიერ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, დადგმა დ. ალექსიძისა,
1936 წ.

გენერალი მურავიოვი.
ბ. ჩირსკოვის „გამარჯვებულნი“, დადგმა
ს. კელიძისა. 1946 წ.



ბარიელი, ლ. ქიაჩელის „ბარიელგო-
ლა“ დადგმა მ. თუმანიშვილისა, 1955 წ.





სკანდერბეგი. კინოფილმი „ალ-ბანეთის დიდი მეომარი სკანდერბეგი“ შ. ჯაფარის სცენარის მიხედვით, რეჟისორი ს. იუტკევიჩი, 1956 წ.



წინამძღოლი, ვს. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, დადგმა ა. ჩხარტიშვილისა, 1958 წ.

Многоуважаемый и дорогой Акакий Алексеевич!

Мне было очень жаль уезжать из Тбилиси, не попрощавшись с Вами. Я заходил в Ваш театр, но мне сказали, что Вы на репетиции «Человека с ружьем». О встречах с Вами у меня сохранилось самое хорошее воспоминание. Ваши слова о героическом театре о необходимости экспериментировать в области искусства были мне очень по душе. Как бы ни были велики заслуги нашего Художественного театра, сейчас он никак не может служить образцом для подражания. Да и вообще, как известно, подражание обычно не доводит до добра. Руставелевцы, во всяком случае, в этом не нуждаются.

Спасибо Вам за внимание и за портрет. У тов. Мургулия я еще забрал фото, на котором Вы изображены вместе с Васадзе («Отелло»). Если во время пребывания в Москве у Вас будет время и желание заглянуть ко мне — буду очень рад.

Москвичи ждут приезда Вашего театра. Приезжайте обязательно, привезите «Отелло», «Без вины», «Арсена», «Из искры» (подправив пьесу), «Поколение героев» и «Человека с ружьем».

Уважающий Вас Виктор Гольцев⁵
Москва, 11 декабря, 1938 г.

Дорогой Акакий Алексеевич!

Сегодня (13-го) был проездом в Тбилиси, очень хотел Вас видеть и по поручению ВТО и просто так, но никак Вас не мог достать ни в театре, ни дома.

Сегодня уезжаю в Цхалтубо. Обратю буду проездом в Тбилиси числа 1-го, 2-го, Надеюсь увидеть Вас.

Уважающий Вас Н. Хмелев.
Тбилиси, 13 марта, 1939.

გ ა უ მ ა რ ჯ ო ს ჩ ვ ე ნ ს კ ა რ გ ა კ ა ი ს !

დიდი ხანია აღარ მიბაასნია, ჩვენო აკაკი, შენთან, არც ცხადლივ არც ბარათით. იქნებ სშირად მაქვს სურვილი, მაგრამ ამ ჩვენი დიდი აღამიანების პირეული საქმით დატვირთვა, ველარ გვაბედვინებს მათ მოცდენას. მაგრამ სხვათა გულისთვის ვბედავ და როგორც კარგი საქმის უუამავალს ნუ დამემდურებდი. ჩემო აკაკი, მანდ, ინსტიტუტში ახალ მიღებულ სტუდენტთა შორის, გყავთ ერთი გოგონა, რომელიც თავისი უცხო გვარით ვერ გეტყვის იმას, რაც

უნდა ეთქვა ამის ნამდვილ თეატრალურ ოჯახის შვილობას. ჯუნა ვასაძე —
შვილიშვილი ვიქტორ და ნინო გამყრელიძეებისა, უღედმამო გოგონაა, პაპის
კმაყოფაზე და წარმოიდგენ ახლა რა მდგომარეობაში არიან ჩავარ-
დნულნი! მაგრამ არ გეგონოს იგი უღირსი მოწაფეა, თუ არ ვცდები, გადა-
ულნიწე შეფასებანი, ფრიადოსანი უნდა იყოს, მხოლოდ ახლა, მგონი რიტმიკა-
ში, ყველას საშუალოები მიუღიათ და საწყალ გოგონას გული აქვს გახეთქი-
ლი, ვაითუ მეც საშუალო დამისო და დავიღუპებო.

მოკლედ, ჩემო აკაკი, ზენ იკისრე ამ გოგონას მფარველობა და პატრო-
ნობა, არა, უკანონოდ და უღირსად არა, მხოლოდ მაინც, თუ იგი ნიჭიერია,
ლავის პაპასავით, ნუ დაიკარგება იგი თეატრისათვის უსახსრობის გამო და
მისი ატირებული ბეზის თქმით ასე მოხდება თუ მას ახლა სწავლის ფულს
საითქე არ გამოუძებნით და სტიპენდიას არ მისცემენ. თვითონ ნინომ ველარ
ვაბედა შენთან მოსვლა, ჩვენო აკაკი და მე გადავწყვიტე გაგაგებინო, არ გა-
ძიწყყე ამისთვის. ვბედავ უფრო იმიტომ, რო ზოგიერთებმა მიაძებეს, შენ
როგორ ცდილობ შეინარჩუნო კარგი, საჭირო სტუდენტები, რო უფულობის
გამო არ მოსწყენენ შესაფერ, ქვეყნისთვის გამოსადეგ საქმეს. საწყალი ნინო
გამყრელიძე იმას ამბობს, რო პაპის სახელს ის მაინც დასდონ ფასად, რო ამ
ბავშვს მისცენ სახსარი სწავლისათ, რადგან ვიქტორს ასე ცოტა ყურადღებას
აქცევენო. აი, ეს არი ჩემი თხოვნა, ჩემო აკაკი, მეტს აღარ გავაგრძელებ,
დანარჩენი შენ იცი.

იყავი კარგად და ყოჩაღად ჩვენი ქვეყნის საბედნიეროდ და გასახარად.
სალამი ნინოს.

პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ი თ ტ ა ს ო რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი - ა ხ მ ე ტ ე ლ ი ს ა .

ვერ გინახულე და წერილს გიტოვებ

ტ ა ს ო .

თბილისი, 25 ოქტომბერი, 1940

Хочу сказать Вам, дорогой Акакий Алексеевич, что давно не уно-
сил из театра такой большой, освежающей душу радости, какую вчера
дал мне Ваш «Отелло». Давно, может быть, со времен молодого Ша-
ляпина. Спасибо Вам за эту радость.

Крепко жму Вашу руку и руку партнера Вашего А. А. Васадзе —
великолепного Яго. Обоим Вам кланяюсь низко, а Вам за Вашего
Отелло кланяюсь до земли.

Василий Качалов.

1942 წ.

Позвольте мне, дорогой Акакий Алексеевич, поблагодарить Вас за то огромное художественное волнение, которым Вы одарили нас.

За свою длинную жизнь я видела многих Отелло, включая самых больших гастролеров, но такой глубокой, живой артистической радости, как от Вас, особенно в сценах зарождения первого подозрения и сомнения в Дездемоне, я в прошлом не припоминаю.

От всего сердца благодарю Вас.

Глубоко почитающая Вас Нина Литовцева.

1 февраля, 1942 г.

Дорогой Акакий Алексеевич!

На днях будет месяц, как я уехал из Тбилиси, а воспоминание о днях, проведенных у вас, все еще свежо, радостно и волнительно...

Мне было очень, очень хорошо у вас!

Я очень рад, что познакомился ближе с тобой и огорчен, что не видел тебя в Отелло.

Как идет твоя работа? Что нового у вас в театре? Что собираешься играть? Да, имеет ли успех у публики «Стакан воды?» Черкни на досуге пару строк — буду и рад, и благодарен тебе.

Передай, пожалуйста, всем, кто меня помнит, мой товарищеский и самый искренний привет. Прошу тебя передать мою благодарность студентам института. Никогда не забуду этот вечер!⁶ Отличное впечатление на меня произвел показ работ твоих питомцев. Особенно мне понравилось, что люди идут вглубь, а невширь в своем искусстве — это очень, по моему мнению, важно! Весь вечер был, я бы сказал, какой-то мхатовский, что-ли... Веяло чем-то родным, близким... мне очень понравилось — спасибо тебе. Об отдельных впечатлениях театральных я тебе уже рассказывал, не хочу повторяться.

И я заработался совсем! Ни днем, ни ночью, что называется, покоя нет... Ну, приедешь в Москву (кстати, когда думаешь быть в Москве?), обо всем потолкуем. Извини, дорогой друг, что долго не писал тебе, но меня так загрузили работой, что нет минутки свободной!

Привет тебе и твоей жене самый, самый хороший!

Будь здоров, дорогой! Спасибо еще раз! Крепко жму твою руку.

С любовью и уважением твой Н. Хмель.

Москва, 1942.

Дорогой Акакий Алексеевич!

Большое спасибо за Ваше теплое письмо. Большой радостью было для меня узнать, что Вы работаете над ролью Лира. Я глубоко убежден, что вот такие монументальные образы являются Вашим подлинным и Большим делом. Чем дальше в прошлое уходит спектакль «Отелло», тем значительней поэтичней (в истинном значении слова) и красочней кажется мне созданный Вами портрет «Черного человека». Так и должно быть с настоящим искусством. Важно, как мне думается, не столько первое впечатление, сколько то, что остается. Тут решает память. «Память — мать муз», как говорил Платон. И я теперь, через-призму времени, еще раз убеждаюсь в том, что Ваше исполнение Отелло одно из самых прекрасных и значительных явлений театра, которые мне приходилось видеть. Говорю от всей души: чувствую себя перед Вами в долгу. Пока мог отплатить очень малым. Во-первых, упоминаю о Вас на каждой, своей лекции по Шекспиру. Очень рад, что ВОКС, где я состою в бюро театральной секции, решил создать посвященную Вам маленькую монографию для заграницы. По-моему, просто необходимо, чтобы после войны Вас увидели в Лондоне и Нью-Йорке. Вот это действительно пропаганда советского искусства. Читали ли Вы мою статью в «Литературе и искусстве» месяца два-три назад? Представьте себе, что в Армении обиделись на эту статью. Почему обиделись — не понимаю. Они говорят, что я писал «петитом об Армении, а о Хорава большими буквами». Делали даже представление в редакцию газеты. Как все это дико! Кроме этой статьи, я гораздо подробнее писал о Вас в «Интернациональной литературе». Пришло номер, когда выйдет (это издание на английском языке). Писал о Вас статью через информбюро для американской печати. Кроме того, А. А. Пагава заключил с нашим кабинетом договор на работу о Вас. Дайте ему побольше цитат, ваших высказываний о ходе работы над ролью.

Крепко жму Вашу руку.

Искренне и навеки Ваш М. Морозов⁷.

Москва, 2 ноября, 1944 г.

Дорогой Акакий Алексеевич!

Профессор Владимир Самойлович Узин — крупнейший в Советском Союзе специалист по испанской драматургии «золотого века» (Лопе-де-Вега, Кальдерон и др.). Мне думается, что было бы правильно использовать его приезд в Тбилиси. Это человек обширнейших

